

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი

რამაზ სვანიძე

ტოქშოუს ტექსტის სტილის თავისებურებანი
გერმანულ და ქართულ ენებში

10.02.04 - გერმანიკული და რომანული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

ქუთაისი

2012

შინაარსი

შესავალი -----	4
----------------	---

თავი 1. ტოქშოუს ჟანრის დეფინიცია და მისი განვითარების ისტორია

1.1. ტოქშოუს ჟანრი და დეფინიცია -----	10
1.1.1. ტოქშოუს ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები -----	18
1.2. ტოქშოუს ჟანრის გამოყოფა ინტერვიუსა და დისკუსიისაგან -----	27
1.3. ტოქშოუს ტიპები -----	31
1.4. ტოქშოუს განვითარების ისტორია -----	35
1.4.1. ტოქშოუ ამერიკაში -----	35
1.4.2. ტოქშოუ გერმანიაში -----	38
1.4.3. ტოქშოუ საქართველოში -----	40
1.5. ტოქშოუს მნიშვნელობა და რეცეფციის მიზეზები -----	43
1.6. მასმედიის ენა და ინტიმურობა მედიალურ საუბრებში -----	49

თავი 2. ტოქშოუს შესწავლის თეორიული საფუძვლები და საუბრის ფაზების სტრუქტურული და სტილისტური ანალიზი გერმანულ და ქართულ ენებში

2.1. სტილის ცნება -----	55
2.2. დისკურსის ანალიზი -----	59
2.2.1. გერმანული და ქართული ემპირიული მასალა -----	63
2.3. მაკროდონე: საუბრის ფაზები: დასაწყისი, დასასრული, ბირთვი -----	65
2.3.1. ტოქშოუს დასაწყისი -----	65
2.3.1.1. გერმანული ტოქშოუს დასაწყისი -----	67
2.3.1.2. ქართული ტოქშოუს დასაწყისი -----	83
2.3.1.3. გერმანული და ქართული ტოქშოუს დასაწყისის შეპირისპირებითი ანალიზი -----	96

2.3.2. გერმანული და ქართული ტოქშოუს დასასრულის შეპირისპირებითი ანალიზი -----	98
2.3.3. ტოქშოუს ბირთვი -----	110
2.3.3.1 გერმანული ტოქშოუს ბირთვი -----	111
2.3.3.2. ქართული ტოქშოუს ბირთვი -----	132
2.3.3.3. გერმანული და ქართული ტოქშოუს ბირთვის შეპირისპირებითი ანალიზი -----	148
2.2.2. შუა დონე: მოსაუბრეთა მონაცვლეობა - პარალელური საუბარი გერმანულ და ქართულ ენებში -----	150
2.2.3. შუა დონე: ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა გერმანულ და ქართულ ენებში -----	162
თავი 3. ტოქშოუს ტექსტის სტილის კონტრასტული ანალიზი გერმანულ და ქართულ ენებში	
3.1. ტოქშოუს ჟანრის ლინგვოსტილისტური თავისებურებები გერმანულ და ქართულ ენებში -----	177
3.2. დიასისტემატური მარკირებები გერმანულ და ქართულ ენებში -----	188
3.3. ტოქშოუს სათაურების სტილისტური თავისებურებანი გერმანულ და ქართულ ენებში -----	192
3.4. ტოქშოუს ჟანრი როგორც ლინგვოკულტურული ფენომენი გერმანულ და ქართულ ენებში -----	199
დასკვნა -----	204
გამოყენებული ლიტერატურა -----	209
დანართები -----	222

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემატიკა

სატელევიზიო საუბრებს, კერძოდ, ტოქშოუს თანამედროვე მედიადისკურსში დიდი ადგილი უჭირავს. ტოქშოუ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. რეციპიენტს მიეწოდება ამა თუ იმ კულტურაში მისაღები, მისაბადი და სავარაუდო აზროვნების სქემები. გადაცემის ეს ფორმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტელეეკრანებთან უამრავ ადამიანს იზიდავს, ამიტომ საქართველოშიც ტელევიზიის მესვეურები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ჟანრისადმი.

წარმოდგენილ ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ტოქშოუს ტექსტის სტილის თავისებურებანი გერმანულ და ქართულ ენებში. გლობალიზაციისა და ღია საინფორმაციო სივრცის არსებობის პირობებში ხდება ამა თუ იმ სატელევიზიო ფორმატის გადმოღება და, აქედან გამომდინარე, დიდი განსხვავება მათ შორის არ არის მოსალოდნელი. თუმცა ყოველი ერის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკა განაპირობებს განსხვავებულობას, რომელიც, ძირითადად, ენობრივ დონეზე დაჩნდება.

სადისერტაციო თემის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ა) კვლევის ობიექტს წარმოადგენს ისეთი მრავალგანზომილებიანი ფენომენი, როგორცაა მედიადისკურსი, მედიალინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი მედიალური კომპონენტი, კომუნიკაცია, როგორც საუბრის მედიალიზაცია და მისი ინტერაქციული სტილის მახასიათებლები.
- ბ) ტოქშოუს ტექსტის, როგორც ტელევიზიაში წარმართული კომუნიკაციის სპეციფიკური ტიპის, სტილი ჯერ არ ქცეულა ინტერდისციპლინარული კვლევის საგნად შეპირისპირებით ჭრილში ენობრივი თავისებურებების კვლევითა და საერთო ენობრივ ფენომენტთა და განსხვავებებათა ჩვენებით. ცნობილია, რომ **სრულიად შეუსწავლელია ტოქშოუს ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი კონტრასტულ პლანში - გერმანული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით.**

გ) კვლევა ემყარება ტოქშოუს ტექსტების ჩემს მიერ შექმნილ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომლის დამუშავებაც მოხდა სამ განზომილებაში - ვიდეო, აუდიო და ტექსტურ ფორმატში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველადაა გაანალიზებული ზეპირი ენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტექსტის სახეობის - ტოქშოუს სტილი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ვერბალურ/არავერბალური განზომილებების თავისებურებები კულტურით ისეთ განსხვავებულ ენებში, როგორიცაა გერმანული და ქართული. ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მომცა დამედგინა ტოქშოუს ტიპები, მათი უნივერსალური და განსხვავებული მახასიათებლები როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ განზომილებებში.

კვლევის ძირითადი მიზანი განსაზღვრავს ნაშრომში კვლევის მიმართულებასა და კონკრეტულ ამოცანებს.

ნაშრომის მიზანია:

ა) გამოვლენილ და განზოგადებულ იქნეს ტოქშოუს ტექსტის, როგორც ლინგვისტური ფენომენის, სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებები, რომელთა ერთობლიობაც მის ჟანრობრივ-სტილურ ტიპობრიობას ქმნის;

ბ) განხილულ იქნეს შეპირისპირების საფუძველზე გერმანულ და ქართულ ტოქშოუს შორის არსებული ენობრივი თავისებურებები იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დასადგენად;

გ) გადმოცემულ იქნეს კონცეფცია ენობრივ ტოქშოუზე, როგორც ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ და ლინგვო-კულტუროლოგიურ სინთეზზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად დასახული და გადაჭრილია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- შემუშავებულია კონცეპტუალური აპარატი დასახული კვლევის საწარმოებლად;
- განსაზღვრულია ტოქშოუს ცნება. იგი გამოყოფილია მონათესავე ჟანრებისგან და დადგენილია მისი ტიპები;

- განსაზღვრულია ტოქშოუს ტექსტის ნიშნობრივი სტატუსი მისი სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით;
- შესწავლილია გერმანულენოვანი და ქართულენოვანი ტოქშოუს თავისებურებები მათ შორის არსებული იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დასადგენად;
- დადგენილია მოსაუბრეთა მონაცვლეობის არაკოოპერაციული ფორმების განმაპირობებელი ფაქტორები და მათი ზეგავლენა ტოქშოუს სტილზე;
- გამოვლენილია ტოქშოუს ინტერაქტანტთა კითხვითი ქცევის როლი სტილის აღქმაში;
- განსაზღვრულია საუბრის ფაზების მსგავსება/განსხვავებები და აღწერილია მათი სტილი;
- განხილულია ტოქშოუს ვერბალურ/არავერბალურ განზომილებათა და ექსტრალინგვისტურ ნიშანთა როლი ტოქშოუს მნიშვნელობის კონკრეტიზაციაში;
- გამოვლენილია და სისტემაშია მოყვანილი გერმანული და ქართული ტოქშოუს ტექსტის სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული, სტილისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათის თავისებურებები, რომლებიც მის ჟანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას ქმნის.

კვლევის მეთოდოლოგია გამომდინარეობს დასახული მიზნიდან: როდესაც ვიკვლევ ტოქშოუს ტექსტს, როგორც ენობრივ-კულტურულ ფენომენს, და მის სტილისტურ განზომილებას, ზოგად მეთოდოლოგიად მივიჩნევ **ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა სინთეზს.**

ნაშრომში დასახული კონკრეტული ამოცანების განხილვა მიმდინარეობს კომპლექსური კვლევის ისეთი **კონკრეტული მეთოდების გამოყენებით**, როგორცაა ენობრივ ერთეულთა სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი და მათი სემანტიკური (რეფერენციალური), სინტაქტიკური (შიდაენობრივი), პრაგმატიკული, სოციო-კულტურული და სტილისტური ინტერპრეტაცია, ემპირიული მეთოდი, საუბრის

ანალიზის მეთოდი. ტექსტის ნიშნობრივი თავისებურებების გამოვლენა ხდება ინტერსუბიექტურობის ფონზე **ადრესანტისა** და **ადრესატის** კომუნიკაციური ინტენციის და სტრატეგიის გათვალისწინებით.

კვლევის დროს ვიყენებ **შეპირისპირებით მეთოდს**, რომელიც მამლევს საშუალებას გამოვავლინო ტოქშოუს ვერბალურ/არავერბალური განზომილებების თავისებურებები გერმანული და ქართული ენების მასალაზე.

ნაშრომის თეორიულ დირეზულებას განაპირობებს, ერთი მხრივ, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და მიღებული შედეგები, რომელთა ერთობლიობაც სრულად წარმოაჩინს ტოქშოუს ტექსტის სტრუქტურულ, ლექსიკურ-გრამატიკულ, სტილისტურ და ლინგვოკულტუროლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც ქმნიან მის ჟანრობრივ-სტილურ ტიპობრიობას და განაპირობებენ ტექსტის ნიშნობრივ სტატუსს.

მეორე მხრივ, გერმანულ და ქართულ ტოქშოუთა შეპირისპირებითი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გამოვლენილ იქნეს ამ ენების სისტემური თავისებურებებით და სოციო-კულტურული ფაქტორებით განპირობებული სტრუქტურული და ლექსიკურ-გრამატიკული განსხვავებები.

კვლევის შედეგებს ძალზედ **დიდი მნიშვნელობა** აქვს **პრაქტიკული თვალსაზრისითაც**. დისერტაციის თეორიული ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლინგვისტური პრაგმატიკის, დისკურსის ანალიზისა და კულტუროლოგიის თეორიულ კურსებსა და სემინარებზე.

თეორიული დებულებები და კონკრეტული ტოქშოუს ანალიზის ნიმუშები გარკვეულ დახმარებას გაუწევს საუბრის ანალიზის, კომუნიკაციური გრამატიკისა და სტილისტიკის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ტოქშოუ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანქანური თარგმანის, ლექსიკოგრაფიისა და უცხო ენის სწავლების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკისათვის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ტოქშოუს გამოყენება უცხო ენის სწავლებისას საშუალებას მისცემს ენის შემსწავლელს, შეისწავლონ ენა როგორც „მოქმედი მექანიზმი“. ტოქშოუ მათ საუბრის ჭეშმარიტ მიზეზს აძლევს და ამასთანავე შემოქმედებით სივრცეს უტოვებს

ენობრივი ქმედებისადმი. ის მარტო ქვეყნის კულტურასა და სინამდვილეს კი არ აცნობს მას, არამედ მის ყოველდღიურობასაც. ტოქშოუს ასეთი კვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწავლელს სასაუბრო მეტყველების რეგისტრისა და კომპეტენციის გაუმჯობესებაში. იგი აგრეთვე ხელს შეუწყობს მას ადეკვატური რეაქცია მოახდინოს ამ თავისებურებებზე შესაბამის კულტურულ სივრცეში მოხვედრისას და შეამზადებს სოციალური და სამეტყველო მოქმედებისადმი.

საკვლევ მასალად კვლევის ინტერესიდან გამომდინარე აღებული მაქვს ოთხი გერმანული და ქართული ტოქშოუ, როგორც გერმანული, ისე ქართული ტოქშოუს ოთხასამდე სათაური, ექსტრალინგვისტური ფაქტორის განსაზღვრისათვის 23 ქართული და 17 გერმანული ტოქშოუ.

ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. იგი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ტოქშოუთა სია, ასევე ტრანსკრიბირებული ტექსტები.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევ პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. აქვე განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტებიც.

პირველი თავი წარმოადგენს ტოქშოუს დეფინიციას, მისი ჟანრისა და ტიპების აღწერას, მონათესავე ჟანრებისაგან გამოყოფას, ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლების გამოვლენას, განვითარების ისტორიის მიმოხილვას, გერმანიასა და საქართველოში გავრცელებული ტოქშოუების დახასიათებას. ასევე განვიხილავ ტოქშოუს მნიშვნელობასა და რეცეფციის მიზეზებს, მედიაენისა და მედიალური საუბრების ინტიმურობას.

მეორე თავი ეძღვნება ტოქშოუს შესწავლის თეორიული საფუძვლების კვლევას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სტილის ცნება, დისკურსის ანალიზის არსი, ინტერაქციის მაკროდონეების, ანუ საუბრის ფაზების - დასაწყისისა და დასასრულის - სტრუქტურულ-სტილისტური აღწერა შეპირისპირებით პლანში, ტოქშოუს ბირთვის დადგენა გერმანულ და ქართულ ტოქშოუში და კონტრასტული

სტილისტური ანალიზი, ასევე მოსაუბრეთა მონაცვლეობის კოოპერაციული და არაკოოპერაციული საუბრის სტილის ფორმები. სტილის აღქმისთვის საინტერესოა ინტერაქტანტთა კითხვითი აქტივობაც.

მესამე თავი განიხილავს ტოქშოუს ტექსტის სტილის კონტრასტულ ანალიზს გერმანულსა და ქართულ ენებში, კერძოდ, მის ლინგვოსტილისტურ თავისებურებებს, ტოქშოუს სათაურების სტილისტურ მახასიათებლებსა და ტოქშოუს დიასისტემატურ მარკირებებს ლექსიკონში. ტოქშოუ წარმოდგენილია როგორც ლინგვოკულტურული ფენომენი.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი განზოგადებები, რომლებიც ადასტურებენ კვლევის მიმართულების, მისი პრობლემატიკისა და არჩეული მეთოდოლოგიის მართებულობას.

თავი 1. ტოქშოუს ჟანრის დეფინიცია და მისი განვითარების ისტორია

1.1. ტოქშოუს ჟანრის დეფინიცია

მედიის კვლევაში ტერმინ ტოქშოუსადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მისი კონტურების მკაფიო განსაზღვრა ვერ ხერხდება. ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი მაყურებლის პოზიციაა: მას ინტუიციურად ესმის, რას ნიშნავს ტოქშოუ, რადგანაც ინდუქციურად უჩენს მას ადგილს ისეთი ტერმინების გვერდით, როგორცაა: დისკუსია, ინტერვიუ ან საუბარი (კალვერკემპერი 1979: 408).

ბუხპოლცი და შულტი ტოქშოუს სატელევიზიო ჟურნალისტიკის ცნობარში ძალზედ ზოგადად განმარტავენ: ტოქშოუ გადაცემის ფორმაა ამერიკიდან, რომელმაც 70-იან წლების შემდეგ გერმანულენოვან ტელევიზიაშიც მოიკიდა ფეხი (ბუხპოლცი, შულტი 1990: 307) .

გერმანულსა და ქართულში ტოქშოუს მართლწერაც საკამათოა, დეფინით თუ მის გარეშე. მაგალითად, „ტოქშოუ“ (რუსთავი 2-ზე), თოქ-შოუ (პირველ არხზე, იმედზე, კავკასიაზე, მასტროზე, აჭარაზე), თოქშოუ (რიონზე). როგორც ვხედავთ, სურათი ნაირგვარია, ზოგ შემთხვევაში გადმოცემულია ტ-თი, ზოგჯერ თ-თი, ზოგჯერ დეფინით, ზოგჯერ უდეფინოდ. ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში, რომელიც გამოსცა არნოლდ ჩიქობავას ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ, სწორ ფორმად მიჩნეულია ტოქშოუ და არა თოქშოუ ან თოკშოუ (ვაშაკიძე 2009a: 210). ჩემი აზრით, ლექსიკონის შემდგენლები სამართლიანად მიიჩნევენ ტოქშოუს ერთცნებიან კომპოზიტად. ასევე გამართლებულად მიმაჩნია არაბულის თვალსაზრისი ამგვარი სიტყვების ქართულში მკვეთრი თანხმოვნებით გაფორმების შესახებ (არაბული 2005: 73).

სიტყვა ტოქშოუ შემდეგნაირადაა განმარტებული ბროქჰაუზის კონვერსაციის ლექსიკონში: გასართობი გადაცემა, რომელშიც მოდერატორი სტუმრებს სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით უსვამს კითხვებს (ბროქჰაუზი 1998: 894). აქ საერთოდ არაა ნახსენები სტუდიის მაყურებელი, რაც ზოგიერთი მკვლევარისთვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

მსგავსი განმარტებაა მოცემული დუდენის ლექსიკონშიც: გასართობი გადაცემა, რომელშიც წამყვანი (ცნობილ) პიროვნებებს კითხვებით პირადულ,

პროფესიულ ან საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გამონათქვამებისკენ უბიძგებს (დუდენი 1989: 1511). მაყურებლებზე აქაც არაა საუბარი.

ტერმინის „ტოქშოუს“ მნიშვნელობის გარკვევისას ძალზედ სწრაფად ვექცევით ჩიხში. Show ერთი მხრივ, ჩვენებას, გადაცემას ნიშნავს, მეორე მხრივ, სანახაობას, სპექტაკლს, talk - საუბარს. შედეგად ისმის კითხვა: ტოქშოუ სხვადასხვა სახის საუბრის (კონვერსაციის) უბრალოდ ჩვენებას, გადაცემას ნიშნავს თუ სასაუბრო წარმოდგენას?

კუზნეცოვი განიხილავს ტოქშოუს როგორც ნათელ, დინამიურ სპექტაკლს და ამ ჟანრის შემდეგ ნიშნებს ასახელებს: საუბრის სიმსუბუქე, წამყვანის არტისტიზმი და აუდიტორიის აუცილებელი დასწრება (კუზნეცოვი 1998: 58). მიკოსი ტოქშოუს შოუს სუბჟანრად მიიჩნევს, რითაც გართობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ვიდრე ინფორმაციას: ერთი ან რამდენიმე მასპინძელი რამდენიმე სტუმართან ერთად საუბარს წარმართავს სტუდიაში ან დარბაზში პუბლიკის წინ; გადაცემა აქტუალურ თემებზე, მოვლენებზე ან თავად სტუმრებზეა (მიკოსი 1994: 158). კრუმბახ-ჰალბახი შოუს ეფექტებს ან პუბლიკას ტოქშოუს მთავარ ფაქტორად არ მიიჩნევს (კრუმბახ-ჰალბახი 2004: 30-36). ჩემი აზრით, სხვადასხვა საუბრის გადაცემით მაქსიმალური სანახაობა მიიღწევა და ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს არ გამორიცხავს. ამით მაყურებელს ერთდროულად ინფორმაციასა და გართობას თავაზობენ, თანამედროვე გერმანულზე „Infotainment“, რომელიც ლათინური და ინგლისური წარმომავლობის სიტყვების (Information - Entertainment) სინთეზის შედეგადაა წარმოქმნილი. ინსცენირებულობის მიუხედავად ტოქშოუ ყოველდღიურ საუბრებთან ძალზედ ახლოს დგას. რადგანაც ამ ფორმატისათვის სინამდვილესთან სიახლოვე მნიშვნელოვანია, წამყვანები სტუმრებში ნამდვილი ემოციების გამოწვევას ცდილობენ.

ტოქშოუს ჟანრის უფრო დაწვრილებით განხილვისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ცნება „ჟანრის“ განსაზღვრა. „ჟანრზე“ მხოლოდ მაშინ საუბრობენ, როცა, პირველ ყოვლისა, ორი წინაპირობა სრულდება:

1. სატელევიზიო ჟანრმა უნდა შემოგვთავაზოს პროგრამა სახასიათო კონტურებით;

2. გადაცემა ერთი და იგივე დროის მონაკვეთში გადის, სერიული ხასიათი პროგრამის ფორმის ცნობადობას აძლიერებს (შთაინბრეხერი, ვაისკე 1992: 12).

ტოქშოუს ჟანრად განხილვისათვის საჭიროა დადგინდეს ელემენტები, რომლებიც მუდამ მეორდება და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი - სულ ერთია, პოლიტიკურია იგი, თუ მხოლოდ მაყურებლის გასართობი.

ამ თემატიკაზე პირველი გერმანული პუბლიკაციის ავტორები ტოქშოუს ცნებას სამი კრიტერიუმით განმარტავენ:

1. გადაცემის სერიული ხასიათი: გადაცემის სისტემატურად (ერთხელ თვეში, კვირაში ან ყოველ დღე) გამეორება მაყურებელს აძლევს შეგრძნებას, რომ ეს ყველაფერი მისთვის კარგად ნაცნობია და მის ცნობიერებაში ამკვიდრებს ტოქშოუს როგორც მყარ წარმონაქმნს.
2. მასპინძლის ცენტრალური ფიგურა: მოდერატორი გადაცემის წარმატების ან წარუმატებლობის წინაპირობაა. ის გადაცემის სახე, ვარსკვლავი ხდება, ამიტომაც კარგ და კომპეტენტურ წამყვანს დიდი მნიშვნელობა აქვს. გადაცემა ხშირად მის სახელს ატარებს. ასე მაყურებელი მასთან იდენტიფიცირებას და სხვა კონკურენტუნარიანი პროდუქტებიდან განსხვავებას შეძლებს. მოდერატორის მომხიბვლელი ტოქშოუს სტუმრებთან ბუნებრივ ურთიერთობაში ე.ი. ინსცენირებულ სპონტანურობაში მდგომარეობს. კომუნიკაბელური, წარმატებული წამყვანისათვის საკუთარ სტილთან ერთად დამახასიათებელია ინტერაქცია სტუდიის სტუმრებთან და სატელევიზიო რეციპიენტებთან.
3. პიროვნებებზე ორიენტირებული ტოქშოუ: ტოქშოუ საქმიანი საუბარი კი არაა, არამედ პიროვნებებზეა დამოკიდებული. სტუმრად სპეციალისტი და პროფესიონალი კი არაა შესაფერისი, არამედ, პირველ ყოვლისა, ის, ვინც როგორც პიროვნებაა საინტერესო. ტოქშოუს მთავარი მიზანი ცალკეულ პიროვნებათა დახასიათებაა და არა რაიმე თემაზე დისკუსია (ბარლოუენი, ბრანდენბერგი 1975: 18).

ფოლტინი აკრიტიკებს ამ შეხედულებას და მას „არათანადროულს“ უწოდებს. მისთვის მისაღები მხოლოდ სერიული ხასიათი და წამყვანის ფიგურაა. თუმცა აქაც

დიდი განსხვავება შეიმჩნევა: დასაწყისში თვეში ერთხელ გადიოდა გადაცემები, შემდეგ ორ კვირაში ან კვირაში ერთხელ და ყოველ დღე. ერთი პირის გვერდით მოქმედებენ აგრეთვე დუეტები და ტრიოები, ასევე არის ტოქშოუ წამყვანის გარეშე. ფოლტინი საუბრის მიმდინარეობისას გარკვეულ თავისუფლებასა და შოუს ეფექტებზე მიუთითებს. ამ უკანასკნელში გულისხმობს მუსიკას, თეატრალურ პასაჟებსა და არავერბალური კომუნიკაციის სიგნალებს (ფოლტინი 1994: 70-72). ნაწილობრივ ვიზიარებ ამ მოსაზრებებს. შეიძლება არსებობდეს გადაცემა მოდერატორის გარეშე, მაგრამ კვლევის პერიოდში ასეთი ტოქშოუ არ შემხვედრია. დღესდღეობით როგორც სტუმრებია აქტუალური, ისე ექსპერტებსაც თხოვენ აზრის გამოხატვას. თემატურმა ტოქშოუმაც სატელევიზიო ლანდშაფტში კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი.

ტოქშოუს წარმატებისათვის „საუბრის უნარის მქონე“ სტუმრები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოდერატორი. ეს უკანასკნელი თავის პროფესიონალიზმს, პირველ ყოვლისა, იმით ამტკიცებს, რომ შეგნებულად დგება ჩრდილში და სტუმრებს უფრო მეტი დისკუსიის საშუალებას აძლევს. თუმცა უამრავი ტოქშოუა, რომელშიც წამყვანი დომინირებს. კარგი მოდერატორი სვამს ყველა კითხვას, რომელიც მაყურებელთა თავში ტრიალებს, ადამიანებს ალაპარაკებს და შესაბამის დროს აჩერებს (შაიდტი 2000: 93). წარმატებული წამყვანი პოპულარობასთან ერთად დიდ შემოსავალს იღებს. 1989 წელს ოპრა ვინფრემ 55 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და რანჟირებაში პოპვარსკვლავ მადონას წინ მოხვდა (ფოლტინი 1990: 480). 2010 წელს ვინფრეი ამ სიის სათავეში იდგა 315 მილიონი დოლარით წელიწადში და უკან ისეთი ადამიანები ჩამოიტოვა როგორცაა ბიონსი, ჯეიმს ქამერონი და ა.შ. ფაქტია, რომ ტოქშოუს წარმატების შემთხვევაში მოდერატორს მაუწყებლის გამოცვლაც შეუძლია.

ერთ-ერთ ადრეულ პუბლიკაციაში შმიდი ტოქშოუს შემდეგი კრიტერიუმებით განსაზღვრავს: ცნობადი და ნაკლებად ცნობადი სახეების წარდგინება, პატარა ჯგუფში რეალური პუბლიკის წინ ოპტიკურ-ვერბალური ნიმუშების გამოვლენა, დადგმის კონცეფცია - მოქმედების სპონტანური ნიმუშების წარმოჩენა, მოქმედების

სპონტანური სივრცე, საუბრის ინიციატორის ხელმძღვანელობით „სხვადასხვა პუბლიკისთვის“ ინფორმაციის მიწოდება გართობის მიზნით (შმიდი 1975: 125).

ოპტიკურ-ვერბალური პრეზენტაცია როგორც გამონათქვამებს, ისე კომუნიკაციის არავერბალურ აქტებსაც გულისხმობს. „სტუდიის რეალური პუბლიკა“, რომელიც ტელემაცურებლის წარმომადგენელია და სტუმრებს მეორად რეცეფციას ახსენებს, ტოქშოუს ერთ-ერთ პირობადაა მიჩნეული (ბარლოუენი, ბრანდენბერგი 1975: 98). ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ საუბრის გადაცემა მაცურებლის გარეშე ტოქშოუ არაა (ფოლტინი 1994: 71), რადგან ხშირია ტოქშოუები სტუდიის პუბლიკის გარეშე და მაცურებელთა გარე წრის არსებობას სტუმარი მედიალური გადაცემის პირობებში ისედაც ვერ დაივიწყებს.

აიმერენისა და გერჰარდის აზრით, „მოქმედების სპონტანური სივრცე“ ნიშნავს სტუდიის ან ეკრანთან მყოფი მაცურებლის უშუალო ან პარასოციალურ მონაწილეობას დისკუსიაში, საუბრის მონაწილეების ან რომელიმე აზრის მხარდაჭერას (აიმერენი, გერჰარდი 1998: 601). ეს მონაწილეობა ყოველთვის მინიმალური იყო. ხშირად აპლოდისმენტებით, სიცილით, სტვენით, შეძახილებით და უკმაყოფილო გადაჩურჩულებით გამოიხატებოდა სტუმრების მიმართ სიმპათია ან ანტიპათია. თუმცა ზოგიერთი ფორმატის ტოქშოუში პუბლიკას საუბარშიც შეუძლია მონაწილეობა და ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი აზრი გამოთქვას. იშვიათად ტელემაცურებელსაც აქვს ამის საშუალება.

პუბლიკის საუბარში ჩართვის ორ ფორმას განასხვავებენ: გამოკითხვით და ინიციატივურს. პირველ შემთხვევაში პუბლიკა დროში ძალზედ შეზღუდულია და მუდამ მოდერატორის მიერ კითხვის დასმისას შეუძლია აზრის გამოთქმა. ეს ხდება გადაცემის დასაწყისში განწყობის სწრაფი დაფიქსირებისათვის ან მაშინ, როცა სცენაზე რაღაც განსაკუთრებული ხდება. მეორე შემთხვევაში მაცურებელს თავად შეუძლია საუბარში ჩართვა. ამისათვის მიკროფონებია მომზადებული ან წამყვანი თავად აწვდის მიკროფონს სიტყვის მოთხოვნისას (ფლაი 1997: 80-85). ჩემს ემპირიულ მასალაში პუბლიკის ვერბალური ჩართულობა მხოლოდ გერმანულ ტოქშოუში დაფიქსირდა. გაისენი თავისუფლად გადაადგილდება და მაცურებელს,

ვისაც რაიმეს თქმის სურვილი აქვს, აძლევს ამის საშუალებას. ქრისტიანსენი სახელით იცნობს პუბლიკაში მსხდომ იმ სტუმრებს, ვისაც კითხვას უსვამს.

ფლავი ტოქშოუდ იმ გადაცემებს მიიჩნევს, რომლებიც შემდგომ კონსტიტუციურ პირობებს აკმაყოფილებენ:

1. საუბრის კონცეფცია: გადაცემის უმეტესი ნაწილი საუბრისგან შედგება, რომელსაც სულ მცირე ორი ერთმანეთთან ეკრანზე ხილვადი პიროვნება წარმართავს. ეს არავერბალური კომუნიკაციის გადაცემის საშუალებასაც იძლევა. ერთი პიროვნება თავის თავზე იღებს საუბრის წარმართველის ფუნქციას და მეორე - არასისტემატური მონაწილეა. საუბრის წარმართვის ერთადერთი მიზეზი ტელევიზიაში გადაცემაა.
2. მიზნის პირველადი თავისუფლება: საუბარი და გამონათქვამები არ ემსახურება მიზანს და არ ემორჩილება რაიმე წესებს. გადაცემებში, რომლებიც ტოქშოუს არ განეკუთვნება მუდამ კონკრეტული მიზნის მიღწევას ცდილობენ, კერძოდ, ერთმანეთთან დაახლოება, გამარჯვება, პოლიტიკური მიზნებისა და დამოკიდებულებების ან სპეცთემატიკების ახსნა, დაკარგული პიროვნებების პოვნა.
3. საუბრის ცალმხრივი თავისუფლება: სულ მცირე საუბრის ერთ-ერთი მხარე თავის გამონათქვამებში არაა დადგენილი.
4. ლოკალური ერთიანობა: გადაცემები ერთ ადგილზე და ერთ დროს მიმდინარეობს.
5. სერიული ხასიათი: გადაცემა არის გადაცემათა რიგის ნაწილი და სისტემატურად გადის მსგავსი კონცეფციით, სულ მცირე ყოველ ორ თვეში, მყარ ადგილზე.

ფლავისთვის ტოქშოუს ფაკულტატიურ ელემენტს წარმოადგენს დამსწრე პუბლიკის ყოფნა ჩაწერისას ან პირდაპირი გადაცემისას, რადგან ბევრგან მხოლოდ კულისების როლს ასრულებს. ასეთივე კრიტერიუმად საუბრის თემის განსაზღვრა მიაჩნია (ფლავი 1997: 20). ფლავისგან განსხვავებით ტოქშოუ თემაზე ფიქსირებულ გადაცემად და თემა ამ ჟანრის კონსტიტუციურ ელემენტად მიმაჩნია. პიროვნებებზე ორიენტირებულ ფორმატებში თემა თავად სტუმარია.

ბევრი მკვლევარი ზოგად განმარტებებს აკეთებს, რომლებშიც ყოველთვის საუბარი დომინირებს (შიჰა 2002: 11; ვილკე, გეპერტი 2000: 38; ბერგჰაუსი, შთაბი 2000:40; აიმერენი, გერჰარდი 1998: 601). ისმის კითხვა: რა არის საუბარი? ყოველდღიურობაში მისი განსაზღვრა ოთხი კრიტერიუმით ხდება: სულ მცირე ორი ინტერაქტანტი, მოსაუბრეთა მონაცვლეობა, ზეპირი ტექსტის რეალიზაცია და კონკრეტული თემა. ლინგვისტური დეფინიციაც მსგავსია: საუბარი ენობრივი გამონათქვამების შეზღუდულ მიმდინარეობას წარმოადგენს, რომელიც დიალოგურადაა გაწყობილი და თემატურ ორიენტაციას ამჟღავნებს (ბრინკერი, ზაგერი 2006: 9-12). ენობრივი გამონათქვამების მიმდინარეობა იგივეა რაც ზეპირი ტექსტის რეალიზაცია, ხოლო დიალოგურობა სულ მცირე ორ ინტერაქტანტს გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ ტოქშოუ საუბრისადმი წაყენებულ როგორც ყოველდღიურ, ისე ლინგვისტურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ჰენე და რეზოკი გამოყოფენ საუბრის სფეროებს, რომლებშიც გერმანული ენა ფუნქციონირებს. ტოქშოუ მეშვიდე სფეროს მიეკუთვნება: მედიის საუბრები, ინტერვიუები (ჰენე, რეზოკი 2001: 24). მკვლევარები განასხვავებენ ბუნებრივ და ფიქტიურ საუბარს. ეს უკანასკნელი იყოფა ფიქტიურ, ფიქციონალურ და ინსცენირებულ საუბრად. პირველი ვარიანტი საგაკვეთილო მიზნისთვის გამოიყენება, მეორე ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, მესამე კი დადგმის შთაბეჭდილებას ტოვებს და მეორე სინამდვილეს ასახავს. ტიპური ინსცენირებული საუბრებია: თეატრალური წარმოდგენები, სატელევიზიო თამაშები, ფილმები და რადიოპიესები. როგორც ვხედავთ, ტოქშოუ არ წარმოადგენს არცერთი ამ ჯგუფის ნაწილს. აქედან გამომდინარე, ის ბუნებრივ საუბარს მიეკუთვნება, თუმცა გასარკვევია სპონტანურს თუ არანაყირებულს. სპონტანურში აქ, პირველ რიგში, საუბრის სიტუაციის მოუმზადებლობას ვგულისხმობ, რაც ტოქშოუს გარკვეული დოზით გააჩნია და ამით სიახლოვეს ავლენს ენის ყოველდღიურ გამოყენებასთან. სრულ სპონტანურობას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რადგან ვერბალურ ინტერაქციაზე შემდეგი ფაქტორები მოქმედებენ: შეზღუდული დრო, მოდერატორის მიერ სიტყვის განაწილება, კონკრეტულ თემაზე ფიქსირება და ა.შ. არანაყირებულ საუბარს წინ უძღვის მომზადების ხანგრძლივი პროცესი. რადგანაც ტოქშოუ

მასმედიაში მიმდინარე საუბარია, მისი მომზადება დაკავშირებულია ინსტიტუციის წარმომადგენლებისა და მოქალაქეების ძალისხმევასთან. მათი კოოპერაციის შედეგად ის გარკვეულ სოციალურ ჩარჩოშია მოთავსებული. ყოველივე ზემოთქმული მაძლევს უფლებას, ტოქშოუ ბუნებრივ, არანჭირებულ საუბარს მივაკუთვნო. ტოქშოუს ინტერაქტანტები face-to-face კომუნიკაციას აწარმოებენ, რაც დროსა და სივრცეში სიმულტანურად ფიზიკური სიახლოვის პირობებში მიმდინარეობს. მართალია, არის სტუმრის დისტანციურად ჩართვის შემთხვევებიც, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ტოქშოუ წარმოადგენს ინტერპერსონალურ საუბარს ორ ადამიანს შორის ან ჯგუფურ საუბარს. მედიაში განხორციელებული საუბარი საჯაროა, თუმცა პრივატული ამბების გამომწვეურებაც ხდება. მეორე საკითხია, რამდენად გულწრფელი არიან ინდივიდები, როცა ასეთ ისტორიებს ყვებიან, ეს რთული გასარკვევია. ტოქშოუს საუბარი ასიმეტრიულია, რაც განპირობებულია საუბრის სტრუქტურითა და ორგანიზაციით. არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ასეთ ასიმეტრიებს განაპირობებენ, როგორცაა ანთროპოლოგიური, სოციოკულტურული და დარგობრივი. რაც შეეხება ინტერაქტანტების ნაცნობობის ხარისხს, ისინი ფართო სპექტრით არიან წარმოდგენილი. წამყვანი ერთადერთი ადამიანია, რომელიც გადაცემის დაწყებამდე ყველა სტუმარს ეცნობა. სტუმრები შეიძლება იყვნენ როგორც უცნობები, ისე შემთხვევითი ან კარგი ნაცნობები, არც ისე ხშირად მეგობრები ან ძალიან ახლობლები, რაც ფორმატზეა დამოკიდებული. მოსაუბრეები უმეტესწილად მოუმზადებელნი არიან, რაც არ შეიძლება ითქვას მოდერატორზე, ან რუტინულად მომზადებულნი, როცა ნათქვამის დასამტკიცებლად დოკუმენტი, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი და ა.შ. მოაქვთ. მართალია, მოდერატორი სპეციალურად ემზადება გადაცემისთვის, მაგრამ ტოქშოუს წამყვანის დროს არ ხდება წინასწარ გამზადებული ტექსტების უბრალოდ წაკითხვა. ტოქშოუში სტუმრები ზოგჯერ პროტესტის ნიშნად დროზე ადრე ტოვებენ გადაცემას, ძალზედ იშვიათად ამას წამყვანებიც აკეთებენ პირდაპირ ეთერში. ეს მოწმობს იმას, რომ რაც არ უნდა მწვავე თემას განიხილავდნენ ინტერაქტანტები, ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობის თავისუფალ ნებას ადასტურებენ.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნა, რომ ტოქსოუ დამოუკიდებელი სატელევიზიო ჟანრია სხვადასხვა ქვესახეებით, რომელიც ბუნებრივ, არანჭირებულ, სულ მცირე ცალმხრივად თავისუფალ, სერიულ საუბარს წარმოადენს. მონაწილეები რეალურ, ყოველდღიურ და ლოკალურად ერთიან კონტექსტში მოქმედებენ. ის არის ორ პიროვნებას შორის მიმდინარე ან ჯგუფური, ეკრანზე ხილვადი ასიმეტრიული ინტერაქცია, რომელშიც მოდერატორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ენობრივი გამონათქვამები კონკრეტულ მიზანს არ ემსახურება და თემატური დატვირთულობა საჯარო და პრივატულია. წინასწარ გათვლილი ორგანიზაცია და ბუნებრივი მიმდინარეობა მოქმედების ნათელ სტრუქტურას უზრუნველყოფს. ტოქსოუმში მიმდინარე დისკურსი გავლენას ახდენს მაყურებელთა ცნობიერებასა და ღირებულებებზე.

1.1.1. ტოქსოუს ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები

ამერიკული ტოქსოუმების ანალიზისას ლარინამ ამ ჟანრის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები გამოავლინა. პირველი იყოფა უნივერსალურ და მადიფერენცირებელ ნიშნებად ანთროპოცენტრისტული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორების მეშვეობით, ხოლო მეორეს განეკუთვნება თემატური და სტილისტური განსაზღვრულობა და კომპოზიციურობა (ლარინა 2004: 69-77). ქვემოთ ვახდენ ამ მოდელის მოდიფიცირებას, რაშიც როგორც გარკვეული ნიშნების ამოღებას, ისე განვრცობა-დამატებას ვგულისხმობ: მაგალითად, ექსტრალინგვისტურ უნივერსალურ ნიშნებს ვერ მივაკუთვნებ სტუდიის პუბლიკას, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა გადაცემაში ის არ გვხვდება და თუკი არის, უმეტესწილად საუბარში არ ერევა. უნივერსალურ მადიფერენცირებელ ნიშნებს არ წარმოადგენენ წამყვანის დამხმარეები (მიკროფონის ოპერატორები) ან კენჭისყრის პულტები.

ექსტრალინგვისტური უნივერსალური ნიშნებია:

1. ანთროპოცენტრისტული ფაქტორი
 - ა) მოდერატორი/მოდერატორები;

ბ) სტუმარი/სტუმრები.

2. ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორი

ა) სტუდია, ძირითადი მოქმედების ადგილი, რომელიც საუბრის მუდმივ კონტექსტს წარმოადგენს;

ბ) მუსიკალური გაფორმება - ტოქშოუს სავიზიტო ბარათი;

გ) ტოქშოუს ქუდი (Vorspann);

დ) გადაცემის დასასრული (Abspann);

ე) სტუმრების განლაგება („ოლივერ გაისენის შოუში“ ლურჯი სკამები, რაც გადაცემის ლოგოსაც წარმოადგენს, ერთმანეთის გვერდით დგას, ოდნავი რკალით ბოლოებისაკენ, ამიტომ სტუმრები საუბრისას ცოტათი წინ უნდა გადაიხარონ. ეს ხაზს უსვამს ყოველ ჩართვას ინტერაქციაში და დაპირისპირებად აღიქმება“/ “საბინე ქრისტიანსენში” სტუმრები ნახევარ წრეზე სხედან, შუაში მოდერატორი და ყოველგვარი დამაბვისა და ზედმეტი მოძრაობის გარეშე წარმართავენ კომუნიკაციას/ იგივე განლაგება გვაქვს „ბერლინ მითეში“: ილნერის გვერდით მარცხნივ ორი სტუმარი ზის და მარჯვნივ სამი/ გვიანი ღამის შოუში სტუმრები წამყვანის წინ სხედან და ისე საუბრობენ / ქართულ პოლიტიკურ ტოქშოუებში სტუმრები ცალ-ცალკე შემოდინან და მოდერატორების პირისპირ სხედან/ „პროფილში“ სტუმრები რიგრიგობით შემოდინან. მოდერატორი მათ წინ დგას ან გვერდით ზის);

ვ) მოდერატორსა/მოდერატორებსა და სტუმარს/სტუმრებს შორის საუბრის სერიული გადაცემა. სერიულობაში ვგულისხმობ მკაცრად დაცულ ციკლურობას, ანუ პროგრამაში რეგულარულ გამეორებადობას, რომელიც გათვლილია მასობრივი მაყურებლის ცნობიერების აღსაგზნებად, როგორცაა მდგომარეობა: „შეხვედრის მოუთმენელი ლოდინი“;

ზ) სიტუაციური სპონტანურობა და ბუნებრიობა, რაც ინტერაქტანტების უჩვეულო, ახალ სიტუაციაში აღმოჩენასა და სულ მცირე ერთი მოსაუბრის წინასწარ მოუმზადებლობას გულისხმობს, რაც მოულოდნელობის ეფექტს ქმნის;

თ) ემოციურობა/ემოციონალიზაცია;

ყ) პერსონალიზაცია;

ვ) რამდენიმე ადრესატზე მიმართება: აქ იგულისხმება ტექსტის სახეობა ტოქშოუსა და სხვა მედიალური საუბრებისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური ელემენტი (კიუნი 1995: 7; მიულენი 1985: 86-90; ბურგერი 2001: 1494; შიუთე 2001: 1489). ის ეფუძნება კომუნიკაციის შიგა და გარე წრის არსებობას. პირველში ინტერაქტანტები ერთმანეთთან უშუალოდ მონაწილეობენ საუბარში, მეორე წრე კი, ძირითადად, ტოქშოუს ტექსტის მთლიანობასა და ტელერეციპიენტს შორის არაპირდაპირი ურთიერთობით აიგება. სტუდიის პუბლიკისა და ექსპერტების შემთხვევაში შიგა წრის მეორე დონე გამოიყოფა (ჰეს-ლიუტიხი 1997:297, ლინკე 1985: 264). ექსპლიციტურად და უშუალოდ გამონათქვამები მიმართულია კომუნიკაციის შიგა წრეზე, ხოლო იმპლიციტურად და არაპირდაპირ პუბლიკაზე (კიუნი 1995: 112). გამოლაპარაკებული ადრესატი კი არაა მთავარი, არამედ მაყურებელი ტელეეკრანებთან. მიულენის აზრით, გამონათქვამს სხვადასხვა წრისათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს (მიულენი 1985: 86). ტოქშოუს ერთი მონაწილის მიმართვა მეორეზე შეიძლება იყოს არგუმენტაციული მსჯელობის ნაწილი ამ ინტერაქტანტებს შორის. მაყურებლისათვის იგივე გამონათქვამი საკუთარი პოზიციის ფარულ რეკლამას შეიძლება ემსახურებოდეს (შიუთე 2001: 1489). პეტერ-ციმერის აზრით, რომელიც პოლიტიკურ დისკუსიებში რამდენიმე ადრესატზე მიმართვას იკვლევს, კონტაქტირება და ორიენტაცია ერთმანეთს შორდება. პირველს მიაკუთვნებს მხედველობით კონტაქტს, სხეულის პოზიციას, მიმართვას და ადრესატის ექსპლიციტურ დასახელებას. ორიენტაციის ქვეშ მოიაზრება პროცესები, რომელშიც მოსაუბრე თავის ცოდნას, განწყობებსა და მოქმედების შესაძლებლობებს ითვალისწინებს (პეტერ-ციმერი 1990:56-60).

ზ) ქრონოტოპი.

ექსტრალინგვისტური მადიფერენცირებელი ნიშნებია:

ანთროპოცენტრისტული ფაქტორი

1. მოდერატორების ტიპები ფუნქციური, გენდერული, რაოდენობრივი თვალსაზრისით, პროგრამაში მონაწილეობის ხარისხის მიხედვით, წამყვანის პოზიცია სტუდიაში (მაგალითად, გაისენი მოძრაობს, დგას ან

ხანდახან ჩამოჯდება მაყურებლებს შორის საფეხურზე; ასათიანი მოძრაობს პოდიუმზე, სტუმრების წინ დგას ან მათ გვერდით ჩამოჯდება);

2. სტუდიის მაყურებლები;
3. თანაწამყვანები/ასისტენტები;
4. რუბრიკის ხელმძღვანელები;
5. ექსპერტები.

ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორი

1. „ყურებადობის ეფექტის“ გაძლიერება (სტუდიის გაფორმება, აუდიო- და ვიდეო-მასალის ჩვენება, ტელე- და კინოფილმების ფრაგმენტები, ფოტოები; მუსიკის ჩართვა, მომღერლების, მოცეკვავეების გამოსვლა; სტუმრებისა და მაყურებლების პროფესიული ოსტატობის დემონსტრირება სტუდიაში და ა.შ.);
2. წერილობითი ტექსტი: გადაცემის სათაური და თემა, სტუმრის წარდგენა (ასაკი, პროფესია, დახასიათება) და ა.შ. „In gefährlicher Mission: Deutsche Soldaten für Israel?“/ Hans-Jochen Jaschke Weihbischof, Erzbistum Hamburg, Sonja Zekri Journalistin; Vater von 15 Kindern (38), Mutter von 15 Kindern (40), Alexander aus Alsfeld (21), Carmen (30) Selbständige aus Fürth. JACQUELINE (27): „KINDER BRAUCHEN VIEL AUFMERKSAMKEIT!“ DAGMAR (41) HAUSFRAU UND MUTTER AUS BOGEL, MARIANNE (42) – 10-FACHE MUTTER AUS VIERKIRCHEN. შემდეგი თემის გამოცხადება წამყვანის მიერ, ამავდროულად ჩანს ცხელი ხაზის ნომერი და თემა: „ERZIEHUNGSKAMPF - HEUTE KOMMT DIE SUPER NANNY.“ კითხვა 2000 ევროს მოსაგებად, ტელეფონის ნომერი მითითებულია: Welches Schuhwerk trägt der Kater im Märchen: a) Stiefel, b) Pantoffeln. „პოლიტიკურ კვირაში“, „პოზიციაში“ ჩანს გადაცემის სათაური და თემა, „პროფილში“ სუბტიტრები (ჯოხარ დუდაევის მეუღლის ტექსტის თარგმანი);
3. კულისები („ოლივერ გაისენის შოუში“ შემდგომი სტუმრები, რომლებიც შესვლას ელოდებიან, განცალკევებით სხედან და გადაცემას იქ დამონტაჟებულ ტელევიზორში უყურებენ. ოპერატორები აჩვენებენ მათ რეაქციებს იმაზე, რასაც სტუდიაში სხვა სტუმრები ამბობენ);
4. ექსპერტებისა და სტუდიის პუბლიკის მონაწილეობა საუბარში;

5. ტაბუს გარეშე საუბარი.

ლინგვისტური ნიშნების რიცხვს, რომელიც ჟანრის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია, განეკუთვნება **თემატური** და **სტილისტური** განსაზღვრულობა და **კომპოზიციურობა**.

თემატური პრინციპით (ლარინა 2004; აიმერენი, გერჰარდი 1998) გამოვყოფ გერმანული და ქართული ტოქშოუს ჟანრის შემდეგ ტიპებს: პოლიტიკურ-ანალიტიკური, გასართობი და ინტელექტუალური. ქართულში ემატება ასევე სპორტული ტოქშოუ, რომელიც კვლევის პერიოდში გერმანულ არხებზე არ შემხვედრია. გასართობ ტოქშოუში ვაერთიანებ საკუთრივ გასართობ, ყოველდღიურ და გვიანი ღამის ტოქშოუს.

გერმანულ და ქართულ მედიადისკურსში გაანალიზებული ტოქშოუები თემატური ასპექტით შემდეგნაირად გადანაწილდა:

ქართული ტოქშოუები

პოლიტიკურ-ანალიტიკური: პოლიტიკური კვირა, პირველი თემა, დებატები, მედიამონიტორი, პოზიცია, ევროპული არჩევანი, დიალოგი, აქცენტები, ჩვენი ეზო;

გასართობი: მოკლე ჩართვა, 100° C, ნანუკას შოუ, პროფილი, ცხოვრება მშვენიერია; **გვიანი ღამის შოუ:** ღამის შოუ, ვანოს შოუ; **ყოველდღიური ტოქშოუ:** სამოთხის ვაშლები, შუადღე, დღის შოუ;

ინტელექტუალური: ღამის საუბრები;

სპორტული: არენა, საფეხბურთო მიმოხილვა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ტოქშოუს ექსტრალინგვისტური ნიშნები

გადაცემის დასახელება	წამყვანის ტიპი									შუკუ კავშირი	
	გენდერული ტიპი			რიცხო ბრივი ნიშანი							
	მამაკაცი	ქალი	შერეული ტიპი	ერთი	ორი	ორზე მეტი	სტუმრები	ექსპეტები	მაყურებლები სტუდიაში	ინტერაქტივი გადაცემაში, დისკუსია, თვითური ინტერნეტში	თანაწამყვანი, ასისტენტი, მსახიობები
პოლიტიკური კვირა		+		+			+				

პირველი თემა		+					+				
დებატები		+		+			+				
მედიამონიტორი		+		+			+				
მოკლე ჩართვა			+		+		+		+		
პოზიცია		+		+			+				
100° C	+			+			+	+	+		+
ნანუკას შოუ		+		+			+		+		+
ლამის შოუ	+			+			+		+		
დღის შოუ		+				+	+			+ სმს	+
შუადღე	+	+				+	+			+ ინტერაქტ	+
პროფილი		+		+			+		+		
ვანოს შოუ	+			+			+		+		+
ევროპული არჩევანი	+			+			+	+			
ცხოვრება მშვენიერია		+		+			+		+		
დიალოგი	+			+			+			+სმს	
აქცენტები		+		+			+				
არენა	+			+			+			+სატელ.ჩარ	
აუდიტორია		+		+			+		+		
ჩვენი ეზო	+			+			+		+		
სამოთხის ვამლები		+				+	+			+სატელ.ჩარ	
ლამის საუბრები	+			+			+				
საფეხბურთო მიმოხილვა	+			+			+			+სატელ.ჩარ	

გერმანული ტოქშოუები

პოლიტიკურ-ანალიტიკური: საბინე ქრისტიანსენი, ანე ვილი, პრესკლუბი, გიუნთერ იაუხი, hart aber fair, მაიბრით ილნერი, ერთი ერთის წინააღმდეგ;

გასართობი: ბექმანი, ადამიანები მაიშბერგერთან, მარკუს ლანცი, პეტერ ჰანე;
 გვიანი ღამის შოუ: ჰარალდ შმიდტი, შტუკრადის გვიანი ღამის შოუ, Pelzig hält sich;
 ყოველდღიური: ოლივერ გაისენის შოუ, ბრიტი;

ინტელექტუალური: ფილოსოფიური კვარტეტი (კულტურა), ღამის სტუდია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ტოქშოუს ექსტრალინგვისტური ნიშნები

გადაცემის დასახელება	წამყვანის ტიპი									უკუკავშირი	
	გენდერული ტიპი			რიცხოვრივი ნიშანი							
	მამაკაცი	ქალი	შერეული ტიპი	ერთი	ორი	ორზე მეტი	სტუმრები	ექსპეტიები	მაცურებლები სტუდიაში	ინტერაქტივი გადაცემაში, დისკუსია, თვითური ინტერნეტში	თანაწამყვანი, ასისტენტი, მსახიობები
საბინე ქრისტიანსენი		+		+			+		+		
ოლივერ გაისენის შოუ	+			+			+	+	+		
ჰარალდ შმიდტი	+			+			+		+		+
ანე ვილი		+		+			+	+	+	+	
პრესკლუბი	+			+			+				
გიუნთერ იაუხი	+			+			+		+		
hart aber fair	+			+			+		+	+მაილი რეპორტერი	+
ბექმანი	+			+			+				
ადამიანები მაიშბერგერთან		+		+			+		+		
ბერლინ მითე/ მაიბრით ილნერი		+		+			+	+	+		
პეტერ ჰანე	+						+				
ფილოსოფიური კვარტეტი	+				+		+		+		
მარკუს ლანცი	+			+			+		+		

ღამის სტუდია	+			+			+				
შტუკრადის გვიანი ღამის შოუ	+			+			+		+		+
ბრიტი		+		+			+		+		
Pelzig hält sich	+			+			+		+		


როგორც აღმოჩნდა, გერმანულ ტოქშოუში მამაკაცი წამყვანი ორჯერ უფრო მეტია. არ გვხვდება მოდერატორების დუეტი ან ტრიო. გადაცემების უმეტესობას ჰყავს სტუდიის პუბლიკა. ექსპერტები ცალკეულ შემთხვევებში დაფიქსირდა. სხვა პერსონალი და უკუკავშირი ასევე იშვიათია.

ქართულ ტოქშოუში მოდერატორების უმეტესობა ქალია. უმეტესად ერთი წამყვანია, თუმცა ორი ან ორზე მეტიც დასტურდება. სტუდიის პუბლიკა ნახევარზე ნაკლებს ჰყავს. ექსპერტები მხოლოდ ორიოდ გადაცემაშია მოწვეული. დამატებითი პერსონალი რამდენიმეგან ჩართულია ინტერაქციაში. უკუკავშირი მრავალფეროვანია.

პოლიტიკურ-ანალიტიკურ ტოქშოუში მთავარ პოლიტიკურ საკითხებზე, სერიოზულ სახელმწიფოებრივ და საზოგადო პრობლემებზე მსჯელობენ. **გასართობი** ტოქშოუს მთავარი მიზანია ტელეაუდიტორიის გართობა, ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება. **ყოველდღიურ** ტოქშოუში მოწვეულ სტუმრებთან ერთად აფექტურ თემებს განიხილავენ. **გვიანი ღამის შოუში** იუმორის ზეიმი. **ინტელექტუალურ** ტოქშოუში საქმე ეხება სოციუმის კულტურული სფეროს სხვადასხვა ასპექტებს. **სპორტულ** ტოქშოუში სპორტულ თემებზე საუბრობენ.

სტრუქტურულ-კომპოზიციური ნიშნით ტოქშოუ ინტერაქციულ არანჟირებულ ინსტიტუციონალურ ჟანრს მიეკუთვნება. აქ როლები განაწილებულია მოდერატორსა და სტუმრებს შორის (მიულენი 1985: 71; ჰერიტაჯი, გრეიტბაჩი 1991: 97). ინსტიტუციის წარმომადგენელი კლიენტი უმასპინძლდება გარედან შემოსულ აგენტებს (ელიჰი, რეზინი 1994: 319). ეს განაპირობებს გარკვეულ ასიმეტრიულობას და კითხვა-პასუხის სტრუქტურას, რომელშიც განმსაზღვრელ ფუნქციას წამყვანი თამაშობს (დრიუ, ჰერიტაჯი 1992:49). გადაცემაში მიმდინარე ინტერაქცია შეიძლება ტრიადის საშუალებით წარმოვადგინო: 1. ადრესანტი, მოდერატორი, 2) შიგა და გარე

ადრესატები: ერთი მხრივ, სტუმრები, ექსპერტები, აუდიტორია და მეორე მხრივ, ტელემაყურებლები, 3) თემა, რომელიც ტოქშოუს ტექსტის სემანტიკურ ბმულობას განსაზღვრავს.



ადრესანტი საუბრის ინიციატორია, რომელთანაც სტუმრად არიან როგორც შიგა, ისე გარე დონის წარმომადგენლები. კომუნიკაციის პროცესი წრიული მოძრაობის მსგავსია. სტუდიაში ადრესანტი გადადის მსმენელის როლში ისე, როგორც ადრესატები იქცევიან მოსაუბრეებად. ეს უკანასკნელნი შედიან როგორც ადრესანტთან, ისე ერთმანეთთან ინტერაქციაში. ნებისმიერი კომუნიკანტი მოსმენის დროსაც აქტიურია. თუმცა კომუნიკანტთა ეს ჯგუფი არაა ჰომოგენური და საუბრის სხვადასხვა უფლებებით სარგებლობს. ასიმეტრიული კიბის ყველაზე მაღლა მოდერატორი დგას, რაც სიტყვის განაწილებაში, შეწყვეტინებასა და საუბრის მიმართულების მიცემაში მჟღავნდება. შემდეგ საფეხურზე არიან მთავარი სტუმრები, რომლებსაც შეუძლიათ პოდიუმზე გამართულ კომუნიკაციაში თავისუფლად ჩართვა მაშინ, როცა არამთავარი სტუმრები (ექსპერტები), მაყურებლები სტუდიაში წამყვანის ნებართვით ახმოვანებენ თავიანთ აზრს. ტელემაყურებლების უშუალო სატელევიზიო კომუნიკაციაში ჩართვის ფორმები შეზღუდულია, თუმცა თანამედროვე მედიალურ სამყაროში საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უამრავი საშუალებაა. საუბარში პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩართვა შესაძლებელია სმს-ით, მაილით, ტელეფონით, ინტერაქტივით ან დროში გაწელილად გადაცემის საიტზე კომენტარით, დისკუსიით, სარედაქციო წერილით. აქედან გამომდინარე, მოქალაქეები, რომლებიც გადაცემას უყურებენ, პასიურები არ არიან, აქტიურად აკვირდებიან მასმედიას, ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს და ქმნიან საზოგადოებრივ აზრს. ტექტის ბმულობას თემა განაპირობებს.

საუბარი ტოქშოუში შედგება გამონათქვამების (რეპლიკების) გაცვლისაგან, სამეტყველო ერთეულებისაგან, რომელთა შორის საზღვარს კოოპერაციული საუბრის

სტილის დროს ერთი კომუნიკანტის მეტყველების დასასრული და მეორეს დასაწყისი წარმოადგენს, თუმცა ხშირად მოსაუბრეთა მონაცვლეობა პარალელური საუბრის ფონზე მიმდინარეობს (ჰენე, რეებოკი 2001; ლინკე 1985).

ტოქშოუს კომპოზიციური სტრუქტურა სტაბილურია და შედგება დასაწყისის, ბირთვისა და დასასრულისაგან, რაზეც მოგვიანებით მექნება საუბარი.

აქ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ, მართალია, ტოქშოუს სტაბილური კომპოზიციური სტრუქტურა გააჩნია, მაგრამ მასში საერთო სიუჟეტი არ ვითარდება იმ გაგებით, რომ ერთი ნარატორი რაიმე ამბავს მოგვითხრობდეს. მიუხედავად ინსცენირებისა, საუბარი კომუნიკაციურ სპონტანურობაზეა აგებული და ინტერაქტანტები თავად განსაზღვრავენ, როგორ გააგრძელონ ტექსტის ქსოვილის დართვა. ეს მოცემულობა ნარაციის თავისუფალ ნაკადს განაპირობებს გარკვეული დოზით. აქედან გამომდინარე, მოქმედების კულმინაციური განვითარება და კვანძის გახსნა, კლასიკური გაგებით, არ შეიძლება მივიჩნიო ტოქშოუს კომპოზიციურ ელემენტებად.

სტილისტური ნიშნით ტოქშოუ განეკუთვნება სამეტყველო ჟანრის სატელევიზიო გადაცემას. ის სიახლოვეს ამჟღავნებს ყოველდღიურ სასაუბრო სტილთან, რომელსაც არაოფიციალურ სიტუაციაში ვიყენებთ და აქედან გამომდინარე, სასაუბრო ლექსიკის გამოყენება ხშირია.

1.2. ტოქშოუს ჟანრის გამოყოფა ინტერვიუსა და დისკუსიისაგან

ტოქშოუს არსის უკეთ გასარკვევად უპრიანია მისი მონათესავე ჟანრებისაგან გამოყოფა, როგორცაა ინტერვიუ და დისკუსია. საუბრის ფორმების მიმოხილვა საშუალებას მძლევს, დავადგინო ჟანრის განმასხვავებელი თვისებები.

ამ პოპულარული დიალოგური ტექსტის სახეობებიდან ინტერვიუ ყველაზე მეტადაა გამოკვლეული როგორც პუბლიცისტური, ისე ლინგვისტური კუთხით. ის გვხვდება როგორც პრესაში, ისე რადიოსა და ტელევიზიაში. პირველი დაწერილი

ტექსტის მოთხოვნების შესაბამისად რედაქციაში მუშავდება. ზოგიერთ გაზეთში წარმოთქმული ენის ნიშნები რჩება (ელიფსები, ნაწილაკები, სინტაქსური აპოზიცია და ა.შ.), რათა ავთენტიკურობისა და სპონტანურობის შეგრძნება გაძლიერდეს. რაც შეეხება რადიოსა და სატელევიზიო ინტერვიუს, გამოიყოფა რამდენიმე ფორმა - პირდაპირ ეთერში ტელეფონის საშუალებით, სტუდიაში ჩაწერილი, დამუშავებული ან რეპორტაჟში ჩასმული ინტერვიუ (ჰეს-ლიუტიხი 1987: 230).

ინტერვიუში მონაწილეობს ორი მოსაუბრე სტაბილურად ფიქსირებული ინსტიტუციონალურ-ფუნქციური როლებით (ლინკე 1985: 21, ალავიძე 2009: 154). კორესპონდენტი და რესპონდენტი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართავს დიალოგს. მართალია, ტოქსოუშიც სვამს მოდერატორი კითხვებს და სტუმარი პასუხობს, მაგრამ ინტერვიუში როლების ასიმეტრიული განაწილება ბევრად უფრო ფორმალიზირებულია და მოქმედების ამ ვიწრო სივრცეში რაიმე გადახვევა და ინიციატივა ნაკლებადაა შესაძლებელი, რითაც ის ინტერაქციის სხვა ფორმებიდან განსხვავდება (მიულენი 1985: 71). ჟურნალისტის პიროვნება ნაკლებად მნიშვნელოვანია, მისი პოზიცია - ყოველთვის ნეიტრალური. საუბრის სიტუაცია თავისუფლად არ აღიქმება. სტუდიაში პუბლიკა არ იმყოფება. მთავარი აქცენტი საუბრის ინსცენირებაზე კი არ კეთდება, არამედ საქმიან კითხვებსა და არგუმენტებზე.

შვიტალა (1979: 178-184) განასხვავებს ინტერვიუს პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან და ვარსკვლავებთან. კლეიმენი და ჰერიტაჯი კიდევ ერთ სახეობას გამოყოფენ - ახალი ამბების ინტერვიუს. ამ უკანასკნელში კარგად ჩანს კორესპონდენტის ნეიტრალური პოზიცია, რადგან მსმენელის დადასტურებითი სიგნალი საერთოდ არ მოიპოვება. ამით მიკერძოებულობის თავიდან აცილება ხდება (კლეიმენი, ჰერიტაჯი 2002: 121-126). პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ინტერვიუში მათი პიროვნება ნაკლებად საინტერესოა, საუბარი უფრო მეტად გარემოების გარკვევაზეა მიმართული, რაც ინფორმაციის მოპოვების ეფექტურ და ეკონომიურ საშუალებას იძლევა (ჰერიტაჯი, გრეიბაჩი 1991: 130).

დისკუსია ინტერვიუსთან შედარებით პრესისთვის იშვიათი, მაგრამ რადიოსა და ტელევიზიისათვის პოპულარული ტექსტის სახეობაა, სადაც რამდენიმე

პიროვნება წინასწარ შეთანხმებულ თემას განიხილავს. დამოკიდებულებებისა და ინფორმაციის ფართო სპექტრი მსმენელს ან მაყურებელს საშუალებას აძლევს დისკუსიის თემაზე საკუთარი აზრი შეიქმნას. აქ საუბარია პრობლემის საქმიან განხილვასა (შმიდი 1975: 125) და აზრების გაცვლაზე (მენე 1993: 186). დისკუსიის საგანი უმეტესწილად პოლიტიკური საკითხია და შესაბამისად სტუმრად, პირველ რიგში, პოლიტიკოსებს, ასევე ჟურნალისტებსა და ექსპერტებს იწვევენ. ერთი ან რამდენიმე წამყვანი, რომლებიც ჩვეულებისამებრ ცნობილი ტელეჟურნალისტები ან პოლიტიკის კორესპონდენტები არიან, საუბრის ორგანიზაციაზე ზრუნავენ (თენშერი, შიჰა 2002: 62). მოდერატორს არა აქვს უფლება თავისი აზრი გამოთქვას თემასთან დაკავშირებით, მან ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიჭიროს და ყველა მონაწილეს დროის თანაბარი მონაკვეთი დაუთმოს (ლინკე 1985:25; მიულენი 1985:329). ისევე როგორც ინტერვიუში, აქაც წარმოდგენილი არგუმენტებია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ინსცენირება, აქცენტი უფრო ინფორმაციაზე კეთდება, ვიდრე გართობაზე.

ტოქშოუ დისკუსიაზე მეტად ემსახურება გართობას და ტელევიზიისათვის სპეციფიკური ტექსტის სახეობაა. „(შოუ-)საუბრის“ („Schausprechen“) მიზანი თემების განხილვაზე მეტად პიროვნებების წარდგენა და წარმოჩენაა, რომლებიც რაღაც მიზეზით 'საინტერესოდ' მიიჩნევიან. მისი ფუნქცია გამორჩეული ადამიანის გამოვლენაა (კალვერკემპერი 1979: 412; მიულენი 1985: 328-329). რთულია იმის მტკიცება, რამდენად ხშირად მიიღწევა ეს. ტოქშოუ სარეკლამო ინდუსტრიაში აქტიურადაა ჩართული: მაგალითად, ვარსკვლავები და ავტორები უახლეს დისკებს ან წიგნებს აქებენ პუბლიკის წინ (ჰეს-ლიუტიხი 1987: 230). გადაცემის ცენტრში სტუმრებსა და მოდერატორს შორის საუბარია და არა ცალკეული სტუმრის გამოკითხვა. სასურველია სტუმრებს შორის უშუალო კონფრონტაცია. ამ დროს არგუმენტებზე უფრო მეტად საუბრის გასართობად ინსცენირებაა მნიშვნელოვანი, ანუ ფორმა შინაარსზე წინ დგას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტოქშოუს ტიპიდან გამომდინარე ეს ნიუანსები სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდება და უმეტესად ყოველდღიურ აფექტურ ტოქშოუებს ახასიათებს.

ლინკე სატელევიზიო საუბრების დისკურსიულ ანალიტიკურ გამოკვლევაში დისკუსიასა და ტოქშოუს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებს ადგენს. ის

ასაბუთებს, რომ კომუნიკაციის სპეციფიკური ფაქტორები კომუნიკაციურ ქცევას განაპირობებენ. ლინკე აქცენტებს აკეთებს მოსაუბრეთა მონაცვლეობაზე, კითხვით ქცევასა და მსმენელის სიგნალების გამოყენებაზე (ლინკე 1985).

ტოქშოუს მოდერატორს, დისკუსიის ხელმძღვანელისაგან განსხვავებით, ანიმატორის ფუნქცია აქვს (ibid: 268). ის იყენებს ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც მას თავისუფალი საუბრის ატმოსფეროს შექმნაში ეხმარება და ცდილობს ნაკლებად დომინანტური იყოს. წამყვანი სტუმრებს ხშირად ირიბ კითხვებს უსვამს, რათა თავი აარიდოს ინტერვიუს მსგავს კომუნიკაციურ სტილს და უფრო მეტად აფიქსირებს საკუთარ აზრსა და დამოკიდებულებებს. ტოქშოუში უფრო მეტი კითხვა ისმება, ვიდრე დისკუსიაში, როგორც მასპინძლის, ისე სტუმრების მხრიდან (ibid: 204). დისკუსიის ხელმძღვანელები უფრო ნაკლებად იყენებენ მსმენელის სიგნალებს და ამით მონაწილეებისადმი და მათი აზრებისადმი დისტანციურობას ამტკიცებენ. რაც შეეხება ტოქშოუს მოდერატორს, ის ხშირად მიმართავს ამ სიგნალებს და ამით სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის. ასევე იქცევიან ტოქშოუს სტუმრებიც, რითაც თავისუფალი განწყობა ყალიბდება (ibid: 244-245). ლინკეს მიერ გამოკვლეულ დისკუსიის გადაცემებში უფრო მეტადაა მოსაუბრეთა მონაცვლეობის არაკოოპერაციული, კონფრონტაციული ფორმები, ტოქშოუში კი საუბრის კოოპერაციული სტილი.

ჰოლი et.al. აღნიშნავენ, რომ დისკუსიასა და ტოქშოუში ინტერვიუს ფაზებიც გვხვდება (ჰოლი et.al. 1986:121). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ მედია ჟანრებს შორის საზღვრები გარდამავალია. ამის მიუხედავად შემოდის დავადგინო, რომ ინტერვიუ კორესპონდენტ-რესპონდენტის მყარი როლებითა და მოქმედების ვიწრო არეალით გამოირჩევა. დისკუსიის წამყვანის მართვის სტილი მიზანმიმართული და ექსპლიციტურია, ხოლო ტოქშოუს მოდერატორი სტუმრებს კითხვების ირიბი, არადირექტიული ფორმულირებითა და მსმენელის აქტიური სიგნალებით ალაპარაკებს.

1.3. ტოქშოუს ტიპები

ტოქშოუს ტიპების კლასიფიკაციისას სხვადასხვა კატეგორიებს იშველიებენ, ესენია: გადაცემის ადგილი, საუბრის დატვირთვა (თემაზე თუ პიროვნებებზე ცენტრირებული), თემა, საუბრის მონაწილეების რაოდენობა და მათი მიკუთვნება საზოგადოებრივი ჯგუფისადმი (მაგ. პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, მეცნიერი), გადაცემის პრეტენზია (გართობაზე ან ინფორმაციაზე ორიენტირებული), მედიალური ინსცენირება და ამ ინსცენირების მიზანი. ქვემოთ განვიხილავ რამდენიმე ასეთ კლასიფიკაციას.

შტაინბრეკერი და ვაისკე ტოქშოუს ოთხ კლასს გამოყოფენ. ესენია: **ცნობადი სახეების** ტოქშოუ, რომელიც პიროვნებებზეა ორიენტირებული და მასში რამდენიმე ცნობილი სტუმარი მონაწილეობს; **თემების** ტოქშოუში უმეტესწილად ცნობილ სტუმრებს მათი კომპეტენციის საფუძველზე იწვევენ, რადგანაც საქმე კონკრეტულ, ხშირად აქტუალურ თემას ეხება. მესამე ჯგუფში, **პორტრეტულ** ტოქშოუში, წინა პლანზე წამყვანსა და სტუმარს შორის ინდივიდუალური საუბარია. სტუმარს სხვადასხვა რაკურსით წარადგენენ, რასაც ინფორმაციულ-გასართობი ხასიათი აქვს. მეოთხე ტიპია ე.წ. **კონფრონტაციული** ტოქშოუ. აქ ცნობილ ან უცნობ სტუმრებს შორის ემოციური კამათი მიმდინარეობს. ისინი თემას განსხვავებული პოზიციებიდან განიხილავენ (შტაინბრეკერი, ვაისკე 1992: 21).

ლოფლერი აღნიშნავს, რომ ცნობადი სახეებისა და პორტრეტული ტოქშოუ სტუმრებზეა მიმართული, თემების ტოქშოუ თემატიკაზე და კონფრონტაციული - მიმდინარეობაზე. თუმცა არსებობს ქვესახეები, როგორცაა, მაგალითად, სააღსარებო საუბარი ცნობადი სახეებისა და პორტრეტულ ტოქშოუში ან გადასვლები ყველა ტიპს შორის. ასე შესაძლებელია კონფრონტაციული ტოქშოუ თემებსა და პიროვნებებზე იყოს მიმართული (ლიოფლერი 2002: 2328).

შაიდტი ტოქშოუს ზემოთ ჩამოთვლილ კლასებს მეხუთეს - აფექტურ ტოქშოუს უმატებს (შაიდტი 2000: 60-68).

პლაკე კომუნიკაციის შინაარსის (პოლიტიკა, ცნობილი სახეები და ინტიმურობა) მიხედვით ტოქშოუს სამ ძირითად ტიპს განასხვავებს: **დებატების შოუ**

ანუ ფორუმი, პერსონალური და აღიარებითი შოუ. პირველში უმეტესად საზოგადოებისათვის საინტერესო თემებს, განსაკუთრებით პოლიტიკაში, განიხილავენ (პოლიტიკური ტოქშოუ). მონაწილეები საზოგადოების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებიან. აქ მნიშვნელოვანია „სიტყვის ძალა“ და არა პიროვნება, საზოგადოებრივი რანგი ან პროფესია. არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების გაცვლა თავისუფლად მიდის და დემოკრატიული დისკურსის შთაბეჭდილება იქმნება.

პერსონალურ შოუში ძირითადად ცნობილი პიროვნებები მონაწილეობენ, რომელშიც თემა თავად სტუმრებია. იმ გადაცემებში, სადაც არაცნობადი სახეები გამოდიან, თემები ბუნდოვანია, ე.ი. „ყველაფერსა და არაფერზე“ საუბრობენ, რათა ცნობილი სახეების არ ყოფნა გაამართლონ.

აღიარებით შოუში („Daily Talks“, „Confessional-Talkshows“ ან „Affekt-Talks“) უცნობი სახეები ხშირად ემოციურ, ხანდახან ტაბუდადებულ ყოველდღიურ თემებს განიხილავენ. აქ წამყვანის პიროვნება ცენტრალურ როლს თამაშობს. თემები ინტიმურია და ინტენსიურ აფექტებს იწვევს. აქ განხილული პრობლემები და პროვოცირებული გრძნობები სირცხვილსა და უხერხულობას განაპირობებს. ფსიქოლოგიური და სოციალური ირიტაციის გამო სტუდიაში ხშირად ექსპერტებიც იმყოფებიან, რომლებიც დიაგნოზს სვამენ და გამოსავალს თავაზობენ. რადგანაც ინტენსიური გრძნობები სოციალურ გარემოში ურთიერთობებთანაა დაკავშირებული, სტუმრად წყვილები მოჰყავთ. მეგობრებისა და ოჯახის წევრების მოვალეობა საკუთარი თვალთახედვის წარმოდგენაა (პლაკე 1999: 32-33).

შტაინბრეკერი და ვაისკე ჯერ კიდევ 1992 წელს სააღსარებო ტოქშოუს წმინდა ამერიკულ ფენომენს უწოდებდნენ. ამ გადაცემებში ტაბუდადებულ თემებს ხშირად ძალიან ემოციურად განიხილავენ. სტუმრები, რომლებიც წესისამებრ საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებს არ ემორჩილებიან - მაინც გულუბრყვილო, მიამიტ საშუალო დონის მოქალაქეებად არიან წარმოდგენილი (შტაინბრეკერი, ვაისკე 1992: 131-132). ეს აღწერა უმეტესობა დღის ტოქშოუს შეეფერება.

ფოლტინი უარს ამბობს რუბრიკაზე 'სააღსარებო ტოქშოუ' და მას პერიოდულობიდან გამომდინარე ყოველდღიურ ტოქშოუდ მიიჩნევს (ფოლტინი 1994: 107-108).

კრუმბახ-ჰალბახი ამ კლასიფიკაციებს არ ეთანხმება. ის თვლის, რომ უმეტესი ტოქშოუსათვის არც ე.წ. მიზნობრივი ჯგუფი, არც ტოქშოუს კლასი არ განისაზღვრება. ამ გადაცემებში განსხვავებული ადამიანები მონაწილეობენ. ტოქშოუს კლასებად დაყოფა ლოგიკურობას მოკლებულია: ცნობადი სახეებისა და თემების ტოქშოუს დეფინიცია შინაარსის, ხოლო პორტრეტული ტოქშოუს უფრო მეტად ფორმის მიხედვით ხდება. ეს უკანასკნელი შეიძლება ცნობადი სახეების ან თემების ტოქშოუც იყოს. წმინდა კონფრონტაციული ტოქშოუ გადაცემების 'Der heiße Stuhl' (ერ-ტე-ელი) და 'Einspruch'-ის (სატ 1) დასრულების შემდეგ გერმანულ ტელევიზიაში მეტად აღარ არსებობს (კრუმბახ-ჰალბახი 2004: 27).

კრიუგერი სატელევიზიო პროგრამაში ადგილისა და თემების მიხედვით ტოქშოუს სამ ტიპს გამოყოფს: 1. პოლიტიკაზე ორიენტირებული ტოქშოუ ყოველკვირეული გადაცემით საღამოს პროგრამაში, 2. გართობაზე ორიენტირებული ტოქშოუ ყოველკვირეული გადაცემით საღამოს პროგრამაში, 3. პირადულ ყოველდღიურ თემებზე ორიენტირებული ტოქშოუ ყოველდღიური გადაცემით დღის პროგრამაში (კრიუგერი 1998: 618).

გადაცემის ადგილის მიხედვით გერმანიაში ნაშუადღევისა და საღამოს ტოქშოუს განასხვავებენ: საღამოს ტოქშოუს უმეტესად კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ გადასცემენ, ნაშუადღევის საუბარი კი ყოველდღე გადაიცემა. დღის ტოქშოუს წამყვანი თითქმის მხოლოდ უცნობ ადამიანებს იწვევს მაშინ, როცა ღამის წამყვანის სტუმრები ცნობილი სახეები არიან. ბულვარული თემები ნაშუადღევის ტოქშოუს საუბრის საგანს წარმოადგენს. ღამის ტოქშოუს თემები მრავალფეროვანია. საქართველოში ნაშუადღევისა და საღამოს ტოქშოუს ემატება დღის ყოველდღიური ტოქშოუ „სამოთხის ვაშლები“. ქართულ ტოქშოუებში, ძირითადად, ცნობილ ადამიანებს იწვევენ და შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიური, „ოლივერ გაისენის შოუს“ ტიპის ტოქშოუ ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

ფლავი გადაცემათა ტიპიზაციის სამ ძირითად პირობას გამოყოფს: თემატური, სტუმრების რაოდენობისა და მთავარი სტუმრების სახეობის მიხედვით.

თემატური კონცეფციის მიხედვით, გადაცემები სტუმრებზე ან თემებზე ორიენტირებულ ფორმებად იყოფა. ათემატური გადაცემები ტოქშოუს კლასიკური ფორმაა. საქმე ეხება არა საგნობრივ, არამედ პიროვნებათა შორის საუბარს. ეს არ ნიშნავს, რომ გადაცემის მიმდინარეობისას არაა თემა, არამედ უფრო მეტად იმას, რომ საუბრის თემა სტუმრიდან სტუმრამდე იცვლება. **მონოთემატურად** ითვლება ისეთი ტოქშოუ, სადაც ერთ თემას ან თემათა კომპლექსს ასახელებენ. სტუმრები არიან მოწვეული, რადგანაც მათ ექსპერტის სტატუსის ან საკუთარი გამოცდილების საფუძველზე თემასთან დაკავშირებით რაღაცის თქმა შეუძლიათ ან სურთ. **პოლითემატურ** გადაცემაში რამდენიმე თემაა. თემის შეცვლა წამყვანის გამოცხადებით და სტუმრების შეცვლითაც უნდა გახდეს ნათელი. თემიდან გადახვევა არ ითვლება პოლითემატურად (ფლავი 1997: 52-56). ემპირიულ მასალაში მხოლოდ გვიანი ღამის შოუებია ათემატური გადაცემები, დანარჩენი ექვსი კი - მონოთემატური.

თემა შეიძლება იყოს აქტუალური და მარადიული. აქტუალური თემა მოიცავს უმეტესად პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან საერთო საზოგადოებრივ ასპექტებს. ის ორიენტაციას აკეთებს მედიალურ მოვლენებზეც. მარადიულ თემებს უმეტესად ნაშუადღევის ყოველდღიური ტოქშოუები განიხილავს.

სტუმრად მოიაზრება ყველა ის პიროვნება, რომელიც ტოქშოუს საუბარში მონაწილეობს და წამყვანისაგან სახელით იქნება წარდგენილი. ესენია **მთავარი, არამთავარი და აქციის სტუმრები**. მთავარ სტუმრად მოდერატორის თანამოსაუბრეები მიიჩნევა, რომლებიც მთელი გადაცემის მანძილზე „სცენაზე“ არიან ან გადაცემის მსვლელობისას მათ აცხადებს წამყვანი და „სცენაზე“ გამოდიან. **არამთავარი** სტუმრები უმეტესად სტუდიის მაყურებლების წინა რიგებში სხედან და მათ მოდერატორი სახელით, ფუნქციით ან თვისებებით იცნობს. მათ მხოლოდ მოკლედ გაესაუბრებიან, რათა საუბარს ახალი მიმართულება მისცენ. ეს პიროვნებები უმეტესწილად განსაკუთრებულ ურთიერთობაში არიან მთავარ სტუმრებთან. ისინი შეიძლება ნათესავები ან მეგობრები იყვნენ, რომლებიც საკუთარ თვალთახედვას

მოკლედ წარმოაჩინენ. ძალზედ პოპულარულია არამთავარ სტუმრებად ექსპერტების მოწვევა. აქციის სტუმრებად აღიქმება ის თანამოსაუბრეები, რომლებიც უმთავრესად მუსიკალურ, კაბარეტისტულ ან სხვა წარმოდგენას მართავენ. თუ რამეს იტყვიან, ძალზედ მოკლედ და არ სხედან ტოქშოუს სტუმრების წრეში. თუკი მათი საუბარი დიდ ხანს გაგრძელდა, ისინი მთავარ სტუმრებად ითვლებიან (ibid: 57-61).

რაც შეეხება რაოდენობას, „პარალელ შმიდტში“ ერთი სტუმარია მოწვეული. ყველაზე მეტი სტუმარი გერმანული ტოქშოუებიდან „ოლივერ გაისენის შოუში“ დაფიქსირდა - 8, ხოლო ქართულებიდან „პროფილში“ - 15.

ამ კლასიფიკაციების ანალიზის საფუძველზე უპირატესობას ვანიჭებ ტოქშოუს ტიპების თემატურ დაყოფას, რომელიც პარაგრაფში 1.1 წარმოვადგინე (ლარინა 2004; აიმერენი, გერჰარდი 1998: 602).

1.4. ტოქშოუს განვითარების ისტორია

1.4.1. ტოქშოუ ამერიკაში

ტოქშოუ ამერიკაში რადიო ტოქშოუებიდან წარმოიშვა, რომლებშიც ცნობად სახეებთან თავისუფლად და სკრიპტების გარეშე საუბრობდნენ (ლიოფლერი 2002: 2323). ამ ჟანრის განვითარება და გავრცელება ტელევიზიის როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალების დამკვიდრებასთან ერთად მიმდინარეობდა. სამივე ნაციონალურ არხზე: ენ-ბი-სი (NBC), სი-ბი-ესი (CBS) და ეი-ბი-სი (ABC) მცირე ხარჯებისა და ეფექტურობის გამო ტოქშოუ დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მკვლევარები ამერიკული ტოქშოუს განვითარების 4 ფაზას გამოყოფენ (შტაინბრეხერი, ვაისკე 1992; შაიდტი 2000; კრუმბახ-ჰალბახი 2004). პირველი ფაზა მოიცავს პერიოდს 50-იანი წლების დასაწყისიდან 60-იანი წლების პირველ ნახევრამდე. ჟანრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, როგორცაა: პერიოდული გადაცემა, წამყვანისა და სტუმრის ცენტრალური ფიგურები, მედიალურად ინსცენირებული, მეგობრული საუბარი, ამ დროს ჩამოყალიბდა.

სილვესტერ, იგივე პეტ ვივერმა “Broadway Open House” -ით 1950 წლის 29 მაისს პირველი ამერიკული სატელევიზიო ტოქშოუ შექმნა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ჯერი ლესტერი იყო. 1952 წელს სტარტი აიღო ადრეული შუადღის გადაცემამ “Today”, რომელიც ტოქშოუს უამრავ ელემენტს შეიცავდა. 1954 წელს მას ნაშუადღევის პროგრამაში “The Home Show” მოჰყვა (ფოლტინი 1990: 477-486).

1954 წელს ვივერმა სტივ ალენი მიიწვია გადაცემაში “Tonight!”, რომელშიც მან დამის ტოქშოუსათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი შეიტანა: მაგალითად, მასპინძლის მიერ სოლო-გახსნის წრე, მოძრაობა სცენაზე და პუბლიკაში, მსუბუქი საუბარი ორკესტრის ხელმძღვანელთან (შტაინბრეხერი, ვაისკე 1992: 112).

1957-1962 წლებში ჯეკ პარის მიჰყავდა ენ-ბი-სი-ში “The Tonight Show”. 1962 წლის 2 ოქტომბერს ჯონ ქარსონმა შეცვალა ის და 30 წელი ყოველ სამუშაო დღეს 90 წუთის განმავლობაში პირდაპირ ეთერში ხელმძღვანელობდა შოუს. ქარსონის დისტანციურ-ირონიული სტილი პარის გაუთვალისწინებელი ემოციურობის კონტრასტი იყო. გადაცემაში უმეტესწილად შოუბიზნესის წარმომადგენლებს იწვევდნენ. ქარსონის წარმატებამ წამყვანის მნიშვნელობა ნათელი გახადა (როუზი 1985: 333; შტაინბრეხერი, ვაისკე 1992: 115).

ქარსონის უმთავრესი კონკურენტები იყვნენ მერვ გრიფინი, რომელიც უფრო მეტად კითხვებით გამოირჩეოდა, ვიდრე ხუმრობებით (ფოლტინი 1990: 478) და დიკ კავეტი, რომელსაც ამ სამიდან ყველაზე მეტად ინტელექტუალური ტოქშოუ მიჰყავდა. დიდი კონკურენციის მიუხედავად ამერიკული ტოქშოუს პირველ პერიოდში ტოქშოუს მეფედ ჯონი ქარსონი დარჩა.

მეორე ფაზა მოიცავს 60-იანი წლების მეორე ნახევარს 1972 წლამდე. ეს ეპოქა პრეზიდენტ კენედით და საზოგადოების ახალი მოძრაობით იწყება, რომელიც გაბატონებული ფენის, კონვენციონალური საზოგადოების წინააღმდეგ იყო მიმართული. ნაკლებად ცნობილ ადამიანებს სტუმრად სულ უფრო მეტად იწვევდნენ. გადაცემებში პირადი და პოლიტიკური პრობლემების თემატიზირება ხდებოდა. გრძნობებსა და სექსუალობაზე დაუფარავად საუბრობდნენ.

წამყვანები დიკ კავეტი და ფილ დონაჰიუ ამ პერიოდის ტოქშოუს სახეებია. კავეტმა უარი თქვა ეფექტებისადმი სწრაფვაზე და უპირატესობა სიტყვათა ირონიულ

თამაშს მიანიჭა (შტაინბრეხერი, ვაისკე 1992: 124). დონაჰიუ დღის საათებში განიხილავდა საზოგადოებრივ თემებს, განსაკუთრებით სექსუალური სფეროდან, მანამდე წარმოდგენილი თავისუფლებით. მან ტრადიციული ტოქშოუს კონვენციები დაამსხვრია: სტუმრები ხშირად სცენაზე იხდნენ, თავად კი მიკროფონით მაცურებელთა რიგებში მოძრაობდა. ტელემაცურებლებს შეეძლოთ ტელეფონით უშუალოდ ჩართულიყვნენ დისკუსიაში და ამასთანავე ანონიმურობას ინარჩუნებდნენ. ასე შეიქმნა დონაჰიუს სტილი, რომელსაც ბასრი, მკვახე, გაბედული, კატეგორიული შეკითხვები და სწრაფი იუმორი ახასიათებდა (როუზი 1985: 338). ეს კლასიკური ყოველდღიური ტოქშოუს დასაწყისი იყო.

მესამე ფაზა - 1972 წლიდან ოთხმოციანი წლების დასაწყისამდე - ტოქშოუს კრიზისის პერიოდია. უამრავი გადაცემა გაქრა ტელეეკრანიდან, განსაკუთრებით საქმეზე (sachbezogene) ორიენტირებულნი. გადარჩნენ ისინი, რომლებიც გართობაზე აკეთებდნენ აქცენტს და ძალზედ პოპულარული იყვნენ: მაგალითად, “ფილ დონაჰიუს შოუ”, ლენოუსა და ლეთერმანის შოუები (შაიდტი 2000: 45).

80-იან წლებში ტოქშოუს მეოთხე ფაზა იწყება, რომელიც ჟანრის შემდგომი დიფერენციაციითა და დიდი ბუმით გამოირჩევა. “ფილ დონაჰიუს შოუს” მიზანმიმართულ უამრავი დღის ე.წ. აღმსარებლობითი (Confessional) ტოქშოუ წარმოიშვა: მაგალითად, “ჯერალდო რივერა”, “ოპრა ვინფრეის შოუ” და სხვები. ამ გადაცემებში უფრო ტაბუირებულ თემებს განიხილავდნენ. 80-იანი წლების შუაგულიდან ტელევიზიის მესვეურებმა კონფრონტაციული (Confrontational) ტოქშოუ აღმოაჩინეს. ამ ჟანრის ექსტრემალური წარმომადგენელი იყო “Morton Downey Jr. Show”, რომელიც პირველად 1987 წელს გავიდა. გადაცემა ორიენტირებული იყო კონფლიქტებზე, რასაც შეკვეთილი პროვოკატორები და ემოციურად დამუხტული სტუდიის პუბლიკაც იწვევდა (ფოლტინი 1990: 484). 1991 წლიდან დღემდე სპრინგერი თავის შოუში ამავე კონცეპტის ერთგული დარჩა. სტუმრები ყვირიან, ერთმანეთს ცემენ, ტანსაცმელს ახევენ და თმებზე ეტანებიან. აქ ორგანიზებული გართობა და სისასტიკე ერთადაა წარმოდგენილი.

ჩემი აზრით, მეოთხე ფაზა დასრულდა „ოპრა ვინფრეის შოუს“ ბოლო გადაცემით 2011 წლის 25 მაისს. 1986 წლის 8 სექტემბრიდან ის დაახლოებით

მეოთხედი საუკუნე გადიოდა ეთერში და წამყვანმა ნამდვილად დაიმსახურა ტოქშოუს დედოფლის სახელი.

მეხუთე ფაზის დასაწყისი კვლავ ლეგენდად ქცეულ ქალბატონს უკავშირდება, რომელმაც ამერიკაში საკუთარი სატელევიზიო არხიც კი შექმნა OWN, სადაც ტოქშოუებს, სამზარეულო გადაცემებსა და რეალითი შოუებს გადასცემენ. 2011 წლის 1 იანვარს გავიდა მისი ახალი გადაცემა “Oprah's Next Chapter”, სადაც ის ცნობილი ადამიანების საზოგადოებისათვის უცნობ დეტალებს ამზეურებს.

1.4.2. ტოქშოუ გერმანიაში

ამერიკისგან განსხვავებით გერმანიაში პირველ სატელევიზიო ტოქშოუზე მუშაობა ორი ათწლეულის შემდეგ დაიწყო. ქვემოთ წარმოვადგენ ტოქშოუს განვითარების ფაზებს (შტაინბრეხერი, ვაისკე 1992; შაიდტი 2000; კრუმბახ-ჰალბახი 2004).

პირველი ფაზა გერმანიაში ტოქშოუს ‘წინამორბედებით’ დაიწყო - “Internationaler Frühschoppen” და “Rhein-Ruhr-Clübchen” ვე-დე-ერ-ზე (WDR), რომლებიც ვერნერ ჰოფერს მიყავდა. ამ გადაცემებში უმეტესწილად ცნობილ პიროვნებებთან აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე მიდიოდა დისკუსია (ფოლტინი 1994: 75).

გერმანიაში აშშ-ს მედიების განვითარების მთავარი ტენდენციები პირველად 60-იან წლებში მკვიდრდება. გადაცემის კონცეპტები უფრო თავისუფალი ხდება. ტენდენცია უფრო მეტი ინდივიდუალიზმისაკენ, პირველ ყოვლისა, ტელევიზიაში ხდება შესამჩნევი.

მეორე ფაზის დასაწყისად გადაცემა “Je später der Abend” ითვლება, რომელიც პირველად მთელი გერმანიისათვის 1973 წელს ახალი წლის ღამეს გავიდა. მისი პროტოტიპი იყო “დიკ კავეტის შოუ”. შონჰერი აღნიშნავდა, რომ ზუსტად თავადაც

არ იცოდა, რა არის ტოქშოუ. გადაცემა პუბლიკის წინ სამ პიროვნებასთან ცალკეული საუბრისაგან შედგებოდა და ორ კვირაში ერთხელ აჩვენებდნენ.

რადიო ბრემენის ტოქშოუს, რომელიც პირველად 1974 წლის 9 ნოემბერს მესამე პროგრამაში გავიდა, ახალი კონცეპტი ჰქონდა. უარი თქვეს ამერიკულ ნიმუშებზე. გადაცემაში სამი წამყვანი იყო, რომლებიც ერთდროულად სტუდიის სხვადასხვა ადგილებში საუბრობდნენ. შოუს მიმდინარეობა მუდამ დაუგეგმავი და სტუმრებთანაც ნაკლებად შეთანხმებული ჩანდა, რაც გადაცემას სპონტანურ ხასიათს აძლევდა. არაცნობადი ადამიანების პრეზენტაციას კარგი ისტორიებით ახდენდნენ.

1976 წელს გადის ეთერში ტოქშოუ “Kölner Treff” წამყვანებით ალფრედ ბიოლეკი და დითერ თომა, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენის არაცნობად სტუმრებსაც იწვევდნენ.

გერმანიაში ტოქშოუს ე.წ. სტაგნაციის პერიოდში, 1979-1985 წლებში, მესამე ფაზაში ენ-დე-ერ-ზე “Talk nach neun” წარმოიშვა, შემდეგში “NDR-Talkshow”. აქ წინა პლანზე პოლიტიკური და კულტურული თემებია. გადაცემა მოსაწყენად ითვლებოდა და ჩართვის კვოტებმა მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს მოიმატეს.

ა-ერ-დე-მ ტოქშოუთი “Heut’ abend” (1983) საუბრის გადაცემის ახალი ფორმა განავითარა. წამყვან იოაჰიმ ფუქსბერგერის პირისპირ ყოველ გადაცემაში მხოლოდ ერთი სტუმარი იჯდა. გადაცემას მუდამ იწერდნენ და 1990 წლამდე გაძლო.

მეოთხე ფაზაში, რომელიც მხოლოდ მოკლე დროით გრძელდება, დაპირისპირებითი ტოქშოუ შემოდის ერ-ტე-ელ-ზე: მაგალითად, “Dall-As” (1985) ან “Explosiv – der heiße Stuhl” (1989). თუმცა ამ ტიპის გადაცემებმა, რომლებიც კონფრონტაციაზე იყვნენ ორიენტირებული, ფეხი ვერ მოიკიდეს.

მეხუთე ფაზა ტოქშოუს დიფერენციაციითა და ექსპანსიით გამოირჩევა. 1990 წლიდან გერმანიაში ყოველდღიური ტოქშოუ მკვიდრდება, რომელშიც, ძირითადად, ‘ჩვეულებრივი’ ადამიანები გამოდიოდნენ. ა-ერ-დე-ზე გაკეთდა გადაცემა “Talk täglich-Termin in Berlin”. კერძო მაუწყებლებმა ეს კონცეპტი აიტაცეს, თუმცა უპირატესობა ნაშუადღევის პროგრამას მიანიჭეს. აღსანიშნავია შემდეგი

გადაცემები: ერ-ტე-ელ-ზე “ჰანს მაიზერი”, “ილონა კრისტენი”, “Nachmittalk”, “ოლივერ გაისენის შოუ”, პრო 7-ზე “არაბელა”, “Nicole - Entscheidung am Nachmittag”, “TalkTalkTalk”, სატ 1-ზე “ჰერმანი”, “კერნერი”, “Vera am Mittag”, “სონია”, “რიკი”, “პეტერ იმჰოფი”, “Britt - Der Talk um eins”, ა-ერ-დე-ზე “Fliege”.

პირველი გვიანი ღამის შოუ (Late-Night-Show) “გოთშალკი” ერ-ტე-ელ-ზე 1992 წელს გავიდა. 1995 წლიდან ამ ჟანრის ტიტანი ჰარალდ შმიდტი დღემდე ართობს ტელემაცურებლებს.

“ოლივერ გაისენის შოუს” დასრულებით 2009 წლის 28 აგვისტოს ტოქშოუს მეხუთე ფაზა დასრულდა და ერ-ტე-ელ-ზე არც ერთი დღის ტოქშოუ აღარ დარჩა. ბრიტ ჰაგედორნი “Britt - Der Talk um eins” სატ 1-ზე ამ ჟანრის „უკანასკნელი მოჰიკანია“. ეს გადაცემა ნაშუადღევის ბოლო ტოქშოუაა ტელევიზიაში, რომლის ათამდე ფორმატი მხოლოდ ერ-ტე-ელ-ზე გადიოდა 90-იან წლებში და 2000 წლის დასაწყისში. 1994 წელს 173 წუთით ერ-ტე-ელ-ი იყო მაუწყებელი, რომელიც ტოქშოუს ყველაზე ხანგრძლივად გადაცემდა (ფლაი 1997: 43). 1996 წლის მაისში ლოფლერმა გერმანულ, შვეიცარიულ და ავსტრიულ პროგრამებში 75 სხვადასხვა ტოქშოუ დაითვალა (ლიოფლერი 2002: 2323-2324).

მეექვსე ფაზაში ერთადერთი ნაშუადღევის ტოქშოუაა, თუმცა საღამოს ტოქშოუები კვლავინდებურად დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

1.4.3. ტოქშოუ საქართველოში

საქართველოშიც სულ უფრო მზარდი ინტერესია ამ ჟანრისადმი. ტელესივრცეში თანდათან ახალი გადაცემები შემოდის და ადამიანთა გულებს იპყრობს. საუბრის თემას თრილერში ისე „გემრიელად“ წარმოადგენენ, რომ მაყურებელი მოუთმენლად ელის საყვარელი ტოქშოუს შემდეგ გადაცემას. ჩემი აზრით, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე ტოქშოუს საქართველოში განვითარების ეტაპები აქვს გასავლელი.

1998 წელს პოლიტიკური ინტერაქტიული ტოქშოუ „ღამის კურიერით“ იწყება საქართველოში პირველი ფაზა, რომელიც ამ ჟანრის ფორმირების ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. პირველი წამყვანი ცნობილი ჟურნალისტი გიორგი სანაია იყო, მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ კი ეკა ხოფერია. ასევე აღსანიშნავია საღამოს პოლიტიკური ტოქშოუ „ღამის მზერა“ ინგა გრიგოლიასთან ერთად კერძო ტელეკომპანია მზეზე.

მეორე ფაზა ახალი ფორმატის დამკვიდრებით გამოირჩევა. 2003 წლის 12 სექტემბერს რუსთავი 2-ის ეთერში პირველად გადის „ღამის შოუ დავით გოგიჩაიშვილთან ერთად“, რომელიც საქართველოში ამ ჟანრის დამფუძნებლად შეიძლება მივიჩნიოთ. 2006 წლის სეზონიდან გადაცემის წამყვანია ვანო ჯავახიშვილი და შესაბამისად მისი სახელწოდებაა „ვანოს შოუ“. 2011 წლის 16 სექტემბრიდან ამ იუმორისტულ ტოქშოუს ეწოდება „The ვანოს Show“ და გადის ყოველ პარასკევს, 22:00 საათზე. გადაცემა შედგება შემდეგი რუბრიკებისაგან: იუმორისტული მონოლოგები აქტუალურ თემებზე, უშუალო და იუმორით გაჯერებული საუბარი გადაცემის პოპულარულ სტუმრებთან, მუსიკალური ნომრები და ა.შ.

მესამე ფაზა, რომელიც 2004-დან 2009 წლამდე გრძელდება, ტოქშოუს ბუმის პერიოდია. ამ პერიოდში სამივე ნაციონალურ არხზე შემდეგი პოლიტიკური ტოქშოუები გადიოდა: რუსთავი 2-ზე „თავისუფალი თემა“, „არჩევნები 2004“, „არჩევანი“, „პრაიმტიმი“, „სამკუთხედი“, „უპასუხეთ ხალხს“, „პოზიცია“, იმედზე „რეაქცია“, საზოგადოებრივ მაუწყებელზე „არგუმენტი“, „მსოფლიო დღეს“, „დღის კომენტარი“, „იტალიური ეზო“ („ჩვენი ეზო“), „პირველი თემა“, „აქცენტები“, „პოლიტიკური კვირა“. „პოლიტიკური კვირის“ გაუქმება მესამე ფაზის დასასრულს უკავშირდება. ამ პერიოდის პოლიტიკური ტოქშოუს სახეებია ინგა გრიგოლია, ეკა ხოფერია, ეკა კვესიტაძე და ნათია სორდია.

მრავლადაა წარმოდგენილი ასევე გასართობი ჟანრის ტოქშოუები: რუსთავი 2 - ზე „ნანიკოს შოუ“, „პროფილი“, მაუწყებელზე „კედელი“, „ცხოვრება მშვენიერია“, „ნაცნობი“, „საქართველოს დიდი ათეული“. აქედან მხოლოდ მათა ასათიანისა და ნინო ქაჯაიას გადაცემებმა გაუძლეს დროს. აღსანიშნავია დილის ყოველდღიური

ტოქშოუ „სამოთხის ვაშლები“, რომელშიც 2008 წლის 4 დეკემბრიდან დღემდე ოთხი წამყვანი მოწვეულ სტუმრებთან ერთად მაყურებელს ხალისიან განწყობას უქმნის და სასარგებლო ინფორმაციას აწოდებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ საჭირბოროტო თემებზე. ასევე მიმოიხილავენ მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებს, ცნობილი ადამიანების მოღვაწეობისა და პირადი ცხოვრების დეტალებს. გადაცემის თემატიკაში სჭარბობს ემოციური მოტივები, სპეციფიკურად ქალთა თემები და სხვ.

პირველი სპორტული ინტერაქტიული ტოქშოუ „არენა“, რომლის ავტორი და წამყვანია ლაშა დვალისვილი, 1 არხზე ყოველ ორშაბათს, 2006 წლის 17 აპრილიდან 22.00 საათზე გადის ეთერში. 2008 წლიდან მას შეურთდა იმავე არხზე „გოლი“, ხოლო 2009 წლიდან „საფეხბურთო ღამე“ დიმიტრი ობოლაძესა და არჩილ არველაძესთან ერთად. თუმცა ორივე გადაცემა შემდგომში დაიხურა.

მეოთხე ფაზა გამოირჩევა გასართობი ტოქშოუების სიმრავლით. ძველ ტოქშოუებს ახლებიც დაემატა. „ნანუკა ჟორჯოლიანის შოუში“ არაფორმალური, ბუნებრივი და გულწრფელი საუბრით ხდება მაყურებლის გართობა. წამყვანი არ ცდილობს ტექსტების გაზეპირებას, რადგანაც მიაჩნია, რომ ჟურნალისტსაც შეიძლება შეეშალოს. იმედი და რუსთავი 2 ყოველდღიური ტოქშოუებით „დღის შოუ“ და „შუა დღე“ ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. პოლიტიკური ტოქშოუ მხოლოდ მაუწყებელზე შენარჩუნდა: „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“, „აქცენტები“, „ევროპული არჩევანი“. გამოვეყოფ ასევე ყოველკვირეულ ტოქშოუს „მედიამონიტორი“, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში აკვირდებოდნენ ექვს სატელევიზიო არხს: „იმედი“, „კავკასია“, „მაესტრო“, „რეალ TV“, „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. 2010 წლიდან მაუწყებელზე გადის „აუდიტორია“ ეკა ხოფერიასთან ერთად, სადაც შუქდება მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები. „ღამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად“ წარმატებულად ართობს მაყურებელს იმედაზე. ამავე არხმა 2011 წლიდან პირველი ქართული კონფრონტაციული ტოქშოუ „100°C“ შემოგვთავაზა, რომლის წამყვანია ნოდარ მელაძე. აქ ცხარედ კამათობენ ყველა საინტერესო თემებზე. ისედაც მდუღარე ამბები საზოგადოებრივი აზრის კიდევ უფრო მეტ დუღილს იწვევს.

1.5. ტოქშოუს მნიშვნელობა და რეცეფციის მიზეზები

1984 წლის 1 იანვარს კერძო მაუწყებლობის შემოსვლის შემდეგ გერმანიაში სატელევიზიო გადაცემებმა როგორც რიცხოვრივად, ისე ხარისხობრივად მოიმატა. განსაკუთრებით გართობის სფეროში ემებდნენ ინოვაციურ კონცეპტებს, რათა მაყურებელი ამა თუ იმ მაუწყებელზე მიეზიდათ. საპნის ოპერები, ვიქტორინები, ტოქშოუები და სხვადასხვა რეალითი შოუები უფრო მეტად ორიენტირებულია რეალობასა და ყოველდღიურ თემებზე. ეს ფორმატები მიმართულია ახალგაზრდებზე, რეკლამისთვის საინტერესო პუბლიკაზე.

მედიის კვლევაში სხვადასხვანაირად ხსნიან გასართობი ფორმატების რეცეფციის მიზეზებს. ეს უპირველესად ესკაპიზმის გამოვლინებად მიაჩნიათ. ამით რეციპიენტები ყოველდღიურ მონოტონიას გაურბიან და რისკის გარეშე შედიან მედიების მიერ წარმოდგენილ მომხიბვლელ და საინტერესო, მაგრამ მოჩვენებით სამყაროში.

ამის საპირისპიროდ დემი მიუთითებდა იმაზე, რომ მაყურებელი საინფორმაციო გადაცემებს გასართობად აღიქვამდა და ნამდვილად გასართობ გადაცემებს კი ინფორმაციულად (დემი 1984). სენსორული ფიზიოლოგიის მიხედვით, ეს მაყურებლის სტრატეგიაა, რათა აღზნების ოპტიმალური დონე შეინარჩუნოს და თავს კარგად გრძნობდეს. გარდა ამისა გასართობი გადაცემების რეცეფცია რეციპიენტების სპეციფიკური განწყობით აიხსნება, რომელიც გარკვეული ასპექტების მიწერასა და შეფასებას ეფუძნება („საინტერესოა“, „მათ გადააქვთ ყურადღება ყოველდღიური პრობლემებიდან“, „კარგ განწყობას მიქმნიან“ და ა.შ.) გასართობ გადაცემებს მაშინ ირჩევენ, როცა მათ შეიძლება ეს თვისებები მიეწეროს და ამავდროულად საკუთარი თავისთვის პოზიტიურად ფასდება (გლაიჰი 2001: 524).

ყველა ამ შეხედულებისათვის საერთოა ის, რომ რეციპიენტებისათვის მომხიბვლელობა თავად ფორმატში მდგომარეობს. აქ გასათვალისწინებელია ორიენტაცია, მაყურებლის მიერ იდენტობის წარმოქმნა ან საკუთარი კონცეპტის აგება. სავარაუდოა, რომ მაყურებლები ამავდროულად საკუთარი იდენტობის სტაბილიზაციას ახდენენ. მომხდარის თანაგანცდა ეხმარება მათ ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში. ეს ნიშნავს, რომ გასართობი ფორმატები, ერთი მხრივ,

აღიქმება როგორც გართობა, მეორე მხრივ, როგორც ინფორმაციის მიწოდება, რითაც რეციპიენტები სოციალური ორიენტაციის მოთხოვნებს იკმაყოფილებენ (ibid: 524-525).

მედიების ფუნქციებიდან გამომდინარე, ტოქშოუ შემდეგ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს:

- **სოციალური ორიენტაციის ფუნქცია/ინფორმაციის ფუნქცია.** მედია მომხმარებელს უამრავი ინფორმაციით ამარაგებს და ამავდროულად ეხმარება, გაერკვეს კომპლექსურ გარესამყაროში.
- **რეკრეაციის ფუნქცია.** იგი აკმაყოფილებს რეციპიენტების მოთხოვნილებას განტვირთვისა და შემსუბუქებისადმი. ტელევიზიით შესაძლებელია ყოველდღიურ ცხოვრებას გაექცე და ოცნებების სამყარო, რომელიც საკუთარი განცდის სფეროს გარეთაა, გაიცნო.
- **ინტეგრაციის ფუნქცია.** ტელევიზია ამყარებს კონტაქტებს გარეშე სამყაროსთან, ავსებს ინფორმაციის დეფიციტს, აქარწყლებს ეჭვებს უცნობ და ცვალებად სამყაროში.
- **ინტერაქციული ფუნქცია.** სტიმულებისა და ახალი შინაარსების გადაცემა, რასაც წვლილი შეაქვს სოციალური კონტაქტების დამყარებასა და საუბრის წარმართვაში (აიმერენი, გერჰარდი 1998: 603).

ტოქშოუ სატელევიზიო ლანდშაფტში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საკამათო ჟანრია. არაა საკამათო, რომ ის მაყურებელთა მაგნიტია და ყოველი მაუწყებლის პროგრამაში მყარი ადგილი უჭირავს. ლოფლერის მიხედვით, ამის ძირითადი მიზეზი პროდუქციის დაბალი ხარჯებია. თუმცა მხოლოდ ამით არ აიხსნება ამ სატელევიზიო ფორმატის პოპულარობა (ლიოფლერი 2002: 2321).

ნაშუადღევის ტოქშოუ ე.წ. „აფექტურ ტელევიზიას“ განეკუთვნება. ბენტესა და ფრომის მიხედვით, აფექტურ სატელევიზიო ფორმატებს რეალობის ასახვისა და მისი ინსცენირების პრეტენზია აქვს. აქ ხშირად ძალზედ ინტიმურ თემებს განიხილავენ, რაც პირდაპირი ეთერის შთაბეჭდილებას ქმნის. ხდება პერსონალიზაცია და ემოციონალიზაცია (ბენტე, ფრომი 1997: 319).

ისმის კითხვა: რით ხიბლავს ტოქშოუ მაყურებელს? ბრიტანელ მკვლევართა აზრით, მაყურებლები ტოქშოუს მისი აღქმული - ან უფრო მეტად მიწერილი-„ავთენტიკურობით“ აფასებენ. აქ 'ჩვეულებრივი' ადამიანები და არა ექსპერტები საუბრობენ იმ ყოველდღიური კონკრეტული თემების ან პრობლემების შესახებ, რომლებიც მათაც აღელვებთ. რეციპიენტებს მოსწონთ ისიც, რომ შეუძლიათ დისკუსიაში ჩაერთონ და საკუთარი აზრი ტელევიზიაში გამოთქმულს შეადარონ. ამ გადაცემებში მათ საზრუნავსა და გაჭირვებას ახმოვანებენ. კიოლნის უნივერსიტეტში 14-დან 65 წლის ასაკში 500-ზე მეტი პიროვნების გამოკითხვამაც ყოველდღიური ტოქშოუს გამოყენების მსგავსი მოტივები დაადგინა: სოციალური შედარების მოთხოვნილება და პრობლემების დამლევა ტელევიზიის საშუალებით. რაც უფრო ჩამოყალიბებულია მოტივი, მით უფრო პოზიტიურად ფასდება გადაცემები. თემებისა და პიროვნებების ნორმალურობა ხელს უწყობს შედარების პროცესებს, რაც როგორც ტოქშოუში გამოსულ პირთან იდენტიფიკაციაში, ისე დაშორებაში გამოიხატება (ibid: 527).

ამასთანავე ტოქშოუს მაყურებლებს სურთ, რომ ემოციურად იყვნენ ჩართულები. მოდერატორებისა და სხვა მონაწილეების მიმართ ემოციური კავშირები ამის საშუალებას იძლევა. საყვარელი წამყვანის მიმართ პარასოციალური ურთიერთობები ყალიბდება. მას აღიქვამენ ჩვეულებრივ ადამიანად, რომელსაც სიამოვნებით გაიცნობდნენ და გაესაუბრებოდნენ (ლივინგსტონი et. al. 1994: 355-380).

მაყურებელთა წარმოდგენებისა და მოლოდინის მიხედვით, ტოქშოუს რეცეფციის სამი სახე გამოიყოფა: 1) ტოქშოუს გულუბრყვილოდ ან რეფლექსიით აღქმა. პირველ შემთხვევაში ინსცენირება ჭეშმარიტად და არგუმენტები დამაჯერებლად მიიჩნევა, მეორეში კი - რეციპიენტი ფიქრდება ინსცენირებაზე, დრამატურგიაზე, მონაწილეების მოტივებზე. 2) გადაცემაში ჩართულობა ან მისდამი დისტანციური დამოკიდებულება: თემა ახლობელია, პიროვნება მიმზიდველი, მაყურებელს მისი პრობლემები გულთან მიაქვს ან ამ ყველაფერთან დისტანციური დამოკიდებულება აქვს. 3) გართობა ან სპეციფიკურ საკითხებში ორიენტაცია.

კროცმა რეციპიენტთა შემდეგი ტიპები გამოავლინა: **ტოქშოუს ნამდვილი ფანები** (13%), **ორიენტაციის მაძიებლები**, რომლებიც ცდილობენ გადაცემაში

საკუთარი ყოველდღიურობისათვის და პრობლემების გადასაჭრელად დახმარება მიიღონ (16%), **სკეპტიკოსები**, რომლებიც ტოქშოუს გასართობ ხასიათს უარყოფენ და მას მხოლოდ იმისთვის უყურებენ, რომ შემდეგ სხვებთან ამაზე ისაუბრონ (12%), **სტუმრები**, რომლებიც შედარებით იშვიათად უყურებენ ტოქშოუს და ორიენტაციის ფუნქციას მხოლოდ სხვებისთვის ადასტურებენ (13%) და **კრიტიკოსები**, რომლებსაც რეცეფცია შესაძლებლად მიაჩნიათ, მაგრამ თავად ტოქშოუს მცირე დოზით უყურებენ (კროცი 2003: 14-23).

მედიის კლასიკური ფუნქციიდან გამომდინარე, აიმერენი და გერჰარდი ხაზს უსვამენ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც ტოქშოუ აკმაყოფილებს. ესაა ორიენტაცია, ინფორმაცია, განტვირთვა, ინტეგრაცია და ინტერაქცია (აიმერენი, გერჰარდი 1998: 603).

ბენტე და ფრომი 8 მოტივს ასახელებენ: „ტელევიარსკვლავი“, „პაციენტი“, „კონტაქტის დამყარებელი“, „იდეოლოგი“, „პროპაგანდისტი“, „ადვოკატი საკუთარ საქმეში“, „არაოფიციალური სტუმარი“ (ბენტე, ფრომი 1997: 138-142).

კვლევებმა აჩვენეს, რომ ტოქშოუს გააჩნია კულტივირების ეფექტი იმ ადამიანებში, რომლებიც ხშირად უყურებენ ამ ტიპის გადაცემებს. ეს ეფექტი სოციალური რეალობის აღქმას უკავშირდება. ერთ ექსპერიმენტში 14-16 წლის 165 ახალგაზრდას 5 დღის განმავლობაში აყურებინებდნენ ტოქშოუებს ტელევიზიაში. ერთი ჯგუფი უყურებდა გადაცემებს, რომლებშიც პოზიტიურად განიხილავდნენ ისეთ თემებს, როგორცაა პირსინგი და ა.შ. მეორე ჯგუფი დაკავებული იყო იმ თემებით, როგორცაა, მაგალითად, სილამაზე, მოდა, რომლებიც წარმოდგენილი იყო ნეიტრალურად და გადაცემაში არ ხდებოდა შეფასება. აღმოჩნდა, რომ პირველი ექსპერიმენტალური ჯგუფის წევრები იმ აზრის იყვნენ, რომ პირსინგის მატარებლები უფრო მეტია, ვიდრე ეს რეალობას შეესაბამებოდა. მეორე ჯგუფის საპირისპიროდ მათ ამ პიროვნებებისადმი ნაკლებად შეზღუდული წარმოდგენები ჰქონდათ. თუმცა კულტივირების ეს ეფექტი მხოლოდ წარმოდგენილ თემებთან მიმართებაში გამოიყვანდა. ტრანსფერის ეფექტი ანუ სხვა თემებისადმი ნაკლებად შეზღუდული დამოკიდებულება არ დაფიქსირებულა (რიოსლერი, ბროსიუსი 2001: 143-163).

ახალგაზრდებში ტოქსოუს მოხმარებასა და რეალობის შეცვლილ აღქმასთან დაკავშირებით მსგავსი სურათი გამოვლინდა ამერიკაში ჩატარებულ კვლევაშიც. იქ გამოიკვლიეს 300 სტუდენტის დამოკიდებულება სოციალურ თემებთან, რომლებსაც ხშირად განიხილავდნენ ტოქსოუმი (მაღაღობა სკოლებში, თინეიჯერების ორსულობა და ა.შ.). აქაც გამოჩნდა ამ თემების გადამეტებული შეფასება, ვიდრე ეს რეალურად სტატისტიკური მონაცემებით დადასტურდა: მაგალითად, საცდელ პირებს ეგონათ, რომ თინეიჯერების $\frac{1}{4}$ ყოველდღიურად შეიარაღებული დადის სკოლაში, რეალურად ეს მაჩვენებელი 1%-ს ქვემოთაა. განსაკუთრებით იმ პირებთან ჭარბობდა ეს შეფასება, ვინც მეტად უყურებდა ტოქსოუს. რაც შეეხება სხვადასხვა ქცევების სოციალურ აღიარებას, არავითარი განსხვავება არაა იმათ შორის, ვინც მეტად ან ნაკლებად უყურებს ტოქსოუს. ეს ნიშნავს: ტოქსოუ არ ახდენს დესტაბილიზაციას ახალგაზრდების ფსიქიკაზე. თუმცა მაყურებლები იყენებენ წარმოდგენილ მაგალითებს იმისათვის, რათა ჩამოაყალიბონ აზრი სოციალური სამყაროს შესახებ (დავისი, მარესი 1998: 69-86).

ტოქსოუს მიზანია ფართო მასების მიზიდვა სატელევიზიო საუბრებისკენ, რათა ერთობლივად გადაწყვიტონ და განსაჯონ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები. ტოქსოუ შემდეგ ფუნქციებს ემსახურება:

ა) გართობა და აღზრდა. მიზანი - შეივსოს რეციპიენტის თავისუფალი დრო, გათავისუფლდეს დაძაბულობისგან, სტრესისა და სხვა სირთულეებისაგან; აძლევს საშუალებას მაყურებელს კომუნიკაციისაგან კმაყოფილება მიიღოს და ამავდროულად ხელი შეუწყოს მის ინდივიდუალურ განვითარებასა და კულტურის გამდიდრებას;

ბ) პიროვნების სოციალიზაცია. მიზანი - ხელი შეუწყოს სოციალიზაციის პროცესს, რაც იწვევს საზოგადოების გამთლიანებას, უზრუნველყოფს ნორმას, ღირებულებებს, აცნობს კოლექტიურ გამოცდილებას, აძლევს შესაძლებლობას მაყურებელს გააკეთოს შეგნებული არჩევანი - მისდიოს საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან არა;

გ) სოციალური ცვლილებების ინიცირება. მიზანი - საზოგადოების ყურადღების მიპყრობა პრობლემებისაკენ, რომელიც შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი მომავალში,

როგორც ადრეული გაფრთხილების სისტემა სოციალური არეულობების თავიდან ასაცილებლად (ლარინა 2004: 111).

ყოველდღიური ტოქშოუებისადმი დამოკიდებულება ძალზედ არაერთგვაროვანია. ზოგს ნაშუადღევს ტოქშოუ განსხვავებული ქცევის საჩვენებელ ადგილად მიაჩნია, რომელიც მაყურებელთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ბევრი მასში კარგი გემოვნების დეფიციტს, კანდიდატის ინტიმურობისა და პირადი სფეროს დარღვევას ხედავს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ტოქშოუები მედიის დემოკრატიზაციის ნაბიჯად მიიჩნევა, რადგანაც ე.წ. „პატარა კაცსაც ქუჩაში“ აქვს საზოგადოებრივი ფორუმი, სადაც მას საკუთარი აზრებისა და პრობლემების გამოხატვა შეუძლია. ზოგიერთი მკვლევარი დადებითად აფასებს იმას, რომ ტოქშოუში ყველა თემას განიხილავენ. საზოგადოებაში არსებულ ტაბუდადებულ თემებზე საუბრით შეუძლიათ უმცირესობებს საზოგადოებრივ კომუნიკაციაში მონაწილეობის მიღება. პოზიტიურ ასპექტებს განეკუთვნება აგრეთვე მაყურებლისათვის რჩევის მიცემა და თერაპევტული ზეგავლენა (ა-ერ-დე-ს კვლევითი სამსახური 1998: 625).

გერმანულ ტოქშოუში ქცევის კოდექსის გადაკითხვისას ყოველგვარი ეჭვი ქრება. ის არეგულირებს მონაწილეთა მოქმედებას და იცავს მაყურებელს ექსცესებისაგან: რედაქციამ უნდა მოიწვიოს არაერთგვაროვანი თემის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რათა მაყურებლებმა სხვადასხვა აზრებისა და ღირებულებების ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე საკუთარი სურათ-ხატი შეიქმნან. პლურალიზმით არავითარ შემთხვევაში ხელს არ უწყობენ ნებისმიერ აზრს. ექსტრემალური შეხედულებების წარმომადგენლებს არ უნდა მიეცეთ საკუთარი თავის შეუპასუხებლად წარმოჩენის შესაძლებლობა. ტოქშოუს სტუმრების არჩევას თემა განაპირობებს. პრობლემატიკა სტუდიის სტუმრების ასაკს უნდა შეესაბამებოდეს. ბავშვებს და ახალგაზრდებს უფლება არა აქვთ, უფროსების ნებართვის გარეშე გამოვიდნენ გადაცემაში. ძალზედ ფაქიზად უნდა მოხდეს ისეთი თემების განხილვა, როგორცაა, მაგალითად, სექსუალობა, ძალადობა, უმცირესობებთან ურთიერთობა. კონფლიქტის წარმოჩენისას უნდა იყოს ნაჩვენები მისი გადაჭრის გზებიც, რათა ახალგაზრდებში პესიმისტური განწყობა არ ჩამოყალიბდეს. ნეგატიური ასპექტების გვერდით პოზიტიური მხარეც უნდა იყოს

ნაჩვენები. უჩვეულო ამბები არ უნდა წარმოჩინდეს როგორც ნორმალური ან მისაღები. ტოქშოუს სტუმრები ვულგარულ ლექსიკას არ უნდა იყენებდნენ. კრიტიკული პასაჟები რედაქციამ უნდა ამოიღოს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდების ენას. მოდერატორი უძღვება საუბარს, მაგრამ მან არ უნდა მოახდინოს იდენტიფიკაცია საზოგადოებრივი ნორმიდან მეტისმეტად გადახვეულ პოზიციებთან. წამყვანი პასუხისმგებელია წესების დაცვაზე, რაც კამათის საშუალებას იძლევა. ის აბრკოლებს ისეთ ესკალაციას სტუმრებს შორის, რომელიც რომელიმე მოსაუბრის ადამიანურ ღირსებას ან უფლებებს შეურაცხყოფს (მედია პერსპექტივები 1998, 632-634).

არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად ტოქშოუ დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და დემოკრატიზაციის საქმეში. ის დღეს ადამიანის სოციოკულტურული ცხოვრების მოთხოვნილებად იქცა, რომელსაც აქვს ან ძალუმს ჰქონდეს ზემოქმედება ადამიანის მსოფლხედვაზე, აზროვნებაზე, მის ეროვნულ კულტურასა და ენაზე. ამ გზით შესაძლებელია ერის კონცეპტოსფეროში შეღწევა. ტოქშოუს მიზანია ფართო მასების დაინტერესება სატელევიზიო საუბრებით, რათა ერთობლივად გადაწყვიტონ და განსაჯონ მნიშვნელოვანი საკითხები.

1.6. მედიის ენა და ინტიმურობა მედიალურ საუბრებში

მედიის ენა განსაკუთრებული ფენომენია. ენა, რომელიც მასმედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიაში, გამოიყენება, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და საზოგადოებრივ დისკურსზე. ამ მოვლენის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია შეიძლება. ზოგი ფიქრობს, რომ მედია ენას აფუჭებს. ჰოლის მიხედვით, ასეთი დამოკიდებულება არაა „საქმიანი და ფხიზელი“. მსგავსი შეხედულებები მედიისა და კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე იყო გავრცელებული. ენის დაცემის მითოსი იწყება ბაბილონის გოდოლის ენათა აღრევით. პლატონთან ენა დამწერლობის წინააღმდეგაა მიმართული. ის ანგრევს მეხსიერებას, ასუსტებს აზროვნებას და არაჰუმანურია. წიგნის ბეჭდვა შავ მაგიად და

ემბაკის ქმნილებად მიაჩნდათ. მე-18 საუკუნეში კითხვისადმი სწრაფვას აკრიტიკებდნენ. პრესის ენა ნიცმესგან მოყოლებული „გაზეთის ცუდი გერმანულია“. ტელეფონი, კინო, ტელევიზია და კომპიუტერი აფუჭებენ ენას, ზოგადად კულტურას და განსაკუთრებით ენობრივ კულტურას (ჰოლი 1997: 64). ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს სკეპტიკური დამოკიდებულება კომუნიკაციის ახალი ფორმების მიმართ ყოველთვის ფართოდ იყო გავრცელებული. მიუხედავად ამისა არავის შეუძლია გაექცეს ახალი მედიებით მოჯადოებას.

ჰოლის მიხედვით, იმ მოსაზრების უკან, რომ მედიის განვითარება ენის დაცემას გამოიწვევს, იმალება შიში, რომ რაღაც დაიკარგება. ასე გასაგებია ჩივილიც, რომ წიგნის კულტურა ახალ არალიტერატურულ უკულტურობას შეეწირება. მედიის განვითარება პერმანენტული პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა უფრო უმჯობესით იცვლება (მაგალითად, პაპირუსის რგოლები პერგამენტი) და პირდაპირი კომუნიკაციის სივრცობრივ-დროითი შეზღუდვის ნაწილობრივი კომპენსაცია ხდება. ასე წარმოიშვება კომუნიკაციის ფორმების ფართო სპექტრი, რომელიც სხვადასხვა მოთხოვნებს შეესაბამება. რაც ერთი პერსპექტივიდან ნაკლია, მაგალითად, ტელეფონით ვერ დაკავშირება, მეორე პერსპექტივიდან ავტომოპასუხის შემთხვევაში ახალ პრობლემებს ქმნის, კომუნიკაციის დამატებითი ვალდებულება. ვიდეოზარიანი ტელეფონი აკუსტიკურ ტელეფონს ვერ ჩაანაცვლებს, რადგან არავის სურს, რომ სულ უყურებდნენ. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კომუნიკაციის არც ერთი ფორმა არ დაკარგულა და უსაფუძვლოა შიში, რომ ეს მომავალში მოხდება, რადგანაც უძველეს მედიებსაც აქვთ გამოყენება. დღესაც ჭრიან გულებს ხეებში და ქვაზე კვეთენ (ჰოლი 1997: 64).

სატელევიზიო დისკურსს საგაზეთო და რადიომაუწყებლობის ჟანრობრივ სივრცეებთან ერთად მივაკუთვნებ ჟურნალისტურ სტილს. დენშლაგი რადიოსა და ტელევიზიას კომუნიკაციურ მედიებს უწოდებს, სადაც ის ორი სახის გადაცემებს გამოყოფს. პირველისათვის ტიპურია, რომ ენობრივი ფორმები თავდაპირველად წერილობითი სახით შემუშავდება, ამიტომაც ნორმასთან ძალზედ ახლოს დგას (საინფორმაციო გადაცემის ნაწილები, დიქტორების ტექსტები, დოკუმენტაციები და ა.შ.). მეორესათვის კომუნიკაციური სპონტანურობა და ყოველდღიური ენისადმი

სიახლოვეა დამახასიათებელი (საუბრის გადაცემები, შოუები, აზრის გამოკითხვა და ა.შ.). ეს უკანასკნელნი თავისუფალი საუბრისგან განსხვავებით, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იმართება, სხვადასხვა კომპონენტში ინსტიტუციონალური ასიმეტრიული კომუნიკაციის მსგავსია (დენშლაგი 1998: 91). წარმოდგენილი კლასიფიკაცია მართებულად მიმაჩნია. ასევე ვიზიარებ დენშლაგის შეხედულებას, რომ ტოქშოუ მეორე ჯგუფში შედის.

ტოქშოუ საზოგადოების სარკეა, რადგანაც ამ გადაცემებში ჩვეულებრივი ადამიანები გამოდიან. აქვე ისმის კითხვა, როგორაა აქ ენა წარმოდგენილი? ტოქშოუს ენა ბუნებრივია და სიტუაციაზე მიმართული. მონაწილეები შედარებით თავისუფლად მოქმედებენ, რადგანაც სცენარის ტექსტს არ სწავლობენ და შემდეგ არ ყვებიან. ეს ბუნებრიობა კიდევ უფრო ძლიერდება 'მოყვარულის' გამოსვლით (ბურგერი 2005: 163-168; ბურგერი 1996: 41-80). წარმატება ყველა ინტერაქტანტზეა დამოკიდებული. სიტყვაწყლიანობა, ენობრივი შესაძლებლობა და გონებამახვილობა ტოქშოუს მოქმედების აუცილებელი კომპონენტებია. ტოქშოუსთვის ტიპური ენობრივი ნიშნებია ორალობა (Oralität) და ბუნებრიობა (Ungezwungenheit) როგორც კომუნიკაციური შეგრძნების რეფლექსი. აღიქმება არა 'საუბარი', არამედ პრივატულობა, განსაკუთრებულობა, თემების, პიროვნებების ექსტრავაგანტულობა და მათი ზეგავლენა შიგა და გარე პუბლიკაზე (ლიოფლერი 2002: 2329).

ბურგერს მედიალური საუბრის ნამდვილობის ერთ-ერთ ასპექტად სპონტანურობა მიაჩნია. მონაწილეებისათვის ეს ნიშნავს, რომ სპონტანურად ჩამოაყალიბონ აზრი. მათ ყოველი სიტყვა სასწორზე არ უნდა დადონ და დაუსრულებელი, არაკორექტული, მაგრამ გასწორებადი ფორმულირების გამბედაობა აქვთ (ბურგერი 1991: 50).

ჰოლის აზრით, რეციპიენტი უბრალო სპონტანურობასა და ბუნებრივის, ყოველდღიურის დუპლიკატს კი არ მოელის, არამედ გადამუშავებულ და ასე გაუცხოებულ, არა ყოველდღიურ ბუნებრიობას, სულ მცირე შელამაზებულ სპონტანურობას (ibid: 72).

ჰაბერმასს მიაჩნია, რომ საზოგადოება პრივატული ისტორიებითაა დაინტერესებული. აქ აქვეყნებენ როგორც 'პატარა კაცის' შემთხვევით ბედისწერებს

ან მიზანმიმართულად შექმნილი ვარსკვლავების ამბებს. მნიშვნელოვანი მოვლენები და გადაწყვეტილებები პერსონალურ სახეს იღებს (ჰაბერმასი 1991: 262).

ჰიქეთირი ამტკიცებს, რომ საზოგადოება ინტიმურობის ადგილი ხდება, ინტიმურობა საზოგადოებრივი საგანი (ბენტე, ფრომი 1998: 616).

მაიროვიცი (1985) თავის წიგნში “No Sense of Place“ ასაბუთებს, რომ ელექტრონული მედიები პრივატულ ადგილებს საზოგადოებრივს ხდის, არღვევს კულისებს როგორც საზღვარს “უკანა რეგიონსა“ და “წინა რეგიონს“ შორის და ანადგურებს ინფორმაციის რეზერვუარს. ცოდნის მომატებით განსხვავება სცენასა და კულისებს შორის უქმდება.

ტელევიზიას ტოქმოუ ოჯახური ატმოსფეროს შესაქმნელად სჭირდება. ის საზოგადოებრივი კომუნიკაციის წესებით იჭრება პრივატულ სფეროში და ცვლის მას. ამ მექანიზმით საიდუმლოებები გამოაშკარავდება. ეს საზოგადოებრივი და პრივატული სფეროების ერთმანეთში არევას იწვევს.

მაიროვიცის თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ მასმედიებს ადგილის აღქმის ცვლილებამდე მივყავართ. ადგილში ის გულისხმობს ინფორმაციულ სამყაროში შესვლას. ელექტრონულმა მედიებმა ჯგუფებს ან ‘ადგილებს’ შორის მანამდე არსებული საინფორმაციო ბარიერი წაშალა. ინფორმაციებს ვლებულობთ ადგილებიდან, რომლებიც ადრე მიუწვდომელი იყო: საპრობილები, საავადმყოფოები, ცნობილი სახეების საერთო ოთახები და საძინებლები. მამაკაცებს ხელი მიუწვდებათ ქალების სამყაროზე, ბავშვები საუკეთესოდ არიან ინფორმირებული უფროსების ცხოვრებაზე. სპეციალურ ადგილზე რაიმე რომ გავიგოთ, საკმარისია შესაბამისი გადაცემის ყურება. ეს ნიშნავს, რომ მედია ინფორმაციული სამყაროსადმი დამოკიდებულებას ცვლის.

ამ პროცესის სხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევა სენეტი თავის წიგნში „საზოგადოებრივი ცხოვრების დაცემა და დასასრული. ინტიმურობის ტირანია“. დღესდღეობით საზოგადოებრივი სფერო პრივატული კომუნიკაციის წესების ზეგავლენით კვდება. ინტიმურ საზოგადოებაში ყველა საზოგადოებრივი მოვლენის პერსონალიზაცია ხდება (სენეტი 1986: 281).

შტრაუსი უჩივის საჩვენებლად წარმოდგენილ საუბარს, რაც ინტიმური სფეროს გაუქმებას იწვევს. ის ტელეკრატული საზოგადოების რეჟიმს უსისხლო ძალადობრივ მმართველობად მიიჩნევს (ჰეს-ლიუტიხი 1997: 292).

ტოქშოუ ყოველდღიური პრივატული საუბრების ინსცენირების ადგილი გახდა, სადაც ყველაფერზე შეიძლება მსჯელობა. ასე იქმნება შთაბეჭდილება, რომ უჩვეულო არაფერია იმაში, როცა საზოგადოებაში ყველაზე ინტიმურ გრძნობებზე წარმართავენ დისკუსიას. მილიონიანი პუბლიკის წინაშე საკუთარი სუბიექტურობის წარმოჩენა და ღიაობა გამიშვლებამდე და ტაბუს მსხვერვის რიტუალებამდე მიდის. აღიარებითი საუბარი, საკუთარი შინაგანი სამყაროს წარმოჩენა შლის განსხვავებას პრივატულსა და საზოგადოებრივს შორის (მაიერ-ბიუზერი, შვენკი 1997: 21). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტოქშოუს სტუმრები ამ ისტორიებს სხვა საჯარო ადგილებში არ მოყვებიან, რადგანაც შიში აქვთ, რომ ვინმე მოისმენს.

პლაკეს აზრით, პრივატულსა და საზოგადოებრივს შორის განსხვავება არ წაშლილა. ეს ურთიერთობები უფრო მეტად გართულდა. პიროვნება, რომელიც რესტორანში სტუმრებს მეგობარ ქალთან მობილურზე საუბარს ასმენინებს, მეზობელს უკმეხი სიტყვებით მიუჩენს ადგილს, თუკი ცნობისმოყვარე კითხვებს დასვამს. აქედან გამომდინარე, პლაკე პრივატულს სულ სხვანაირად აღიქვამს: რა არის პრივატული, ყველა თავად განსაზღვრავს. პრივატული არაა უბრალოდ ის, რაც შინაურ სფეროს ეკუთვნის, ოჯახს, წყვილის ეროტიულ-სექსუალურ ურთიერთობას. პრივატული არის ის, რაც კონტროლს და ამით სხვების ზეგავლენას არ ექვემდებარება. საუბარში არ ჩარევა, საკუთარი იდენტობის შენარჩუნება, სხვები რომ ვერ ახდენენ ზეგავლენასა და იძულებას, ეს შეადგენს პრივატულის ბირთვს (პლაკე 1999: 70).

ამრიგად, მედიის განვითარება უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა უფრო უმჯობესით იცვლება, თუმცა ახალ მედიასაშუალებებთან ერთად ძველიც არსებობს. ტელევიზია ენის მოქმედებისა და შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს, რომელსაც ყველა სახლში შეღწევა შეუძლია. ტოქშოუს ენა ბუნებრიობითა და კომუნიკაციური სპონტანურობით გამოირჩევა, აქედან გამომდინარე, მასში, როგორც ცოცხალ

ორგანიზმში აირეკლება მუდმივად ცვალებადი ენობრივი მოვლენები. ინტიმურობის განცდა დისტანციის შეგრძნებას აქრობს და ტელერეციპიენტს გადაცემის მონაწილეებისადმი სიახლოვეს აგრძნობინებს, რაც თანაგანცდისა და თანამონაწილეობის ეფექტს ქმნის. ტოქშოუში ყველა თვითონ წყვეტს, რა და როგორ თქვას. როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე აქაც თითოეული ინდივიდი თავად განსაზღვრავს გულახდილობის ხარისხს და სიღრმესაც, რომელშიც მაცურებელი შეჰყავს.

თავი 2. ტოქშოუს შესწავლის თეორიული საფუძვლები და საუბრის ფაზების სტრუქტურული და სტილისტური ანალიზი

2.1. სტილის ცნება

სტილი ძალზედ რთული და ბუნდოვანი კატეგორიაა, რადგანაც საქმე სოციალურ ფაქტს ეხება. სამყარო სტილების ნარევისგან შედგება და ერთმანეთთან ურთიერთობა სტილიზირების გარეშე წარმოუდგენელია (აბრაჰამი 1996: XI). ყოველდღიურობაში სტილი გარკვეული ქცევის ასახსნელად გამოიყენება: ცხოვრების, მოდის, საბრძოლო და სპორტული სტილი; ხელოვნების, არქიტექტურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ის შემოქმედებით თავისებურებას აღნიშნავს: ინდივიდუალური სტილი (მოცარტის საოპერო სტილი, ახალგაზრდა გოეთეს სტილი) ან ეპოქის დახასიათებისათვის (გოთიკის სტილი, იუგენდსტილი). ლინგვოსტილისტიკაში ენის სტილი (Sprachstil) დგას წინა პლანზე. ენობრივი გამონათქვამების ადეკვატური და ეფექტური გაფორმება ადამიანური კომუნიკაციის როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში უხსოვარი დროიდან აინტერესებს ენათმეცნიერებს. ამ პრობლემატიკას ტრადიციულად სტილისტიკა განიხილავს (ფლაიშერი et.al.1993:13).

სტილის ცნების ერთ ჩარჩოში მოთავსება ძალზედ რთულია. ერთი მხრივ, ის ენობრივ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქის, ლიტერატურული მიმდინარეობის, მხატვრული და არამხატვრული ტექსტებისათვის. მეორე მხრივ, სტილი წარმოადგენს ენობრივი წარმონაქმნის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენის ფორმას, ნიშანდობლივ თვისებათა ერთობლიობას.

მკვლევარები სტილის უამრავ სახეობას გამოყოფენ. სტილის მრავალმხრივობას ინდივიდთა და საზოგადოების მრავალფეროვანი ინტერესები განაპირობებს. ყოველ გამონათქვამს აქვს თავისი სტილი. ის გადმოსცემს კომუნიკაციური აქტის მნიშვნელოვანი პარამეტრის მაჩვენებლებს. სტილის საშუალებით ერთი და იგივე მოვლენა ერთსა და იმავე ენაში სხვადასხვანაირად გამოიხატება, რაც ენაში არსებული უამრავი საშუალებით ხდება. რაიმეს თქმისას ყოველთვის არჩევნი კეთდება. მოცემული შინაარსის გადმოცემა სწორედ ასე და არა

სხვაგვარად გამონათქვამის სტილს განსაზღვრავს. შინაარსით იდენტური და სტილით განსხვავებული გამონათქვამები ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობას განაპირობებენ. ეს ასე რომ არ იყოს, მეტყველი სუბიექტისათვის არ ექნებოდა მნიშვნელობა, როგორ იტყოდა და მსმენელისთვის, როგორ ეტყოდნენ. აქედან გამომდინარე, სტილის შინაარსი განეკუთვნება კომუნიკაციურ შინაარსს, მის სოციალურ ასპექტს (ალავიძე 2009: 47-48).

ფლაიშერი სტილის ქვეშ ტექსტის სტრუქტურების ენობრივი გაფორმების სახეობას აღიქვამს, სადაც ფორმულირების დონეა მთავარი (ფლაიშერი et. al. 1993: 15).

სტილი კომუნიკაციის პროცესში ყალიბდება (სიტუაციასთან, პროდუცენტის ინტენციასა და ტექსტის ფუნქციასთან კავშირში) და ტექსტის მთლიანობაში იქმნება. ტექსტში გამოყენებული სტილის ელემენტების ერთობლივი მოქმედება ქმნის სტილს. ერთი მხრივ, სტილი შესაძლოა იქნას აღქმული როგორც ტექსტის ზედაპირის რეალიზება, მეორე მხრივ, ის იძლევა სპეციფიკურ (მეორად) ინფორმაციას ტექსტის სიტუაციის შესახებ, სოციალურ ურთიერთობებზე პროდუცენტსა და რეციპიენტს შორის, პროდუცენტის დამოკიდებულებაზე თავად ენის მიმართ (ფიქსი et.al 2002: 26-27).

საინტერესოა ფიქსის მიერ სტილისტიკის განვითარების სხვადასხვა პერიოდში სტილის აღქმის მიმოხილვა (ibid: 26-36). პირველად წარმოდგენილია სტილი როგორც მეტყველების სამკაული ან აზრების სამოსი. სიტყვის მომზადების ხუთ საფეხურიან მოდელში, რომელიც ანტიკური რიტორიკიდან მოდის, Elocutio სტილისტიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მიზნის შესაბამისად ის ახდენს აზრის საჭირო ფიგურებით გაფორმებას, რაც ტექსტის კატეგორიებს კოჰეზიასა და კოჰერენტულობას უკავშირდება. თუმცა აზროვნებისა და ფორმულირების პროცესების დაყოფას ბევრი აკრიტიკებს.

დესკრიფციულ სტილისტიკაში სტილის ფენომენოლოგიური აღქმა დამკვიდრებული. სტილი მიჩნეულია ტექსტის შიგა ენობრივ ფორმად და მისი აღწერა ენობრივი სისტემის დონეზე მიმდინარეობს. გარეენობრივ ფაქტორებს, როგორცაა, მაგალითად, ინტენცია, ფუნქცია, სიტუაცია, ყურადღება არ ექცევა

(შნაიდერი 1959; ზაიდლერი 1953). ამ საფეხურის გარეშე სტილთან მიახლოება წარმოუდგენელია, თუმცა სტილისტური ანალიზი შემდეგ ინტერპრეტაციას მოითხოვს.

ჰერმენევტიკაში სტილი ესთეტიკური კატეგორიაა, რომელიც ინდივიდუალურ მხარეს გამოხატავს (ზაიდლერი 1978: 24). შპიცერისათვის ენის ესთეტიკურობა და მისი საშუალებით ფსიქიკურისა და ინდივიდუალურის გამოხატვა კვლევის აუცილებელ ობიექტს წარმოადგენს. მისი სტილისტური ანალიზი წრიულად მიმდინარეობდა: დეტალიდან მთლიანი ტექსტისაკენ და პირიქით. ის აკვირდებოდა ტექსტის ყოველ დეტალს, რათა შემოქმედის სულიერი მდგომარეობა ამოეცნო (აშენბერგი 1984: 94-104).

სტრუქტურალიზმში **სტილი ტექსტის სტრუქტურის ფენომენია**. სტილის ელემენტების ღირებულებას სტრუქტურის შიგნით ადგილი და მიმართებები განაპირობებს. სტილის აღქმაში რეციპიენტი გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან მან უნდა შეძლოს ტექსტის სტრუქტურების, კავშირებისა და აზრის აღქმა. ძირითადად, პოეტურ ტექსტებს ანალიზებენ და აჩვენებენ, როგორ წარმოიშვება ენის ყველა დონეზე სტილისტური საშუალებების პარალელური გამოყენებით ტექსტუალობა და პოეტური ზეგავლენა. ენკვისტისა და რიფატერის მიხედვით, სტილი **ნორმიდან (მოსალოდნელიდან) გადახვევაა**, რითაც მოულოდნელობის ეფექტი მიიღწევა (ენკვისტი 1972: 22-28, რიფატერი 1973: 51-55, სოვინსკი 1991: 36-37).

ფუნქციონალურ აღქმაში სტილი გარეუბრევად მოცემულის გამოხატვაა. სტილი დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: ტექსტის სიტუაცია, ინტენცია, ფუნქცია და მოღვაწეობის სფერო, რომელშიც ენობრივი ქმედება ტექსტით ხდება. კონკრეტული ფუნქციები სტილის რეგისტრსა და თვისებებს განაპირობებენ. ფუნქციონალური სტილისტიკა სხვადასხვა ფუნქციონალური სტილის კანონზომიერებებს აღწერს (ფლაიშერი, მიჰელი 1975).

სტილის პრაგმატულ და კომუნიკაციურ აღქმაში ტექსტუალობის კრიტერიუმები განზრახვა და სიტუაციურობა თამაშობს დიდ როლს. სტოლტი სტილის ქვეშ კომუნიკაციის პროცესში ჩართულ ყველა ფაქტორს მოიაზრებს. მისი

ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება: ვინ გამოხატავს - ტექსტის რომელი სახეობით - ვის მიმართ - რას - რა მიზნით - როგორ (სტოლტი 1984: 163-173).

ზანდიგის აზრით, თითოეულ გამონათქვამსა და ტექსტს, როგორც თვალშისაცემად სტილიზირებულს, ისე სტილისტურად „ნეიტრალურს“, გააჩნია სტილი. ის წარმოადგენს მოქმედების განხორციელების სოციალურად რელევანტურ სახეობას, რომელიც ტექსტის ან ინტერაქციული საუბრის კონტექსტში გამოიხატება. სტილის ფუნქცია „რას-როგორ-რისთვის“ კავშირის გადმოცემაა (ზანდიგი 1995: 28).

სტილი როგორც ტექსტის მნიშვნელობის ნაწილი. მას მიეკუთვნება სტილის აღქმები, რომლებსაც დამატებითი, კონოტაციური მნიშვნელობა გააჩნიათ, პოეტური (შინაარსის ფორმაში გადამყვანი) ან პრაგმატული (სოციალური ურთიერთობების ჩამომყალიბებელი). სტილი როგორც სემანტიკური ან სემიოტიკური ფენომენი (ლერჰნერი 1981, 1984b; ზანდიგი 1986) საშუალებას იძლევა აღქმული იქნას ტექსტის პოეტური ან პრაგმატული დიმენსია, ის, რაც ტექსტში პირველადი ინფორმაციის გარდა აისახება. აქ საქმე ეხება ტექსტუალობის კრიტერიუმებს კოჰეზიას, კოჰერენტულობას, ინფორმატულობას და მართებულობას.

ინტერაქციონალურ სტილისტიკაში სტილი განიხილება როგორც კონტექსტუალიზაციის მითითება (აუერი 1992, სელტინგი 1989, 1997). ის ემყარება გოფმანისა (1982, 1983, 1991) და გუმპერსის (1982) ინტერაქციონალურ და კონტექსტუალურ თეორიულ საფუძვლებს. ის განვითარდა საუბრის ანალიზის მიერ ზეპირი დიალოგური ტექსტების კვლევის საფუძველზე. მოსაუბრეები გამონათქვამებში არა მარტო სიტუაციებზე მიუთითებენ, არამედ მათი საუბრისა და ინტერაქციის სახით თავად ქმნიან სიტუაციებს, მაგალითად, საუბრის ასიმეტრიულ სიტუაციას არაავტორიტეტული, თანასწორუფლებიანობის გამომხატველი საუბრით სიმეტრიულად აფორმებენ. სტილი აქ აღიქმება როგორც აქტიურად გამოყენებული და ინტერაქციისათვის მნიშვნელოვანი გაფორმების საშუალება, რომელიც კონტექსტს განმარტავს ან გაგების ჩარჩოს ქმნის.

სხვადასხვა თეორიების განხილვა 'სტილის' ფენომენის კომპლექსურობას უსვამს ხაზს. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ერთადერთი მისაღები სტილის განსაზღვრების არსებობა, რომელშიც სტილის ყველა არსებითი ასპექტი

მოიყრის თავს. აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ასეთი მრავალფეროვანი ფენომენის განხილვისას განსხვავებული მიდგომები უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს. ასევე კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე ადეკვატურ მეთოდზე უნდა გაკეთდეს არჩევანი. ტოქშოუს სტილის ანალიზისას შევეცადე ეს გამეთვალისწინებინა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთ დამოკიდებულებას შემდეგი საფუძველიც აქვს: ლინგვისტური პარადიგმის ცვლა არ ნიშნავს ავტომატურად წინა პარადიგმის მიღწევების უარყოფას, არამედ მის ინტეგრირებას და სინთეზს. ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაში აქცენტი კეთდება მეტყველ სუბიექტზე, ჰომო ნარანზე, ენობრივ სისტემაზე მოქმედებაში, ინტერსუბიექტურობაზე, ენის, მენტალიტეტისა და კულტურის ურთიერთემოქმედებასა და ურთიერთმიმართებებზე, ამიტომაც წინა პლანზეა წამოწეული ინტერაქციული და ტექსტის სტილისტიკა, თუმცა ტოქშოუს სტილი განხილული მაქვს ასევე სტილისტიკის სხვადასხვა პოზიციების საფუძველზე.

2.2 დისკურსის ანალიზი

თანამედროვე ლინგვისტიკაში კომუნიკაციური პარადიგმის შემოტანამ განსაზღვრა ახალი დარგებისა და კვლევის ახალი მეთოდების ჩამოყალიბება. ის უფრო მეტად კომუნიკაციაზეა ორიენტირებული და აერთიანებს არამარტო ძველ, ტრადიციულ დისციპლინებს, არამედ ახალ დარგებსაც (სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ნეიროლინგვისტიკა და ა.შ). შესაბამისად, კვლევის არეალში ექცევა ისეთი ენობრივი მოვლენები და ერთეულები, რომლებიც ენობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა განზომილებებს მოიცავს.

თანამედროვე ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში დისკურსი სპეციალური კვლევის საგანია. იგი მოითხოვს სხვა პოსტულატების დაშვებას, სხვა მეთოდების გამოყენებას და განსხვავებული სუბსტანციური მასალის მხედველობაში მიღებას.

დისკურსის კვლევა დაკავშირებულია დისკურსულ ანალიზთან და სამეტყველო აქტების თეორიასთან.

საუბრის ანალიზი, რომელსაც ასევე დისკურსის ან კონვერსაციულ ანალიზსაც უწოდებენ, „შედარებით ახალი ლინგვისტური დისციპლინაა“ და მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გერმანულენოვანი ლინგვისტიკის კვლევის ფოკუსშია მოქცეული. ის მხოლოდ ზეპირ ენას შეისწავლის. მეცნიერების ამ სისტემურ-ემპირიული დარგის ასეთი გვიანი ჩამოყალიბება გამოწვეულია იმით, რომ მანამდე ტექნიკურად შეუძლებელი იყო წარმოთქმული სიტყვის შესაბამის აპარატურაზე ჩაწერა (ბრინკერი, ზაგერი 2006: 9-10; ლინკე 2004: 294-295).

მიუხედავად მჭიდრო კავშირისა ტექსტის ლინგვისტიკასა და სამეტყველო აქტების თეორიასთან საუბრის ანალიზი დამოუკიდებლად განვითარდა და არ წარმოადგენს ამ მონათესავე დისციპლინების განვითარებას. ლინკე მის საფუძვლებს უფრო მეტად ამერიკულ ეთნომეთოდოლოგიაში ხედავს, რომელიც წესრიგსა და სტრუქტურებს იკვლევს, რომელზეც სხვადასხვა კულტურებსა და ეთნოსებში ადამიანთა ქმედება და ინტერაქციაა დაფუძნებული. ეთნომეთოდოლოგიური მეთოდების გამოყენებით ენობრივი ინტერაქცია საუბარში ლინგვისტური კვლევის ცენტრალური ობიექტი გახდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერება და სხვა მონათესავე დისციპლინები, როგორცაა რიტორიკა და კლასიკური ბერძნული ფილოსოფია, ადრეც შეისწავლიდა საუბარს. კლასიკური რიტორიკის ბევრი კატეგორია საუბრის წარმოსახვით პარტნიორზე იყო მიმართული. კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში დიალოგი განიხილებოდა როგორც მიზნის მისაღწევი საშუალება, ე.ი. როგორც აზრის მოძიების ინტერაქციული ფორმა, რაც ფილოსოფიურ მოღვაწეობას უწყობს ხელს (ლინკე 2004: 294).

საუბრის ანალიზი იკვლევს კომუნიკაციის ორგანიზაციულ და სტრუქტურულ ასპექტებს; ადგენს გაუცნობიერებელ წესებსა და ავტომატიზმებს; შეისწავლის საუბრის ისეთ სტრუქტურებს, როგორცაა მოსაუბრეთა მონაცვლეობა, მოსაუბრეთა და მსმენელთა აქტივობა, საუბრის ფაზები, თემების მიმდინარეობა, საუბრის კონკრეტული ტიპები, ქალისა და მამაკაცისათვის დამახასიათებელი ენობრივი ქცევა,

ბავშვის მიერ საუბრის წესების დაუფლება, სოციოკულტურული განსხვავებები ენობრივ ქცევაში და ა.შ. (ibid: 294-295).

ტოქშოუ საუბარია, რომელიც ტელევიზიაში მიმდინარეობს. ის ჰგავს ყოველდღიურ საუბარს, რადგანაც კომუნიკაციური სპონტანურობა ახასიათებს. ინტერაქტანტები ღიად და თავისუფლად განიხილავენ სხვადასხვა თემებს ფართო პუბლიკის წინაშე, რაც მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მონაწილეებს როგორც მსახიობებს წინასწარ მომზადებულ ტექსტებს კი არ აწვდიან, არამედ თავისუფლად გამოთქვამენ აზრს შესაბამის თემაზე.

ამდენად, ზაიფერტი ტოქშოუს მიიჩნევს საზოგადოებრივი დისკურსის ნაწილად, ენობრივი ქმედების სახეობად გარკვეული თავისებურებებით, რომელსაც კოლექტიური პრაქტიკა და სპეციფიკური ზეგავლენა გააჩნია. რაც შეეხება ამ გადაცემების ვიდეოს ან ტრანსკრიპტს, ის „ტექსტს“ წარმოადგენს, რომელსაც სოციო-კულტურულ სივრცეში თავისი ამოცანები გააჩნია. ერთ-ერთი ფუნქცია ჩვეულებრივი ადამიანის ყოველდღიურობაში წარმოჩენაა. ტოქშოუ ფორუმია, სადაც საზოგადოება საკუთარ თავს ქმედებასა და საუბარში უყურებს (ზაიფერტი: 4-5).

ტოქშოუ მაყურებლის მოთხოვნებს შეესატყვისება. ყველას შეუძლია, მოხერხებულად სავარძელში მჯდომს, სხვადასხვა აზრები და არგუმენტები მოისმინოს. თუკი გადაცემის ზეგავლენით მაყურებლები სახლში კერძო საუბარს გამართავენ, ამით ძალიან მაღალი მიზანი მიიღწევა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ სატელევიზიო საუბრები, მათ შორის ტოქშოუც, აზრის შექმნის საშუალებას წარმოადგენს მაშინაც კი, როცა გასართობი ნაწილი საუბარში ძალზედ დიდია.

საუბრის ანალიტიკური კვლევა დამოკიდებულია ჩაწერასა და რეპროდუქციაზე. სატელევიზიო საუბრის შემთხვევაში ეს საკმაოდ ადვილი გასაკეთებელია უბრალო ვიდეოტექნიკით, რასაც ყოველდღიურ საუბარზე ვერ ვიტყვით. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ ანალიზის მიზნებისათვის არანაყოფიერი და ჩაწერილი საუბარი არაა უფრო „ბუნებრივი“ „სპონტანურობის“ თვალსაზრისით ვიდრე სატელევიზიო საუბარი. მედიალური ასპექტები (კამერა, სტუდია, უმეტესად უცნობი თანამოსაუბრეები, წამყვანი) მოლოდინის შესაბამისად და საუბრის ტიპიდან გამომდინარე კონტექსტს ქმნის, რაც რეალობასთან არ მოდის

კონფლიქტში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საუბარი ლინგვისტური მიზნებისათვის არ მიმდინარეობს და აქედან გამომდინარე, დამკვირვებლის პარადოქსი ნაკლებად მოქმედებს (ფრაი-ბორერი 1991: 50). ეს ფაქტორები ტოქშოუს კვლევისთვის საინტერესოს ხდის.

საუბრის ტრანსკრიფციისა და გრაფიკული წარმოდგენისას შემდეგი ნიშნები გამოიყენება: მოკლე პაუზა (3 წამამდე) (+), გრძელი პაუზა (წამის მინიშნებით) (+0.08+), გაწყვეტინება (გაწყვეტინების ცდა) / , მახვილი (მაღალი ტონალობა) - გამუქებული, ხმოვნის გაგრძელება - ორწერტილი ხმოვნის შემდეგ - [wa:s], თანხმოვნის გაგრძელება გაორმაგებით - [wass], შეკითხვა - ?, გაუგებარი - ((გაუგებარია)), რთულად გასაგები ტექსტი (ტექსტი ფრჩხილებში), შენიშვნები ((იციან, გვერდზე იხედება)), ? - ამოუცნობი მოსაუბრე, პარალელური საუბარი ხაზგასმულია, ↑ აღმაავალი, ↓ დაღმაავალი და → განგრძობითი ინტონაცია. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ტრანსკრიფცია რაც შეიძლება ადვილია, რათა მისი წაკითხვა არ გართულებულიყო. მოსაუბრეთა ენობრივი პროდუქცია დაფიქსირებულია მოდიფიცირებული ორთოგრაფიული ტრანსკრიფციით, ტრანსლიტერაციულად, არა ფონეტიკურად. ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ფონეტიკური გადახრები (იონასი 2005: 21-22; ბრინკერი, ზაგერი 2006: 49-50). პირველ გრაფაში მოცემულია მოსაუბრე, მეორეში თავად ტოქშოუს დისკურსი, ვერბალური დიალოგი. მესამე გრაფაში წარმოდგენილია ყველაზე მთავარი და თვალშისაცემი არავერბალური მოვლენები, ასევე ინტერაქციის კომენტარები.

ტოქშოუს ტექსტის სტილის გასაგებად საჭიროა ტექსტის მთლიანობაში აღქმა, ამიტომაც მოვახდინე გერმანული და ქართული ტოქშოუს დასაწყისის, ბირთვისა და დასასრული ფაზების სტრუქტურულ-სტილისტური ანალიზი. აქ განვიხილავ ამ ნაწილების ლექსიკურ-სემანტიკურ, მორფოსინტაქსურ, პროსოდიულ ასპექტებს და ენობრივ ქმედებებს. პროსოდიული კუთხით, ძირითადად, აქცენტი მოდის ტემპზე, ხმის სიძლიერეზე, მახვილსა და ინტონაციაზე. პროსოდიული სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზეპირი ტექსტის ადეკვატურ აღქმა-გაგებასა და შინაარსის სწორ დეკოდირებაში, რადგან მარტო ის კი არ არის საყურადღებო, რას ვამბობთ, არამედ როგორ ვამბობთ. ვერბალურზე არანაკლებ საინტერესოა

ინტერაქტანტთა არავერბალური ქმედება, რადგან ის ხაზს უსვამს ან უარყოფს ნათქვამს. ხშირად დანახული უფრო დამაჯერებელია ვიდრე მოსმენილი და უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. არავერბალური კომუნიკაციის მთავარი საშუალებებია: ჟესტიკა, მიმიკა, ვიზუალური კონტაქტი (თვალებისა და მზერის მოძრაობა), სხეულის მოძრაობა, სივრცითი ქცევა (ლინკე et al. 2004: 309-311). თუმცა ყველა არავერბალური ნიშნის აღწერა შეუძლებელია, რადგან სურათის რეჟისორი წყვეტს, რა მოხვდება კამერის ობიექტივში.

2.1. გერმანული და ქართული ემპირიული მასალა

გერმანული ტოქშოუებიდან ვიკვლევ შემდეგ ოთხ გადაცემას: ტოქშოუ „საბინე ქრისტიანსენი“, ტი-ვი 21-ის პროდუქცია, გადიოდა პირველ არხზე 1998-2007 წლებში ყოველ კვირა საღამოს. პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოებისა და კულტურის ცნობადი სახეები განიხილავდნენ კვირის აქტუალურ თემებს. გადაცემას 95 მაყურებელი ესწრებოდა.

ტოქშოუ „ბერლინ მითე“ 1999 წლიდან გადის მეორე არხზე. 2007 წლიდან გადაცემა წამყვანის სახელს ატარებს „მაიბრიტ ილნერი“. პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოების ცნობადი სახეები მსჯელობდნენ აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე. სტუდიაში 99 მაყურებელი იყო.

ყოველდღიურ ტოქშოუს „ოლივერ გაისენის შოუს“ 1999-2009 წლებში გადასცემდნენ ერ-ტე-ელ-ის შუადღის ეთერში 13.00-დან 14.00 საათამდე. დიდი ხნის განმავლობაში ეს გადაცემა ძალზედ რეიტინგული იყო 14-დან 49 წლის ასაკის მაყურებლებში. 2007 წლის 15 სექტემბრიდან გადაცემის დროის შეცვლის გამო (13-დან 14 საათზე) კვოტები შემცირდა და ის დაიხურა. ეს მიუთითებს იმაზე, რადმენადაა დამოკიდებული ტოქშოუს წარმატება ექსტრალინგვისტურ ფაქტორზე, კერძოდ, ამ შემთხვევაში სატელევიზიო პროგრამულ ბადეში განთავსების ადგილზე.

„ოლივერ გაისენის შოუში“ არაცნობადი სახეები, ზოგჯერ ექსპერტებიც, საინტერესო თემებს განიხილავდნენ. სტუმრების ერთი ნაწილი მიდიოდა ტოქშოუში,

რათა თავიანთი აზრებისათვის ებრძოლათ, რადგანაც უბრალოდ ასე ფიქრობდნენ და არაფერი არ დაეთმოთ, თითქოს მათი სიცოცხლე იყო ამაზე დამოკიდებული. ეს ყველაფერი გლადიატორთა ორთაბრძოლას ჰგავდა: მოპაექრენნი ისეთივე თავგამოდებით იბრძოდნენ, ოღონდ სიტყვიერად, და სანახაობის მაყურებელნი მქუხარე ოვაციებით, სტვენითა და ყვირლით ხვდებოდნენ. ხშირად ყოფილი სტუმრები ან ერთი და იმავე ადამიანები ისხდნენ პუბლიკაში, თითქოს გადაცემაშივე შოულობდნენ მეორე გადაცემის ბილეთს. სტუმრების მეორე ნაწილი კი ერთმანეთთან შესარიგებლად, ურთიერთობების გასარკვევად მიდიოდა და ცდილობდა ერთმანეთთან დასაკავშირებელი, მისასვლელი გზები გამოეძებნათ.

სტუდიის პუბლიკა იყო ცენტრში და არა უბრალოდ გვერდით, უშუალოდ განიცდიდა ყოველ მხიარულ, მოსაწყენ ან გულისამაჩუყებელ ისტორიას. ის საზოგადოების წარმომადგენელი იყო და მაყურებელი უშუალოდ ხედავდა, როგორ რეაგირებდა საზოგადოება ერთ ან მეორე სტუმარზე ან მათ გამონათქვამებზე. ასე აირეკლებოდა გადაცემის ფორმატში საზოგადოების დამოკიდებულებები და შეხედულებები.

„ჰარალდ შმიდტი“ პირველად პირველ არხზე 2004 წლის 23 დეკემბერს გავიდა და კვირაში ორჯერ გადაიცემოდა, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. აქცენტი კეთდებოდა აქტუალურ ამბებსა და მედიის კრიტიკაზე.

ქართული ტოქშოუებიდან ანალიზისათვის ავიღე შემდეგი ოთხი გადაცემა: ტოქშოუში „პოლიტიკური კვირა“ ყოველ კვირას 20 საათზე პირველი არხის ეთერში განიხილავდნენ მხოლოდ პოლიტიკას. ამ გადაცემაში მთავარი გმირები კვირის მთავარ შეკითხვებს პასუხობდნენ. „პოლიტიკური კვირა“ კეთდებოდა იმათთვის, ვისაც ქვეყნის ბედ-იღბალი აინტერესებდა.

ტოქშოუ „პოზიცია“ რუსთავი 2-ის ეთერში ყოველ პარასკევს 9 საათიანი კურიერის შემდეგ გადიოდა. მაყურებელი პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ თემებზე განსხვავებულ პოზიციებს ისმენდა.

2008 წლიდან რუსთავი 2-ზე, ყოველ ხუთშაბათს 22 საათზე, ტოქშოუში „პროფილი“ არ საუბრობენ პოლიტიკაზე, არამედ დებატებისა და კამათის გარეშე კონკრეტული ადამიანების ისტორიებს ყვებიან. სტუმრები ქართული

მენტალიტეტისათვის საოცარი გულახდილობით გამოირჩევიან. გადაცემა გათვლილია ნებისმიერი ასაკის მაყურებელზე.

2006 წლიდან ყოველ პარასკევს 22.00 საათზე რუსთავი 2-ზე ტოქშოუში „ვანო ჯავახიშვილის შოუ“ წამყვანის ხუმრობებით ერთობა მაყურებელი. გადაცემა შემდეგი რუბრიკებისაგან შედგება: იუმორისტული მონოლოგები აქტუალურ თემებზე, უშუალო და იუმორით გაჯერებული საუბარი პოპულარულ სტუმრებთან, პრესის იუმორისტული მიმოხილვა და ა.შ.

2.1.1. მაკროდონე: საუბრის ფაზები: დასაწყისი, დასასრული, ბირთვი

საუბრის ანალიზი მაკრო დონეზე განიხილავს საუბრის დასაწყისს, დასასრულს და შუა ნაწილს ანუ ბირთვს (ჰენე, რებოკი 2001: 14-15). საუბრის დასაწყისისას ხდება მოსაუბრეთა წარდგენა სიტუაციის კოორდინაციის მიზნით და ორმხრივი მზაობის დაფიქსირება. შუა ნაწილში განიხილება თემები და მიიღწევა მიზნები. მას მოსდევს დასასრული, სადაც საუბრისათვის მზაობა უქმდება (ბრინკერი, ზაგერი 2006: 99). როგორც სხვა ნაშრომებიდან ჩანს, ამ ფაზებს მიდრეკილება აქვთ რიტუალიზაციისაკენ. აქ შეიძლება გამომჟღავნდეს ტოქშოუსათვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები და ინტერაქციის ნიმუშები კულტურით ისეთ განსხვავებულ ენებში, როგორიცაა გერმანული და ქართული.

2.1.1.1. ტოქშოუს დასაწყისი

დასაწყისი ძლიერ რიტუალიზირებული ელემენტებისაგან შედგება და მარტივი სტრუქტურა გააჩნია (ბრინკერი 2006: 99). ის ემსახურება სოციალურ, ემოციურ, ორგანიზაციულ საკითხებს და საუბარს შესაბამის სიტუაციურ კონტექსტში აყენებს. ამ დავალების დაძლევაში მოსაუბრეებს კონკრეტული შინაარსობრივი და ფორმალურ-ენობრივი ნიმუშები, რიტუალიზირებული ენობრივი ქმედებები ეხმარება. ეს მეტად ან ნაკლებად რიტუალიზირებული ფრაზები აძლევს მათ საშუალებას, ნაწილობრივ გათავისუფლდნენ შინაარსობრივი და ენობრივი

შემოქმედებითი მარწუხებისაგან და უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ორგანიზაციულ და ემოციურ ფაქტორებს (ლინკე 1994: 318-319).

ლინკე ტოქშოუს დასაწყისის ტიპურ ელემენტებად ასახელებს:

1. მაყურებელთა მისალმება;
2. თემაში შესვლა (ინფორმაცია თემის შესახებ, მიმდინარეობის სტრუქტურა, თემის ლეგიტიმაცია და შეფასება, საუბრის მოდალობა);
3. სტუდიის სტუმრების წარდგენა (ტიტული, სახელი; პროფესია/კარიერა; პოლიტიკური მოღვაწეობა/საჯარო სამსახური; პარტიული კუთვნილება/კავშირი; საყოველთაოდ ან თემისთვის საინტერესო ინდივიდუალური თავისებურებანი; სასაუბრო თემისადმი სავარაუდო დამოკიდებულება);
4. საუბრის მთავარ ნაწილზე გადასვლა (ვერბალური, პარავერბალური და არავერბალური სიგნალები).

შესავლის წრეს (წამყვანის ინტერვიუ სტუდიის სტუმრებთან ან ერთი შეკითხვა თითოეულ სტუმართან; წამყვანის უშუალო ჩარევის გარეშე) კი ის საბოლოოდ საუბრის ძირითად ნაწილს მიაკუთვნებს (ლინკე 1985: 87-88).

იონასი კიდევ უფრო დიფერენცირებულად უდგება ამ საკითხს და განასხვავებს საუბრის დასაწყისი ფაზის კონსტიტუციურ და ფაკულტატიურ ელემენტებს. გამოკვლეულ ტოქშოუებში ის მხოლოდ ერთ კონსტიტუციურ ელემენტს ადგენს. **თემას** წამყვანი ყველა გადაცემაში წარადგენს, ერთგან მხოლოდ სათაურით, სხვაგან დედუქციურად ან ინდუქციურად.

შემდეგში იონასი გამოყოფს დასაწყისი ფაზის ფაკულტატიურ ელემენტებს სიხშირის კლებადობის მიხედვით (იონასი 2006: 58):

მაყურებელთა მისალმება; სტუდიის პუბლიკის მისალმება; სტუმრების მითითება; სტუდიის პუბლიკაზე აპლოდისმენტებისათვის მადლობის გადახდა; გადაცემის განთავსება (დროის, მაუწყებლის მიხედვით); მაყურებელთა მხრიდან ინტერესის გამო სიხარულის გამოხატვა; სტუდიის პუბლიკის დასწრების გამო სიხარულის გამოხატვა; გადაცემის ყურებისათვის მაყურებლის მოწოდება; გუნდის წარდგენა.

2.1.1.1.1 გერმანული ტოქშოუს დასაწყისი

ტოქშოუ „საბინე ქრისტიანსენი“ (სქ): „რომელი რელიგია აქვს ღმერთს?“

1. 0.08 სქ: Eine Viertel Million Menschen strömten nach München ((აპლოდისმენტები, um Benedikt den XVI. zu sehen. ↓ 0.05
2. 0.13 სქ: Ein **Gottesdienst**, ein **Megaevent**, was **steckt** hinter der **Begeisterung grade auch** der **jungen Pilger?** ↓)) 0.07
3. 0.20 სქ: Einen schönen guten Abend, meine Damen und Herren, ((აპლოდისმენტები ich **begrüße** Sie ganz herzlichst. ↓ (+) 0.06
4. 0.26 სქ: Ist, (+) ist der Papst wieder აპლოდისმენტები)) **weg**, sieht's mit der religiösen Begeisterung auch meist wieder anders aus: leere Kirchenbänke, Austritte, fehlender Nachwuchs, vor allem junge Leute **wenden** sich **vielfach ab** und suchen ihr **Seelenheil** in **anderen Gemeinschaften** oder haben den Glauben längst **ganz verloren**. ↓ 0.17
5. 0.43 სქ: **Ganz?**↑ 0.01
6. 0.44 სქ: Oder sind **die anderen Angebote** christlicher Prediger oder der Buddhisten, des Islam **anders, reizvoller** gar? ↑ 0.07
7. 0.51 სქ: Gibt es so etwas wie den **richtigen Glauben?** ↑ 0.02
8. 0.53 სქ: Diesen Fragen wollen wir heute **nachgehen**. ↓ 0.03
9. 0.56 სქ: Dass es zwischen den **beiden**, dem Christentum und dem Islam, hier einen Dialog geben wird, das bezweifelt der Bestseller-Autor Leon de Winter, besonders nach dem 11. September, der sich morgen zum fünften Mal jährt.↓ 0.09
10. 1.07 სქ: Herzlich Willkommen bei uns, Herr de Winter. ↓ 0.03
11. 1.10 ლდვ: Danke. ↓ ((აპლოდისმენტები)) 0.04
12. 1.14 სქ: **Religion** kann auch **missbraucht** und zur **schrecklichen Ideologie** werden, das meint Hans-Jochen Jaschke Weihbischof im Erzbistum Hamburg. Herzlich Willkommen! ↓ 0.09
13. 1.23 ჰიი: Danke. ↓ ((აპლოდისმენტები)) 0.05
14. 1.28 სქ: Die Zahl Deutschlandmuslime hat sich in den vergangenen Jahren bei uns **vervielfacht**. ↓ 0.05

15. 1.33 სქ: Bei uns heute Abend ist Mahmoud Hassan Dabbagh von der Al-Rahman Moschee, in **Leipzig** ist das. ↓ 0.05
16. 1.38 სქ: Herzlich Willkommen! ↓ ((აპლოდისმენტები)) 0.05
17. 1.43 სქ: Und ich begrüße Burkhard Driest Autor, Schauspieler, eigentlich kennen Sie ihn alle, aber vielleicht **nicht einfach so**. ↓ 0.06
18. 1.49 სქ: Er ist nämlich **Buddhist** geworden und dieses auch nicht einfach mal eben, sondern da haben ihn schon gewisse Ereignisse dazu **bewogen** und ist, ist jetzt auch zu einem **zentralen Punkt in Ihrem Leben** geworden. ↓ 0.10
19. 1.59 სქ: Herzlich Willkommen, Herr Driest. ((აპლოდისმენტები)) 0.02
20. 2.01 ზდ: Danke. ↓ ((აპლოდისმენტები)) 0.04
21. 2.05 სქ: Bei uns in der Sendung be(+)grüße ich Sonja Zekri. **Atheistin** und **Journalistin** betrachtet die Rückkehr des Religiösen generell mit sehr viel **Skepsis** und **kritischen Augen** und fordert eigentlich die **Gottlosen** auf ja **durchzuhalten**. ↓ 0.12
22. 2.17 სქ: Einen schönen guten Abend. ↓ ((აპლოდისმენტები)) 0.05
23. 2.22 სქ: Ja, wie **kann's** anders gehen, **Popband** statt Orgelmusik vielleicht, **Stadien** statt Kirchen so ähnlich wie es in den USA aussieht, **dann** kommen auch die Gläubigen **wieder zuhauf**. ↓ 0.09
24. 2.31 სქ: **Kann es so sein?** ↑ 0.01
25. 2.32 სქ: **Warum** und **wieso** das vielleicht **so** gehen kann, das kann uns auf **jeden Fall Pastor Wenz** von der biblischen **Glaubensgemeinschaft** in Stuttgart ein wenig näher erklären. ↓ 0.08
26. 2.40 სქ: Einen schönen guten Abend auch Ihnen, Herr Wenz. ↓ 0.02
((აპლოდისმენტები))
27. 2.42 ჰვ: Guten Abend. ↓ 0.04
28. 2.46 სქ: Ja, und was glauben Sie, ((აპლოდისმენტები)) **verehrte Zuschauer** eigentlich noch jung wie alt, wir freuen uns, wenn Sie im Internet darüber **mitdiskutieren** wollen und natürlich gibt's auch ein **Meinungsbild** hier bei uns aus dem Publikum ein wenig später. ↓ 2.57 -0.11

1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტოქშოუ „საზინე ქრისტიანსენი“ იწყება ვიდეოს ჩვენებით, რომელიც ეხება პაპის ბენედიქტ XVI-ის სტუმრობას მიუნხენში. თავდაპირველად უნდა აღვნიშნო, რომ სათაური პროვოკაციულადაა ჩამოყალიბებული: „რომელი რელიგია აქვს ღმერთს?“ აქ იმპლიციტურად შემდეგი ქვეტექსტი იკითხება: რომელი რელიგიაა ჭეშმარიტი? მოდერატორი აღფრთოვანებულია მრევლის სიმრავლით და მიუნხენში ჩატარებულ ღვთისმსახურებას მეგა ივენთს უწოდებს. თუმცა ისმის კითხვა, რამდენად მართებულია საეკლესიო ღონისძიების ივენთად მოხსენიება. წამყვანი გაოცებას ვერ მალავს ახალგაზრდა მომლოცველთა აღტყინების გამო. მეტაფორული მნიშვნელობითაა გამოყენებული ზმნა *strömen* (1-2). ამის შემდეგ ქრისტიანსენი ესალმება სტუმრებს (3). მომდევნო წინადადებაში ჩამოთვლილია ის პრობლემები, რომლებიც ეკლესიას გააჩნია. პაპის წასვლის შემდეგ ყოველდღიურობა დაბრუნდება და რელიგიური აღფრთოვანება მოიკლებს. სავალალო სურათი ნეგატიურად შეფერილი ლექსიკითაა გადმოცემული: დაცარიელებული ეკლესიები, ეკლესიის მიტოვება. რწმენის დაკარგვის გამო განსაკუთრებით ახალგაზრდები აქცევენ ზურგს ეკლესიას და სულის ხსნას (**Seelenheil**) სხვაგან ეძებენ (4). ამ მდგომარეობის აღწერას რიტორიკული შეკითხვები მოსდევს (5-7), რითაც ტოქშოუს საკომუნიკაციო მოქმედების ღერძი მოიხაზა (8). მოდერატორი წარადგენს სტუმრებს, მათ პოზიციებს და ისინი მოკლედ ესალმებიან მას და მაცურებლებს (ვერბალურად/არავერბალურად) (9-27). ლეონ დე ვინთერს (ლდვ) ეჭვი ეპარება, რომ განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ ისლამსა და ქრისტიანობას შორის დიალოგი შედგება: „Dass es zwischen den **beiden**, dem Christentum und dem Islam, hier einen Dialog geben wird, das bezweifelt der Bestseller-Autor Leon de Winter, besonders nach dem 11. September, der sich morgen zum fünften Mal jährt.“ ჰანს-იოხენ იაშკეს (ჰიი) მიაჩნია, რომ რელიგია შეიძლება ბოროტი მიზნებისათვის იქნას გამოყენებული და საშინელ იდეოლოგიად იქცეს: „**Religion** kann auch **missbraucht** und zur **schrecklichen Ideologie** werden, das meint Hans-Jochen Jaschke Weihbischof im Erzbistum Hamburg. Herzlich Willkommen!“ ქრისტიანული მრევლის კლების პირობებში გერმანელი მუსლიმების რიცხვი მატულობს და მოდერატორი მახვილს სვამს ზმნაზე *vervielfachen*, რომელშიც დიდ ემოციას აქსოვს: „Die Zahl Deutschlandmuslime hat sich in den vergangenen Jahren bei uns **vervielfacht**.“

იმამის წარდგენისას ქრისტიანსენი ასახელებს მეჩეთს, სადაც ის მსახურობს. აქვე აღსანიშნავია, რომ მეჩეთის ადგილმდებარეობა წინა პოზიციაზეა გადმოტანილი და მახვილიც ამ სიტყვაზე მოდის: „Bei uns heute Abend ist Mahmoud Hassan Dabbagh von der Al-Rahman Moschee, in **Leipzig** ist das.“ წამყვანმა გადაცემაში შეძლებისდაგვარად სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები მიიწვია. ცნობილი მსახიობი და ავტორი ბურკჰარდ დრისტი ბუდისტი გახდა და შესაბამისად ეს რელიგია მისი ცხოვრების ცენტრალურ ასპექტად იქცა. ათეისტი ჟურნალისტი სონია ცეკრი (სც) სკეპტიკურად უყურებს რელიგიურობისაკენ მიბრუნებას და მოუწოდებს ათეისტებს გაუძლონ ზეწოლას: „Bei uns in der Sendung begrüße ich Sonja Zekri. Atheistin und Journalistin betrachtet die Rückkehr des Religiösen generell **mit sehr viel Skepsis und kritischen Augen** und fordert eigentlich die Gottlosen auf ja durchzuhalten.“ პასტორი ვენცი რიტორიკული შეკითხვის ადრესატია: რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს ამერიკისეული გამოცდილება? რელიგიის თემატიკისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მქონე ადამიანების მოწვევით მოდერატორი გადაცემაში პლურალისტური აზრის წარმოჩენას უწყობს ხელს.

შესავალი სიტყვის ბოლოს ქრისტიანსენი ანტითეზით - **jung wie alt** ყველა ასაკის ტელემაყურებელს მოუწოდებს მონაწილეობა მიიღონ ინტერნეტ-დისკუსიაში და სტუდიის პუბლიკის პოზიციას აანონსებს (28). ლექსიკა რელიგიურ თემატიკას მოიცავს. ასევე გვხვდება ემოციური, მაღალფარდოვანი, სასაუბრო მეტყველების სიტყვები: Mega-: emotional verstärkend / zuhauf: geh./ verehrt: geh./ grade: umgs./ weg: umgs./ dahinterstecken: umgs./ Megaevent: Jargon/ Seelenheil: christliche Religion

2) სინტაქსი

გადაცემის სათაური კითხვითი წინადადებაა: „**რომელი რელიგია აქვს ღმერთს?**“ ეს ღიაობა გადაცემის მსვლელობაში უნდა შეივსოს. ავტორებმა კითხვა ისე შეარჩიეს, რომ რაც შეიძლება მეტი მაყურებელი მიიზიდონ ეკრანებთან.

შესავალ სიტყვაში გვხვდება როგორც ჰიპოტაქსური, ისე პარატაქსული სიტყვათწყობა, რიტორიკული შეკითხვები. სტუმრების პასუხი ძალიან მოკლე რეპლიკით შემოიფარგლება. ელიფსური წინადადებით მოდერატორი გამოთქვამს შემფოთებას, მთლიანად ხომ არ დაუკარგავთ რწმენა ახალგაზრდებს: „Ganz?“

3) პროსოდიული საშუალებები

მონოლოგი საშუალო ტემპში მიდის. ფრაზების ბოლოს უმეტესად დაღმავალი ინტონაციაა, თუმცა რიტორიკულ შეკითხვებს აღმავალი ინტონაცია აქვს. ამით წამყვანი იმ მნიშვნელოვან კითხვებს სვამს, რომლებსაც გადაცემის მსვლელობაში უნდა გაეცეს პასუხი: „Ganz?↑ Oder sind die anderen Angebote christlicher Prediger oder der Buddhisten, des Islam anders, reizvoller gar? ↑ Gibt es so etwas wie den richtigen Glauben?↑“ წამყვანი ალტერნატიულ გზად ამერიკულ ეკლესიას ასახელებს და ამის გასარკვევად გადაცემაში პასტორი ვენცი ჰყავს მოწვეული: „Kann es so sein?↑“

მოდერატორი მახვილებს მნიშვნელოვან ადგილებში სვამს, რაც ტექსტში მუქი შრიფტითაა წარმოდგენილი. e- ხმოვნის ამოვარდნა უპირო ნაცვალსახელიდან es დამახასიათებელია სასაუბრო მეტყველებისათვის: „sieht's mit der religiösen Begeisterung auch meist wieder anders aus“/ „Ja, wie kann's anders gehen“/ „(...) und natürlich gibt's auch ein Meinungsbild hier bei uns aus dem Publikum ein wenig später.“ საუბარი საშუალო და მაღალ ტონალობაში მიდის. ხმის ტემბრის ვარირებით ქრისტიანსენი სხვადასხვა ემოციას გადმოსცემს.

ფუნქციური აღწერა

ქრისტიანსენის მეტყველების სტილი დამაინტრიგებელია. ტექსტის სტილი პროვოკაციულია და მისი მიზანია მაყურებლის მიზიდვა გადაცემისკენ. შესავალი პაპის სტუმრობის აღწერით იწყება, რასაც რიტორიკული შეკითხვა მოყვება, რა იმალება ახალგაზრდა მომლოცველების აღფრთოვანების უკან. მისალმება ექსპლიციტურად მიმართულია კომუნიკაციის გარე წრეზე ანუ ტელემაყურებლებზე, რადგანაც კადრში მხოლოდ წამყვანი ჩანს ახლო პლანში, ხოლო იმპლიციტურად - სტუდიაში დამსწრეებზეც. რიტორიკული შეკითხვებითა და მახვილების დასმით ქრისტიანსენი გადაცემაში საუბრის შესაძლო განვითარებას გვიჩვენებს. მოდერატორი ნათლად, დამაჯერებლად და ემოციურად გვიხატავს სურათს, სტუმართა პოზიციებს. ყველა ამ საშუალებით ის ტელემაყურებელს დისკუსიაში ჩართვისაკენ უბიძგებს, რასაც ექსპლიციტურადაც აჟღერებს (28) და გადაცემისადმი ინტერესს ზრდის. წამყვანი აქტიურად იყენებს არავერბალურ საშუალებებს, როგორც მიმიკას, ისე ჟესტიკას: ხელებს უკმაყოფილოდ შლის აპლოდისმენტების

გაგრძელების გამო; წარბეზის აწევა, ქვემოთ დახრა, თავის მოძრაობა. სტუმრებიც ჩართული არიან დასაწყისში (არა)ვერბალურად.

„ბერლინ მითე“: „სახიფათო მისია - გერმანელი ჯარისკაცები ისრაელისთვის?“

ასისტენტის სიტყვა

1. 0.40 Unser Thema heute in Berlin-Mitte: In gefährlicher Mission – Deutsche Soldaten für Israel?↑
2. 0.48 Unsere Gäste: →
3. 0.50 *Der Vorsitzende der Linksfraktion in Bundestag Oscar Lafontaine sagt*: →
4. 0.53 Deutsche Soldaten haben im Nahen Osten **nichts** zu suchen.↓
5. 0.53 *Verteidigungsstaatssekretär Friedbert Pflüger meint*, aufgrund unserer Geschichte **müssen** wir Soldaten schicken. ↓
6. 1.03 *Der Nahost-Experte Ulrich Kienzle findet*, Deutschland **darf** zu **Israels Forderungen** Nein sagen. ↓
7. 1.09 Wir haben das **Recht** dazu und gute Gründe. ↓
8. 1.12 *Der ehemalige Bundeswehrgeneral Klaus Reinhard ist überzeugt*, der **Einsatz** im **Libanon** ist **wichtiger** für uns als der im **Afghanistan**↓
9. 1.19 Und *der jüdische Schriftsteller Rafael Seligmann sagt*, Deutschland kann **endlich** zeigen, dass es die **historische Verantwortung** aus dem **Holocaust ernst** nimmt.
10. 1.28 Sie sind heute Abend zu Gast bei (+) Maybrit Illner Assistent.

წამყვანის სიტყვა

1. 1.33 ((აპლოდისმენტები Einen schönen guten Abend.↓ 0.03
2. 1.36 Herzlich willkommen (+) Ihnen allen hier **live** aus dem Zollernhof **mitten** აპლოდისმენტები)) im August. ↓ 0.07
3. 1.43 Ja, das ist **alles andere** als eine **klassische Sommerlochdebatte**. ↓ .0.04
4. 1.47 Deutsche Soldaten im **Nahost!** ↓ 0.02
5. 1.49 **So etwas** (+) war (+) bis vor ein paar Monaten noch **völlig undenkbar!** ↓ 0.05
6. 1.54 Und eigentlich ist die **Sache** auch schon **entschieden**. ↓ 0.03
7. 1.57 Gestern haben sich die **Spitzen** der **großen Koalition** darauf geeinigt, dass sich Bundeswehrsoldaten **an einer UN-Friedensmission** beteiligen werden. ↓ 0.08
8. 2.05 **Noch** ist **offen, wie genau, aber** mit **offenbar allen politischen**

Konsequenzen. ↓ 0.05

9. 2.10 Friedbert Pflüger ist Staatssekretär im Verteidigungsministerium. 2.13 (სტუდიის სტუმრისაკენ მზერა) 0.03

1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

მოდერატორი აღნიშნავს, რომ ეს არაა კლასიკური დებატები ზაფხულის პაუზის ამოსავსებად, რადგანაც ძალიან მწვავე თემა განიხილება. კოალიციის წამყვანმა პოლიტიკოსებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გერმანელმა ჯარისკაცებმა მონაწილეობა მიიღონ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მისიაში. აღსანიშნავია სასაუბრო მეტყველების სიტყვა Sommerlochdebatte: „Ja, das ist alles andere als eine klassische Sommerlochdebatte.“

2) სინტაქსი

ასისტენტი წარადგენს თემას „In gefährlicher Mission – Deutsche Soldaten für Israel?“ და სტუმრებს მათი პოზიციებით, ბოლოს კი ასახელებს მასპინძელს. სათაური კითხვითი წინადადებაა და ემოციურ ფონს უსვამს ხაზს. თითქოს ამ გადაცემაში უნდა გადაწყდეს სამშვიდობო მისიაში გერმანელი ჯარისკაცების მონაწილეობის ბედი. ტექსტი 10 წინადადებისაგან შედგება. პირველი და მეორე ელიფსური წინადადებაებია. ასევე გვხვდება სამეტყველო აქტების ზმნები: sagen, meinen, finden, überzeugt sein. ძირითადად, მარტივი და პარატაქსული წინადადებაებია, თუმცა ერთი ჰიპოტაქსური წინადადებაც გვხვდება (9). წამყვანის მონოლოგი ცხრა წინადადებისაგან შედგება. აქედან უმეტესობა მარტივი წინადადებაა. ერთი ჰიპოტაქსური წინადადება მოიპოვება (7). ელიფსურ ძახილის წინადადებაში: „Deutsche Soldaten im **Nahost!**“ მოდერატორი დიდ ემოციურ დატვირთვას შეყვრებით გამოხატავს, რასაც მოყვება მეორე ძახილის წინადადება (5).

3) პროსოდიული საშუალებები

მოდერატორი პირველ წინადადებას - მისალმებას რითმულად იწყებს, თუმცა მეორე წინადადებაში აპლოდისმენტების გამო ტემპს ანელებს. შემდგომ ორ წინადადებას ისევ ტემპში წარმოთქვამს (3,4). შედარებით ნელ ტემპში მიდის მეხუთე წინადადება, რადგან მოდერატორი ასეთი შემობრუნებით გაოცებულია. ფიქრიც კი შეუძლებელი იყო რამდენიმე თვის წინ იმაზე, რომ გერმანელი ჯარისკაცები ახლო

აღმოსავლეთში სამშვიდობო მისიაში მიიღებდნენ მონაწილეობას: „**So etwas** war bis vor ein paar Monaten noch **völlig undenkbar!**“ მეექვსე წინადადებაში ცოტათი უმატებს ტემპს, მეშვიდეში კი უფრო მეტი სისწრაფით აყალიბებს სათქმელს. რაც შეეხება მერვე წინადადებას, აქ ტემპი ისევ ნელდება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის აღნიშვნა სურს. ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, რა ინტენსივობით ჩაერთვებიან სამხედრო ძალები ამ ოპერაციაში: „**Noch ist offen, wie genau, aber mit offenbar allen politischen Konsequenzen.**“ მეცხრე წინადადებას ძალიან სწრაფად წარმოთქვამს, რადგან ასისტენტის მიერ უკვე წარმოდგენილ ინფორმაციას იმეორებს.

ფრაზების ბოლოს ყველგან დაღმავალი ინტონაციაა. მახვილი მნიშვნელოვან სიტყვებზე მოდის: მაგალითად, Sommerlochdebatte, im Nahost, völlig undenkbar, entschieden, Spitzen der großen Koalition, UN-Friedensmission და სხვ.

ილნერი საშუალო სიძლიერით საუბრობს, მნიშვნელოვან ადგილებში ხმას უწევს.

ფუნქციური აღწერა

ილნერის მეტყველების სტილი ძალზედ ემოციური და მწვავეა. მოდერატორი დასაწყისშივე ხაზს უსვამს, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში გადაცემა პირდაპირ ეთერში გადის: „Herzlich willkommen Ihnen allen hier live aus dem Zollernhof mitten im August.“ წამყვანი ჟესტებითა და მიმიკით მთლიანად ჩართულია თავის მონოლოგში და ვერბალურად ნათქვამს არავერბალური საშუალებებით ამყარებს და სტილისტურ მარკირებას უკეთებს. ამ ფრაზის წარმოთქმისას: „Ja, das ist alles andere als eine klassische Sommerlochdebatte“ ილნერი მხრებსა და წარბებს ზემოთ წევს და თავს უარის ნიშნად აქნევს. იმდენად წარმოუდგენელ რამეს ამბობს, რომ თვალეზი უფართოვდება: „Deutsche Soldaten im Nahost!“ შემდგომ წინადადებაზეც მხრებს იჩეჩავს: „So etwas war bis vor ein paar Monaten noch völlig undenkbar!“ გაცხებულია იმიტაც, რომ საქმე უკვე გადაწყვეტილია და თავს გვერდზე იქნევს: „Und eigentlich ist die Sache auch schon entschieden.“ მოდერატორი ლაკონურად, მაგრამ დიდი გამომსახველობითა და ემოციურობით წარმოადგენს პრობლემატიკას, თითქოს მთელ თავის ენერგეტიკას დებს თითოეულ სიტყვაში. სტუმრების პოზიციებისა და თემის მძაფრი წარდგენით

შექმნილია საუბრის კონტექსტი, რომელიც ტელემაყურებელს ტოქშოუს ნახვისკენ უბიძგებს.

„ოლივერ გაისენის შოუ“: „ოჯახი XXL - რატომ გყავთ ამდენი შვილი?“

1. 0.39 ((აპლოდისმენტები, ყვირილი Moin! (+)↓ 0.02
2. 0.41 Herzlich Willkommen! ↓ 0.01
3. 0.42 Guten Tag! ↓ Hahaha! 0.01
4. 0.43 Hallöchen! ↓(+).0.03
5. 0.46 Meine Damen und Herren, **Kinder sind etwas Wundervolles** und ich habe für heute Familien eingeladen, die was **ganz Wundervolles** gemacht haben. ↓ 0.07
6. 0.53 Sie haben natürlich **so viele Kinder wie möglich angeeignet**)) **zugelegt**. ↓ 0.05
7. 0.58 Familie XXL – Warum habt ihr so viele Kinder? ↓ 1.00 – 0.02

1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტოქშოუს დასაწყისამდე ვიდეოკოლაჟში სამ სტუმარს წარადგენენ ტიპური წინადადებებითა და მოკლე დახასიათებით. ვერნერსა და კარმენს ჰყავს 15 შვილი და ცოტა თავგზა აებნათ. კარმენი სამი შვილის დედაა და დიდი ოჯახების მაინც არ ესმის. სასკიას 6 შვილი ჰყავს და უმუშევართა დახმარებით ცხოვრობს, მაგრამ ოჯახური დაგეგმარება გრძელდება. წამყვანი გადაცემას იწყებს მისალმებით ჩრდილო გერმანულ დიალექტზე: Moin! ის იყენებს სასაუბრო მეტყველების ძალზედ ფამილარულ, ხუმრობის ელფერის მქონე მისალმებას: Hallöchen! სასაუბრო მეტყველებისაა ასევე was: „die was ganz Wundervolles gemacht haben“. სასაუბრო მეტყველების ზმნას zulegen რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან საინტერესოა ორი: რაღაცის ყიდვა, შეძენა და მიმატება. ეს ზმნა გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება ოჯახისა და ბავშვების შემთხვევაში: „Sie haben natürlich so viele Kinder wie möglich angeeignet zugelegt.“ ამ კონტექსტში მოდერატორი მიმართავს სტილისტიკურ ფიგურას გამეორებას: „etwas Wundervolles, was ganz Wundervolles.“ გაისენი ბავშვებს საოცრებას ადარებს, ამიტომაც სტუდიაში ის ოჯახები მოიწვია, რომლებმაც ნამდვილად საოცრება გააკეთეს.

2) სინტაქსი

„ოლივერ გაისენის შოუს“ დასაწყისი ყველაზე მცირე მოცულობისაა გერმანულ ტოქშოუებში. სათაური კითხვითი წინადადებაა. მისალმებას მოსდევს ერთი ჰიპოტაქსური (5) და ორი მარტივი წინადადება (6-7). აქ გამოვყოფ ნომინალურ ჯგუფს - ოჯახი XXL, რაც მეტაფორულად დიდ ოჯახზე მიანიშნებს, რადგანაც XXL ყველაზე დიდი ზომაა ტანსაცმელში.

3) პროსოდიული საშუალებები

მოდერატორი პირველი და მეოთხე მისალმებისას (1, 4) ოდნავ უფრო დიდ პაუზას აკეთებს, ვიდრე მეორესა და მესამეს დროს (2, 3). ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია სტუდიის პუბლიკის შემახილებითა და აპლოდისმენტებით, ისე სცენის ცენტრის მიღწევით, მეორე მხრივ, ძირითადი სათქმელის წინ წამყვანი ოდნავ უფრო დიდ ხანს ყოვნდება (4). გაისენი დანარჩენ წინადადებებს მაღალ ტემპში წარმოთქვამს (5, 6, 7).

ყველა ფრაზის ბოლოს დაღმავალი ინტონაციაა. გაისენი გამოყოფს მნიშვნელოვან სიტყვებს: Kinder, etwas Wundervolles, ganz Wundervolles, so viele Kinder wie möglich angeeignet zugelegt. ის განსაკუთრებული ემოციით წარმოთქვამს ganz Wundervolles, რითაც მაღლობას უხდის ყველა მოწვეულ ოჯახს.

ბგერის სიძლიერე: ოლივერ გაისენი საშუალო და მაღალი სიძლიერით საუბრობს.

ფუნქციური აღწერა

გაისენი ყოველდღიური გასართობი ტოქშოუს წამყვანია, რაც ყველა სტილისტურ დეტალში აისახება, დაწყებული ჩაცმულობით და დამთავრებული ენით. მოდერატორს შარვალ-კოსტუმი აცვია, მაგრამ პერანგი ამოჩაჩული აქვს. იგი სიარულში რამდენჯერმე ესალმება პუბლიკასა და ტელემყურებლებს. წამყვანი ნათქვამს თავის ქნევით ადასტურებს, რითაც არავერბალური ინფორმაცია ვერბალურს ავსებს (5). მართალია, ძირითად ტექსტს ტელემყურებლებისთვის სტუდიის პუბლიკის წინ ამბობს, მაგრამ ის ორივეს ეკუთვნის. მოდერატორი მოკლედ და ნათლად აყალიბებს სათქმელს და ოჯახური ტიპის მეგობრულ გარემოს ქმნის.

„ჰარალდ შმიდტი“

ასისტენტი Hier ist das erste deutsche Fernsehen mit Harald Schmidt. ↓

((ჰარალდ შმიდტი სამჯერ ყეფს)) ((აპლოდისმენტები))

1 2.15 Herzlich willkommen, meine sehr verehrten Damen und Herren! ↓0.02

2 2.17 Vielen Dank (+)↓ **und** 2.21 sehr aufmerksam↓ 0.08

3 2.25 Herzlich Willkommen auch Ihnen zu Hause ↓ 0.03

4 2.28 Und vielleicht schon sentimental, → ((აპლოდისმენტები)) denn **grade eben** hat ja

Ulrich Wickert zum **vor**letzten Mal die Tagesthemen moderiert.↓ 0.06

5 2.34 Das ist das große Thema natürlich auch bei uns **morgen**→ 0.02

6 2.36 und Sie wissen es, wir bemühen uns, **immer** wenn wir uns in Sendung sehen, eine Sendung für alle zu machen, für die ganze kaputte Familie, → 0.06

7 2.42 **aber heute** haben Sie besonders großen Spaß an unserer Sendung, wenn Sie **Tatortfan** sind, wenn Sie aus **Münster** kommen ((სიცილი)) und wenn Sie Hunde fast so gern haben wie **Drogen**. ↓ (+) ((სიცილი, წამყვანის სიცილი)) Hahahaha 0.12

8 2.54 Ja, die Laune ist großartig hier, nicht nur hier, gut, wir geben bisschen immer was, bevor es losgeht, ja, ((სიცილი)) wir sprühen das hier, weil (+) mit der Gene und so weiter muss man bisschen vorsichtig sein. ↓ 0.10

9 3.04 Aber die **Kauflaune** ist so toll in Deutschland, haben Sie auch festgestellt? ↑0.03

10 3.07 Man hat jetzt festgestellt, die Kauflaune ist so gut wie seit 5 Jahren nicht mehr und das hat mich irritiert, weil die Kauflaune war immer toll, ja, nur **das Geld war nicht da**. ↓ ((სიცილი)) 0.09

11 3.16 Das liegt auch an unserer Bundeskanzlerin Angela ((დაიხედავს ხელზე, თითქოს კითხულობს)) **Merkel**, ((სიცილი)) **die** (+) eine Privataudienz hatte beim Papst, bei meinem eigentlichen Staatsoberhaupt und haben Sie es gesehen, wie sie eben diese Noten geschenkt hat, diese Mozartnote, **sie war locker, sie war gelöst**. ↓ 0.16

12 3.32 Ich habe Frau Merkel nicht mehr so happy gesehen seit dem 1 zu 0 gegen Polen ((სიცილი)), wo mit Franz Bussi, war das also einzeln, ich glaube, das war mit Franz da, ja. ↓ 0.10

13 3.42 Für den Papst war's auch toll, denn eine Frau, Protestantin und Ostdeutsche, das sind drei kirchliche Problemgruppen in **einem Gespräch**, ((სიცილი)) ja? ↑ 0.12

14 3.54 Gestern war dann die Pressekonferenz und lassen Sie sich nicht täuschen, die Stimmung in der Koa, in der großen Koalition ist super. ↓ 0.05

15 3.59 Merkel und Müntefering verstehen sich **so toll**, innerhalb des Kabinetts nennt man sie nur Dito and Estefania. ↓ ((სიცილი, წამყვანის სიცილი)) Hahaha 0.08

16 **4.07** Und **nun** zum Thema **Sex**. ↓ 0.02

17 4.09 Sie haben lange **darauf** gewartet, ich meine, auf das **Thema**, (+) man hat **jetzt** herausgefunden, Frauen reden **deutlich mehr** als Männer, aber Männer denken ääh alle 58 Sekunden an Sex, Frauen angeblich nur einmal pro Tag, ich kann es nicht beurteilen, → 0.14

18 4.23 Es liegt daran, dass Frauen 11% **mehr Nervenzellen** haben im Gehirn **für Erinnerung und für Gefühle**. Wir Männer haben natürlich die, das Zentrum für Erinnerung und Gefühle nicht im Gehirn, sondern an der **Theke**. ↓ ((სიცილი)) 0.15

19 4.38 Frauen denken einmal pro Woche an Sex, Männer alle 58 Sekunden und die restlichen zwei Sekunden haben sie welche. ↓ ((სიცილი, წამყვანის სიცილი)) Hehehehehehe 0.10

20 4.48 **Madam Natalie Nika und ARD-Showband**. ↓ **4. 51** (ბენდის მიერ შესრულებული მუსიკა)((აპლოდისმენტები)) 0.03

1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

„ჰარალდ შმიდტი“ გვიანი ღამის შოუა და აქ მონაწილეები უმეტესად იუმორისტული სტილით საუბრობენ. წამყვანი მიმართავს სასაუბრო-ყოველდღიურ ლექსიკას, რათა საუბრის არაოფიციალურ სტილს გაუსვას ხაზი: grade/ was/ toll/ happy/ super/ großartig/ kaputt/ losgehen.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კანცლერის კოცნის აღსაწერად მოდერატორი იყენებს ფამილარულ სიტყვას „Bussi“. ფამილარულია ასევე ლეგენდარული ფეხბურთელის ბეკენბაუერის მხოლოდ სახელით მოხსენიება: „Ich habe Frau Merkel nicht mehr so happy gesehen seit dem 1 zu 0 gegen Polen, wo mit Franz Bussi, war das also einzeln, ich glaube, das war mit Franz da, ja.“ თუმცა მისალმებისას გვხვდება მაღალფარდოვანი სიტყვა verehrt: „meine sehr verehrten Damen und Herren!“ წამყვანი ეხება როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკას და შესაბამის ლექსიკას ურთავს საუბარში: მაგალთად, Koalition.

შმიდტი საუბრობს კარგ განწყობაზე სტუდიაში და არა მარტო იქ, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაწყებამდე რაღაცას ასხურებენ, რადგან გენის გამო სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. hier-ის გამეორება ტოტალურ კარგ განწყობაზე მიუთითებს.

„Ja, die Laune ist großartig hier, nicht nur hier, gut, wir geben bisschen immer was, bevor es losgeht, ja, wir sprühen das hier, weil mit der Gene und so weiter muss man bisschen vorsichtig sein.“

შმიდტი გამეორებებს ხშირად მიმართავს, რათა ემოცია მაყურებლებში კიდევ უფრო გაამძაფროს: „wie sie eben diese Noten geschenkt hat, diese Mozartnote, sie war locker, sie war gelöst.“

მოდერატორი განწყობის თემას აგრძელებს და დიდ კოალიციაში კარგ განწყობაზე მიუთითებს. ამ ქვეტექსტის გაგება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუკი პოპ-ვარსკვლავ ბოლენისა და მოდელ კიუსტერის ურთიერთობის შესახებ ვიცით. ეს წყვილი 2006 წელს დაშორდა. შმიდტის ირონია ამ ფონური ცოდნის საშუალებით გასაგები ხდება. მერკელსა და მიუნთეფერინგს ისე კარგად ესმით ერთმანეთის, როგორც დიტოს და ესტეფანიას: „Merkel und Müntefering verstehen sich so toll, innerhalb des Kabinetts nennt man sie nur Dito and Estefania.“

რაც შეეხება სექსის თემას, მოდერატორი აქაც მიმართავს გამეორებებს. შემდეგი სიტყვები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ამ მონათხრობში: Thema, Frauen, Männer, Erinnerung, Gefühle, Gehirn, Sex, Sekunden.

შმიდტი გადაცემაში ნამდვილ შოუს აწყობს. ვიდრე სტუმრებს მიესალმება, სამჯერ ყფს. გვაქვს რამდენიმე ადრესატზე (როგორც სტუდიის პუბლიკაზე, ისე ტელემყურებლებზე) ექსპლიციტური მიმართვა (1-3). მოდერატორი აქტუალურ თემებს ეხება. მისი ყურადღების ცენტრში ხვდება დღის თემების წამყვანი ვიკარტი, რომელიც ახალ ამბებში თავის კარიერას ასრულებს (4-5). შმიდტი აღნიშნავს, რომ გადაცემას აკეთებენ ყველასთვის, დანგრეული ოჯახისათვისაც, მაგრამ ეს გამოცემა განსაკუთრებით საინტერესოა სამი ნიშნით გამორჩეული მაყურებლისათვის. ერთ-ერთია ძაღლის სიყვარული, რასაც ის ნარკოტიკს ადარებს (6-7). მოდერატორი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყიდვის კარგ განწყობაზე მიუთითებს და სვამს

რიტორიკულ კითხვას, რომელსაც თავად სცემს პასუხს. ეს განწყობა მუდამ იყო, მაგრამ ფული აკლდათ (8-10). ანგელა მერკელის ხსენებისას შმიდტი ხელზე დაიხედავს, რითაც ყოველდღიური ტოქშოუების პაროდიზირებას აკეთებს. ის ეხება კანცლერის სტუმრობას რომის პაპთან, რომელსაც თავისი სახელმწიფოს მეთაურად თვლის. ანგელა მერკელი მას ასე ბედნიერი არ უნახავს მას შემდეგ, რაც გერმანიამ პოლონეთს ფეხბურთში 1:0 მოუგო და ბეკენბაუერი გადაკოცნა. რომის პაპისთვისაც ეს საოცარი შეხვედრა იყო, რადგან სამი საეკლესიო პრობლემა წარმოჩინდა საუბარში: ქალი, პროტესტანტი და აღმოსავლეთ გერმანელი. შემდეგ განიხილავს მიუნტეფერინგისა და მერკელის ურთიერთობას (11-15). შმიდტი ასევე ეხება სექსის თემას და ქალებსა და მამაკაცებს ადარებს ამ მხრივ. აქ აღსანიშნავია მეტაფორა, ევფემიზმი Theke (დახლი), რომელსაც, ცალკე აღებულს, არავითარი დამატებითი კონოტაცია არა აქვს, მაგრამ ამ კონტექსტში სტილისტურად მარკირებულია (16-20).

2) სინტაქსი

გვხვდება როგორც მარტივი წინადადებები, ელიფსები, გამეორებები, ისე ჰიპოტაქსური და პარატაქსული სიტყვათწყობა. დასაწყისში წარმოდგენილია ელიფსური მისაღმება და მიმართვა. ყიდვის განწყობაზე საუბრისას წამყვანი რიტორიკულ შეკითხვას იყენებს: „Aber die Kaufleute ist so toll in Deutschland, haben Sie auch festgestellt?“ ტონალური კითხვითი სიგნალით წამყვანი თიქტოსდა თავის ნათქვამს ამტკიცებს და თანხმობას მოელის პუბლიკისგან: „Für den Papst war's auch toll, denn eine Frau, Protestantin und Ostdeutsche, das sind drei kirchliche Problemgruppen in einem Gespräch, ja?“ სექსის თემაზე გადასვლისას ის ელიფსურ წინადადებას მიმართავს: „Und nun zum Thema Sex.“

სტილისტური ფიგურით გამეორებით მოდერატორი ეფექტს აძლიერებს. წამყვანი პარალელური სინტაქსური კონსტრუქციით - „wenn“ კავშირიანი წინადადებებით ახასიათებს მაყურებლებს, რომლებსაც მისი გადაცემა მოეწონებათ: „aber heute haben Sie besonders großen Spaß an unserer Sendung, wenn Sie Tatortfan sind, wenn Sie aus Münster kommen und wenn Sie Hunde fast so gern haben wie Drogen.“ მერკელის ემოციურ მდგომარეობაზე საუბრისას წამყვანი იმავე ხერხს მიმართავს: „sie war locker, sie war gelöst.“

3) პროსოდიული საშუალებები

დასაწყისში ტემპი ნელია, რაც მედიალური გარემოთი, კერძოდ, მაყურებლების აპლოდისმენტებითაა განპირობებული. მე-4 წინადადებიდან ის იმატებს.

წამყვანი მახვილებით გამოყოფს მისთვის მნიშვნელოვან სიტყვებს. მაგალითად, Kauflaune, nun. გამოვყოფდი რიტორიკულ და ტონალურ შეკითხვებს (9,13), რომლებიც მონოლოგის ინტერაქციულ ხასიათზე აკეთებენ მინიშნებას.

შმიდტი საშუალო და მაღალი სიძლიერით საუბრობს. ხაზს უსვამს, რომ საინფორმაციოს წამყვანი ბოლოს წინა გამოშვებას უძღვება. მოდერატორი ხმას უწევს, როცა მნიშვნელოვან სიტყვებზე აკეთებს მახვილს და ბოლოს აცხადებს ბენდს, რომელიც გადაცემას აფორმებს. ამით ტოქშოუს მეორე ნაწილზე გადასვლის მარკირება ხდება.

მონოლოგი მაყურებლებთან ინტერაქციაში აიგება, რადგან ისინი წამყვანის ხუმრობებზე იცინიან. ხანდახან თავისი ხუმრობების შემდეგ თვითონაც იცინის (7, 15, 19). მოდერატორი ამბობს, რომ პუბლიკა დიდი ხანი ელოდა სექსის თემას და აკეთებს პაუზას იმის მოლოდინით, რომ პუბლიკა გაიცინებს, მაგრამ ეს არ ხდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გადაცემაში პუბლიკის რეაგირება ბუნებრივია და მის მანიპულირებას ხელოვნურად არ ცდილობენ.

ფუნქციური აღწერა

მონოლოგში შმიდტი სხვადასხვა თემებს განიხილავს: მედიის კრიტიკას, აქტუალურ პოლიტიკურ თემებს და ა.შ. ყოველკვირეული დეტექტიური სერიალი „Tatort“ უამრავ გერმანელს იზიდავს ტელეეკრანებთან, ამიტომაც მოდერატორი ერთ სერიას არჩევს. წამყვანი იყენებს არაოფიციალურ იუმორისტულ სტილს, რომელიც მიმართულია პუბლიკის გართობაზე. ის აიგება სხვადასხვა კომპონენტით: ლექსიკით, სინტაქსითა და პროსოდიული საშუალებებით. რადგანაც ეს იუმორისტული შოუა, შმიდტი ყველანაირად ცდილობს, მაყურებელი გააცინოს, რასაც 10ჯერ ახერხებს. პუბლიკა თავისი რეაქციით მონოლოგის აქტიური მონაწილეა და შეიძლება ითქვას, რომ მოდერატორსა და მაყურებლებს შორის არავერბალური ინტერაქცია მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ 3ჯერ თავის ხუმრობებზე თავადაც

გულიანად იცინის. მოდერატორი ჟესტებსა და მიმიკას მიმართავს, ცდილობს ნამდვილი შოუ დადგას. ის მხოლოდ ერთხელ იყენებს დისკურსის მარკერს: ääh.

გერმანული ტოქშოუების დასაწყისი ტექსტების ანალიზისას ირკვევა, რომ მათში მხოლოდ ერთი კონსტიტუციური ელემენტია: **მისალმება**. მაყურებლებსა და სტუდიის პუბლიკას ყველა წამყვანი ესალმება. ამ გადაცემებისათვის სტუდიის პუბლიკა აუცილებელი ატრიბუტია. აქვე მინდა განვასხვავო თემასა და პიროვნებაზე ორიენტირებული გადაცემები. თემაზე ორიენტირებულ გადაცემებში თემის ინდუქციური ან დედუქციური შეტანა ხდება, რასაც მეორეგან (გვიანი ღამის შოუ) ადგილი არა აქვს.

გერმანული ტოქშოუს დასაწყისი ფაზის სხვა სტრუქტურული ელემენტები

მიმართვა მაყურებლისადმი, სტუდიის პუბლიკისადმი (3x); თემის დასახელება (2x); სტუმრების წარდგენა (2x) (სახელი, პროფესიის დასახელება, საზოგადოებრივი პოზიცია, პარტიული კუთვნილება, ინფორმაცია სტუმართან მიმართებაში, თემისთვის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური მხარე); სტუდიის სტუმრების მისალმება (2x); სტუდიის სტუმრების პოზიციების მოკლე რეზიუმე / თემასთან სავარაუდო მიმართების პრეზენტაცია (2x); სტუდიის სტუმრების არავერბალური რეაქცია მათი დამოკიდებულების წარდგენისას (თავის დაქნევა და გაქნევა, წარბების აწევა) (2x); მადლობა სტუდიის პუბლიკას (აპლოდისმენტებისათვის) (ვერბალურად/არავერბალურად) (2x); მადლობა წამყვანს (სტუდიის სტუმრებისაგან) (ვერბალურად/არავერბალურად: ბაგეების მოძრაობა) (სქ); სტუდიის სტუმრების მხრიდან უკუმისალმება (ვერბალურად/არავერბალურად) (სქ); მაყურებლის მოწოდება ინტერაქციული დისკუსიისაკენ ინტერნეტში, რასაც თან ახლავს სხეულის პოზიციის შეცვლა (წინ გადაწევა), ჟესტები (ხელის მოძრაობა) (სქ); სტუდიის პუბლიკისადმი ირიბი მიმართვა (სქ); გადაცემის განსაზღვრა (დროის მიხედვით, წამყვანის დასახელება) (ასისტენტი) (ბმ); თემის შესახებ ინფორმაცია / ვიდეოს კომენტარი (სქ).

2.1.1.1.2 ქართული ტოქშოუს დასაწყისი

„პოლიტიკური კვირა“: „დაპირისპირებების კვირა“

1. 1.01 სადამო მშვიდობისა.↓
2. 1.02 მოგესალმებით ყველას, ვინც გვიყურებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ.↓
3. 1.05 უკიდურესათ დამაბული კვირის ბოლოს „პოლიტიკური კვირა“ გთავაზობთ მთავარი თემების განხილვას იმ ადამიანებთან ერთად, ვინც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ქმნის.↓
4. 1.13 დაპირისპირებები, შეთავაზებები, აქციები, შეხლა-შემოხლა, დაპატიმრებები და ურთიერთბრალდებები.↓
5. 1.19 ამერიკის შეერთებული შტატები გმობს საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიერ (+) პარლამენტის წევრებსა და თავმჯდომარეზე მიტანილ იერიშს.↓
6. 1.26 ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება საპროტესტო აქციის ლიდერთა ადრინდელ განცხადებებს, რომელშიც გამოთქმული იყო მოწოდება არაძალადობრივი მოქმედებებისკენ.↓
7. 1.34 ხსენებულმა თავდასხმებმა ხელი შეუშალა ოფიციალური პირების საქმიანობას და გადაკვეთა ხაზი, რომელიც აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კრიმინალურ ქმედებას შორის არის გავლებული.↓
8. 1.45 ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს მთავრობასა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს დაუყოვნებლივ განაახლონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები და დიალოგი, ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.↓
9. 1.57 რას უპაზუხებენ ამ განცხადებას ოპოზიციის ლიდერები?↓
10. 2.00 დღეს გადაცემაში სახელწოდებით „დაპირისპირების კვირა“ წარმოგიდგენთ. ↓ ფილმი
11. 4.34 (სტუდიაში) მაშ ასე, „დაპირისპირების კვირა“.↓
12. 4.37 დღევანდელ გადაცემაში ერთმანეთის თანმიმდევრობით წარმოგიდგენთ „ალიანსის საქართველოსთვის“ ლიდერს ირაკლი ალასანიას, ლეიბორისტების ლიდერს შალვა ნათელაშვილს, „დემოკრატიული

მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს და უმრავლესობის ლიდერს პეტრე ცისკარიშვილს.↓

13. 4.50 აქვს თუ არა მტკიცებულებები ხელისუფლებას ბურჯანაძის წინააღმდეგ მის კრიმინალურ ფულთან კავშირში, →

14. 4.55 ამაზე გადაცემის მეორე ნაწილში, (გადასვლა) მანამდე კი მძიმე პოლიტიკური კვირის ბოლოს სტუდიაში ვთხოვ ჩვენი გადაცემის პირველ სტუმარს ირაკლი ალასანიას.↓

15. 5.01 იგი დღეს პირველად ისაუბრებს საკუთარი პარტიის შესახებ.↓

1. ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტექსტში გვხვდება ნეგატიური ლექსიკა: გმობს, დაპირისპირებები, აქციები, შეხლა-შემოხლა, დაპატიმრებები, ურთიერთბრალდებები, ეწინააღმდეგება ადრინდელ ქმედებებს, კრიმინალური ქმედება, საპროტესტო აქცია, მიტანილი იერიში, მძიმე პოლიტიკური კვირა. პოლიტიკური ლექსიკა ფონად გასდევს მონოლოგს: საპროტესტო აქცია, პარლამენტი, ლიდერი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები და დიალოგი, ოპოზიციის ლიდერები. საინტერესოაა წარმოდგენილი ხატოვანი გამოთქმები: პოლიტიკური ამინდის შექმნა, იერიშის მიტანა, ხაზის გადაკვეთა, რომელიც გავლებულია. სიტყვის ბოლოს დ-ს ნაცვლად გვხვდება თ: უკიდურესათ.

2) სინტაქსი

გადაცემის დასაწყისი მთლიანობაში 15 წინადადებისაგან შედგება. ეს ტექსტი ორ ნაწილად იყოფა. მეათე წინადადების შემდეგ მოკლე თრილერს აჩვენებენ კვირის მთავარი გმირებით. ელიფსური წინადადება, რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელების ჩამონათვალით, მძაფრად გვისურათებს პოლიტიკურ რეალობას: „დაპირისპირებები, შეთავაზებები, აქციები, შეხლა-შემოხლა, დაპატიმრებები და ურთიერთბრალდებები.“ ერთადერთი რიტორიკული შეკითხვა ზრდის მაცურებლის მოლოდინს გადაცემის მსვლელობისადმი: რას უპაზუხებენ ამ განცხადებას ოპოზიციის ლიდერები? ძირითადად გვხვდება შერწყმული და რთული წინადადებები, რაც სიტუაციის კომპლექსურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

3) პროსოდიული საშუალებები

წამყვანი ერთი ამოსუნთქვით და ჩქარი ტემპით წარმოადგენს შესავალ მონოლოგს, თითქოს სურს, რაც შეიძლება მალე დაასრულოს მონოლოგი. ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი ექსტრალინგვისტური ფაქტორი მედიალური დროის შეზღუდვაა.

მოდერატორი მნიშვნელოვან ადგილებს ტექსტში მახვილების საშუალებით უკეთებს მარკირებას, რითაც მაყურებლის ყურადღებას ამახვილებს: უკიდურესათ დამაბული კვირის ბოლოს, მთავარი თემების განხილვას, პოლიტიკურ ამინდს ქმნის, არაძალადობრივი მოქმედებებისკენ და სხვ.

ბგერის სიძლიერე: გრიგოლია წარმოადგენილ წამყვანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხმით მოსაუბრეა.

ფუნქციური აღწერა

წამყვანის მეტყველების სტილი მძაფრი, ექსპრესიული და შეურიგებელია, თითქოს ვერბალური ბრძოლისთვის ემზადება. მისალმება მიმართულია ტელემაყურებლებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ: „მოგესალმებით ყველას, ვინც გვიყურებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ.“ ეს მისალმება გერმანული ლინგვოკულტურისათვის არასპეციფიკურია. მოდერატორის ტექსტს ეკრანის მეორე ნახევარში განავრცობს ვიდეოკოლაჟი კვირის მოვლენების შესახებ და საერთო სტილს კიდევ უფრო ამწვავებს.

„პოზიცია“: „დიალოგის ზღვარზე“

1. 0.07 საღამო მშვიდობისა. ↓
2. 0.08 ქუჩა თუ დიალოგი? ↓
3. 0.09 ოპოზიცია არჩევანის წინაშე დგას. ↓
4. 0.11 ვინ რა გზას აირჩევს? ↓ ((თავის დაწვეა))
5. 0.12 მოისმინეთ ოპოზიციის და ხელისუფლების პოზიციები დღეს ამ

სტუდიაში. ↓ ((თავის დაწვეა)) 0.16 (ვიდეოკოლაჟი)

6. 2.56 მაშ ასე, ჩვენ პირდაპირ ეთერში ვართ (გადასვლა) და მე ეხლა წარმოგიდგენთ ჩვენი გადაცემის პირველ სტუმარს „ალიანსის საქართველოსთვის“ ლიდერს ირაკლი ალასანიას. ↓3.02

1. ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტოქშოუს „პოზიციის“ დასაწყისში ნეიტრალური ლექსიკაა. აქაც გვხვდება პოლიტიკური ლექსიკური ერთეულები: ოპოზიცია, პოზიციები. მაშ - შემაჯამებელი ნაწილაკია და საუბრის შემდგომ ნაწილზე გადასვლას მიანიშნებს.

2. სინტაქსი:

ტექსტი ექვსი წინადადებისაგან შედგება და ყველაზე მცირე მოცულობის დასაწყისს წარმოადგენს. ელიფსური წინადადება (2) ხაზს უსვამს ოპოზიციის არჩევანის შესაძლებლობას. რიტორიკული შეკითხვა: „ვინ რა გზას აირჩევს?“ გადაცემის მთავარი კითხვაა და ეს ღიაობა მოწვეულმა სტუმრებმა უნდა შეავსონ. მარტივი წინადადებების გვერდით ერთი შერწყმული და ერთი რთული წინადადება მოიპოვება (5, 6). მთლიანობაში წინადადებები ძალზედ მოკლეა.

(3) პროსოდიული საშუალებები

მოდერატორი სწრაფ ტემპში წარმოთქვამს ფრაზებს, თუმცა მეოთხე წინადადებაში ეს რითმი ირღვევა და ნელი ხდება, რითაც ხაზი ესმება სიტუაციის სერიოზულობას. ყველა ფრაზის ბოლოს დადმავალი ინტონაციაა. შუბლაძე შემდეგ სიტყვებს გამოყოფს: არჩევანი, ვინ რა გზას აირჩევს? პოზიციები დღეს ამ სტუდიაში. წამყვანი საშუალო ტონალობაში საუბრობს.

ფუნქციური აღწერა

მოდერატორს არჩეული აქვს საქმიანი სტილი და ცდილობს რაც შეიძლება მინიმალისტურად წარმოადგინოს საუბრის თემა ნეიტრალური და მიუკერძოებელი არბიტრის სახით, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, სურვილით, მალე დაიწყოს საუბარი გადაცემის პირველ სტუმართან, მეორე მხრივ, გადაცემის თრილერში წარმოდგენილია ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციები.

პროფილი: „პროფესია ცოლი“

1. ((აპლოდისმენტები სადამო მშვიდობისა!↓
2. 0.03 წლების წინ, როცა ცხოვრებას ვიწყებდი, ჩემთვის რომ ვინმეს ეთქვა, გაივლის დრო)) და შენ სრულიად უცხო ქვეყანაში ყველაზე ცნობილი ქალი გახდები, წინ დიდი აღიარება და დიდი ტკივილი გელოდება, რომ შენი ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა მთლიანად შეცვლის შენი

და კიდევ შენგან ძალიან შორს მაღალ მთებში მცხოვრები ერთი მუჭა ხალხის ბედს, გამეცინებოდა და ვეტყოდი, მე ამის არ მჯერა.↓

3. 0.26 ეს ერთი ჩვეულებრივი ქალის სიტყვებია, ეს ჩეჩნეთში ყველაზე ცნობილი ქვრივის ამბავია, ეს ცოლის ისტორიაა, იჩქერიის ეროვნული გმირის ქვრივის და დღევანდელი პროფილიც ცოლებზეა, როცა ცოლობა ცალკე პროფესიაა.↓
4. 0.40 ((გადასვლა)) მაშ ასე, გთხოვთ, მივესალმოთ, სპეციალურათ დღევანდელ პროფილში მონაწილეობის მისაღებად ჩვენთან ჯოხარ დუდაევის მეუღლე მოვიდა.↓
5. 0.48 მოვიდა იმისთვის, რომ გვიამბოს, როგორ იქცა ერთი ჩვეულებრივი რუსი გოგონა ვალენტინა კულიკოვა თავდადების და ერთგულების სიმბოლოდ.↓

1. ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

გადაცემის დასაწყისი წარმოადგენს პირველი სტუმრის წარდგენას, რომელიც ჰეროიკულად ჟღერს. ამას შესაბამისი ლექსიკა უწყობს ხელს: დიდი აღიარება და დიდი ტკივილი, ეროვნული გმირი, მთლიანად შეცვლის ერთი მუჭა ხალხის ბედს, თავდადების და ერთგულების სიმბოლოდ. სინონიმური სიტყვების ჯაჭვი საინტერესოს ხდის გამონათქვამს: სიტყვები - ისტორია - ამბავი. ერთი მუჭა სასაუბრო მეტყველების გამოთქმაა და ხატოვნად ახასიათებს მეზობელი კავკასიური რესპუბლიკის სიტუაციას. დ-ს გადასვლა თ-ში ასევე სასაუბრო მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი: სპეციალურათ. შემაჯამებელი ნაწილაკი „მაშ“ საუბრის მომდევნო ნაწილზე გადასვლას უკეთებს მარკირებას.

(2) სინტაქსი

გვხვდება როგორც მარტივი, ისე რთული წინადადებები. მეორე და მესამე ფრაზა განსაკუთრებული სიგრძით გამოირჩევა. წინადადებების გამეორებით მოდერატორი სტუმარს ეფექტურად წარადგენს: „ეს ერთი ჩვეულებრივი ქალის სიტყვებია, ეს ჩეჩნეთში ყველაზე ცნობილი ქვრივის ამბავია, ეს ცოლის ისტორიაა, იჩქერიის ეროვნული გმირის ქვრივის და დღევანდელი პროფილიც ცოლებზეა, როცა ცოლობა ცალკე პროფესიაა“.

(3) პროსოდიული საშუალებები

ასათინი ნელი ტემპით მეტყველებს. თემის სათაურს კიდევ უფრო ნელა წარმოთქვამს.

ფრაზების ბოლოს ყველგან დადმავალი ინტონაციაა. მოდერატორი მნიშვნელოვან სიტყვებს ხმის აწევით გამოყოფს: ყველაზე ცნობილი ქალი, დიდი აღიარება და დიდი ტკივილი, ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა, ერთი მუჭა ხალხის ბედს და სხვ.

წამყვანი დაბალი ტონალობით საუბრობს.

ფუნქციური აღწერა

ასათიანის მეტყველების სტილი ძალზედ მშვიდი და გაწონასწორებულია. წამყვანი არავერბალურ საშუალებებს იშვიათად მიმართავს: წარბებს წევს (ერთი მუჭა ხალხის ბედს, ეს ჩეჩნეთში ყველაზე ცნობილი ქვრივის ამბავია), თავს გვერდზე აქნევს (მე ამის არ მჯერა). ეს მოქმედებები ვერბალურ კონტექსტს განავრცობს. ძირითადი აქცენტი ხმაზეა გაკეთებული, რომელიც სასიამოვნოდ ჟღერს და მაყურებელს დადებითად განაწყობს საინტერესო ისტორიის მოსასმენად. მოდერატორის ინტერაქცია მაყურებელთან მიმართულია იქეთკენ, რომ დაავიწყოს ყოველდღიური პრობლემები და სასიამოვნო გართობა შესთავაზოს. გერმანელი კოლეგისგან განსხვავებით ქართველი წამყვანი გადაცემას თემის შესახებ ინდივიდუალური ისტორიით იწყებს.

„ვანო ჯავახიშვილის შოუ“

1. 0.12 ((ყვირილი, აპლოდისმენტები)) საკნებიდან მოვდივარ ეხლა, მშვიდობა არის, სიწყნარეა, წყნარად გამოხატავენ პროტესტს და ცხვირს იფხანს ხალხი.↓ უუ ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.09
2. 0.23 ძალიან კარგად არი ყველაფერი, ძან კარგად, არანაირი პრობლემა არ არი, ვახ, რა მოიტანა ჩემი.↓ ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.12
3. 0.35 ხო, რა მოიტანა კი არა, რა მოგვიტანა ამ მთავრობამ, რა ქვია, ცუდის მეტი?↓ არაფერი.↓ კაი ცივი საზამთრო გაასწორებდა ახლა ჩემი.↓ ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.12
4. 0.47 მოგესალმებათ აა ვანო ჯავახიშვილის შოუ. ↓ 0.02

5. 0.49 ყველამ ნახეთ ეთერში, ააა როგორ იკეთებდნენ წამალს აა საკანში მომიტინგეები და ნუ უუუ წარმოიდგინეთ ეხლა, ეს ყველაფერი ხდება პირველი არხის წინ, პირველი არხის წინ, მართლაც უნდა გადადგეს ლევან ყუბანიშვილი, უნდა გადადგეს ლევან ყუბანიშვილი და დაინიშნოს კომპეტენტური გოგა ხაინდრავა, ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) უნდა დაინიშნოს ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)). ↓ 0.23
6. 1.12 რას ერჩიან ამ ყუბანიშვილს, მე ვერ გავიგე რა, რას ერჩიან? ↓ 0.04
7. 1.16 რატო უნდა გადადგეს ერთი ეს ყუბანიშვილი, რესტორნებში ეგ არ დადის და მასაჟისტი მაგას არ ჩამოყავს უცხოეთიდან ((სიცილი, აპლოდისმენტები)) და რატო უნდა გადადგეს, მე, მე არ მესმის. ↓ 0.08
8. 1.24 თუ მაგრები ხართ, ეგრე სააკაშვილი გადააყენეთ, უუ უუუ თუ შეგიძლიათ გადააყენეთ, არაობიექტურათ რო აშუქებთ ა მოვლენებს, გადააყენეთ, თუ აა რომელი, თუ რაღაც იყო, ნუ, ხო გითხარით, საკნებიდან მოვდივარ-მეთქი, ხო გითხარით ეეე ე. ↓ ((სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.16
9. 1.40 უუ მოკლედ პირველ არხთან დგანან და წამალს ხარშავენ, ეე ე.ი. ე ა თან პირველი არხის დირექტორის გადადგომას, იიი შეცვლას ითხოვენ და ესენი რო მოვიდნენ ეხლა ხელისუფლებაში, ესენი რო მოვიდეს, ეს ხალხი, ხო, პირველ არხზე ძალიან კარგი გადაცემები გავა, მაგალითად, კაბარე 5 ბარიგა, ((სიცილი)) ძალიან კარგი გადაცემაა, მე მიყვარს ბაიანი, კარგია, ((სიცილი)) ერისთავის ზახოდი ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) და რუსული საინფორმაციო გამოშვება პრიხოდი ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) არის ძალიან კარგი გადაცემა, ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) ძალიან კარგი. ↓ 0.34
10. 2.14 ამ ფაქტს საინტერესო რეაქცია მოყვა ე რეგიონებში, თუ შეიძლება ვიდეო ვნახოთ. ↓ (ვიდეო)
11. 3.09 საქართველოს ბეისბოლის, ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტმა ბადრი ბიწაძემ ეეე ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) თავის

- მხარდამჭერებს ეე ბეისბოლის ბიტები დაურიგა.↓ 0.14
12. 3.23 აბა, რა ექნა ეხლა ამ კაცს, რა ექნა, რა გაეკეთებინა? ↓ 0.03
13. 3.26 იძულებული გახდა ეს ყველაფერი გაეკეთებინა, იმიტომ რო
კალაშნიკოვი რაც ჰქონდა, წაართვით და ((ყვირილი, სიცილი,
აპლოდისმენტები)) ე ბეის ბეისბოლის ბიტები აღარ, აღარ იყო
საჭირო?↑ 0.08
14. 3.34 არ იყო?↑ იყო.↓ ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.03
15. 3.37 ნინო ბურჯანაძეს ჰკითხეს ჟურნალისტებმა, რო რატო აა დაურიგეთო
ბეისბოლის ჯოხებით მოსახლეობასო, რატო დაურიგეთო.↓ 0.06
16. 3.43 ეგო, გენაცვალე, ჯოხები არ იყო, არ იყო ჯოხე, ეგ ჯოხები კი არა,
დროშის ტარები იყო. ↓ 0.06
17. 3.49 მერე უთხრეს, რო თქვენი მხარდამჭერებო საკანში ბაიანით წამალს
იკეთებდნენო და რატო, რატო.↓ 0.05
18. 3.54 როგორ გეკადრებათ, გენაცვალეო, ეს ბაიანი კი არა, ჯოხის ტარები იყო,
დროშისო, დროშის ტარები იყო. ↓ 0.07
19. 4.01 მერე ვიღაცამ გაიარა და, ქალბატონო ნინო, როგორა ხართ, რა ლამაზი
საყურე გიკეთიათო და ეს საყურე კი არ არისო, გენაცვალეო, ეს არის
დროშის ტარებიო. ↓((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.08
20. 4.09 ამაზეც ესეთი ის ჰქონდა. 0.01
21. 4.10 ააა ჟურნალისტებმა ინტერვიუ, ინტერვიუ აიღეს ედუარდ
შევარდნაძისგან, აა რომელმაც ეს ხელისუფლება გააკრიტიკა. ეს რა, ეს რა
არისო, კაცო, რა, რა უბედურებააო, რა ცუდი მთავრობა არისო ესო,
შევარდნაძე იმახის რა და საერთოდო რა გვჭირსო ეს ბოლო წლებიო, კაცო,
ეს მთავრობა ხო არ ვარგა, არ ვარგაო და ამის წინა მთავრობა მთლათ
უარესი იყო, ((სიცილი, აპლოდისმენტები)) ვინ, ვინც იყვნენ მანდ ხელ
ხელმძღვანელობაშიო, მე არ მახსოვს, ვინ იყო.↓ 0.22
22. 4.32 ააა რუსთაველზე რამდენიმე კვირაა გრძელდება აქციები და
დაულაგებლობის გამო საშინელი ანტისანიტარიაა, აქამდე ა ტუალეტებიც
არ ქონდათ, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობენ, სამაგიეროდ

მტკვარი არი კამკამა, ((სიცილი, აპლოდისმენტები)) კამკამა მტკვარი არის, დაინახავ ყველაფერს შიგნით.↓ 0.18 ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები))

23. 4.50 ოპოზიციამ ა კანალიზაციის ჭებს ახადა სახურავები და ზედ მოაწყვეს ტუალეტები.↓ 0.05
24. 4.55 მე, მაგალითად, ესეთ ტუალეტში ვერ შევიდოდი ვერასოდეს ეხლა, ვერ შევიდოდი, აი, იმიტო რო უხერხულია ეხლა, ტუალეტში რო ხარ და ქვემოდან ტელეფონის მანტიორი რო გიყრუებს, მაინც უხერხული მომენტი არი, ეეე. ↓ 5.06 ((სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.11
25. 5.11 არ არი კარგი ეხლა. ↓ 0.03
26. 5.14 ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს საპროტესტო აქციები და პოლიციელები არბევენ მომიტინგეებს. ↓ 0.05
27. 5.19 ნუ, ეს ხდება ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, თურქეთში, ჩვენთან კიდე აქციები მიმდინარეობს მშვიდად და დემოკრატიულად, მშვიდად და დემოკრატიულად. გზებს კეტავენ, ნუ, ჭებს ტუალეტებს ადგავენ ზემოდან, ნაგავი მიაქვთ, მოკლედ, როდის მოვა ევროპა ჩვენ დონემდე, ((სიცილი, აპლოდისმენტები)) აი, ეს არ ვიცი. აი, როდის მოვა ევროპა.↓ ხო↓ 0.23
28. 5.42 რესპუბლიკური პარტიის ა ყვარლის რაიონის მსუქანმა ხელმძღვანელმა ((სიცილი, აპლოდისმენტები)) განაცხადა, რომ ნაციონალებმა მცემეს და მანქანა დამიწვესო. პოლიციამ გამოიძია და ჰკითხა, დაგიწვეს თუ შენ თვითონ დაწვიო. მერე ახლა ამ კაცი, ეს კაცი დაფიქრდა და რო უი, უი, უიო, ხო, ხო, ხო ეხლა გამახსენდა, მგონი, მე დავწვიო ((სიცილი, აპლოდისმენტები)). მგონი, მე დავწვიო. მოკლედ, ამ კაცმა ჯერ მანქანა დაწვა და ეხლა კიდე ცხიმებს დაწვავს ციხეში ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) ეეე მშვენივრათ.↓ 0.35
29. 6.17 ახალი კანონის თანახმად, დღეიდან, დღეიდან რესტორნებში და ბარებში იკრძალება სიგარეტის მოწევა. ნუ, ეს კანონი პარლამენტმა დაამტკიცა აა პალიკო კუბლაშვილის სარდაფში. ↓ ((ყვირილი, სიცილი,

აპლოდისმენტები)) 0.14

30. 6.31 რა ექნათ? რა ექნათ? ((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები))

გეკითხებით, აი, რა ექნათ? ↓ 0.07

31. 6.38 ეს კანონი ძალიან ეწყინათ ააა თბილისელ გოგონებს, რაღა გვინდა

რესტორნებში და ბარებშიო, მაგის გულისთვის დავდიოდითო და წყალს, გენაცვალე, სახლშიც კი ვსვამთო, ((სიცილი, აპლოდისმენტები)) ხო, სახლშიც კი ვსვამთო. ↓ 0.11

32. 6.49 აა საქართველოს პროდიუსერი ესტუმრა შიდა ქართლს, ქართლის

სოფლებს და ხეხილის ბაღებში გლეხებს გაესაუბრა. თუ შეიძლება ეს ვიდეო ვნახოთ. 6.57 (ვიდეო) 0.08

33. 7.08 ა შეხედეთ ეხლა, აბა, რა ექნა გენაცვალე? ს იგი სადაც თბილისში სადაც

დაჯდა, მიუვარდით და ეხლა მშვენივრად ჩასულია ეხლა იქ ხალხი ((გაუგებარია)) ((აპლოდისმენტები ამ გლეხებმა დაპატიყეს, ამათ დაპატიყეს, რას ერჩით ეხლა თქვენ იმ კაცს.↓)) 0.15

34. 7.23 ძალიან საინტერესო ფაქტი, ძალიან საინტერესო ფაქტი მინდა

გითხრათ: ↓0.06

35. 7.29 უუ შალვა ნათელაშვილზე ((სიცილი)) (+) განხორციელდა ტერორის-

ტული აქტი, ((სიცილი)) შალვა ნათელაშვილზე, ხალხო, მეგობრებო, დაი დაიმახსოვრეთ, შალვა ნათელაშვილზე განხორციელდა ტერორისტული აქტი. ↓ 0.17

36. 7.46 ეს ფაქტი გიორგი გუგავამ გვამცნო ბრი ბრიფინგზე, გვამცნო, კინალამ

დავიღუპეთო, კაცმა თქვა, კინალამ დავიღუპეთო. ↓ 0.08

37. 7.54 ნუ, ბრიფინგის მოწყობა თავიდან ეხლა შალვასაც უნდოდა, მაგრამ მერე

გიორგის უთხრა, იქნება აა შენ თქვაო, თორე მე გამეცინებაო, ხო იცი ახლა შენ ჩემი ამბავიო. ↓((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 0.09

38. 8.03 ჩვენს შოუს მუსიკალურად აფორმებს ბენდი გირშელ ჯავახიშვილის

ხელმძღვანელობით. ↓((ყვირილი, სიცილი, აპლოდისმენტები)) 08.07 - 0.04 ხანგრძლივობა: 7.95

1. ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ჯავახიშვილი იყენებს ნარკომანებისათვის დამახასიათებელ ჟარგონს, რათა ტექსტის სტილიზირება მოახდინოს: ვახ, რა მოიტანა ჩემი./ კაი ცივი საზამთრო გაასწორებდა ახლა ჩემი./ წამალს ხარშავენ(...)/ ბარიგა/ ბაიანი/ ზახოდი/ პრიხოდი. სასაუბრო მეტყველების ლექსიკა მრავლადაა წარმოდგენილი: კაი, ვახ, გენაცვალე, ცხიმების დაწვა და სხვ.

მოდერატორი ნარკომანის როლს თამაშობს და სოციოლექტით უარყოფს და აბათილებს წინა ნათქვამს, რითაც წინააღმდეგობრივ, ირონიულ ელფერს სძენს თავის საუბარს. გადაცემებზე სახელის გადარქმევა იუმორს უფრო ხალასს და მიმზიდველს ხდის: კაბარე 5 ბარიგა, მე მიყვარს ბაიანი, ერისთავის ზახოდი, რუსული საინფორმაციო გამოშვება პრიხოდი.

ჯავახიშვილი ამბის თხრობისას სხვისი ნათქვამის ირიბად გადმოტანის ფორმას მიმართავს და ნაწილაკს ”-ო” იყენებს: „ეს ფაქტი გიორგი გუგავამ გვამცნო ბრი ბრიფინგზე, გვამცნო, კინაღამ დავიღუპეთო, კაცმა თქვა, კინაღამ დავიღუპეთო.“

2. სინტაქსი

გვხვდება როგორც მარტივი, შერწყმული, ისე ჰიპოტაქსური და პარატაქსული წინადადებები. ტექსტი, ძირითადად, თხრობითი წინადადებებისაგან შედგება, თუმცა ექსპრესიულობის გასაძლიერებლად მოდერატორი რამდენიმე რიტორიკულ კითხვას იყენებს: „აბა, რა ექნა ეხლა ამ კაცს, რა ექნა, რა გაეკეთებინა? (...) რა ექნათ? რა ექნათ? გეკითხებით, აი, რა ექნათ? (...) ა შეხედეთ ეხლა, აბა, რა ექნა, გენაცვალე?“

3. პროსოდიული საშუალებები

ჯავახიშვილი მშვიდად, მდორედ საუბრობს, მეექვსე წინადადებიდან ტემპს უმატებს, თუმცა ალაგ-ალაგ ტემპი კლებულობს. მეთორმეტე წინადადებიდან იგივე მეორდება. ოცდამეორე წინადადებიდან რითმი უფრო სწრაფი ხდება.

ფრაზების ბოლოს დადმავალი ინტონაცია გვხვდება. ჯავახიშვილი მახვილს აკეთებს იმ სიტყვებსა და ფრაზებზე, რომლებიც მას შესაბამის კონტექსტში მნიშვნელოვნად მიაჩნია: „რას ერჩიან ამ ყუბანეიშვილს (...) რას ერჩიან? რატო უნდა გადადგეს ერთი ეს ყუბანეიშვილი (...) ესენი რო მოვიდნენ ეხლა ხელისუფლებაში, ესენი რო მოვიდეს, ეს ხალხი, ხო?“ და სხვ.

ჯავახიშვილი საშუალო დონეზე საუბრობს, შმიდტზე უფრო დაბლა, თუმცა ტემპის მომატებასთან და მნიშვნელოვანი ფრაზებისა და სიტყვების წარმოთქმისას ხმას უმატებს.

ფუნქციური აღწერა

ჯავახიშვილის მეტყველების სტილი იუმორისტულია. საყურადღებოა მოდერატორის ჟესტიკა, მიმიკა: ის ახდენს ნარკომანის სტილიზაციას, თვალებს ხუჭავს, თავზე ხელს იკიდებს, არავერბალური ინფორმაციით ავრცობს და აზუსტებს ვერბალურ ტექსტს. წამყვანი ბამავს ერთ-ერთი ლეიბორისტის ქცევას ბრიფინგზე და თავს ძალზედ ენერგიულად ამოდრავებს. გერმანული ვარიანტისაგან განსხვავებით შესავალი ტექსტი მთლიანად პოლიტიკას ეხება და საკმაოდ დიდ ხანს გრძელდება, დაახლოებით 8 წუთი. აქედან გამომდინარე, ეს ყველაზე დიდი ტექსტია.

სტუდიის პუბლიკა ფორმატიდან გამომდინარე ინტერაქციაში შედის მოდერატორთან. ეს შესავალი სიტყვის სტილისტური მარკერების საშუალებით გამოიხატება (სიცილი, აპლოდისმენტები, ყვირილი). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შმიდტისაგან განსხვავებით აქ მაყურებლები არ ჩანს.

მოდერატორი სასაუბრო მეტყველების ლექსიკურ და ფონეტიკურ ელემენტებს მიმართავს: არი, რატო, ძაან, კაი და ნაწილაკებს: ხო, ნუ და ა.შ. ის ხშირად იყენებს დისკურსის მარკერს: აა, რაც ავთენტიკურობის ეფექტს ქმნის.

ჯავახიშვილი სტილისტური ფიგურის გამეორების ხშირი გამოყენებით ემოციურად წარმოადგენს აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებს. თითქმის ყველა ხუმრობა მონოლოგში მოულოდნელობის ეფექტს ემყარება, რაც სიტუაციის ირონიულობას უსვამს ხაზს. არ გვხვდება შესავალ სიტყვაში ისტორია, რომელიც არ შეიცავს გამეორებულ სიტყვას, ფრაზას ან წინადადებას. გამეორების ერთ-ერთი ფუნქციაა რთული მდგომარეობა გაადვილოს და დასამახსოვრებელი გახადოს. გამეორებული ინფორმაცია როგორც სქემა, შაბლონი უნდა ჩაჯდეს. მშვიდობას და სიწყნარეს ერთმანეთთან აიგივებს, თუმცა წყნარად პროტესტის გამოხატვას სხვა მოვლენას უკავშირებს. ამ ქვეტექსტში მინიშნებაა ნარკოტიკებზე (1). მოდერატორი რამდენიმეჯერ იმეორებს, ყველაფერი კარგადაა, თუმცა სიტუაციის კომიკურობა ნათელი ხდება, როცა მიუთითებს, რომ ნარკოტიკების მოქმედების ქვეშაა (2). ზმნის

სხვადასხვა მნიშვნელობების გამოყენებით ხატოვანი სურათი იქმნება, რომლის აბსურდულობას ნარკომანების ტიპური გამოთქმით ამტკიცებს (3). წამყვანი გამეორებებით სიტუაციის კულმინაციას აღწევს და შემდეგ საწინააღმდეგო აზრს ასაბუთებს, რითაც მოულოდნელობის ეფექტი იქმნება. გადადგომის მოთხოვნა აბრუსრდულია, რადგან წამალს მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები იკეთებენ. აქედან გამომდინარე, კომპეტენტურობის ხაზგასმა ქვეტექსტს შეიცავს (5). მოდერატორი იუმორისტული ეფექტის მისაღწევად მოვლენებს ურევს და პიროვნებებს საპირისპირო კონტექსტში იხსენიებს. ამ ქვეტექსტის გასაგებად საჭიროა პრაგმატიკულ-ფონური ცოდნის ქონა (6,7,8). ჯავახიშვილი X-ს მეტაფორულად ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტს უწოდებს, რადგან თავის მხარდამჭერებს ბეისბოლის ბიტები დაურიგა (11). ირონია უფრო მწვავედება, რადგან წამყვანი გულუბრყვილოდ აღნიშნავს, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა (12-14). ხუმრობა აიგება გამეორებებით და ერთი და იგივე პასუხით ნებისმიერ შეკითხვაზე (15-20). იგივე ეფექტი მიიღწევა გააუცხოებითა და ფაქტების დავიწყებით (21). 'კამკამა' ანკარას, გამჭვირვალესა და წმინდას ნიშნავს, ამიტომ მისი ანტისანიტარიული მდგომარეობის აღსაწერად გამოყენება სტილისტურ ეფექტს ახდენს, რასაც გამეორება აძლიერებს (22). გამეორებითა და მოულოდნელობის ეფექტით ხდება აქაც ტრაგიკომიკური სიტუაციის შექმნა (23-25). იგივე შეიძლება ითქვას ევროპასა და საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციების აღწერასა და შედარებაზეც (26-27). ამ ისტორიაში მოდერატორი პოლისემიური ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობებს იყენებს, ძირითადას და გადატანით: მანქანისა და ცხიმების დაწვა (28). მოწვევის აკრძალვის შესახებ ხუმრობის ქვეტექსტის დეკოდირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რეციპიენტს ფონური ცოდნა გააჩნია (29-30). მოულოდნელობის ეფექტითა და გამეორებითაა შექმნილი შემდგომი ხუმრობაც (31). გლეხებთან სტუმრობის ქვეტექსტის დეკოდირებისათვის ასევე ფონური ცოდნაა საჭირო (32-33). შემდგომი კონტექსტის ასაგებად წამყვანი ჟესტებსა და მიმიკას იშველიებს. ის თავს ძალზედ ძლიერ ამოდრავებს და რაც შეიძლება სერიოზულ სახეს იღებს. ქვეტექსტის გასაგებად აუცილებელია ბოლო

ფრაზა, თუმცა გარკვეული დეტალებისა და ექსტრალინგვისტური სიტუაციის ცოდნის გარეშე ამ ხუმრობის აღქმა არც ისე ადვილია (34-37).

ქართული ტოქშოუების დასაწყის ტექსტებში ერთი კონსტიტუციური ელემენტია: მისალმება. მაყურებლებსა და სტუდიის პუბლიკას ყველა მოდერატორი ესალმება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდიის პუბლიკა მხოლოდ ორ არაპოლიტიკურ ტოქშოუშია. თემაზე ორიენტირებულ გადაცემებში თემის ინდუქციური შეტანა ხდება, რაც პიროვნებაზე ორიენტირებულ ტოქშოუს (გვიანი დამის შოუს) არ ახასიათებს.

საუბრის დასაწყისის სტრუქტურული ელემენტების დეტალური ანალიზი:

სტუმრების წარდგენა (სახელი, პარტიული კუთვნილება) (3x); გადაცემის სათაურის დასახელება (პარაფრაზი) (2x); გადაცემის მეორე ნაწილში საუბრის თემის მითითება (3კ); პირველი სტუმრის მიწვევა სტუდიაში (3კ); პირველ სტუმართან საუბრის თემის მითითება (3კ); პირდაპირ ეთერზე მითითება (გადასვლა) (პოზიცია); სტუდიის პუბლიკის მოწოდება, მიესალმონ პირველ სტუმარს (პროფილი); პირველი სტუმრის მოსვლის მიზეზის მითითება (პროფილი); მადლობა სტუდიის პუბლიკას აპლოდისმენტებისთვის (არავერბალურად: თავის დაქნევა) (ვჯშ).

2.1.1.1.3 გერმანული და ქართული ტოქშოუს დასაწყისის

შეპირისპირებითი ანალიზი

გერმანული და ქართული დამის შოუს დასაწყის ნაწილებს შორის გამოიკვეთა როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ორივე მოდერატორი იუმორისტული სტილით ართობს მაყურებელს და მოტივაციას უჩენს ბოლომდე უყუროს გადაცემას. ტიპური სტილისტური მარკერები ორივე გადაცემაში გვხვდება, თუმცა რთული დასადგენია, რამდენად გულწრფელია „ვანოს შოუს“ (ვშ) სტუდიის მაყურებელი, რადგან პუბლიკა არ ჩანს. დისკურსის მარკერს შმიდტი მხოლოდ ერთხელ იყენებს, ხოლო ჯავახიშვილი ძალზედ ხშირად მიმართავს, რაც ავთენტიკურობის ეფექტს ქმნის. ქართველი მოდერატორის მონოლოგი სამჯერ აღემატება გერმანელისას. პირველი

უმეტესად პოლიტიკაზეა ორიენტირებული, მეორე სხვადასხვა თემას განიხილავს. ორივე ტოქშოუში გვხვდება სასაუბრო ლექსიკა. ჯავახიშვილი კომიკურობის გასაძლიერებლად უფრო ექსპრესიულ-ემოციურ სიტყვებსა და სოციოლექტიზმებს იყენებს. შმიდტი და ჯავახიშვილი ასევე სხვა კომპონენტებშიც განსხვავდებიან, მაგალითად, ტემპი, ხმის სიძლიერე და ა.შ. „ვანოს შოუში“ ნათქვამი ხასიათდება ორაზროვნებით, მოულოდნელობით და გულუბრყვილობით, გამეორებები ხშირია, რაც იუმორს უფრო მრავალწახნაგოვანს ხდის.

„ოლივერ გაისენის შოუ“ (ოგშ) და „პროფილი“ (პრ) გასართობი სტილის ტოქშოუებია. ის, რომ მიდგომა განსხვავებული იქნება, სათაურშივე ჩანს. პირველში საყვედური ჟღერს (ოჯახი XXL - რატომ გყავთ ამდენი შვილი?) და მეორეში ფაქტის კონსტატირება ხდება („პროფესია-ცოლი“). გერმანულისაგან განსხვავებით ქართულ გადაცემაში თემის წარდგენა უშუალოდ სტუმრის ისტორიის გადმოცემით ხდება. ტექსტის ხანგძლივობა თითქმის ერთნაირია. განსხვავებულია წამყვანების როგორც საუბრის (ტემპი, ბგერის სიძლიერე და ა.შ.), ისე ჩაცმულობის სტილი. გაისენი ამოჩაჩული ხალათით არაოფიციალურ გარემოს უსვამს ხაზს, ხოლო ასათიანს კლასიკურად აცვია.

ქრისტიანსენის სტილი პროვოკაციულობითა და რიტორიკული შეკითხვებით გამოირჩევა. ის სტუმრებს და მათ პოზიციებს თავად წარადგენს. ილნერის სტილს დიდი ემოციურობა და სიმწვავე ახასიათებს. „ბერლინ მითეში“ (ბმ) ასისტენტი ასახელებს სტუმრებს. ორივე მოდერატორი ჟესტიკულაციას მიმართავს. გრიგოლიას სტილი თავისი ექსპრესიულობითა და ტონალობით ყველასგან განსხვავებულია, შუბლამის სტილი კი - ნეიტრალური და ლაკონური. ორივე ქართულ ტოქშოუში კვირის ძირითადი აქცენტები თრილერშია წარმოდგენილი.

გერმანული და ქართული ტოქშოუს **დასაწყისი ტექსტის** კონსტიტუციური ელემენტია ენობრივი ქმედება - მისაღმება. რიტუალიზაციის მიუხედავად განსხვავებები გამოვლინდა თითოეულ ტოქშოუში. დროის ეკონომიის მიზნით დასაწყის ფაზაში სტუდიის სტუმრების ჩართულობა ძალზე შეზღუდულია. ყველაზე მეტად ისინი „საბინე ქრისტიანსენსა“ და „ბერლინ მითეში“ არიან ინტეგრირებული. განსხვავება ისიცაა, რომ ქართულ ტოქშოუებში თემას წარადგენენ ინდუქციურად და

თემის დასახელებით, ხოლო გერმანულში ასევე დედუქციურად. ფაკულტატური ელემენტებიდან გამოვარჩევ მაყურებელთა მისალმებას საქართველოსა და უცხოეთში („პოლიტიკური კვირა“), რაც კულტურულ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

2.1.1.2. გერმანული და ქართული ტოქშოუს დასასრულის შეპირისპირებითი ანალიზი

დასასრულ ფაზაში კომუნიკაციის პარტნიორები ერთობლივად ასრულებენ საუბარს. ის მოიცავს როგორც ობიექტურ, ისე ემოციურ ენობრივ ქმედებებს, როგორცაა რეზიუმე, შეფასება, განჭვრეტა, კეთილი სურვილების გაცვლა (ლინკე 2004 et.al.: 322-323).

საუბრის დასასრულს ლინკე სამ ნაწილად ყოფს:

1. წამყვანის მიერ გადაცემის დასასრულის მოახლოების გამოცხადება: მაგალითად, ის თხოვს სტუმრებს საბოლოო სიტყვას;
2. სტუდიის სტუმრების ბოლო სიტყვები;
3. წამყვანის დასკვნითი მოდერაცია (ლინკე 1985: 101).

ამ ფაზის აუცილებელი ელემენტი ლინკესთვის მოდერატორის დასკვნითი სიტყვაა. მას შეიძლება წინ უძღოდეს მეტ-ნაკლები ზომის დასკვნითი ნაწილი, რომელიც ინიცირებულია წამყვანის მიერ. დასასრულის მოახლოება შეიძლება გადმოიცეს: საუბრის დროის ამოწურვის მითითებით, დასკვნითი სიტყვისაკენ მოწოდებით ან წამყვანის მიერ კითხვის დასმით, რაც საუბრის დასასრულის მინიშნებას იძლევა. ასევე მოსალოდნელია, რომ სტუმრებმა ყოველგვარი მოთხოვნის გარეშეც მორიგეობით წარმოთქვან სიტყვა. მოდერატორის დასკვნითი სიტყვა შემდეგი შინაარსობრივი ელემენტებისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა თანმიმდევრობით შეიძლება გამოვიდნენ: მაყურებელზე მიმართვა; რეზიუმე; საუბრის შინაარსის შეფასება; საუბრის დახასიათება; რჩევები/სურვილები (ზოგადად

და/ან უშუალოდ მაყურებელზე მიმართული); სტუდიის სტუმრებისადმი მაღლობის გადახდა; მაყურებლების გამომშვიდობება; საუბრის დასაწყისზე მითითება; ბოდიშის მოხდა საუბრის იძულებითი დასრულებისათვის. სტუდიის სტუმრებისადმი მაღლობის გადახდა და მაყურებლების გამომშვიდობება ლინკესთვის აშკარად დასასრული ფაზის კონსტიტუციური ელემენტებია, რეზიუმე, საუბრის დახასიათება და ა.შ. შეიძლება გამოტოვებულ იქნეს დროის ნაკლებობის შემთხვევაში (ibid: 103-107).

იონასი ლინკესგან განსხვავებით მის მიერ გაანალიზებულ გადაცემებში მხოლოდ ერთ კონსტიტუციურ ელემენტს გამოყოფს: კერძოდ, ენობრივ ქმედებას - **გამომშვიდობებას**. რაც შეეხება დანარჩენ ელემენტებს, მათ სიხშირის მიხედვით წარმოადგენს (იონასი 2006: 58-59):

შემდგომ გადაცემაში შეხვედრის იმედის გამოთქმა; გადაცემის დასასრულის მითითება; შემდგომი გადაცემის მითითება; მაღლობა; გადაცემის ინტენციაზე მითითება; სხვა ინფორმაციაზე მითითება; სტუმრებისათვის აპლოდისმენტების მოთხოვნა; კეთილი სურვილები მაყურებლებისადმი; მიმართვა (მაგალითად, მაყურებლებზე, ქალებზე, მშობლებზე)

მასალის დიდი მოცულობის გამო მხოლოდ მოდერატორის დასკვნით სიტყვებს წარმოვადგენ.

„ჰარალდ შმიდტი“

- (1) Viel Erfolg! ↓
- (2) Morgen Abend großer Abend in ARD ↓
- (3) Letzte Sendung **Wickert**, dann wir und dann „Polylux“. ↓
- (4) Bleiben Sie sitzen. ↓ ((გაუგებარია))
- (5) Das war´s. ↓
- (6) Morgen Abend **letzte Moderation** Tagesthemen **Uli Wickert**, anschließend hier, anschließend Tita von Hardenberg mit „Polylux“. ↓
- (7) Das war´s. ↓
- (8) Ich ver verabschiede mich heute und sage zu Ihnen einfach **Heil Hitler** (+)→
((სიცილი))
- (9) ääh Heil Hitler – die Sau ist tot! ↓ ((სიცილი))

- (10) So heißt die Dokumentation, die **jetzt** kommt, über Humor **im Dritten Reich**, aber kritisch natürlich, ja↑
- (11) Eine Dokumentation - Heil Hitler, die Sau ist tot. ↓
- (12) Morgen Abend zu Gast Sarah Kuttner. ↓
- (13) Danke schön fürs Zuschauen! ↓
- (14) Bis Morgen! ↓
- (15) Tschüs! ↓

მოდერატორი სასაუბრო მეტყველების ლექსიკურ და ფონეტიკურ ელემენტებს იყენებს: zuschauen, Das war's (2). ნაცისტური მისალმება „Heil Hitler“ გერმანიაში კანონითაა აკრძალული, თუმცა ამას წამყვანი ტელევიზიაში საჯაროდ ამბობს და უფრო მეტი ექსპრესიულობისთვის მცირე პაუზასაც აკეთებს. მისი დაკავშირება გამონათქვამთან die Sau ist tot, რომელშიც სალანძღავი და უხეში სიტყვაა (Sau) გამოყენებული, მოულოდნელობისა და კომიკურობის ეფექტს ქმნის. როგორც ირკვევა, საგანგაშო არაფერია და ეს მხოლოდ დოკუმენტური ფილმის სახელწოდებაა, რომელიც კრიტიკულად იხილავს იუმორს მესამე რეიხში და გადაცემის დასრულებისთანავე გადის ეთერში. აქ კარგად ჩანს იუმორისტული სტილი. მოდერატორისთვის არ არსებობს თემა, რომელიც დახურულია და რაზეც არ შეიძლება იხუმროს. შმიდტი ხელის მაგიდაზე ოდნავი დარტყმით მიანიშნებს პუბლიკას, სიცილი შეწყვიტონ. დისკურსის მარკერი ääh უხერხული პაუზის შესავსებად სჭირდება. ის მაყურებლებს ემშვიდობება როგორც მეგობრებსა და ნათესავებს: Tschüs. ტექსტი შედგება თხუთმეტი გამონათქვამისაგან, რომელთა უმეტესობა ელიფსური მოკლე წინადადებაა. წამყვანი საშუალო ტემპითა და ტონალობით მეტყველებს. ინტონაცია უმეტესად დაღმავალია. განგრძობითი და აღმავალი ინტონაცია ექსპრესიულობის გაზრდას ემსახურება (8, 10). შმიდტი ნათქვამს ჟესტებით ავსებს.

„საბინე ქრისტიანსენი“

1. Dann nehmen wir die **große Frage**, die wir hier an den Anfang, nein, d.h. als Titel dieser Sendung gewählt haben, noch mal als Schlussfrage, nicht mehr für diese Runde allerdings.↓

2. Ich darf mich bei Ihnen ganz herzlich bedanken und wir haben heute sozusagen ähm im Internet gleich für Sie auch den **Großen** haha also Herr Jaschke und der Imam werden Ihnen zur Verfügung stehen für die Beantwortung **Ihrer Fragen**. ↓
3. Aber wir haben diese Frage: **Welche Religion hat eigentlich Gott?** einmal in dieser, an diesem Wochenende in Berlin gestellt, wo sich **sehr viele Experten und Wissenschaftler** am größten runden Tisch zur Beantwortung solcher **grundlegenden** Fragen und anderer zusammengefunden haben. ↓
4. Schauen Sie, was dabei rausgekommen ist. ↓
5. Ich darf mich schon verabschieden. ↓
6. Auf Wiederschauen. ↓
7. Bis zum kommenden Sonntag! ↓

ქრისტიანსენი იყენებს სასაუბრო მეტყველების ლექსიკას: schauen, rauskommen, auf Wiederschauen. გამონათქვამები zur Verfügung stehen, am größten runden Tisch ხატოვნად გადმოსცემენ აზრს. დისკურსის მარკერები sozusagen და ähm დროის მოსაგებად სჭირდება. სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელია წინადადების აგებისას შეცდომის დაშვების შესაძლებლობა, რომელსაც მოდერატორი იქვე ასწორებს: „Aber wir haben diese Frage: Welche Religion hat eigentlich Gott? einmal in dieser, an diesem Wochenende in Berlin gestellt.“ წამყვანი დამშვიდობების შაბლონურ სქემას თავისუფლად ეკიდება და თავს არ იზღუდავს. ერთი და იმავე აზრს ოდნავი ვარიაციით ორჯერ წარმოთქვამს (1, 3). შუაში ორი სტუმრის დაანონსებას აკეთებს, რომლებიც ინტერნეტში მაყურებელთა კითხვებს უპასუხებენ. წამყვანის სიცილი და რამდენიმეჯერ გამომშვიდობება თითქოს დამაბული საუბრის განმუხტვას ემსახურება (2, 5-7). ტექსტი რვა გამონათქვამისაგან შედგება. ტემპი სწრაფია და ბოლოსკენ უფრო ნელდება. ბგერის სიძლიერე საშუალოა და ინტონაცია დადმავალი.

„ბერლინ მითე“

1. Und dieses Ernsthafte erzählen Sie uns in der nächsten Sendung. ↓
2. Damit begann diese und damit enden wir auch. ↓
3. Ich darf dieser Runde sehr herzlich danken für die **Debatte** zu einem **wahrlich nicht leichten Thema** und wir sehen uns schon nächsten Donnerstag wieder und an dieser Stelle **bleiben wir mehr oder weniger** beim Thema in dem Programm. ↓
4. Es folgt jetzt eine Dokumentation zum 11. September 2001. ↓

5. Was **geschah** eigentlich **genau** vor 5 Jahren? ↓
6. Vielen **Dank** in die **Runde**. ↓

ილნერი დროის სიმცირის გამო გულისხმიერი და თბილი ტონალობით აწყვეტინებს სტუმარს და ანუგეშებს მომავალ გადაცემაში მიწვევით, რაც თემისადმი ინტერესზე მეტყველებს (1). ანტითეზა ტოქშოუს კოჰერენტულობას განაპირობებს და ერთიან ენობრივ წარმონაქმნად თხზავს მას ექსპლიციტურად. მოდერატორი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს არ იყო ადვილი თემა და დიდ მადლიერებას გამოთქვამს სტუმრების მიმართ. გამონათქვამებით an dieser Stelle, mehr oder weniger, beim Thema bleiben მოდერატორი სხარტად აყალიბებს სათქმელს და ინტერტექსტუალობით გამოირჩევა, რადგან მიუთითებს შემდეგ გადაცემაზე, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტს ეძღვნება. ამ საკითხზე საუბრისას ხმა და მიმიკა დიდ ტკივილს, მწუხარებასა და თანაგრძნობას გამოხატავს. ტექსტი 6 გამონათქვამისგან შედგება. ტემპი სწრაფია და ბოლოსკენ ნელდება. ბგერის სიძლიერე საშუალოა დ ინტონაცია დაღმავალი.

„ოლივერ გაისენის შოუ“

1. **Also**, ich kann halt eben nur Menschen **ermuntern**, ähm sich schon **Vorgedanken** zu machen, Kinder in die Welt zu setzen, so denken erstmal schon an den, an den Punkt vielleicht noch **1**, noch **2**, noch **3**. ↓
2. Es gibt **Beispiele**, da **klappt** es mit 10 Kindern, es gibt andere Beispiele, wo wir gemerkt haben, puh, es ist bisschen **schwierig** so vielen Kindern gerecht zu werden. ↓
3. Ich kann immer nur **warnend den Zeigefinger erheben** und sagen, macht euch **wirklich Gedanken** und überprüft euch **selbst**, ob das **wirklich machbar** ist, weil da wurden wir uns alle einig, dass ´n Kind zu haben, auch wenn´s nur eins ist, das ist wie ein **Job**. ↓
4. Danke schön, dass ihr da gewesen seid. ↓
5. Ihr Lieben, viel lieben Dank. ↓
6. Danke, dass ihr im Studio gewesen seid, vielen, dass Sie zugekuckt haben, Ihnen einen schönen Tag. ↓
7. Heute ist Schluss. ↓

8. Tschüs. ↓

გაისენი ტექსტს იწყებს შემაჯამებელი სიტყვით also. წამყვანის სტილი ემოციურია და მთლიან საუბარს შეესაბამება. გამონათქვამები (Kinder in die Welt setzen, warnend den Zeigefinger erheben, da klappt es, macht euch wirklich Gedanken, weil da wurden wir uns alle einig) დასასრულს ფიგურალურად აფორმებს და ერთგვარი შეგონების ფუნქცია გააჩნია. სასაუბრო მეტყველების ლექსიკა და ფონეტიკური ელემენტები ყოველდღიური დისკურსის შემადგენელს ხდის ტექსტს: klappen, Job, zukucken, Kinder in die Welt setzen, dass 'n Kind zu haben, auch wenn's nur eins ist. ისეთი შეგრძნება შეიძლება დაეუფლოს მაყურებელს, რომ ეს ტექსტი ოჯახური სიტუაციდანაა ამოღებული. მოდერატორი დისკურსის მარკერს ähm ერთხელ მიმართავს, თითქოს ოდნავ ყოვნდება, სანამ მაყურებელს შეახსენებს, რომ აუცილებელია კარგად დაფიქრება ბავშვის სამყაროში მოვლენის გადაწყვეტილების მიღებამდე. წამყვანს მოჰყავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მაგალითები და მისი დამოკიდებულება ორივე შემთხვევაში იგრძნობა. თუკი ერთგან სიყვარულით საუბრობს, მეორეგან ხმაში საყვედური ერევა და ეს ექსპლიციტურადაცაა გამოხატული შორისდებულებით puh. გაისენი თავის დიდაქტიკურ ტონს აგრძელებს: „sich schon Vorgeanken zu machen“ (1), „Ich kann immer nur **warnend den Zeigefinger erheben** und sagen, macht euch **wirklich Gedanken** und überprüft euch **selbst**, ob das **wirklich machbar** ist“ (3). თუკი ის თავიდან მოკრძალებით ახსენებს მაყურებლებს, კულმინაციაში უკვე კატეგორიულად მოითხოვს, რომ თავად აიღონ პასუხისმგებლობა და გააკონტროლონ, შეუძლიათ თუ არა შვილის ყოლა (3). მოდერატორი თავის სიტყვებს ინტერაქტანტების მიერ შემუშავებული კოლექტიური არგუმენტით ამყარებს: ერთი ბავშვიც კი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რაც მის მოთხოვნას კიდევ უფრო იმპერატიულს ხდის. ტექსტი რვა გამონათქვამისაგან შედგება. ტემპი სწრაფია, ზგერის სიძლიერე აპლოდისმენტებისას მაღალი, შემდეგ საშუალო. ინტონაცია დაღმავალია. არც ერთ ტოქსოუმში არაა ისე ექსპლიციტურად ხაზგასმული რამდენიმე ადრესატზე მიმართება და საუბრის მედიალიზაცია როგორც „ოლივერ გაისენის შოუმში“. მოდერატორი სამივე წრის წარმომადგენელს დიფერენცირებულად ემშვიდობება.

თუ გადავხედავთ გერმანული პოლიტიკური ტოქშოუს დასასრულ ტექსტებს, აღმოვაჩინოთ, რომ ლინკეს მიერ გამოყოფილი სამივე ელემენტი მოიპოვება. მოდერატორები გადაცემის დასასრულზე მიუთითებენ და სტუმარს დასკვნითი სიტყვისაკენ ან ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემისაკენ მოუწოდებენ. სტუმრის დასკვნითი სიტყვის შემდეგ ორივე გადაცემაში სტუმრები საკუთარი ინიციატივით იღებენ სიტყვას. გადაცემა წამყვანების დასკვნითი მოდერაციით სრულდება.

ორ არაპოლიტიკურ ტოქშოუმში მხოლოდ მოდერატორის დასკვნითი სიტყვაა. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია ინსცენირების დიდი დოზით. გარდა ამისა სტუმრებმა ყველაფერზე ისაუბრეს, რაც კი შეიძლებოდა და წამყვანებს მხოლოდ დასკვნითი სიტყვაღა რჩებათ.

ოთხივე გერმანული ტოქშოუს დასკვნითი სიტყვის კონსტიტუციური ელემენტია სტუდიის სტუმრების, პუბლიკისა და ტელემყურებლებისათვის მადლობის გადახდა. ქრისტიანსენი და ილნერი მადლობას უხდიან სტუდიის სტუმრებს, შმიდტი მხოლოდ ტელემყურებელს. „ბერლინ მითეს“ წამყვანი სტუდიის სტუმრებს მეორეჯერ უხდის მადლობას, რადგან მათ ძალზედ რთულ თემაზე გამართეს დებატები და ასე სრულდება გადაცემა. გაისენი ერთადერთი მოდერატორია, რომელიც სამივე წრის ადრესატს ექსპლიციტურად მიმართავს სამადლობელი სიტყვებით.

შემდეგი კონსტიტუციური ელემენტია გამომშვიდობება. მართალია, წამყვანი „ბერლინ მითეში“ ექსპლიციტურად არ ემშვიდობება, მაგრამ ეს წინადადება გამომშვიდობებას წარმოადგენს: „[...] wir sehen uns schon nächsten Donnerstag wieder“. დანარჩენ სამ გადაცემაში მოდერატორები უპირველესად ტელემყურებლებს ემშვიდობებიან. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მათ ახლო პლანში აჩვენებენ. გაისენი სტუდიის სტუმრებს დამატებით ხელის ჩამორთმევით ემშვიდობება. „საბინე ქრისტიანსენში“ „Auf Wiederschauen“-ს სტილისტურად ლანდშაფტური შეფერილობა აქვს (დუდენი 1989: 1740). „Ich darf mich schon verabschieden“ მობოდიშების მსგავსად ჟღერს, თითქოსდა ქრისტიანსენი მყურებლისაგან საუბრის დასრულების ნებართვას იღებს. ზმნები „schauen“ და „rauskommen“ სასაუბრო მეტყველებას განეკუთვნება (სქ: „Schauen Sie, was dabei rausgekommen ist. Ich darf mich schon verabschieden. Auf

Wiederschauen. Bis zum kommenden Sonntag!“). „ოლივერ გაისენის შოუსა“ და „ჰარალდ შმიდტში“ გამომშვიდობება ‘მეგობრულად’ მიმდინარეობს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მადლობის გადახდასთან „*Danke schön*“. ეს იმით აიხსნება, რომ ამ შოუებში შექმნილია ფამილარული, ოჯახური ატმოსფერო, საერთო ოთახის გარემო (ოგშ: „*Danke schön, dass ihr da gewesen seid. Ihr Lieben, viel lieben Dank. Danke, dass ihr im Studio gewesen seid, vielen, dass Sie zugekuckt haben, Ihnen einen schönen Tag. Heute ist Schluss. Tschüs.*“ /ჰშ: „*Morgen Abend zu Gast Sarah Kuttner. Danke schön fürs Zuschauen! Bis Morgen! Tschüs!*“).

რადგან ეს წინადადებები იმპლიციტურად გადაცემის დასასრულზე მიუთითებენ, შეიძლება ვისაუბროთ მესამე კონსტიტუციურ ელემენტზე: მითითება გადაცემის დასასრულზე (სქ: „*Herr Driest, Schlusswort ganz kurz (...) Dann nehmen wir die große Frage, die wir hier an den Anfang, nein, d.h. als Titel dieser Sendung gewählt haben, noch mal als Schlussfrage, nicht mehr für diese Runde allerdings.*“)

დასკვნით მოდერაციას შემდეგი ელემენტები განეკუთვნება: მომდევნო გადაცემის მითითება (2x); შემდგომ გადაცემაზე მითითება (ბმ); ა-ერ-დე-ს საღამოს პროგრამაზე მითითება (ჰშ); სტუდიის სტუმრისათვის წარმატების სურვილი (ჰშ); სტუდიის სტუმრისათვის თხოვნა, რათა არ ადგეს (ჰშ); სტუდიის სტუმრის შემდეგ გადაცემაში მიწვევით დაიმედება (ბმ); გადაცემის სათაურთან მიმართება (სქ); გადაცემის დასაწყისზე მიმართება (ბმ); რეზიუმე (ოგშ); საუბრის შინაარსის შეფასება (ოგშ); რჩევები (ზოგადად და უშუალოდ სტუმრებზე მიმართული) (ოგშ); მაყურებლის მოწოდება, რომ გადაცემის ორი მონაწილე ინტერნეტ-ფორუმში მზადაა შეკითხვებს უპასუხოს (სქ); ბერლინში ჩატარებულ ღონისძიებაზე მითითება (სქ); მაყურებელთა მოწოდება მომდევნო დოკუმენტაციის ყურებისაკენ (სქ); მომავალი გადაცემის სტუმრის მითითება (ჰშ)

ეს მიუთითებს იმაზე, რომ, მართალია, დასასრული ტექსტი ძლიერ რიტუალიზირებულია, მაგრამ მოდერატორზეა დამოკიდებული, როგორ გააფორმებს მას და ელემენტების თანმიმდევრობა ცვალებადია.

„ვანო ჯავახიშვილის შოუ“

1. ძალიან დიდი მადლობა. ↓
2. ძვირფასო ტელემაყურებლებო, ჩვენი სტუმარი იყო ჯგუფი „ფრანი“.↓

3. დღეს მე ამით გემშვიდობებით.↓
4. კარგათ ბრძანდებოდეთ.↓
5. გმადლობთ.↓

მოდერატორი დადებით ლექსიკას მიმართავს და თავაზიანი ფორმით ემშვიდობება მაყურებლებს. ტექსტი ხუთი მოკლე წინადადებისაგან შედგება და ლაკონურია. წამყვანი სწრაფი ტემპითა და საშუალო ტონალობით მეტყველებს. ინტონაცია დადმავალია.

„პოლიტიკური კვირა“

1. ძალიან დიდი მადლობა, რომ მიიღეთ მონაწილეობა გადაცემაში.
2. მაშ ასე, ასეთი იყო დღეს გამოსული ჩვენი გადაცემის მთავარი გმირების პოზიციები.↓
3. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.↓
4. ხვალ არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე.↓
5. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რა მოხდება გაეროში, ალბათ, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის მთავარი თემა.↓
6. მინდა გისურვოთ მშვიდობა.↓
7. დიდი მადლობა, რომ გვიყურეთ.↓
8. ნახვამდის.↓

მოდერატორი აგრძელებს იმ ემოციურ მუხტს, რომელიც დასაწყისიდანვე აქვს: ძალიან დიდი მადლობა, ჩვენი გადაცემის მთავარი გმირების პოზიციები, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ძალიან მნიშვნელოვანი დღე, მინდა გისურვოთ მშვიდობა. ნაწილაკით მაშ იწყება გადაცემის ზოგადი შეჯამება, სადაც მაყურებლისთვის იმპლიციტურად მინიშნებაა იმაზე, რომ სტუმრებმა ძალზედ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს: „მთავარი გმირების პოზიციები“(2). გაეროს გადაწყვეტილებისა და მშვიდობის ერთ კონტექსტში მოხსენიება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სიტუაციის სერიოზულობას. ტექსტი რვა მოკლე გამონათქვამისაგან შედგება. რითმი და ბგერის სიძლიერე საშუალოა, ინტონაცია დადმავალი.

„პოზიცია“

1. ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე საუბრობდა პირდაპირ ეთერში.↓
2. ჩვენი გადაცემა დასრულებულია.↓
3. ჩვენ ერთმანეთს მომავალ პარასკევს შევხვდებით.↓
4. მადლობთ.↓

ტექსტის სტილი ლაკონური და საქმიანია. ის გადმოცემულია ოთხი მარტივი წინადადებით. ტემპი სწრაფია და ზგერის სიძლიერე საშუალო, ინტონაცია დაღმავალი.

„profi“

1. ძალიან დიდი მადლობა.↓ ((აპლოდისმენტები))
2. აი, ასეთი იყო დღევანდელი პროფილი, რომლის სტუმრები **პროფესიონალი მეუღლეები** იყვნენ.↓
3. დამერწმუნეთ, ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული როლია ცხოვრებაში და თუ მოგეწონათ ჩვენთან ერთად ყოფნა, ხომ იცით, ამავე არხზე და ამავე დროს ჩვენ ((აპლოდისმენტები)) **ისევ ვემზადებით** თქვენთან შესახვედრად.↓
4. დროებით. ((აპლოდისმენტები))

წამყვანის ჰარმონიული სტილი დასკვნით სიტყვაშიც ჩანს. ის მიმართავს დადებით ლექსიკას, რასაც ავსებს თბილი და სულში ჩამწვდომი ხმა, თითქოს მაყურებელს ეფერება. „პროფესიონალი მეუღლეები“ ძალზედ კრეატიული გამოთქმაა და ალბათ, ქართული ლინგვოკულტურისათვის დამახასიათებელ რეალობას ასახავს. მოდერატორი მხოლოდ ნახევარ წინადადებაში ატეხს გადაცემის შინაარსის რეზიუმეს და მოუწოდებს მაყურებელს, დაუჯერონ, რომ ეს ერთ-ერთი რთული როლია ცხოვრებაში (3). ისეთი შეგრძნება შეიძლება დაგრჩეს, რომ ასათიანი პაემანზე იბარებს მაყურებლებს და მომავალ შეხვედრას ახსენებს (4). ტექსტი 4 გამონათქვამისაგან შედგება. ტემპი და ზგერის სიძლიერე საშუალოა. მოდერატორი აპლოდისმენტებისას ხმას უმატებს. ინტონაცია დაღმავალია.

ქართული პოლიტიკური ტოქშოუს დასასრული ტექსტების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ლინკეს მიერ გამოყოფილი სამივე ელემენტი მოიპოვება. ორი არაპოლიტიკური ტოქშოუ მხოლოდ დასკვნითი მოდერაციისგან შედგება.

ქართულ ტოქშოუებში დასასრული მოდერაციის კონსტიტუციური ელემენტია **მადლობის გადახდა**. ოთხივე ტოქშოუში წამყვანები მადლობას უხდიან სტუდიის სტუმრებს, „პროფილში“ კი - ტელემაცურებლებს. „პოზიციაში“ წამყვანიც ღებულობს დასკვნით მოდერაციაში მადლობას.

„პოზიციაში“ ეს წინადადება გამომშვიდობებად მიმაჩნია: “ჩვენ ერთმანეთს მომავალ პარასკევს შევხვდებით”. აქედან გამომდინარე, შემიძლია გამოვყო შემდეგი კონსტიტუციური ელემენტი: ენობრივი ქმედება **გამომშვიდობება**.

რადგანაც „ვანოს შოუ“ ტოქშოუს განსაკუთრებული ფორმაა, რეზიუმე, რომელიც იქ არაა, მაგრამ დანარჩენ სამივე ტოქშოუში გვხვდება, მაინც მიმაჩნია ქართული ტოქშოუს მახასიათებლად.

დასკვნით მოდერაციას შემდეგი ელემენტები განეკუთვნება:

შემდგომ გადაცემაზე მითითება (2x); გადაცემის დახასიათება (პრ); მითითება იმისა, რომ მოდერატორმა სტუდიის სტუმრის სიტყვები გაიგო (პო); მითითება იმისა, რომ სტუმართან (პოზიცია, სახელი) (ახლო პლანი) საუბარი არაა ჩაწერილი, არამედ პირდაპირ ეთერში მიმდინარეობს (პო); გადაცემის დასასრულზე მითითება (პო); მაუწყებლისა და გადაცემის დროის მითითება (პრ); მომდევნო დღის მნიშვნელობის მითითება (გაეროს სხდომა) (პკ); მომდევნო დღის მნიშვნელობის მითითება სპეციალურად ქვეყნისთვის (გაეროს სხდომა) (პკ); სურვილები მაცურებლებისადმი (პკ); ტელემაცურებელთა მიმართვა (ვჯშ); სტუმრად მყოფი მუსიკალური ბენდის სახელის დასახელება („ფრანი“) (ვჯშ)

გერმანული და ქართული ტოქშოუს დასასრული ტექსტების შედარებამ ლინკეს მიხედვით აჩვენა, რომ ისინი სტრუქტურული თვალსაზრისით თითქმის იდენტურია და მათ შორის კულტურით განპირობებული განსხვავებები არ შეიმჩნევა. პოლიტიკურ ტოქშოუებში სამივე ელემენტი გვხვდება, არაპოლიტიკური საუბრის გადაცემებში მხოლოდ დასკვნითი მოდერაციაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანო: როგორც გერმანულ, ისე ქართულ ტოქშოუებში ორი კონსტიტუციური ელემენტია: **მადლობის გადახდა და გამომწვიდობება**. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გერმანულ გადაცემებში კონსტიტუციური ელემენტია **გადაცემის დასასრულის მითითება**, ქართულში კი - **რეზიუმე**. ფაკულტატიური ელემენტები ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს, თუმცა ისინი გადაცემიდან გადაცემამდე განსხვავდება და წამყვანს გარკვეულ თავისუფლებას აძლევენ.

გერმანული და ქართული ტოქშოუს ტექსტების **დასასრული** რიტუალიზირებულია და უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ვიდრე განსხვავებას. თუმცა ზემოთ განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გერმანული ტოქშოუს დასკვნითი ნაწილის სტილი უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ქართული. იუმორისტული ტოქშოუების შედარება აჩვენებს, რომ შმიდტი თავის სტილს არ დალატობს და დასკვნით სიტყვაშიც კი ხელიდან არ უშვებს ხუმრობის შესაძლებლობას. ამასთან ერთად ის არ ივიწყებს სარეკლამო ფუნქციასაც. ჯავახიშვილი მოკრძალებულად და ლაკონურად ასრულებს გადაცემას.

გაისენის სტილი ემოციური და შეგონებით-დიდაქტიკურია, მაგრამ არაა თავსმოხვეული. წამყვანი ავთენტიკურობის დაცვით ოჯახური კონტექსტის შთაბეჭდილებას ქმნის. ასათიანის ჰარმონიული სტილი რამდენიმე კომპონენტით მიიღწევა. გერმანელისაგან განსხვავებით ქართველი კოლეგა ძალზედ მოკლედ ეხება ძირითად თემას. თუკი პირველი კოლექტიურ არგუმენტზე აპელირებს, მეორე საკუთარ გამოცდილებას იშველიებს.

ქრისტინსენის საუბრის სტილი თავისუფალი და მოშვებულია, რაც დაძაბული საუბრის ერთგვარ განმუხტვას ემსახურება. გრიგოლია კონტექსტიდან გამომდინარე ბოლომდე ინარჩუნებს ტექსტის ემოციურ დატვირთულობას.

ილნერი სხარტად აყალიბებს სათქმელს, რასაც პროსოდიული საშუალებებით ადეკვატურად აფორმებს. შუბლადის სტილი ლაკონური და საქმიანია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება მაყურებელს, თითქოს ტელეგრამას კითხულობენ და ტექსტი ძალზე კონკრეტულია.

2.1.1.3. ტოქშოუს ბირთვი

საუბრის შუა ანუ ძირითად ნაწილში განიხილავენ საკუთრივ თემას. თემატური ორიენტაციის ინტენსივობა გადაწყვეტს, ეს შინაარსობრივი კრიტერიუმი გამოყოფს თუ არა საუბრის შუა ნაწილს სხვა ფაზებისგან. საუბრის ძირითად ნაწილზე ფორმალური გადასვლა შეიძლება უმნიშვნელოდ ან ასევე მეტაკომუნიკაციურად ექსპლიციტურად განხორციელდეს (ლინკე 2004: 320-322). ნაწილი ფაზები შეიძლება ენობრივი ქმედებების დიფერენცირებული წარმოსახვით და/ან შინაარსობრივი კრიტერიუმების საფუძველზე თემატურ მონაკვეთებად დაყოფით, როგორცაა რეფერენციალური მდგრადობა ან თემების მონაცვლეობა, გამოიყოს. ნაწილ ფაზებსა და სეკვენციებს რეალიზირებულ ენობრივ ფორმებს მიაკუთვნებენ (იონასი 2006: 30).

ტოქშოუს საფუძვლად შემდეგი სტრუქტურა უდევს: დასაწყისი, ბირთვი და დასასრული. შვიდივე ტოქშოუს ბირთვი, რომელიც იონასმა გაანალიზა, რამდენიმე ნაწილი ფაზისაგან შედგება და თითოეული მათგანი წარმოადგენს დასრულებულ ისტორიას თემასთან დაკავშირებით, სტუმრების გარკვეული რაოდენობით, რომლებიც გადაცემის გარეთაც ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. მკვლევარი იქვე იძლევა სტუმრის სეკვენციის განმარტებას, რომელშიც ის გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ახალი სტუმარი შემოდის, ესაღმებიან და შესაბამისი ნაწილი ფაზის აქტუალური ისტორიის შესახებ საუბარში დებულობს მონაწილეობას. სტუმრის სეკვენცია შემდეგი სტრუქტურისაა: ა. სტუმრის/სტუმრების მისაღმება; ბ. ძირითადი ფაზა. სტუმრებთან გამომშვიდობება, რომლებიც ერთ ნაწილ ფაზაში იყრიან თავს, ამ ფაზის დასასრულში ერთიანად ხდება ანუ ბოლო სტუმრის სეკვენციის შემდეგ. ფაზებს შორის ან სხვადასხვა დონეებს შორის გადასვლები აღინიშნება (ibid: 55-56).

იონასმა შვიდი ტოქშოუს ანალიზისას დაადგინა, რომ **ნაწილი ფაზების დასაწყისი** უმეტესად შემდეგი ელემენტებისგან შედგება: მისაღმება; სახელის დასახელება/სტუმრის მიმართვა; მოწოდება ადგილის დაკავებისკენ. ამას ემატება შემდეგი ელემენტები: სტუმრის ყოფნის გამო სიხარულის გამოხატვა; თემასთან

მიმართება; კითხვა მდგომარეობის შესახებ; მოკლე შენიშვნები, როგორცაა, მაგალითად, აქტუალური სიტუაციის შესახებ, რეზულტატის გამოცხადება.

ნაწილი ფაზის დასასრულის ყველაზე ხშირი ელემენტებია: მადლობა; სტუმრების მომავლის განჭვრეტა; სტუდიის დატოვებაზე მითითება; კეთილი სურვილები სტუმრებისადმი; მილოცვა; სტუმრებისადმი მიმართვა; გამომშვიდობება; სტუმრების დაფიქრებისკენ მოწოდება; მომავალ გადაცემაზე შეთანხმება.

იშვიათი ელემენტებია: რჩევები; თანაგრძნობის გამოხატვა; გადაცემის შინაარსზე მიმართება; დასკვნები; სტუდიის პუბლიკის მოწოდება ახალი აპლოდისმენტებისაკენ; მომავალ სტუმრებზე მითითება; თხოვნა, ვინმეს გადასცენ მოკითხვები.

მხოლოდ ორი წამყვანი ემშვიდობება ექსპლიციტურად სტუმრებს, დანარჩენები კი მხოლოდ მადლობით. იონასი ენობრივი ქმედების მადლობის ფუნქციონალურ გადაწევაზე საუბრობს. ეს იმიტია გამოწვეული, რომ გადაცემის მიმდინარეობაში გამომშვიდობება მაყურებლის ირიტაციას, სხვა პროგრამაზე გადართვას ან ტელევიზორის გამორთვას გამოიწვევს (იონასი 2006: 59-60).

2.1.1.3.1 გერმანული ტოქშოუს ბირთვი

ტოქშოუ „ჰარალდ შმიდტი“ (იხ. დანართი 1)

სტრუქტურული აღწერა

ეს ნაწილი იწყება სტუმრის წარდგენით, რომელიც ვიდეოკამერით შემოდის.

თავდაპირველად ამ აპარატის გარშემო მიმდინარეობს საუბარი. შემდეგ ყველაფერი ჰარდენბერგის გადაცემის ირგვლივ ტრიალებს. იუთუბის განხილვას ჰერმანის თეზისებზე დისკუსია მოყვება.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტოქშოუს მონაწილეები სასაუბრო ლექსიკას და გამოთქმებს მიმართავენ: flott, kriegern, Arschlöcher, so was Besonderes, reinkommen, reinstellen, darauf, grade, einer, weg, in Ordnung, drauf, o.k., selber, Schmuddel-Typen, ankucken, Schrott, was Nützliches, im Netz,

was Neues, welche, so was. სტუმარი მიმართავს ფამილარულ-სასაუბრო სიტყვას, როცა ჰერმანის თეზებს ავასებს: „ich halt´s natürlich für Quatsch.“

წამყვანი სტუმრის იმიჯზე ზრუნავს და აღნიშნავს, რომ ის არამატრო მაღალი წრის წარმომადგენელი, არამედ პირველ არხზე ყველაზე საუკეთესო გადაცემის ავტორია. სუპერლატივები პოზიტიურ მუხტს კიდევ უფრო ამყარებს: das jüngste, flotteste und hippste Magazin.

„პოლილუქსის“ მოდერატორი ვიდეოკამერით შემოდის და შმიდტი თანამედროვე სტილზე სტილისტური ფიგურით გამეორებით მიუთითებს: „Das ist dieser neue Stil, das ist dieser neue Stil, den man jetzt heute häufig sieht, keinen Schritt mehr ohne Kamera, keinen Schritt mehr ohne Fotoapparat oder?“ ჰარდენბერგი შმიდტს გადაცემასთან დაკავშირებით კომპლიმენტს უკეთებს: „Ja, aber das ist auch so was **Besonderes**, hier **reinzukommen**. Ja, das ist unvergleichliches Gefühl“, რაზეც ეს უკანასკნელი საოცარი თავმდაბლობითა და მოკრძალებით მიუგებს: „Wieso? Wirklich?“ შემდეგ ის საუბრობს საკუთარ გადაცემაზე, თემებზე, რომელსაც იქ განიხილავენ: მაგალითად, ევა ჰერმანის თეზები.

შმიდტი ოსტატურად იყენებს სიტყვის პოლისემიურობას: Netz ნიშნავს როგორც ინტერნეტს, ისე ბადისმაგვარ ჩანთას:

ტჰ: Das kommt morgen ins Netz.

ჰშ: Ins Netz?

ტჰ: Ja.

ჰშ: So sagt man das. In meiner Zeit hieß es ins Netz ´ne Tüte Milch und ´n Pfund Butter, wenn es auf dem Schwarzmarkt gab. Jetzt heißt das online, ja?

ტჰ: Ja.

ჰშ: Ja, ist, ist „Polylux“ jetzt überwiegend im, im Netz zu finden oder unterwegs?

ტჰ: Nein, nicht überwiegend, aber auch.

(2) სინტაქსი

გამონათქვამები, ძირითადად, მოკლეა. უმეტესად მარტივი წინადადებები გვხვდება, თუმცა ჰიპოტაქსურ და პარატაქსულ კონსტრუქციებსაც ვაწყდებით.

ხშირია ელიფსური წინადადებები: Hier vorne./ Ins Gelbe rein./ Die Kamera?/ Wieso?/ Und dieser Ausschnitt hier?/ Ja, ja, genau./ Wirklich?

(3) პროსოდიული საშუალებები

ორივე მოსაუბრის ტემპი უმეტესწილად საშუალოა. წამყვანი ხანდახან აჩქარებს ტემპს. ინტონაცია, ძირითადად, დაღმავლია, თუმცა გვხვდება წინადადებები როგორც აღმავალი (2, 12, 26, 28, 32, 34, 69, 71, 73, 75, 77, 79, 91, 97, 103, 125, 127, 128, 129, 133, 149, 157), ისე განგრძობითი მელოდიებით (8, 37, 43, 45, 48, 50, 51, 53, 55, 83, 86, 90, 100, 101, 104, 106, 110, 113, 116, 120, 126, 140, 142, 144, 146, 150, 158, 161, 175). ბგერის სიმაღლე საშუალოა, ორივე მონაწილე გარკვევით საუბრობს. წამყვანი ხანდახან წამოიყვრება, როცა რაიმე საინტერესოს აღმოაჩენს სტუმრის საუბარში. ჰერმანის თეზასთან - ქალებმა ზომიერად უნდა ისწავლონ - დაკავშირებით მოდერატორი ხუმრობით ხმამაღლა აცხადებს: „ესე მცდარია ეს?“

ფუნქციური აღწერა

„ჰარალდ შმიდტი“ იუმორისტული შოუაა, სადაც იუმორი როგორც ვერბალურად, ისე შოუს სახით იდგმება. წამყვანი სტუმრისა და მისი გადაცემის იმიჯზე ზრუნავს. ეს ყველგან და ყველგან იგრძნობა. მოდერატორი რამდენიმეჯერ ასახელებს მას. სტუმართან საუბარი ძალზედ თავისუფლად მიმდინარეობს. საუბრის შინაარსის გაფორმება მიმიკითა და ჟესტიკით ხდება.

ხშირია გამეორებები: Da war mal was. Ääh da war mal was./ Nee, nee, nee./ Da kommen, da kommen; was, was wird das in der Sendung neu geben; es, es gibt phantastische Mütter; Es gibt also sehr, sehr viele andere, wo man denkt, da wär's ganz gut für die Kinder; Wer, wer, wer jetzt?/ Wie, wie, wie stehen Sie zu den Thesen von Eva Hermann?

გვხვდება სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები: სიტყვის ბოლოს ხმოვნის შეკვეცა: ich mein; ich glaub; ich sag; დისკურსის მარკერები: aha, ääh, mh, hey, na, na ja; არტიკლის, ნაცვალსახელის შემოკლება: jetzt in, in so 'ner Redaktion wie Ihrer; das ist 'ne ganz interessante Form; wir haben's jetzt paar Mal probiert.

„საბინე ქრისტიანსენი“ (იხ. დანართი 2)

სტრუქტურული აღწერა

ქრისტიანსენს მოწვეული ჰყავს განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანები, ასევე ათეისტები, რომლებიც რელიგიაზე საუბრობენ.

დასაწყისში მოდერატორი ანტითეზით „jung wie alt“ მიმართავს ტელემაყურებლებს და მოუწოდებს მათ გადაცემის შემდეგ საიტზე დისკუსიისაკენ. თითოეული მონაწილე ღებულობს სიტყვას და აყალიბებს თავის პოზიციას.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ლეონ დე ვინთერი (ლდვ) ნიდერლანდელი ორთოდოქსი ებრაელების ოჯახიდანაა, რომელიც გაოცებას გამოხატავს იმის გამო, რომ მოდერატორმა პირველი კითხვის (რა კავშირშია პაპის სტუმრობით გამოწვეული ხალხმრავლობა რელიგიურობასთან ბავარიაში) ადრესატად აირჩია. მისი აზრით, ხალხი საკრალური გარემოსა და ჯგუფისადმი მიკუთვნებულობისაკენ მიისწრაფვის (1-4). წამყვანი ჩაძიების სტრატეგიას მიმართავს, რადგანაც სტუმრის არგუმენტები არ აკმაყოფილებს. მას აინტერესებს, რა არის მონაწილეთა მთავარი მამოძრავებელი: რელიგიური თუ სანახაობრივი ასპექტი (Megaevent). ლდვ განასხვავებს რელიგიურობასა და სპირიტუალიზმს. ადამიანთა მოტივაცია ბუნდოვანია, მაგრამ მათ უდავოდ აქვთ მოთხოვნილება დიდი რიტუალის ნაწილი გახდნენ (5-10). მოდერატორის კითხვას (რამდენია მისულთაგან ეკლესიის მრევლის ნამდვილი წევრი) ბიშოფი პასუხობს: უდიდესი ნაწილი, ვინც ესწრებოდა ამ ღონისძიებას, სისტემატურად დადის ეკლესიაში, ტელემაყურებლები, ცხადია, არა. სტუმარი არ ეთანხმება კვალიფიციური ღვთისმსახურების უბრალო ივენთად მოხსენიებას და აღწერს, რა მძიმე გზა უნდა გაიარონ მოქალაქეებმა, რომ ამ პროცესის თანამონაწილე გახდნენ: sie nehmen viele Mühen auf sich, müssen stundenlang warten, unbekömmliche Kontrollen über sich ergehen lassen, der Abweg dann nachher, der Abmarsch, der dauert auch sehr lange, also das Ganze erfordert schon sehr viel Mühe. ტექსტში გვხვდება კათოლიკური ეკლესიის ტერმინები (zur feudaleren Messe, zur Eucharistie, Kommunion, Abweg, Abmarsch). unbekömmlich შვეიცარიული გერმანულის ლექსიკური ერთეულია, ხოლო kucken - სასაუბრო მეტყველების (11-16). ათეისტ ჟურნალისტს სუზანე ცეკრის (სც) ერთობის შეგრძნება არ ხიბლავს, რასაც თავის გაქნევითაც ადასტურებს. პაპი, რომელიც, ერთი მხრივ, კრიტიკულად უდგება ტექნოკრატიულ საზოგადოებას (sehr stark kritisieren, kritisch, schnelllebig, oberflächlich, bildversessen), მეორე მხრივ, საოცრად კარგად იყენებს მედიალურ ასპექტს და ამ სპექტაკლის ცენტრში დგას, რაც ირონიად

მიაჩნია. მოდერატორი იყენებს ჩაძიებისა და სხვისი დამოწმების სტრატეგიებს (auf Ihre Worte greifen). სც მიუნხენის ღონისძიებას ინსცენირებად აღიქვამს. კათოლიციზმში ოპტიკურ ეფექტს მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა, რასაც ჟურნალისტი ძალადობას ადარებს (Bildgewalt). მართალია, მედიალური საზოგადოებისა და ინსცენირების პოტენციალის კარგი სიმბიოზია, მაგრამ მას ეს არ ხიბლავს (17-23). პასტორი პეტერ ვენცი (პვ) დარწმუნებულია ასიათასობით ადამიანის გრძნობების ჭეშმარიტებაში (eine echte Sehnsucht haben nach Gott in ihrem Herzen, 'ne Ursehnsucht haben nach der Erfahrung von Gott) (23-28). წამყვანი ჩამოთვლის დრამატულ მომენტებს, რომლებითაც სავსე იყო შემდეგი სტუმრის ცხოვრება და ეკითხება, რატომ აირჩია საბოლოოდ ბუდიზმი. ბურკჰარდ დრისტი (ბდ) როგორც მიწიერი ადამიანი (diesseitig მაღალფარდოვანი) მუდმივად ცხოვრების საზრისის ძიებაშია. მართალი ცხოვრება ბედნიერებასთანაა დაკავშირებული, სადაც ერთმანეთს უპირისპირებს მოკლე და გრძელვადიან მშვიდობიან, ჰარმონიულ ყოფას როგორც საკუთარ თავთან, ისე სხვებთან. Kick-ს სამი მნიშვნელობა აქვს: 1. (ფეხბურთი) დარტყმა, 2. (ფამილარულ-სასაუბრო) სიამოვნება, აღელვება, 3. ნარკოტიკებით გამოწვეული ეიფორიული მდგომარეობა. ბდ იყენებს მესამე მნიშვნელობას, რადგანაც ნარკოტიკებით გამოწვეული ბედნიერება მცირე ხნით გრძელდება, ადვილი გასაგებია ეს ოპოზიცია: (Kick oder Glückseligkeit über lange Strecke). სტუმარი სვამს რიტორიკულ კითხვებს, რომლებშიც ყოველდღიური პრაქტიკული დახმარების საკითხს ეხება, რათა ადამიანმა მიტოვებულად არ იგრძნოს თავი. ალიტერაცია umgedrängt, umgestoßen გადმოსცემს ცალკეული ინდივიდის არაკომფორტულ მდგომარეობას დიდ ღონისძიებებში. hienieden (მოძველებული, პოეტური) სტილისტურად მარკირებული სიტყვაა (29-46). ბდ ადარებს კათოლიციზმსა და ბუდიზმს. მეორე პირველისაგან განსხვავებით დეტალურ პასუხებს იძლევა სამყაროში ორიენტაციასთან დაკავშირებით (en détail განათლების სფერო). ის იყენებს კათოლიკური ეკლესიის ლექსიკას: konfirmiert, Eucharistie, Matrix. ლაიფციგში მდებარე მეჩეთის იმამი მაჰმუდ ჰასან დაბაგი (მჰდ) მაღლობას იხდის საუბარში მონაწილეობისათვის. ის აღწერს პასუხისმგებლობის მქონე მუსლიმის ქცევას, საუბრობს რელიგიათა შორის დიალოგზე და ხაზს უსვამს, რომ ისლამში ყველა

კითხვაზე მოიპოვება პასუხი. ლდვ-ს დიალოგი არ სჭირდება. მოდერატორის აზრით, დიალოგზე უარის თქმა კონფრონტაციას გამოიწვევს. სტუმარს მიაჩნია, რომ ერთმანეთთან საუბარი სასიამოვნოა, მაგრამ სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კანონები, სინდისი და ცნობიერება (47-55). წამყვანი მიმართავს მოსმენის სიგნალს mhm. გვხვდება არგუმენტაციული მსჯელობის ექსპლიციტური მარკერები: auf der einen Seite (einerseits) ... auf der anderen Seite, sowohl ... als auch, nicht nur ... sondern, erstens ... zweitens, aber, deshalb, deswegen, darum, weil, trotzdem, wegen, das finde ich, ich meine, ich denk, ich glaub, ich kann mir vorstellen, widersprechen, entgegen, Argumente liefern, sozusagen, wie gesagt, dann geht es um..., also.

ინტერაქტანტები სასაუბრო მეტყველების ლექსიკას მიმართავენ: Megaevent, gucken, selber, angucken, anstellen, rauskommen, reinbringen, kriegen, drin.

(2) სინტაქსი

გამონათქვამები დიდი მოცულობისაა. უმეტესწილად ჰიპოტაქსური და პარატაქსული წინადადებები გვხვდება. ელიფსები იშვიათია: Die Inszenierung oder was?

ორი სტუმარი საუბრისას გრამატიკულ შეცდომებს უშვებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ გერმანული ენა მათთვის მშობლიური არაა. თუმცა ეს ხელს არ უშლით მათ აქტიურად ჩაერთონ ინტერაქციაში.

(3) პროსოდიული საშუალებები

საუბრის ტემპი საშუალოა, როცა სიტყვა უგრძელდებათ, ტემპსაც უმატებენ. გვხვდება როგორც დაღმავალი, ისე აღმავალი (2, 23, 30, 47) და განგრძობითი (6, 8, 9, 12, 14, 24, 26, 32, 36, 38, 44, 48, 50, 52, 54) ინტონაცია. ბგერის სიძლიერე საშუალო ზომისაა.

ფუნქციური აღწერა

ასეთი ტიპის გადაცემებში ძალიან მნიშვნელოვანია სახის ახლო პლანში ჩვენება, ის ემოცია, რომელიც ტოქსიკუს მონაწილეებისაგან მოდის. როცა ერთი საუბრობს, ეკრანზე ვხედავთ მეორე სტუმრის რეაქციას, რომლისკენაც მიმართულია ესა თუ ის რეპლიკა.

ტექსტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გზავნილს ბიშოფი ჰანს-იოხენ იაშკე ახმოვანებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რელიგია ძალადობასა და ტერორს

უნდა გაემიჯნოს: „Aber ich würde auch gerne noch etwas dazu sagen. Ich bin sehr froh, dass Sie sich so klar distanziert haben und wenn alle Religionen sich von Gewalt, von Terror distanzieren, von Gewalt im Namen Gottes, dann ist das ein ganz, ganz großer Fortschritt (...) Im Namen vieler Religionen wurde Gewalt ausgeübt, auch im Namen des Christentums (...) Das wissen wir, wir haben einen langen Prozess hinter uns, aber eindeutig klar ist für Christen, dass Gewalt im Namen Gottes keinen Platz haben darf. Ich freue mich, wenn immer mehr Muslime das erkennen und anerkennen, ein erstes...“ ((აპლოდისმენტები))

ბიშოფი რელიგიის წარმომადგენლებისაგან ძალადობის უარყოფას მოითხოვს. აღსანიშნავია სასაუბრო მეტყველების გამონათქვამი das ist nicht unser Bier, რითაც პოლიტიკისგან გამიჯვნის აუცილებლობას ესმება ხაზი. მაჰმუდ ჰასან დაბაგი ეთანხმება ამ მოსაზრებას. ფამილარულ-სასაუბრო ლექსიკური ერთეული Mann ემოციურ მდგომარეობაზე მიუთითებს:

1 ჰიი: Lieber Imam, das ist/

2 მჰდ: Entschuldigung, doch

3 ჰიი: eine politische Debatte, keine religiöse mehr. Wir sagen, Religion muss Gewalt ablehnen und ich möchte von Ihnen hören, als religiöse Persönlichkeit, dass Sie sagen: Jede Gewalt im Namen der Religion ist zu verurteilen.

4 მჰდ: Und das man, das man, klar, Mann.

5 ჰიი: Was die Politik macht, ist nicht unser Bier.

საგულისხმოა ასევე ლეონ დე ვინთერის შეხედულება, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს არატოლერანტული იდეოლოგიები წარმოადგენს. ნებისმიერ სარწმუნოებაში ცენტრალური ადგილი სიყვარულსა და სათნოებას უნდა ეჭიროს: „Das Wichtige für mich persönlich ist, dass im, im Herzen von jedem Glauben, von jeder Ideologie, von jeder Spiritualität geht es um eine Sache oder vielleicht zwei: Liebe und Barmherzigkeit, damit bin ich völlig einverstanden mit meinem Nachbarn, ääh wenn ich das Gefühl habe, dass in gewisse Mythologien oder religiöse Traditionen die Liebe nichts in der Mitte steht, dann habe ich große Angst ääh und ich bin dann sehr ääh beunruhigt ääh ääh auch, weil ich nicht weiß, wie unser offene tolerante Gesellschaften mit dieser intoleranten Ideologien leben könnte, weil diese intolerante Ideologien fressen auf den Dauer unsere Toleranz auf (...) und das ist die große Gefahr.“

ხშირია გამეორებები: wie muss ich es anstellen, wenn ich morgens aufstehe, mittags, wenn ich mich ärgere, wenn ich mir Prügelei habe, wie muss ich mich anstellen, zu den Ereignissen, die mir gegenüber treten, es gab da gar keine Antwort, es gab nur so generelle Sachen hm über die Eucha Eucharistie; Man will Teil sein einer Gruppe und diese Gruppe sollte mehr sein als nur die, die Anzahl der, der Mitglieder, auf der Such nach etwas Höheres, etwas Sakrales.

ხშირია ასევე განუსაზღვრელი არტიკლისა და ნაცვალსახელის შეკვეცა; ხმოვნის შეკვეცა სიტყვის ბოლოს: wenn's große Medienereignisse gibt; 'ne Krankenversicherung will; in 'nen Bus steige; sage ich's mal kurz; die Christen haben nie 'ne Antwort gegeben; gesehen hab.

გვხვდება დისკურსის მარკერები: Ääh, na, mhm. ამ უკანასკნელს მოდერატორი ხშირად იყენებს.

„ბერლინ მითე“ (იხ. დანართი 3)

სტრუქტურული აღწერა

ილნერს თემასთან დაკავშირებით საინტერესო სტუმრები ჰყავს მოწვეული.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტოქშოუში განიხილავენ ლიბანის საზღვარზე გერმანული სამხედრო შენაერთების გაგზავნის საკითხს. ფრიდბერტ ფლიუგერი (ფფ) აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებები ნიუ-ორკში ჯერ კიდევ მიმდინარეობს. პარლამენტისათვის წარდგენილი გეგმა ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარგლება და გერმანული დანაყოფები საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაერთვებიან, თუმცა მათ შემდგომში იარაღის კონტრაბანდის აკრძალვის მიზნით შეიძლება სასაზღვრო რეგიონის გაკონტროლება დაევალოთ. ფფ თხოვრებას აგვირგვინებს არგუმენტით, რომ ახლო აღმოსავლეთს ბედის ანაბარა ვერ მიატოვებენ (1-12). ილნერს აინტერესებს, რატომ ეწინააღმდეგება მემარცხენეთა პარტიის ფრაქცია ამ ოპერაციას, ამით ხომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა მიიღწევა და ისრაელსაც დაეხმარებიან. ოსკარ ლაფონტენი (ოლ) ჰუმანიტარული დახმარებისა და სამშვიდობო მისიის წინააღმდეგი არაა, მაგრამ ჰისბოლასათვის იარაღის მიწოდების კონტროლს კრიტიკულად უყურებს, რადგან ეს საბრძოლო ოპერაციებში ჩართვას გამოიწვევს (13-14). ექსპერტი ულრიკ კინცლე (უკ)

თვლის, რომ გერმანულ ნაწილებს საოცარი პოზიცია (wunderbare Position) ექნებათ, რადგან იარაღი, ძირითადად, ხმელეთიდან შედის ლიბანში. მოდერატორი ხატოვნად წარმოადგენს აღწერილ სიტუაციას გამოთქმით: im Pelz, aber mach mich nicht nass, რომლის სრული ვერსიაა wasch mir den Pelz, aber/und mach mich nicht nass, რაც არასასურველი ფაქტორების გარეშე სარგებლის მიღებას ნიშნავს. ექსპერტისათვის ეს ეშმაკური შემოთავაზებაა (schlaues Angebot). უკ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს მოკლედ მიმოიხილავს. ისრაელის სამხედრო ოპერაციას პირუსის გამარჯვებას ადარებს, რადგან ჰისბოლასა და ნასრალასთან მიმართებაში მიზანს ვერ მიაღწიეს. ეს წარუმატებლობა ახლო აღმოსავლეთისათვის პრობლემას წარმოადგენს. უკ საუბრობს ამერიკისა და საფრანგეთის მხრიდან მშვიდობის დამყარების მცდელობაზე, რაც კრახით დასრულდა. ის ლიბანში არსებულ მწვავე სიტუაციაზე მიუთითებს (ein sehr heikles, vermintes Gebiet, schwierig und merkwürdig) (15-33). გენერალი კლაუს რაინჰარდი (კრ) განმარტავს, რა საშიშროება შეიძლება დაეუფუქროს ჯარისკაცებს. ასევე ეხება სამხედრო კონფერენციას და მას ბაზარს ადარებს (34-43). ებრაელი ავტორისა და მეცნიერისთვის გერმანელი ჯარისკაცების ლიბანში გაგზავნა პოლიტიკური და ისტორიული მოვლენაა. რაფაელ ზელიჰმანის (რზ) აზრით, წარსულის დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ პასუხისმგებლობის აღება - შესაძლებელი. დასავლეთის დემოკრატიებმა ისტორიული და მორალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე უნდა მოახდინონ კონფლიქტის ნეიტრალიზაცია. ამავდროულად უნდა უზრუნველყონ ამ რეგიონში არსებული რესურსების დაცვა (44-51). რამდენიმე კითხვის ერთად დასმა არგუმენტაციული სტილის მარკერია. გვხვდება სხვა მახასიათებლებიც: also, denn, aber, deshalb, wenn, weil, trotzdem, dennoch, auf der einen Seite (einerseits) ... auf der anderen Seite, ich glaube, ich finde, ich meine, ich bin der Meinung, nach meiner Auffassung, wenn wir davon ausgehen, wir argumentieren, wenn ich eins noch hinzufügen darf, es gibt zwei Gründe dafür, Recht haben, quasi, sozusagen, nämlich, inakzeptabel.

გამოიყენება სასაუბრო მეტყველების ლექსიკა: grade, raus, gucken, zusammenkriegt, drin, die Jungs, abbleiben, im Dreck, faseln, fummeln.

(2) სინტაქსი

გამონათქვამები დიდი მოცულობისაა. უმეტესწილად გვხვდება ჰიპოტაქსური წინადადებები: მაგალითად, Also, wenn wir davon ausgehen, es bleibt so, wie dass Frau Merkel heute gesagt hat, werden ja in das Land deutsche Soldaten gar nicht kommen, auf See ist die Gefahr nicht sehr groß und die Flieger, die von Zypern aus fliegen, werden dort auch nicht bedroht, das heißt, die Jungs, die auf den Boden müssen, die insbesondere zwischen den Litani und die Nordgrenze von Libanon müssen, die sind sehr wohl gefährdet, da gibt's jede Menge Minen, da hat 'n Krieg stattgefunden, mit all den Konsequenzen, die nicht von heute auf morgen weggeräumt werden, die Risiken muss man sehen und weil es diese Risiken gibt, schickt man ja nun auch Soldaten, die mit diesen Risiken hoffentlich fertig werden.

(3) პროსოდიული საშუალებები

ტემპი საშუალოა, თუმცა რაც უფრო დიდია სიტყვა, მით უფრო სწრაფად საუბრობენ კომუნიკანტები. ტოქშოუს აქტიორები აქცენტებს მნიშვნელოვან სიტყვებზე აკეთებენ. ძირითადად, დაღმავალი ინტონაციაა, თუმცა გვხვდება განგრძობითი (4, 10, 15, 19, 22, 23, 25, 27, 31, 35, 39, 45, 47) და ერთადერთი აღმავალი ინტონაციაც (7): und sie werden im deutschen Bundestag aber trotzdem fragen? მოდერატორი საშუალო ტონალობაში საუბრობს.

ფუნქციური აღწერა

ტოქშოუს ინტერაქტანტებს, ძირითადად, ახლო პლანში უჩვენებენ, რადგან მათი ემოცია მაყურებლების მიერ ადეკვატურად იქნას აღქმული. ქესტიკულაცია და მიმიკა თავშეკავებულია. ზოგიერთი მონაწილე აქტიურად ამოძრავებს ხელებს.

ხშირია გამეორება: Na, das ist sehr, das ist 'ne wunderbare Position, weil über Wa, über See kommen natürlich keine Waffen, äh die kommen über die Landesseite und sind immer über die Landesseite gekommen und insofern sind wir vor allem raus./ Die Risiken muss man sehen und weil es diese Risiken gibt, schickt man ja nun auch Soldaten, die mit diesen Risiken hoffentlich fertig werden./ Es ist ein politisches und es ist ein historisches Angebot. Also, ich habe nämlich immer dagegen gewarnt, dass man sagt, wir müssen die Vergangenheit bewältigen, die Vergangenheit lässt sich nicht bewältigen, die ist vorbei. Aber wir können aus der Vergangenheit eine gewisse Verantwortung ziehen und dieser Verantwortung sollte man nachkommen.

გვხვდება განუსაზღვრელი არტიკლის, ნაცვალსახელის შეკვეცა: 'n Angebot; 'ne Rechnung, da gibt's jede Menge Minen, da hat 'n Krieg stattgefunden. მოდერატორი მიმართავს დისკურსის მარკერს: Mhm.

ინტერაქტანტები ამ გამონათქვამებით თავიანთ სიტყვას ხატონად წარმოაჩენენ: Pyrrhussieg; von heute auf morgen; durch die zweite und dritte Runde gegangen ist; im Pelz, aber mach mich nicht nass; in die Runde werfen.

„ოლივერ გაისენის შოუ“ (იხ. დანართი 4)

სტრუქტურული აღწერა

გაისენის პირველი სტუმრები არიან ცოლ-ქმარი ვერნერი და გერტრუდი, რომელთაც 15 შვილი ჰყავთ.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ტოქშოუს მონაწილეები მიმართავენ სასაუბრო მეტყველების ლექსიკასა და გამოთქმებს: Grüß euch, Hallöchen, Hallo, da drin, reinkommen, hinkriegen, selber, leider Gottes, in die Welt setzen. ინტერაქტანტები სასაუბრო მეტყველების მახასიათებლებს იყენებენ: მაგალითად, ხმოვნის შეკვეცა, საკუთარი სახელის წინ განსაზღვრული არტიკლი, განუსაზღვრელი არტიკლის შემოკლება, განსაზღვრული არტიკლი ნაცვალსახელის როლში, დისკურსის მარკერები: ich sag, aaa hab ich mich da oben bisschen verkehrt ausgedrückt; der Denis, der Kevin, 'ne schwere geistige Behinderung, in so 'ner Tagesgruppe, der lebt seit drei Jahren im Behindertenheim; Der war auch zwei Jahre im Heim gewesen; den kriegen wir aber jetzt wieder; Das wäre, Denis wäre das, ne? Ähm, äh.

(2) სინტაქსი

გამონათქვამი, ძირითადად, მოკლეა. გვხვდება როგორც მარტივი, ისე შერწყმული, ჰიპოტაქსური და პარატაქსული წინადადებები, ხშირია ელიფსები (5, 6, 27, 28, 33, 34, 45, 49). წინადადების აგებისას მაყურებელი უშვებს შეცდომებს, მაგრამ ეს სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

(3) პროსოდიული საშუალებები

საუბრის ტემპი საშუალოა, ვერნერი და მაყურებელი კონტექსტიდან გამომდინარე უჩქარებენ ტემპს. წამყვანი და გერტრუდი საშუალო ტემპით საუბრობენ. მაგალითად, ვერნერი დენისზე საუბრისას უხერხულ მდგომარეობაში

ვარდება, რადგან განსაკუთრებული საჭიროების მქონე შვილს თავად ვერ უვლის, ხოლო როცა კევიზზე გადადის, ტემპს უმატებს. ძირითადად, გვაქვს დაღმავალი ინტონაცია, თუმცა გვხვდება როგორც აღმავალი (20, 32, 42, 46), ისე განგრძობითი ინტონაცია (9, 11, 13, 15, 31, 36, 40, 45, 50, 51, 52). საუბარი, ძირითადად, საშუალო სიმაღლეზე მიმდინარეობს, გერტრუდი და სტუდიაში მჯდომი მაყურებელი ხმას უწევენ. ეს უკანასკნელი დაბალ ხმაზეც საუბრობს. ვერნერი ძალიან მშვიდად და გაწონასწორებულად მეტყველებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხმას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ზეპირი საუბრისას, რადგან მას ემოციის გამოხატვა შეუძლია.

ფუნქციური აღწერა

მისაღმების შემდეგ მოდერატორი ხაზს უსვამს, რომ მოიწვია მრავალშვილიანი ოჯახები. მართალია, მან იცის, რამდენი შვილი ჰყავს პირველ წყვილს, მაგრამ მაინც ეკითხება დიდი ინტერესით შვილების რაოდენობის შესახებ. როცა მოისმენს, რომ 15 შვილი ჰყავთ, ძალზედ გაიკვირვებს. ასეთმა მაგალითებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ემოციები ტოქშოუში ინსცენირებულია. ამავდროულად რთულია იმის დადგენა, რამდენად გულწრფელია ამ შემთხვევაში წამყვანი. გაისენი იუმორით უდგება ამ საკითხს და სვამს კითხვას, როგორ მივიდნენ ამ ჰობიმდე: „Wie seid ihr zu diesem Hobby gekommen?“ შეკითხვას თან ახლავს იუმორის მარკერი. დედა ყვება მოდერატორის იუმორისტულ სტილს: „Wir wollten schon immer so viele Kinder haben.“ სახელების ჩამოთვლისას მამა მძიმე სიტუაციაში ვარდება, იგივე მეორდება მათი ასაკის დასახელებისას, რასაც გაისენისა და სტუმრების ადეკვატური რეაქცია მოყვება: სიცილი. წამყვანის სტილი თანდათანობით მწვავე ხდება. მისი შეკითხვა იმიჯის შელახვას შეიცავს, თუმცა კითხვა მეზობლების პერსპექტივიდან ფრთხილადაა ფორმულირებული. ამით მოდერატორი კონფლიქტის თავიდან აცილების სტრატეგიას მიმართავს: „Gut, wie geht die Umgebung damit um? Sagen die, mein Gott, das ist ja asozial die Nachbarn oder wie reagieren die auf euch?“ ვერნერი გულწრფელი, შეწუხებული და სერიოზული სტილით მიუგებს, რომ დღესდღეობით ყველა ოჯახი, რომელსაც სამ ბავშვზე მეტი ჰყავს, ასოციალურად ითვლება. დენისი სამი წელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლში ცხოვრობს, ორი წელი კევიზიც სხვაგან იყო, მაგრამ ახლა ბრუნდება სახლში.

გაისენს არ სჯერა, რომ 15 ბავშვს მშობლები ყველაფერს ისე გაუკეთებენ, რაც მათ სჭირდებათ. ისინი განსხვავებულ აზრზე არიან. საშინაო დავალებებს ბავშვები სკოლაში გაკვეთილების შემდეგ ასრულებენ და მშობლების დაუხმარებლად ართმევენ თავს. პირველი მაყურებელი განსაკუთრებული აგრესიული სტილით გამოთქვამს საყვედურს. ის აღშფოთებულია, რადგან მშობლებმა დროის უქონლობის გამო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი მიატოვეს, რომელიც მათგან უფრო მეტ ყურადღებასა და დახმარებას მოითხოვდა, თუმცა მათ სხვა შვილების გაჩენის დრო აქვთ: „Ihr sagt, ihr habt keine Zeit sich im um, also um euch, um den Kleinen sich zu kümmern, aber ihr habt Zeit noch weitere Kinder in die Welt zu setzen. Das habe ich kein Verständnis für, das kann ich nicht verstehen, ich begreife es nicht, ihr sagt, ihr habt, ihr habt ´n krankes Kind, das ist krank, das ist das, was eigentlich am meisten Zeit und Aufwendung braucht, aber ihr setzt noch weitere Kinder in die Welt.“ მაყურებელი დისენსურ სიტუაციაში ემოციურადაა ჩართული, ძალზედ სერიოზული და შეწუხებული მიმიკა აქვს, წარბებს ათამაშებს, ხმას თანდათანობით უწევს და ყვირილამდეც კი მიდის. სტუდიის პუბლიკა თანხმობის ნიშნად აპლოდისმენტებით აჯილდოებს. გერტრუდი ყველაფერს ახალგაზრდების უწყებას აბრალებს და ხმამაღლა საუბრობს: „Ja, das Jugendamt macht das nicht mit.“ ვერნერს არჩეული აქვს თავდაცვითი სტრატეგია და არ შედის ღია კონფრონტაციაში სტუმართან. ის საკუთარ თავს იდანაშაულებს, რომ კარგად ვერ ჩამოაყალიბა აზრი. 15 შვილის მამა მშვიდად ხსნის, რაში მდგომარეობს პრობლემა: მათ დენისისთვის დრო აქვთ, მაგრამ მას ცალკე მოვლა სჭირდება და ამდენ ბავშვთან ვერ იცხოვრებს, თუმცა ფიქრობენ, როგორ დაიბრუნონ შვილი : „Ja, dann habe ich mich vielleicht, aaa hab ich mich da oben bisschen verkehrt ausgedrückt. Wir haben sogar sehr viel Zeit für den Denis. Du musst das so sehen, der kommt regelmäßig, kommt er zu uns nach Hause. Nur das Problem ist, der Denis kann bei so vielen Kindern zu Hause, kann er nicht leben, weil er muss ´ne Einzelbetreuung haben, die können wir ihm nicht geben. Deshalb muss er auch noch in diesem Heim bleiben. Das wird er auch, weil wir kriegen ihn sonst nicht hin, wir können da keine Leute irgendwie nach Hause holen, dass er aber bei seiner Familie ist, ist so, ist ja auch nur Kostenfrage, macht keiner und deshalb müssen wir uns halt damit erstmal abfinden, dass er da drin ist, dies heißt ja aber auch nicht, dass er für immer da drin bleibt, wir hoffen, dass es irgendwann mal wieder in die Familie reinkommt, aber wird schwierig.“

ტოქშოუს მონაწილეები კომუნიკაციაში ჩართულები არიან არა მარტო ვერბალურად, არამედ ჟესტებითა და მიმიკით. ვერნერს უმეტესწილად ხელები გადაჭდობილი აქვს, რითაც დამაბულობას ამჟღავნებს, ასევე ფეხებს ათამამებს, რაც ნერვიულობაზე მიუთითებს. გერტრუდი საერთოდ უემოციო სახით ზის. კარმენის რეაქციას კულისებიდან გვაჩვენებენ. წამყვანი ბუნებრივად გამოხატავს ემოციებს. მაყურებელი გაბრაზებულია. მონაწილეებს მსხვილი პლანით აჩვენებენ, რათა მათი გრძნობა, ემოცია სახეზე კარგად იქნას გადმოცემული.

ტოქშოუს მონაწილეები მიმართავენ სტილისტურ ფიგურას გამეორებას, რათა ექსპრესიულობა გამოხატონ: „Ihr sagt, ihr habt keine Zeit sich im, um also, um euch um den Kleinen sich zu kümmern, aber ihr habt Zeit noch weitere Kinder in die Welt zu setzen. Das habe ich kein Verständnis für, das kann ich nicht verstehen, ich begreife es nicht, ihr sagt, ihr habt, ihr habt ´n krankes Kind, das ist krank, das ist das, was eigentlich am meisten Zeit und Aufwendung braucht.“

უნდა აღინიშნოს, რომ „ოლივერ გაისენის შოუს“ განხილული გადაცემა ორიენტირებულია კონფრონტაციაზე, რაც სტუმრების სტუდიაში შემოსვლის თანმიმდევრობაშიც ჩანს. ანტაგონისტური დამოკიდებულებების მქონე სტუმრები ერთმანეთს ენაცვლებიან. მონაწილეებს არ სურთ კომპრომისის მიღწევა, რადგან თავიდანვე გარკვეული როლი აქვთ მიკუთვნებული. რედაქტორები მაყურებელთა მიზიდვას ემოციონალიზაციითა და პოლარიზაციით ცდილობენ. კარმენი იმდენად გაოგნებულია პირველი წყვილის ისტორიით, რომ სიტყვებს ვერ პოულობს (sprachlos). მის დამოკიდებულებას შორისდებული puh ნათლად გადმოსცემს. თხრობას საკუთარ მაგალითზე აგრძელებს და მისი არგუმენტი დროის ფაქტორს ემყარება: „Puh, na ja, bin ich sprachlos, weil das widerspricht alles an dem. Irgendwie hamma viel Zeit, aber irgendwie hamma auch ka Zeit. Also, wenn ich Kinder in die Welt setz, muss ich mir bewusst sein, dass Kinder sehr, sehr viel Zeit brauchen, ob des am Anfang ist, beim Stillen, beim Flasche geben, beim Wickeln, es geht bei dem Älterwerden und trotz Alter Hausaufgaben machen, ich weiß es net, ob es die Lösung ist, wenn man sagt, das Kind ist bis 16 Uhr in der Schule und hat Hausaufgabenbetreuung und die Sache ist abgetan. Also, ich weiß net, ob des ´ne Lösung ist, vor allem, wenn ma so viele Kinder hat, da muss ma ja sich scho überlegen, kann ich allen Kindern gerecht werden, des kann man net. Das geht auf keinen Fall, weil Kind a,b,c und d

und Nummer 7, 8, 9, 10 und 12 kommen und wollen irgendwas und es kostet einfach Zeit. Man muss seinm Kind zuhören.“

ნარატორი დიალექტურ მეტყველებას მიმართავს, რაც როგორც ინტონაციაში, ისე სხვა მახასიათებლებში ჩანს: des-das, net-nicht, hamma - haben wir, ka – keine, ma-man, scho-schon. weil კავშირიან კონსტრუქციაში ზმნა წინადადების ბოლოს უნდა იყოს, მაგრამ სასაუბრო მეტყველებაში ხშირად მეორე პოზიციაზეა. na ja სასაუბრო მეტყველების ენობრივი ერთეულია. განუსაზღვრელი ნაცვალსახელის “man” გამოყენებით იმიჯის შელახვა მცირდება.

გერტრუდი მეუღლის მსგავსად უმეტესად თავდაცვით სტრატეგიას იყენებს, რაც პრობლემის სხვაზე გადაბრალებასა და თავის მართლებაში გამოიხატება: „Das Jugendamt gibt es uns den Denis ja nicht zurück.“ კარმენი ამ არგუმენტს არასერიოზულად მიიჩნევს: „Na, nea, ich weiß scho, es sind immer die anderen schuldig. Des is ´n anderes Thema.“ პოზიციის არ შეცვლა (Ja, es ist doch so.) კარმენის განაწყენებას იწვევს: „Des ist ja Quatsch. Also, wenn ich ein Kind habe, egal, ob es mein erstes, mei zweites oder mei drittes Kind ist und es braucht mich mehr, da muss ich mich um das Kind kümmern und welche Teufel tun noch weitere Kinder in die Welt setzen, wenn ich ein Kind hab, wo eigentlich meine Aufwendung, meine Zeit und meine Zuwendung braucht.“ ნეგატიური ლექსიკა ხაზს უსვამს ემოციურ და ანტაგონისტურ დამოკიდებულებას: Quatsch (ფამილარულ-სასაუბრო), welche Teufel. აქვე აღსანიშნავია სტუდიის პუბლიკის როგორც კულტურის ინდიკატორის როლი, რომელიც აპლოდისმენტებით აჯილდოებს მისაღებ აზრსა და დამოკიდებულებებს, ამ შემთხვევაში კარმენს. ეს ნარატორს დამატებით სტიმულს აძლევს, აღწეროს ოჯახური სიტუაცია. ამით ის საკუთარ თავს პოზიტიურ ასპექტში წარმოადგენს: „Also, ich kann jetzt nur von mir sprechen – ich selber hab drei Kinder. Die sind fast 11, 8 und 3. Erziehende sind schon bisschen weit auseinander, aber Kinder brauchen unheimlich viel Zeit, ob ds bei der Älteren ist, wo schon die Vorpubertät ist, ob des beim Mittleren ist oder beim Kleinen und trotz Alters ist. Es, jetzt bin ich wirklich schon teilweise net überfordert, aber es ist einfach schwer, man, man muss jedem gerecht werden. Äh ma Tochter kommt, möcht´s Mama, Mama, Mama, meine Mittlere kommt, da kommt der Kleine, da sag ich immer.“ პროტაგონისტი არგუმენტაციულ მსჯელობას საკვანძო სიტყვებით ამყარებს: „Die Verantwortung wird an die größeren Kinder weitergegeben, aber die Kinder wollen vielleicht Kinder sein und net ´ne Ersatzmama sein. Das ist einfach nicht o.k., weil die Kinder,

„äh die wollen die kein Kind haben, die *Eltern wollen die Kinder und müssen sich auch um die Kinder kümmern.*“ კარმენი საკუთარი არგუმენტაციის სისწორეში რწმუნდება, როცა გაიგებს, რომ ბავშვების უმრავლესობა სპეციალურ სკოლაში დადის: „weil ääh die Schulen müssen ja auch fördern, aber ich finde es Schwachsinn, wenn Kinder in Förderschulen kommen ja, weil Sonderschulen sagt man ja nicht mehr ääh (...) weil, weil Eltern nich Zeit haben, hier ihre Kinder vielleicht zu fördern.“ Schwachsinn სასაუბრო ენის შრეს განეკუთვნება უარყოფითი მნიშვნელობით.

მეორე სტუმარი შეურაცხყოფას აყენებს პირველ წყვილს. Fußballtrainer და Hausmeister ნეიტრალური ლექსიკის სიტყვებია, თუმცა ამ კონტექსტში ნეგატიურ მნიშვნელობას იძენენ. პარალელური კონსტრუქციები (რიტორიკული შეკითხვები) ექსპრესიულობას კიდევ უფრო ზრდის: „Aber Euch beiden hab ich mehr den Eindruck, ihr seid die Fußballtrainer von ´ner Mannschaft und nicht mehr. Ihr beaufsichtigt die, so wie ääh der Hausmeister von ´ner Jugendherberge, die kriegen bei uns Essen, die kriegen bei uns Trinken, die wohnen, wir halten den Laden am Laufen und für alles andere brauchen wir das Jugendamt, die Hilfe hier, die Hilfe da, weil ohne die wird´s schon gar nicht mehr laufen und wenn ihr später eure Kinder fragt, weil Kinder hat man, bis man stirbt, die sind immer da, die werden vielleicht dann da stehen und sagen, tsu wieso? Wieso musste ich die und den mit großziehen, wieso hast du mir mein Kindsein nicht gelassen? Wieso hast du mir nicht die Chance gegeben da und da weiterzukommen? Und ich weiß nicht, ob ihr dann immer noch so relaxed da sitzt und sagt, ja, man hat ja kein anderes Hobby. Also, so kommt´s mir vor: tut mir leid.“ მოდერატორი არ აცლის გერტრუდსა და ვერნერს ამ რეპლიკაზე პასუხის გაცემას და შემდეგი სტუმარი შემოჰყავს. მაყურებლის რეპლიკა გაფორმებულია სასაუბრო მეტყველებისა და დისკურსის მარკერებით: kriegen, den Laden am Laufen halten, relaxed, von ´ner Mannschaft, ääh, ich weiß და სხვ.

მესამე მაყურებელი საყვედურობს სასკიას, რომ უმუშევართა დახმარების მიუხედავად შვილებს აჩენს: „Das ist ja super, aber zu ihr möcht ich sagen, zu ihr möcht ich sagen, wenn du deine Situation kennst mit Hartz IV, es gibt Menschen, die haben ein Kind und schämen sich dafür, dass sie abhängig sind vom Staat. Aber warum kriegt ihr dann noch mehr Kinder, warum hört ihr nicht auf.“ ეს უკანასკნელი თავდაცვით სტრატეგიას მიმართვს და აღიარებს, რომ მისი მდგომარეობის რცხვენია: „Da krieg ich Gehalt für

die Ausbildung, das ist staatlich, da krieg 'n Hauslosgehalt. Ja, das stimmt, schäm ich dafür auch, geb ich ganz ehrlich zu, weil ich mir auch für meine Kinder was Besseres gewünscht habe, aber ähm Deutschland ist mal so ein Land, wo nur, wo es nur Arbeitslose gibt und gut, ich sag auch ganz ehrlich.“

განსაკუთრებული ემოციურობითა და პოლარიზაციით გამოირჩევა ალექსანდრე, რასაც არავერბალური საშუალებებიც უსვამენ ხაზს. ის ხმამაღალი ტონალობით საუბრობს და ხშირად ყვირილამდეც მიდის. ინტენსიური შესტიკულაცია მის აღელვებულობასა და აღზნებულობას მოწმობს. წარბების ზემოთ აწევა და თვალის გუგების შევიწროვება-გაფართოება მისი საუბრის სტილს მკაცრს და მომთხოვნს ხდის. ალექსანდრე საყვედურობს სასკიას, რომ შვილებზე არ ფიქრობს: „Ähm ich muss dazu sagen, wirklich, Saskia, du hast grade wirklich 'nen sehr wichtigen Satz gesagt: Deutschland momentan ganz typisch sehr viele Arbeitslose. Denk da man nich auch ma an seine Kinder, wenn man schon Kinder zur Welt setzt, in die Welt setzt, dass man sagt, was kann ich diesen Kindern überhaupt 'ne Perspektive bieten, wenn du selber grade siehst, dass selber auch arbeitslos bist.“ ეს უკანასკნელი თავდაპირველად არ შედის მასთან პირდაპირ კონფრონტაციაში: „Das streit ich nicht ab. Das stimmt.“ თუმცა მათი ინტერაქცია ღია დაპირისპირებაში გადადის მას შემდეგ, რაც მოდერატორი პროვოკაციულ კითხვას დასვამს: „Alexander hat grade 'ne interessante ääh These aufgestellt, hat gesagt, ja gut, wer viele Kinder hat, bekommt auch viel Kindergeld. Äähm, ist das tatsächlich deine Idee gewesen und manches ja davon kauft ihr euch eure Kiste Bier und eigentlich läuft die Familie dann so ganz wunderbar?“ სასკიასთვის მიუღებელია არგუმენტაცია, რომ ბევრი შვილი მშობლებს იმისთვის უნდათ, რომ ფინანსურად იყვნენ უზრუნველყოფილნი და ლუდი არ გამოელიოთ:

ალ: Das ist keine Idee, das sind noch mal die Fakten.

სა: Aber weißt du, was Kinder kosten?

ალ: Ich weiß, was Kinder kosten.

სა: Ja, dafür braucht man ja das Geld.

ალ: Ich weiß ganz genau.

სა: Da gehe ich, da gehen wir nicht 'n Kasten Bier davon kaufen.

ሥራ: Aber warum reichen dann davon nicht nur 5 Kinder, wo man sagt, was Kinder kosten? Warum kannst du überhaupt die Kinder überhaupt finanzieren? Du brauchst die Hilfe des Staates.

ሌላ: Ja, seit drei Jahren, mein Mann hat 53 Jahre gearbeitet und so vielleicht/

ሥራ: Und jeder, und jeder Mensch ist irgendwo auch ein bequemer Mensch. Jeder Mensch/

ሌላ: Wie alt bist du denn?

ሥራ: Ich bin 22.

ሌላ: Ja und dann kannst du das schon erzählen oder was?

ሥራ: Natürlich kann scho/

ሌላ: Ja, sicher.

ሥራ: Hör mal, ich hab mit 18 meine eigene Wohnung gehabt. Ich kann in meine Heimat, weil/

ሌላ: Ja super, ich auch, stell dir vor.

ሥራ: Ja, o.k., ist schon gut.

ሌላ: Ja.

ሥራ: Du kennst mich nicht und deswegen lasse ich, erlaube ich auch nicht, dass du dir Recht nimmst, tu ja doch Recht/

ሌላ: Ja, aber du redest gerade, du sagst zu mir

ሥራ: Nein,

ሌላ: ich bin naiv und du sagst, sie sitzt am Kasten Bier/

ሥራ: du hast gesagt, du warst naiv und ich sage, du warst nicht naiv, du bist naiv.

ሌላ: Also, wirklich. Ne, ich bin nicht naiv. Ich weiß,

ሥራ: Bist du wohl.

ሌላ: wie meine Situation ist.

ሥራ: Und ich weiß ganz und ich weiß ganz/

ሌላ: Und ich ändere was daran, indem ich Bewerbungen schreibe und mein Leben ändere.

ሥራ: Gut. Ich o.k., das ist auch.

სს: Also, wirklich!

აღ: Nein, nicht also wirklich. Damit ist es hier/

სს: Weißt du ja, wie jemand sagt, hast du sicher geil oder was?

აღ: Ja, o.k. Warum? Warum?

სს: Ja, so stellst du das aber dar.

აღ: Ja, o.k. Du sagst grade, ich hab meine Kinder und ich werde was tun, aber es kommt doch nichts.

სს: Ja, woher willst du das denn wissen?

აღ: Ja, hast du denn was Neues?

სს: Ne.

აღ: Na, also.

სს: Ich hab ja Bewerbungen am Laufen und mein Mann auch.

აღ: Hat's sich doch erledigt.

სს: Hey, Deutschland hat so viel Arbeitslosigkeit.

აღ: Genau, Deutschland hat so viele Arbeitslose.

სს: Die Jobs fallen nicht vom Himmel.

აღ: Genau.

სს: Stell dir vor.

აღ: Also, wenn du,

სს: Und wenn du was gelernt hast/

აღ: wenn du dir das Recht nimmst, mit mir mit so einem Ton zu reden, dann hab auch, dann sag mir auch, dass du einen Job hast, ansonsten bitte nichts.

სს: Weißt du was, ich möchte keinen Job, ich habe drei Jahre eine Ausbildung gemacht, mein Mann auch

გერ: Na, dann geht schon nach vorne.

აღ: Gut, man möchte viel, wenn man pleite ist.

სს: Und dafür gehe ich nirgendwo putzen, tut mir leid. Dann hätte ich den Hauptschulabschluss machen können und hätte irgendwohin putzen gehen.

აღ: Hätte, hätte, hätte ...

სა: Da würde ich kein Abi machen brauchen.“

ამ ეპიზოდში კამათი ემოციონალურ დონეზე მიმდინარეობს. მძაფრ საუბარზე სიმულტანური ფაზები და შეწყვეტინებები მეტყველებს. სხვისი იმიჯის შელახვა და საკუთარი თავის პოზიტიურად წარმოჩენა სპეციფიკურია ამ ტიპის კომუნიკაციისათვის. უარყოფითი კონტაქტის სიტყვას *naiv* სასკია მდგომარეობიდან გამოჰყავს და ინტერაქტანტები ერთმანეთს აგრესიულად თიქმის ყვირილამდე მისული ხმით ეპაექრებიან. ფამილარულ-სასაუბრო სიტყვა *geil* ამ კონტექსტში უარყოფით ეპითეტად შეიძლება აღვიქვათ. შემდეგი ფრაზები ექსპლიციტური მინიშნებაა არათავაზიან საუბარზე: „Du kennst mich nicht und deswegen lasse ich, erlaube ich auch nicht, dass du dir Recht nimmst, tu ja doch Recht...“ ან „wenn du dir das Recht nimmst, mit mir mit so einem Ton zu reden“. ინტერაქცია გაფორმებულია კონფრონტაციისათვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებებით: მძაფრი ჟესტიკულაცია, წარბების შეკვრა, თვალის გუგების გაფართოება, მრისხანე გამომეტყველება, თავის უკან გადაწევა, ზურგის შექცევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროქსემიკა მოქმედებს საუბრის დაძაბულობაზე. ერთმანეთისკენ მიბრუნება და წინ გადაწევა კონფრონტაციას უსვამს ხაზს, ხოლო უკან გადაწევა და მაყურებლებისკენ შებრუნება ოპონენტთან კომუნიკაციის გაწყვეტის სურვილს. *hätte*-ს (კავშირებითი კილო) გამეორებით ალექსანდრე სასკიას სურვილების არარეალურობაზე მიუთითებს. ინტერაქტანტები სასაუბრო მეტყველების ერთეულებს მიმართავენ: *ne, was, am Laufen haben, grade, Job, ma, scho* და სხვ.

ირონია და უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა ჟაკლინის პოზიციაშიც. მისთვის მიუღებელი და უპასუხისმგებლოა ვერნერისა და გერტრუდის განწყობა. ის ბავშვების სპეციალურ სკოლაში სიარულს აღზრდას აბრალებს: „Ich wollte gerne was zu dem Ehepäarchen da vorne sagen. Ihr meint, ihr werdet eu euren ganzen 15 Kindern ja gerecht. Ne, stimmt erstmal gar nicht, weil ihr gar nicht alle 15 zu Hause habt. Da fängt schon mal an und außerdem, ähm wenn eure Kinder wirklich alle auf ´ne Sonderschule gehen, dann stimmt doch was in der Erziehung nicht und man kann nicht sagen, es sind alles Frühchen, dies, deswegen

sind sie dumm geworden und so. Kinder können auch dumm gemacht werden. Ich meine, ähm irgendwann ist dann doch Schluss, du kannst wirklich, du kannst den 15 Kindern nicht gerecht werden und es geht einfach nicht mit 15 Kindern.“ კნინობითი სუფიქსი -chen, რომელიც პატარა ზომის საგნისა და მცირე ასაკის პიროვნებათა სახელების ან მოფერების აღსანიშნავად გამოიყენება, აშკარად უარყოფით, ირონიულ სემანტიკურ ელფერს ანიჭებს ლექსიკურ ერთეულს: Ehepäarchen და მთლიანად კონტექსტს. სიტყვა Frühchen ჟარგონს განეკუთვნება და ამით ინტერაქტანტი სიტუაციის დრამატულობას უსვამს ხაზს.

მაყურებლის ირონია აშკარაა ამ წინადადებებში: „Und was ich nur noch fragen wollte, wie kamt ihr eigentlich darauf, 15 Kinder zu zeugen? Wolltet ihr irgendwie den Eintrag ins Guinnessbuch der Rekorde haben oder wie kam’s dazu?“

სახელით არ მიმართვა იმიჯის შემლახველია: „Also, zu dem (...) Zu dem jungen (...) zu dem jungen Mann da vorne, der da gerade eben gesagt hat (...)“

ზემოთგანხილული მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ დისენსი ტოქშოუში „ოლივერ გაისენის შოუ“ მრავალფეროვანი ხერხით მიიღწევა: სხვისი იმიჯის შელახვა, საკუთარი თავის პოზიტიურად წარმოჩენა, აგრესია, ირონია, კამათი ემოციონალურ დონეზე, სიტყვისათვის ბრძოლა, სიმულტანური საუბრის ფაზები, შეწყვეტინება, ხმის მაღალი სიძლიერე, რაც ყვირილამდე მიდის, საყვედური, შეურაცხყოფა, ნეგატიური ლექსიკა.

ჩემს მიერ გამოკვლეულ ყველა გადაცემას საფუძვლად უდევს შემდეგი სტრუქტურა: დასაწყისი, ბირთვი და დასასრული. ეს სამნაწილიანი დაყოფა ტრადიციულია კვლევაში. შუა ნაწილი ყველაზე მეტად კომპლექსურია ფაზებს შორის (ბრინკერი 2001b: 1247).

გერმანულ ტოქშოუებში არაა ნაწილი ფაზები. ერთადერთი ტოქშოუ, სადაც ძირითად ფაზაში სტუმრის სეკვენციები გვხვდება, „ოლივერ გაისენის შოუა“. პირველი სტუმრის გარდა ყველა დანარჩენ შემთხვევაში ხდება გადასვლაში გადაცემის სტუმრის დასახელება, მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საინტერესო თხრობის დაანონსება. ყოველი ახალი ნაწილის დასაწყისში შემდეგი სქემა გვხვდება (Hier ist xy. Herzlich willkommen) + მისალმება. მისალმება ხშირად

რამდენჯერმე მეორდება, რასაც მოყვება სტუმრის მხრიდანაც მისაღმება. ასევე თითქმის ყველგან გვხვდება მიმართვაც, როგორც სტუმრის, ისე წამყვანის მხრივ. მოდერატორი ორჯერ გამოთქვამს სიხარულს სტუმრის სტუდიაში ყოფნის გამო.

ამრიგად, სტუმრის სეკვენციების გახსნის ფაზის ყველაზე ხშირი ელემენტებია: გადასვლა; სქემა + მისაღმება + მიმართვა; უკუმისაღმება. ნაკლებად გვხვდება სტუმრის სტუდიაში ყოფნის გამო სიხარულის გამოხატვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად ფაზებში სხვა სტუმრებიც და მაცურებლებიც აქტიურად ერთვებიან მას შემდეგ, რაც წამყვანი გაესაუბრება მათ.

ამ გადაცემაში შემდეგი სტრუქტურა გამოიყოფა:

დასაწყისი - ძირითადი ფაზა - 7 სტუმარი: ა. გახსნა; ბ. ძირითადი ფაზა - დასასრული.

რაც შეეხება სტილისტურ დახასიათებას, ძირითადად, „საბინე ქრისტიანსენში“ ჰიპოტაქსური, „ბერლინ მითეში“ ჰიპოტაქსური და პარატაქსული კონსტრუქციებია. ეს არგუმენტირებული სტილის ნიშნებია. „ჰარალდ შმიდტის“ იუმორისტული სტილისთვის ტიპურია მოკლე წინადადებები და ელიფსები. „ოლივერ გაისენის შოუში“, რომელიც მთლიანად დისენსზეა ორიენტირებული, გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელი რეპლიკები, რაც დამოკიდებულია იმაზე, საუბარი ნარატიული თხრობა-აღწერის, კითხვა-პასუხისა თუ დიალოგ-შეპასუხების რეჟიმში მიმდინარეობს.

2.1.1.3.2. ქართული ტოქშოუს ბირთვი

„ვანოს შოუ“ (იხ. დანართი 5)

სტრუქტურული აღწერა

ჯავახიშვილს თავის გადაცემაში ერთ-ერთ სტუმრად მოწვეული ჰყავს ჯგუფი „ფრანი“, რომლის წევრებთან საუბარი შეიძლება რამდენიმე თემატურ ბლოკად დავეყოთ. პირველ ნაწილში მოდერატორი წარადგენს მუსიკოსებს და მოკლე მინიშნებას აკეთებს მათ ხვალინდელ კონცერტთან დაკავშირებით, რაც სარეკლამო ფუნქციას ემსახურება. მეორე ეპიზოდის თემაა ჯგუფის შექმნა, პირველი კონცერტი

და ადგილი, სადაც პირველად გამოვიდნენ. წამყვანს მიაჩნია, რომ ვაკის სარდაფში კონცერტის ჩატარება კარგია, რადგან ვერ ხედავ, ვინ რას ისვრის. ამ აზრის გამეორებით კომიკურობის ეფექტი იქმნება. მესამე ნაწილში ჯავახიშვილი მომღერლის მეტსახელს ეხება. შემდეგ განიხილავენ ჯგუფის სახელს „ფრანს“. მეხუთე ეპიზოდში საუბრობენ მოსკოვის კონცერტზე, რუსულ-ქართულ ურთიერთობებსა და „ვანოს შოუს“ შიგა სამზარეულოზე. მეექვსე ნაწილში „ფრანის“ სოლო კონცერტებს და მომავალ გამოსვლას განიხილავენ. ბოლო სცენა შესრულების სტილს ეხება, რის შემდეგაც მუსიკოსები ცნობილ ჰიტს წარმოადგენენ და წამყვანი ემშვიდობება სტუმრებს.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

ინტერაქტანტები იყენებენ სასაუბრო მეტყველების სიტყვებსა და გამოთქმებს, ჟარგონს: ბიჭებო, კლიჩკით, კაი, ბარემო, კაროჩე, რაღაცეებს, პადიუზი, აყუდეფ, ითამამე, ძაან რაღაცა, ვაფშე, მაგარ დროს, ეს ცხვირზე ვერ მოვერგე რა, ხოდა, ტო, ნუ რავი, ვერა, ვერ ქაჩავს, ჩაჯიჯინება, ჩაკუჭვა, მინიმუმ, დარბეული გაქვთ მაგრათ, ხიტი, გენიალური, კუბო, ჯან, კუბო გენაცვალოს შენ, შენც მყავხარ, ყოჩაღ.

მეოთხე სცენაში ლექსიკური ერთეულით ‘ვმოღვაწეობ’ სურს სტუმარს დამაჯერებლობისა და სერიოზულობის კონტექსტი შექმნას, რათა წამყვანის იუმორისტულ სტილს გაუმკლავდეს: „საკმაოდ ცნობად მუუ ადამიანებთან ერთად ვმოღვაწეობ სხვათა შორის.“

(2) სინტაქსი:

ტოქშოუს მონაწილეები, ძირითადად, მარტივ, მოკლე წინადადებებს მიმართავენ, ხშირია ელიფსები: I. არა, ერთად, არა; ზუმბა და თქვენ; ზუმბას ეთნოსში. III. რომელით? მეტსახელით. ისე კი; IV. ახალი წევრი დიდი გამოცდილებით. VI. ფესტივალი; საღამოს 9 საათზე. თუმცა ჰიპოტაქსური წინადადებებიც მოიპოვება.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში სიტყვათწყობა შეცვლილია, შეიძლება ითქვას ქართული წყობისთვის ძალზედ უჩვეულოა. ეს სჭირდება წამყვანს მნიშვნელოვანი მოვლენის სტილისტური მარკირებისათვის: „თქვენი ჯგუფი შეიქმნა რომელ წელს? ეს იყო სად?“

რელევანტური ინფორმაცია ბოლოსკენაა გადატანილი: „ნუ, ეხლა შენ იხსენებ რალაცეებს, ჩვენი ბავშვობის დროინდელს (...)"

(3) პროსოდიული საშუალებები

დიალოგი მიმდინარეობს საშუალო ტემპში.

წესით ამ წინადადებებში დადმავალი ინტონაცია უნდა იყოს, მაგრამ აღმავალია. ამით ხაზი ესმება იმ ინფორმაციის მნიშვნელობას, რომელიც უნდა გაჟღერდეს. პირველ შემთხვევაში ის ქვეტექსტის ნაწილს წარმოადგენს. სამივეგან ხუმრობა აიგება: „თქვენი ჯგუფი შეიქმნა რომელ წელს?“↑ „და რატო ჩაატარეთ ვაკის სარდაფში მაინცდამაინც პირველი?“↑ „ეს იყო სად?“↑

როგორც წამყვანი, ისე სტუმრები საშუალო ტონალობით საუბრობენ.

ფუნქციური აღწერა

ტოქშოუს მონაწილეები მიმართავენ სასაუბრო მეტყველებას, რომელიც გასაგები და მახლობელია ტელემაყურებლებისათვის. მისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენებია: ბოლო თანხმოვნის შეკვეცა, სიტყვის ბოლოს დ-ს გადასვლა თ-ში, შეკვეცა სიტყვის შიგნით და ბოლოს: რო, იმიტო რო, რატო; პირველათ, სწორეთ, სტუმრათ; ძაან, მარა, კაი, რავი. წინადადების ბოლოს რა-ს დამატება სპეციფიკურია სასაუბრო მეტყველებისათვის: „გვიხარია ეს ყველაფერი რა“; „(...) მეორე ვადით უკრავთ უკვე რა“. გვხვდება ნაწილაკები და შორისდებულები: ხო, კი, ხოდა, რა, ჰო; ნუ, აუ, აბა, ეუ. ასევე გამოიყენება დისკურსის მარკერი: ააა.

ნაცვალსახელი არსებით სახელს არ შეეწყობა: „და ეგ კონცერტზე ბილეთები იყიდება?“ სასაუბრო მეტყველებისათვის ასეთი ხარვეზები ბუნებრივი მოვლენაა.

გამეორება ტექსტის კოჰეზიას ემსახურება. სტილისტური თვალსაზრისით, ის მოსაუბრის დარწმუნებულობასა და მიზანმიმართულობას, ასევე მეტყველების ინტენსიურობას მოწმობს. ხშირად მეორდება როგორც სიტყვები, ისე წინადადებები: „იმიტო რო მანდ ხო ბნელა და ვინ გესვრის, რას გესვრის, მაინც ვერ ხედავთ, გაიგე? ვიღაცა რალაცას რო გესვრის, ვერ ხედავ.“ / „ქართული ცხვირები ყვარებიან. - წელან თავზე რო მეხუმრე, ცხვირზე, ეს ცხვირზე ვერ მოვირ, ვერ მოვერგე რა. იციან, ხალხმა იცის, რო აქ კიდე არიან ნიჭიერი...“ / „რესტორნებში ვერ გაქაჩავთ? - ვერა.-ვერა, ვერ გავექაჩავთ.“

მეორე სცენაში მოდერატორი სტილისტურ ფიგურას ალუზიას მიმართავს. აქ რეფერენციაა გარე სიტუაციაზე: „მეოთხე წელია ანუ მე მეორე ვადით უკრავთ უკვე რა.“ ამავე ეპიზოდში მნიშვნელოვანია შემდეგი გამოთქმა „ნიჭიერ არაცნობად ხალხთა კონცერტი“. ეს ფრაზა სტილისტურად მარკირებულია და ნიჭიერ ჯგუფებსა და შემსრულებლებზე მიუთითებს.

მესამე ნაწილში სტილისტურად მარკირებულია სიტყვა კუბო, რომელიც ცალკე აღებული ნეიტრალურ ლექსიკას განეკუთვნება, მაგრამ ამ კონტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ყველა ხუმრობა მასზეა აგებული: „ერთ ჩემს მეგობარს კუბოს ტარს ემახდნენ და ხშირად დავდიოდი იმასთან ერთად რა და ანუ ეს კუბოაო ბარემო რა კაროჩე დამიძახეს.“/ „წრეს ხომ არ გირტყამენ?“/ „შენ ქუდს რო იხდი, სახლში რო შედიხარ, ქუდს რო იხდი, პადიეზში ა აყუდეფ?“

მეხუთე სცენაში წამყვანი იყენებს გამონათქვამებს: ფერი და ბერი, შენ რა გინდა თქვა, რო ხალხი ბრძენია? ბოლო იდიომი ირონიულადაა გამოყენებული.

„პოლიტიკური კვირა“ (იხ. დანართი 6)

სტრუქტურული აღწერა

მეოთხე სტუმრად ინგა გრიგოლიას გადაცემაში მოწვეული ჰყავს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

საუბარში გამოიყენება ექსპრესიული ნეგატიური ლექსიკა: ბრალდება, დაპირისპირება, ზონდერბრიგადები, ქვეყანას ორად ხლეჩენ, ჩხუბი, იბლოკება, კორუმპირებული ჩინოვნიკები, საზიანო, წინააღმდეგობა, პროვოკაცია, ფალსიფიცირებული, ძალადობა, რადიკალური, ხელკეტები, ალოგიკურია. გვხვდება სასაუბრო მეტყველების სიტყვები და გამოთქმები: მინიმუმ, ესეთი რაღაცეები, იბლოკება, ვიღაცა ადამიანმა, რამოდენიმე, ზონდერბრიგადები, კორუმპირებული, კაი, მიმაქ, ეხლა, კიდე, რატო, მაგიტო, იმიტო რო, მარა, ღამე ესიზმრება და სხვ.

თავაზიანობის გამოხატვაა წამყვანის მხრიდან შემდეგი მიმართვა: ბრძანეთ, კი, ბატონო.

სტუმარი იდიომის სიტუაციის ხატოვნად აღსაწერად იყენებს: „ამღვრეულ წყალში რაღაცა თევზი დაიჭიროს.“

ტოქშოუს მონაწილეები საკუთარ იმიჯზე ზრუნავენ. ისინი ცდილობენ ემოციურად და ხატოვნად დაასურათონ ესა თუ ის მოვლენა, რათა მოქალაქეების გული მოიგონ. ამავდროულად ოპონენტთა ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება მოწინააღმდეგეთა უარყოფითი იმიჯის კონსტრუირებას იწვევს:

„თავ-თავისი კადრებით იყვენენ ბატონები და ქალბატონები მოსულები.“/ „რა პირით, რა სინდისით ესაუბრება მაღალ კატეგორიებზე და დემოკრატიულობაზე“/ „რო დააზიანოს ეკონომიკა და შემდეგ ამ დაზიანებული ეკონომიკისაგან და უფრო ა ფართე უმუშევრობისგან მიიღოს თავის მხარდამჭერები, რაც ასევე ძალიან ბოროტული და უნიჭო ჩანაფიქრი არი, იმოტომ რომ შემდეგ მას ჰგონია, რო ის ხალხი მისკენ გადმოვა და მშიერი ხალხით რევოლუციას მოახდენს.“/ „ჩემო კარგო, შენ რა რეზულტატი დადე, რისთვის დაგაფინანსე.“/ „ჩვენ გვაქ პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის წინაშე, რომ იყოს, არ იყოს სამოქალაქო დაპირისპირება და ეს ქალბატონი აქ ძალიან ხშირათ ახსენებს სამოქალაქო დაპირისპირებას, იმიტო რო ცდილობს და ღამე ესიზმრება, რო როგორმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს, იმიტო რო იცის თავისი რეიტინგის შესახებ, იცის, რომ მას ფართე ააა საზოგადოებრივი მხარდაჭერა არა აქვს და თუ მოახდენს რამენაირათ(...)"

(2) სინტაქსი

გვხვდება როგორც მარტივი და შერწყმული, ისე ჰიპოტაქსური და პარატაქსული კოსტრუქციები. არგუმენტაციული სტილისთვის დამახასიათებელია დამატებითი, განსაზღვრებითი, მიზეზის, პირობისა და დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების ხშირი გამოყენება. როგორც მოდერატორის, ისე სტუმრის გამონათქვამები დიდი მოცულობისაა.

(3) პროსოდიული საშუალებები

დიალოგი მიმდინარეობს საშუალო ტემპში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ინტონაციური სურათი. განგრძობითი ინტონაციის სიხშირე პარალელური საუბრის ინტენსივობასა და დაძაბული საუბრის სტილზე მიუთითებს. ხშირია ასევე დაღმავალი ინტონაცია, აღმავალი კი - იშვიათი. ეს უკანასკნელი

არაკითხვითსიტყვიან წინადადებებში გვხვდება: „და მა ისინი იარაღს საერთოდ არ ეხებოდნენ, საერთოდ არ ყიდულობდნენ?“↑ „თქვენ გაქვთ ამის მტკიცებულება?“↑ „მაშინ აი აქ პარალელებს თქვენ ავლებთ?“↑

კითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებაში უნდა იყოს დადმავალი ინტონაცია, თუმცა ამ შემთხვევაში გვაქვს აღმავალი მელოდია, რადგან უკუკითხვაა და დიდი ემოციია მასში ჩადებული: „ვინ იყო?“↑

კავშირის წინ უნდა იყოს განგრძობითი ინტონაცია, ხოლო წინადადების ბოლოს - აღმავალი. აქ სრულიად სხვაგვარად ვითარდება სიტუაცია: „ამით ამტკიცებთ თქვენ x-ის და მისი მეუღლის კავშირს კრიმინალურ ფულთან↑ და გადატრიალების მცდელობასთან?“↓ ეს, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ მოდერატორი ბოლო მომენტში გადაიფიქრებს კითხვის დასმას და ფაქტის კონსტატაციას ახდენს.

აქცენტი მნიშვნელოვან სიტყვებზე კეთდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმარი მახვილს ძალზედ გამოზომილად მიმართავს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თითოეულ სიტყვას წონის, ვიდრე მსმენელს მიაწვდის. ეს გასაგებიცაა, რადგან პოლიტიკოსი თავის იმიჯზე ზრუნავს. წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დამაჯერებელი იქნება მოქალაქეებისათვის.

მოდერატორი მაღალ ტონალობაში საუბრობს, სტუმარი კი დაბალში, ძალიან მშვიდად, თუმცა ხანდახან უწევს ხმას.

ფუნქციური აღწერა

როგორც წამყვანი, ისე სტუმარი მძაფრი ქესტიკულაციითა და მიმიკით ავრცობენ და ამლიერებენ ვერბალურ ნაწილს. ტოქშოუში გვხვდება სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი წარმოთქმა. მაგალითად, დ-ს გადასვლა თ-ში: სწორეთ, აუცილებლათ, პირადათ, კარგათ, კონკრეტულათ, მშვიდობიანათ. თანხმობის შეკვეცა სიტყვის ბოლოს: გამოვეხმაუროთ, იმიტო რო; რატო გავუშვით; რო ონიშენკომ დაგიდოს დოკუმენტი, რო; წამოღებული მაქ; რო დააზიანოს ეკონომიკა. რას ჩართვა წინადადებაში: „ძალიან კარგი იქნება რა.“ გვხვდება ნაწილაკები: ნუ, ხო და დისკურსის მარკერები: ეე, აა.

სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელია გრამატიკული დარღვევები. ამ წინადადებაში რომ კავშირი სრულიად ზედმეტია: „აქ შეგიძლიათ პარალელები გაავლოთ, რო მაშინდელ ხუთი წლის წინანდელ თუ ექვსი წლის წინანდელ მოვლენებს და დღევანდელ მოვლენებს შორის?“

ტოქშოუს მონაწილეები მიმართავენ მსმენელის შემდეგ სიგნალებს: დიახ, კი, ბატონო, კარგით.

ძალზედ ხშირია გამეორების შემთხვევები: პირიქით, პირიქით, მაგიტო გეუ გეუბნებით, რო ძალიან საინტერესო იყო; მივიდეთ ფულამდე, ფულამდეც მივალთ; საზოგადოება ან დაიჯერებს ეხლა ამას ნათქვამს ან არ დაიჯერებს თქვენი მხრიდან გაკეთებულს; თუ რას ახმარს ეს ქალბატონი ფულს და ნუ ეხლა ფულის გარეშე რო ესეთი რაღაცეები არ ხდება (...)

„პოზიცია“ (იხ. დანართი 7)

სტრუქტურული აღწერა

ტოქშოუმში „პოზიცია“ სტუმარი მსჯელობს შესაძლო დიალოგზე, კონკრეტულ საკითხებზე, რაზეც დაელაპარაკება ოპოზიციას, ეკონომიკურ პრობლემებზე, შეთავაზებულ თანამდებობებზე, რუსეთის ფაქტორზე, ნდობის მოპოვებაზე.

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი:

ტოქშოუმში „პოზიცია“ სათაურით „დიალოგის ზღვარზე“ გვხვდება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ლექსიკა: მტკივნეული, აღკვეთა, შეტაკება, დისკომფორტი, დესტაბილიზაცია, შეხლა-შემოხლა, იგნორირება, რადიკალურად დაპირისპირებულები, ულტიმატუმის ტონი/ პროგრესი, დაბალანსება, კონსტრუქციული, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული, დიალოგი, მშვიდობა, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება.

გვხვდება სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები: ბარემ, კონტაქტობთ, ძან, ეს იწილო-ბიწილო, ვშაყირობთ, შეუღლიათ, იმიტო რო, ესეთი, ეხლა, ლაქია, პრესასთან კვლუცობის გარეშე, გააჟღერა და სხვ. ხშირად მიმართავენ დისკურსის მარკერებს: ასე/ესე ვთქვათ, ვთქვათ.

სტილიტიკურად მარკირებულია არქაიზმი: თამასუქები. ამ სიტყვას სტუმარი იყენებს, როცა გულწრფელობასა და დადებული სიტყვის შესრულებაზე საუბრობს.

სასაუბრო მეტყველების გამონათქვამები პოპულარულია პოლიტიკოსების მეტყველებაში: ცალ კარში თამაში, ეს უნდა იყოს ნაყოფი, ესე ერთი ხელის მოსმით, რახან არის აი ეს საკითხი მომწიფებული, ჯვარი წერია ყველას, რომელიც მერე თოვლის გუნდასავით აგორდება, რომ არ დაგვესხა ჩვენი რაღაცა არასწორი მოქმედებით ან ხელისუფლების ან ოპოზიციის მხრიდან მტრის წისქვილზე წყალი, ან ყველაფერი ან არაფერი, არავინ არა არავის კუთხეში არ აყენებს.

(2) სინტაქსი

გამონათქვამები დიდი მოცულობისაა, განსაკუთრებით სტუმრის. წამყვანი უმეტესად მხოლოდ აქ-იქ ახერხებს საუბარში ჩართვას.

(3) პროსოდიული საშუალებები

დიალოგი მიმდინარეობს საშუალო ტემპში. ძირითადად, დადმავალი ინტონაციაა, ასევე ხშირია განგრძობითი (1, 8, 12, 14, 16, 26, 30, 36, 42, 43, 44, 46, 47, 48). აღმავალი ინტონაციური მელოდია არც ერთხელ არ გვხვდება. ორმაგი შეკითხვის ბოლოს დადმავალი ინტონაციაა. პირველი ნაწილი დახურულბოლოიანია, მეორე კი ღია: „რა იქნება თქვენი (მარჯვენა ხელში კალამი უჭირავს და ამოდრავებს, მიუთითებს სტუმრისკენ) პასუხი ანუ იღებს მსგავს შეთავაზებას უკვე ოპოზიციისაგან ხელისუფლება?“↓

წამყვანი საუბრობს საშუალო და მაღალი ტონით, სტუმარი კი, ძირითადად, მაღალით, ძალზედ სერიოზულია, რაც სიტუაციის სიმწვავეთაა გამოწვეული.

ფუნქციური აღწერა

წამყვანი და სტუმარი არგუმენტირებულად საუბრობენ ქვეყნისთვის საჭირობოტო საკითხებზე. მოდერატორი ხშირად მსმენელის შემდეგ სიგნალებს მიმართავს: გასაგებია, მჰ, კარგით.

ტოქშოუს მონაწილეები სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას იყენებენ. მაგალითად, დ-ს გადასვლა თ-ში ან ტ-ში, თანხმობის შეკვეცა: ფაქტიურათ, იშვიათათ, სასაუბროთ, უბრალოთ, მხოლოთ, კონკრეტულათ, შესაბამისათ, მზათა / რაც არი, რო ყოველგვარი დღის წესრიგის; იმიტო რო.

კომუნიკანტები ძალზედ ხშირად მიმართავენ სტილისტურ ფიგურას გამეორებას, რათა ემოციური მუხტი გაიზარდოს და მაყურებელს მნიშვნელოვანი

მოვლენები დაამახსოვრდეს. პოლიტიკოსებში პოპულარულია სლოგანი: მაგალითად, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, „მეტი სარგებელი ხალხს“, „აიხდინე ქართული ოცნება.“ ამ გადაცემაშიც გამოყენებულია ლოზუნგი - დიალოგი არა დიალოგისთვის, არამედ საქმის გასაკეთებლად. აქედან განვითარდა, ალბათ, იმ პერიოდისთვის ცნობილი ფრაზა: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“. სტუმრის სიტყვაში იმპლიციტურად მინიშნებაა რუსეთის ფაქტორზე, ორმაგ სტანდარტებზე. მართალია, ის მიესალმება წინაპირობების გარეშე საუბარს, მაგრამ გარკვეულ მოთხოვნებს მაინც უყენებს ოპონენტებს. ეს ყველაფერი საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურება:

„პირველ ყოვლისა, მივესალმები ა ასეთ ნაბიჯს (...) დიალოგი სიტყვა ეს ლექსიკაში გაჩნდა, მაგრამ, ბუნებრივია, აა უნდა წავიდეთ უფრო წინ, დიალოგი არავის ჭირდება, პირველ ყოვლისა, ჩვენ ხალხს არ ჭირდება დიალოგისთვის, ჩვენ გვჭირდება დიალოგი, საუბარი, ერთმანეთის მოსმენა და გაგება იმისათვის, რომ აა რაღაცა პრობლემები მოვუგვაროთ ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას, რომელიც უხვად გვაქვს, არა მარტო ეკონომიკური, არამედ, პირველ ყოვლისა, მე მაინც აა ვიტყვოდი მთავარს, რაც არი ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორია და უუ ფაქტიურათ დაუზავებელი მდგომარეობა აა რუსეთთან ომის შემდგომ და რუსეთთან ეს ურთიერთობები, რომელიც არის და რომელიც მწვავედება და აა რომლის იგნორირება არის შეუძლებელი და უ სხვათა შორის ძაან საკვირველია, რომ მთელი ამ პოლიტიკური პროცესების დროს ამაზე უუ საკმაოთ ააა იშვიათათ ა ლაპარაკობენ პოლიტიკოსები, მათ შორის მიტინგზეც, იგივე საქართველოს დეოკუპაციის თემა არ გაჟღერებულა და არც აა ჩვენი დამოკიდებულება, როგორი უნდა იყოს ან ოპოზიციის დამოკიდებულება როგორ, როგორი უნდა იყოს რუსეთთან, როგორი უნდა იყოს აა ა ჩვენი მიმართება დეოკუპაციის თემასთან და ასე შემდეგ. აა ჩვენ მივესალმებით უუა ყველანაირ რეალურ ნაბიჯს გადადგმულს რეალური დიალოგისკენ და აა კარგია, რომ აა ლაპარაკი არის ყოველგვარი წინაპირობების გარეშე შედგეს ეს დიალოგი, მე დავუმატებდი, რო ყოველგვარი დღის წესრიგის გარეშეც შეილება შედგეს და ყოველგვარი წინასწარ კამერებთან რაღაც განცხადებების გარეშე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს დიალოგს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვესმოდეს, თუ ჩვენ გვინდა დიალოგი საქმის გასაკეთებლად, ეს ნიშნავს ერთმანეთის პატივისცემას, ეს

ნიშნავს იმას, რომ ვეგუებით ერთმანეთის არსებობას, იმიტო რო თუ მე მოვდივარ თქვენთან სასაუბროთ და პირველი რასაც გეუნებით, რო შენ უნდა აღარ იყო ხო, შ შ მიტო მოვდივარ თქვენთან და გეუნები, შენ წადი და მე მოვალ და ეს არი ჩემი პოზიცია და მე შენთან ურთიერთობას პოლიტიკურს არ ვაპირებ და მე შენ არ გაღიარებ, იქ პრაქტიკულად იმთავითვე უუ გვინდა არ გვინდა მთავრდება დიალოგი და თან აბსოლიტურად გაუგებარია ესეთი მიდგომა, რო აი აა მოთხოვნას, რომ შენ გადადგე, მე გავაგრძელებ და ა აი ქალაქი იქნება სანახევროდ პარალიზირებული, მაგრამ ამავდროულად მე მინდა, რო შე დაგელაპარაკო, აი, ეს აი ამ სურვილში უნდა იყოს გულწრფელი დამოკიდებულება.“

უმრავლესობის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ აქციები ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას: „ამ აქციებით ა ცდილობენ, აი, ამ პრობლემების მოგვარებაში შეგვიშალონ ხელი, თორე ხელისუფლება ამით არც ჩამოიშლება, არც შეიშლება, არც გაიქცევა არსათ. ნაცვლათ იმისა, კიდევ ერთხელ ვამბობ აა, ნინო, რო ვისაუბროთ უფრო მეტი, იმიტო რომ ეს ჩვენ გვინდა და ეს ჩვენს ხალხს სჭირდება, უფრო მეტი ეკონომიკაზე, უფრო მეტი, უფრო, უფრო მეტი ბიზნესის განვითარებაზე, უფრო მეტი როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები, უფრო მეტი ვისაუბროთ, რა უჭირს კონ კონკრეტულ ადამიანს ამა თუ იმ რაიონში.“

გბ მიიჩნევს, რომ ქვეყანას სხვა პრობლემები უფრო აწუხებს და აღელვებს, რითაც მიტინგის მოთხოვნას უკანა პლანზე წევს. აქ B ინფორმაციის საშუალებით რევიპიენტს A ინფორმაცია მიეწოდება: „ამავდროულად არის ეკონომიკური პრობლემები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომელიც არის ჩვენ ქვეყანაში ძალიან მძლავრად და ნუ შევხედავთ ესე, რომ საზოგადოების, აა ასე ვთქვათ, აბსოლიტურ უმრა ურმავლესობას აღელვებს მხოლოდ ის საკითხი, რომელიც დგას მიტინგზე. საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს აღელვებს მრავალი სხვა პრობლემა, მათ შორის ეკონომიკური საკითხები და ამის შემდგომ (...)“

სტუმარი მიუთითებს, რომ ქვეყანას სჭირდება მშვიდობა და სტაბილურობა, რათა საგარეო საფრთხე იქნეს აცილებული. მტრის ხატის შეხსენება დამატებით არგუმენტადაა მოყვანილი: „მტერი ბუკვალურათ კარზე კი არ არი მომდგარი, სახლში არი შემოსული (...)“/„რომ ასევე ეს იყოს გამოყენებული ჩვენი მტრის მიერ,

რომელიც კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენს სახლშია შემოსული და დედაქალაქს არის აა მომდგარი და ეს საფრთხე არი ძალიან მნიშვნელოვანი.“/ „რომ არ დაგვესხა ჩვენი რაღაცა არასწორი მოქმედებით ან ხელისუფლების ან ოპოზიციის მხრიდან მტრის წისქვილზე წყალი.“

აქედან გამომდინარე, მმართველი გუნდის წარმომადგენლისათვის ხელისუფლების ცვლილება წარმოუდგენელია, რადგანაც ეს სრულ ქაოსს გამოიწვევს. აქ აქცენტი კეთდება ასევე კეთილხმოვან (დადებითი სემანტიკის) ლექსიკურ ერთეულებზე: „რო ხელისუფლების ცვლილება ჩვენი ქვეყნისთვის არი ცუდი, საზიანო, ეხლა ქვეყანას ჭირდება მშვიდობა, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება და აა(...)“

სტუმრის არგუმენტაცია აგებულია ბინარულ ოპოზიციაზე: „ეხლა ეს, ამაშია საქმე, რომ ვინც კი აღმოჩნდება, ვინც კი აღმოჩნდება, რო რაღაცა ცუდს აკეთებს, ის იმწუთასვე ცხადდება აა ხელისუფლების შეგზავნილად. სხვათა შორის აა ერთი რამეც აა გამოჩნდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, საოცარი მიუღებლობა განსხვავებული აზრის ოპოზიციის მხრიდან. როგორც კი ადამიანი რაღაცას განსხვავებულს იტყვის, ის იმწუთას ლაქიაა, ის იმწუთას დაქირავებულია და ეს ადამიანები გვიკვირებენ, რომ ჩვენ გვჭირდა ეს, ეს სენი და მე მინდა გითხრათ, რო ხელისუფლებამ მნიშვნელოვანწილათ აჩვენა, რომ ამგვარი, ასე ვთქვათ, მიდგომისგან აა დიდი ხნის წინ უკვე უარი თქვა და ხელისუფლება ცდილობს, რო ყველას მოუსმინოს, პრეზიდენტის სიტყვებია ესა, ყველაზე რადიკალურს თუნდაც და ყველაზე პატარა ჯგუფსაც მოუსმენთ და ჩვენთვის არ არის აა, ასე ვთქვათ, ადამიანი, ვისაც ჩვენ პატივისცემით არ მოვეპყრობით, ხოლო ამის საპირისპირო ხდება ოპოზიციის მიტინგებზეც, გვე ჩვენ იგივე აა კადრები ვნახეთ, როგორ აგინებდნენ უბრალო გამვლელებს იმის გამო, რო გაბედეს და მანქანით მიუახლოვდნენ იმ პიკეტს, რომელიც, რომელიც გაკეთებულია(...)“

გბ ხშირად მიმართავს pluralis auctoris („ჩვენ“), რაც სამეცნიერო სტილისთვისაა დამახასიათებელი. ამით ის ხაზს უსვამს არგუმენტის ობიექტურობას: „ჩვენც ვთვლით, რომ ძირითადი, ასე ვთქვათ, რადიკალური რეფორმებისა, რომელიც გასატარებელი იყო, ყველაზე მტკივნეული, ასე ვთქვათ, ნაწილი შეილება ერთი,

ერთის მხრივ არის მოთავებული (...) ვთვლით, რომ ეს შესაძლებელია, ოღონდ ეს უნდა იყოს ნაყოფი კონსტრუქციული, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული პოლიტიკური დიალოგისა და არა კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ რომ ცალკე მივიღოთ ეს ყველაფერი და ასე ისევ ამას დაარქვან ცალ კარში თამაში.“

ყველა ამ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ინტერაქტანტი პოლიტიკურ იმიჯზე მუშაობს, რისთვისაც სხვადასხვა სტრატეგიებს მიმართავს.

„პროფილი“(იხ. დანართი 8)

(1) ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტი

გადაცემაში „პროფესია-ცოლი“ ერთ-ერთ სტუმრად მოწვეულია ზაზა კოლელიშვილის მეუღლე ნათია გოგოჭური (ნგ), რომელიც თავისი სიყვარულისა და ოჯახის ამბავს ყვება. საინტერესოა, რა აიძულებს მას მოყვეს ისეთი პრივატული ისტორია, რაც მისმა შვილებმაც კი არ იციან. სწორედ ამაში მდგომარეობს ტოქშოუს ხიბლი, რადგან მასში ყველაფერზე საუბრობენ.

ტოქშოუმში უმეტესად პოზიტიური ლექსიკა ჭარბობს: ძალიან კარგი ქმარი, სასურველი მამაკაცი, ოცნების ქალი, ძალიან მოსწონთ, ძალიან რომანტიულათ, ძალიან ლამაზია შეთე, შინაგანი სიამოვნების გრძნობა, ვენდობი სრულიად, ისეთივე გვერდში დგომით, ორივე ძალიან ბედნიერი, ძალიან ბევრი შვილი და ძალიან კარგი შვილი, ამ ქვეყნად უფრო კარგი მამა ვიდრე ზაზა არ არსებობს, მე ვიცი, რომ ამ ქვეყნად უფრო კარგი მეუღლე ვიდრე ზაზა არ შეიძლება არსებობდეს, მართლა არ შეიძლება.

ხშირია ჰიპერბოლიზება, რაც მოვლენების გადაჭარბებულ დახატვაში გამოიხატება: ძალიან + ზედსართავი სახელი, უფრო + ზედსართავი სახელი, ყველაზე + ზედსართავი სახელი.

გვხვდება ასევე სასაუბრო მეტყველების სიტყვები და გამოთქმები: ხანდისხან, რომ იცი რა და ტატა, რამოდენიმე პერიოდული ზარით, იყო რაღაცა ისეთი პერიოდები და სხვ.

(2) სინტაქსი

გვხვდება როგორც მარტივი, ისე ჰიპოტაქსური და პარატაქსული წინადადებები. რეპლიკის მოცულობას განსაზღვრავს ინტერაქციის მიმდინარეობა.

თუ მოდერატორი ინტერაქტანტს ნარატიული თხრობა-აღწერისაკენ უბიძგებს, გამონათქვამი გრძელია, ხოლო კითხვა-პასუხისა და დიალოგ-შეპასუხების რეჟიმში საუბრისას მოკლე.

(3) პროსოდიული საშუალებები

საუბარი მიმდინარეობს საშუალო ტემპში, თუმცა ადგილ-ადგილ, როცა ნგ ვრცლად ყვება თავის ისტორიებს, ტემპი იმატებს (18, 19, 22, 38, 40). ინტონაცია, ძირითადად, დაღმავალია, თუმცა გვხვდება როგორც განგრძობითი (6, 7, 14, 18, 20, 30, 32), ისე აღმავალი ინტონაციები (13, 21, 27). მახვილი მოდის მოსაუბრისთვის მნიშვნელოვან სიტყვებზე ხმის აწევით და ზოგჯერ დაწევით. ასათიანი დაბალ და საშუალო სიმაღლეზე საუბრობს. საუბრის ამ სტილს მისი სტუმარიც მიყვება, თუმცა ხანდახან ხმას უწევს.

ფუნქციური აღწერა

საუბარი ტოქსოუმში „პროფილი“ ორიენტირებულია კონსენსზე, რასაც მოწმობს შემდეგი მარკერები: მშვიდი ხმის ტონი, ინტერაქტანტის იმიჯის შელახვა არ გვხვდება. ნთ მეტყველებას აყოლებს ჟესტებს, რითაც მონათხრობს მეტ ემოციურ ეფექტს აძლევს. ხმას იცვლის და აწვრილებს (37), აკეთებს „სვეტსკი“ ოჯახის სტილიზირებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სტუმარი მეგობარს პირისპირ საკუთარი ოჯახის ინტიმურ დეტალებს საოცარი გულახდილობით უყვება, რისთვისაც მოდერატორისგან მაღლობას იმსახურებს. ამ მოცემულობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ნარაციის უმართაობა და სპონტანურობა, რომელიც ნარატორს უფრო მეტი ინტიმური დეტალის გამომზეურებისაკენ ითრევს: „ძალიან ბევრი შვილი და ძალიან კარგი შვილი. ჩვენ არ ვართ რაღაცა ისეთი ოჯახი და რაღაც, იცი, მე არ მინდა, მე მინდა მარჯვნივ, მე მინდა მარცხნივ, არა, ჩვენ თეფშებსაც ვისვრით სახლში. ნუ, არის, ხდება ხანდისხან, რომ იცი რა და ტატა, ნუ, მიქნია ეს, გამიკეთებია, აი, კარებში ჩავმდგარვარ და ან ნუ ან არ წახვალ, ან წახვალ და მიქნია ეს, მაგრამ ამავე დრო აა ისიც არის, რომ აა მე ვიცი, რომ ამ ქვეყნად უფრო კარგი მამა ვიდრე ზაზა არ არსებობს, მე ვიცი, რომ ამ ქვეყნად უფრო კარგი მეუღლე ვიდრე ზაზა არ შეიძლება არსებობდეს, მართლა არ შეიძლება.“

როგორც წამყვანი, ისე სტუმარი ხშირად მიმართავენ სტილისტურ ფიგურას გამეორებას. იმეორებენ სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს, რაც უფრო შთამბეჭდავსა და ემოციურს ხდის მონათხრობს: ძალიან, ყოველთვის, ჩვეულებრივი; სულაც არა, სულაც არა. გათამამებული ვიყავი ძალიან ბევრი კომპლიმენტით და ბევრი თაყვანისმცემლებით. არა, როგორ არ მიბედავდა, ორ დღეში ერთხელ მეც მიბედავდა (...) კი, კი, მეც მიბედავდა. ბევრი რამ ვაპატიე და მაპატია, იმიტომ რომ ორივეს უკვე რაღაც ეს დიდი გვექონდა ზურგს უკან და ვართ ორივე ძალიან ბედნიერი ააა ცოლი და ქმარიც არ გვექვია, მეგობარი გვექვია.

ტოქშოუს მონაწილეები სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს მიმართავენ: მაგალითად, დ-ს გადასვლა თ-ში, რას დამატება საუბარში: სამარცხვინოთ, საკმაოთ, სერიოზულათ, სრულიათ, მხოლოთ, სწორეთ, რომანტიულათ, პირველათ, უბრალოთ/ იცი რა. კულტურის თვალსაზრისით, საინტერესოა შემდეგი შენიშვნა მოდერატორის მხრიდან: „იოლად ხელმისაწვდომი ქალის სტატუსს იძენ ამ დროს სამწუხაროთ.“ წამყვანი ხშირად მიმართავს მოსმენის სიგნალს: მჰ.

ტოქშოუს „პოლიტიკური კვირის“ (კვ) გამოცემა „წინააღმდეგობების კვირის“ ძირითადი ტექსტი ოთხ ნაწილად იყოფა, ხოლო ტოქშოუ „პოზიციის“ გამოშვება „დიალოგის ზღვარზე“ - სამ ნაწილად. ქართული პოლიტიკური ტოქშოუების ნაწილი ფაზის დასაწყისის კონსტიტუციური ელემენტია - მადლობის გადახდა გადაცემაში მონაწილეობისათვის (7). ასევე ხშირად გვხვდება სტუმრისადმი მიმართვა (5), წამყვანის მიერ სტუმრის მისალმება (4), კითხვა სტუმრისადმი (4), ადგილის დაკავების შეთავაზება (3), გადასვლა (6), სტუმრის დასახელება/ წარდგენა (3), პირდაპირ ეთერში საუბრის მითითება (2) და მისალმება სტუმრის მიერ (2).

ქართული პოლიტიკური ტოქშოუების დასაწყის ტექსტებში იშვიათად გვხვდება: სტუმრის მოკითხვა; სტუმრის პასუხი; მოკლე რეზიუმე სტუმრის შესახებ (მაშ, ასე, აა, * * ქმნის საკუთარ პარტიას); საუბრის ორგანიზაციული საკითხები; სტუმრის მიერ მოტანილი მასალების მითითება; სტუმრისა და მთლიანი საქართველოსადმი ყოველთა წმინდანთა ხსენების დღის მილოცვა; ვიდეო ამონარიდის წარდგენა; სტუმართან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება; თანაგრძნობის გამოხატვა;

მადლობის გადახდა სტუმრის მიერ; საუბრის თემა; პირველ სტუმართან საუბარზე მითითება.

ტოქშოუ „პროფილის“ შუა ფაზის სტუმრის სეკვენციების დასაწყისში გამოიყოფა: გადასვლა (15), სტუმრის მისალმება (15), სტუმრისადმი მიმართვა (9), მადლობა მოსვლისთვის (7), კითხვა სტუმრისადმი (6), უკუმისალმება (4), ადგილის შეთავაზება (3), სტუდიაში მიპატიჟება (2).

ქართული პოლიტიკური ტოქშოუს ნაწილი ფაზების დასასრულში ყველგან შემხვდა მადლობის გადახდა, რაც შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციურ ელემენტად. სამჯერ დასტურდება დასასრულის გამოცხადება, სტუმრისადმი მიმართვა და წარმატების სურვილი, ხოლო ორჯერ - მოკლე რეზიუმე, სტუმრის დასახელება, მაყურებლისთვის სტუმრის შეხსენება, გამომშვიდობება წამყვანის მიერ (სტუმრისგან/ტელემყურებლებისაგან) და სტუმრის დასკვნითი სიტყვა.

ტოქშოუ „პროფილის“ გადაცემა „პროფესია-ცოლის“ შუა ტექსტი არ შედგება კლასიკური ფაზებისგან, რომელშიც მონაკვეთი სრულდება მაშინ, როცა ერთი ისტორია მთავრდება და ყველა სტუმარი გადის სტუდიიდან. აქ სტუმრები მოდერატორთან ინდივიდუალური საუბრის დასრულების შემდეგ არ გადიან სტუდიიდან, მაგრამ არც ერთმანეთთან შედიან დისკუსიაში. აქედან გამომდინარე, თითოეული სეკვენცია შეიძლება აღქმულ იქნეს დამოუკიდებელ ფაზად. აქვე აღსანიშნავია პირველი და მეორე სარეკლამო პაუზა, რომლის დროსაც მხოლოდ ორი სტუმარი რჩება წინა ბლოკიდან. მეექვსე ფაზის დასასრულში წამყვანი მადლობას უხდის ყველა სტუმარს გულახდილობისათვის, გადაცემაში მონაწილეობისა და ყველაზე რთული პროფესიის - ცოლის საიდუმლოს გამხელისათვის. სარეკლამო ჭრის წინ ის ჰპირდება მაყურებელს საინტერესო ისტორიებს, ხოლო რეკლამის შემდეგ კვლავ ეპატიჟება მათ გადაცემის საყურებლად და ასახელებს თემას. „პროფილის“ დასასრულ ნაწილში ყველაზე ხშირი ელემენტი მადლობაა (11), ასევე გამოვყოფდი გამოკითხვის შედეგების შეჯამებას/რეზიუმეს (3). იშვიათი ელემენტებია: სურვილი სტუმრისადმი; სტუმრებისადმი მიმართვა; მოკლე რეზიუმე; შესვენების მითითება; რეკლამის შემდეგ ბევრი საინტერესო ისტორიისა და

შეხვედრის მითითება; კომპლიმენტი სტუმრისადმი; სტუმრის მილოცვა; აპლოდისმენტების მოთხოვნა სტუდიის მაყურებლებისაგან.

„ვანო ჯავახიშვილის შოუში“ ტექსტს ახასიათებს იუმორისტული სტილი მოკლე, სხარტი და ელიფსური წინადადებებით. ჭარბობს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და ფონეტიკური მარკერები. ხშირია გამეორებები.

„პოლიტიკური კვირის“ ინტერაქტანტები არგუმენტაციული სტილით მეტყველებენ. ტექსტში თემატიკიდან გამომდინარე ხშირია ნეგატიური ლექსიკა, მიმართავენ სასაუბრო მეტყველების სიტყვებს, გამოთქმებსა და წარმოთქმას. სტუმარი ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, მოწინააღმდეგეებს კი უარყოფითად წარმოაჩენს. დაძაბული საუბრის სტილი განგრძობითი ინტონაციით გადმოიცემა. მოდერატორისა და სტუმრის განსხვავებული ტონალობა ხაზს უსვამს კონტრასტს და ამძაფრებს საუბარს. ტოქშოუს მონაწილეები მსმენელის მრავალფეროვან სიგნალებს მიმართავენ. ხშირია გამეორებები. გამონათქვამები დიდი მოცულობისაა.

„პოზიციაში“ ინტერაქტანტები არგუმენტაციულ სტილს მიმართავენ. ტექსტში ლექსიკა დაბალანსებულია, რადგან მოიპოვება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ლექსიკური ერთეულები. სასაუბრო შრის ლექსიკური და ფონეტიკური მახასიათებლები საკმაოდ გვხვდება, აღსანიშნავია ხატოვანი გამონათქვამები. რეპლიკები დიდი მოცულობისაა. ამ მხრივ სტუმრის საუბრის სტილი გამოირჩევა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს საეთერო დრო. მოდერატორი ხშირად მსმენელის სიგნალებით შემოიფარგლება. წამყვანისგან განსხვავებით სტუმრის ტონალობა პერმანენტულად ხმამაღალი და მძაფრია.

პოლიტიკური ტოქშოუს არგუმენტაციული სტილისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება, რადგან პოლიტიკოსები ცდილობენ საკუთარი ხედვის სისწორესა და უალტერნატივობაში დაარწმუნონ რეციპიენტები. კომპლექსურ-რეფლექსიური დისკუსია გადმოცემულია დამატებითი, განსაზღვრებითი, მიზეზის, პირობისა და დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებით. განგრძობითი ინტონაციის სიხშირე საუბრის დაძაბულობაზე მიუთითებს.

„პროფილის“ ინტერაქტანტებს ახასიათებს ემოციური და გულახდილი სტილი, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია კონსენსზე. ეს გამოიხატება მშვიდ და დაუძაბავ საუბარში, ასევე სტუმართა იმიჯზე ზრუნვაში. ამ გადაცემაში არაა დაფარული ამბავი და მხოლოდ დადებითი მუხტი მოდის, ამიტომაც გასაგებია დადებითი ლექსიკისა და ჰიპერბოლიზაციის სიჭარბე. საუბარი მიმდინარეობს საშუალო ტემპში, თუმცა სტუმარი ამბის თხრობისას ტემპს უმატებს, თუკი სიტყვა გაუგრძელდება. ნგ ახდენს გარკვეული სოციოლექტის მეტყველების მიზამვას და სტილიზაციას, რითაც იუმორისტული სტილის ელემენტი შეაქვს თავის მეტყველებაში. მოდერატორი მსმენელის სიგნალის ხშირი გამოყენებით სტიმულს აძლევს სტუმარს და უდასტურებს, რომ ყურადღებით უსმენს და აინტერესებს მისი მონათხრობი.

2.1.1.3.3. გერმანული და ქართული ტოქშოუს ბირთვის შეპირისპირებითი ანალიზი

ჩემს მიერ განხილულ გერმანულ ტოქშოუებში არაა ნაწილი ფაზები. ერთადერთი ტოქშოუ, სადაც ძირითად ფაზაში სტუმრის სეკვენციებია, „ოლივერ გაისენის შოუა“. ამ სეკვენციების გახსნის ფაზის ყველაზე ხშირი ელემენტებია: გადასვლა; სქემა + მისალმება + მიმართვა; უკუმისალმება. ნაკლებად გვხვდება: სტუმრის სტუდიაში ყოფნის გამო სიხარულის გამოხატვა.

ტოქშოუს „პოლიტიკური კვირის“ ძირითადი ტექსტი ოთხ ნაწილად იყოფა, ხოლო ტოქშოუ „პოზიცია“- სამ ნაწილად. ქართული პოლიტიკური ტოქშოუების ნაწილი ფაზების დასაწყისის კონსტიტუციური ელემენტია - მადლობის გადახდა გადაცემაში მონაწილეობისათვის (7). ასევე ხშირად გვხვდება: სტუმრისადმი მიმართვა (5), წამყვანის მიერ სტუმრის მისალმება (4), კითხვა სტუმრისადმი (4) და სხვ.

ტოქშოუ „პროფილის“ გამოცემა „პროფესია-ცოლის“ სტუმრის 15 სეკვენციას მივიჩნევ ნაწილ ფაზებად. დასაწყისის კონსტიტუციური ელემენტია გადასვლა +

სტუმრის მისალმება (15). ასევე გამოვყოფდი შემდეგ ენობრივ ქმედებებს: სტუმრისადმი მიმართვა (9), მადლობა მოსვლისთვის (7), კითხვა სტუმრისადმი (6), უკუმისალმება (4), ადგილის შეთავაზება (3), სტუდიაში მიპატიჟება (2). იშვიათია შემდეგი ელემენტები: თხოვნა ამბის მოთხოვნის შესახებ, წყვილის ცხოვრებიდან დეტალის აღნიშვნა, მეუღლის დახასიათება.

პოლიტიკურ ტოქშოუებში „პოლიტიკური კვირა“ და „პოზიცია“ ნაწილი ფაზის დასასრულის კონსტიტუციურ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მადლობის გადახდა.

ტოქშოუში „პროფილი“ ყველაზე ხშირია მადლობა (11), ასევე გამოვყოფდი გამოკითხვის შედეგების შეჯამებას/რეზიუმეს (3). იშვიათად გვხვდება: სურვილი სტუმრისადმი; სტუმრებისადმი მიმართვა; მოკლე რეზიუმე; შესვენების მითითება; რეკლამის შემდეგ ბევრი საინტერესო ისტორიისა და შეხვედრის მითითება; კომპლიმენტი სტუმრისადმი; სტუმრის მილოცვა; სტუდიის მაყურებლებისაგან აპლოდისმენტების მოთხოვნა.

გერმანული და ქართული ტოქშოუს კონტრასტულმა სტილისტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ტოქშოუს ტექსტისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური სტილი, თუმცა დასაშვებია სხვა სტილის ნიშნების არსებობაც. ეს განპირობებულია როგორც ფორმატით, ისე ინტერაქტანტების ინდივიდუალური მახასიათებლებითა და მიზნებით, იმ ენობრივი კონტექსტით, რომელსაც ისინი საუბრისას ქმნიან. სტილისტიკის სხვადასხვა მიდგომების (ტექსტის, ინტერაქციონალური, ტრადიციული და ა.შ.) საფუძველზე განვიხილეთ ტოქშოუს სტილი მთლიანობაში და მოვახდინეთ მისი მრავალშრიანი სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტების დეტალური ანალიზი. მედიალური კომპონენტი დიდ ზეგავლენას ახდენს ამ საუბრებზე იმით, რომ ინტერაქტანტები ზრუნავენ თავიანთ იმიჯზე და პუბლიკის გულის მოგებას ცდილობენ.

2.1.2. შუა დონე: მოსაუბრეთა მონაცვლეობა - პარალელური საუბარი გერმანულ და ქართულ ენებში

ლინკე მოსაუბრეთა მონაცვლეობის ორ ფორმას განასხვავებს. ერთია კოოპერაციული საუბარი: მომდევნო მოსაუბრე თავის სიტყვას მაშინ იწყებს, როცა წინა ამთავრებს. მეორეა პარალელური საუბარი, როცა ერთი ან რამდენიმე მოსაუბრე გარკვეული დროის განმავლობაში ერთდროულად საუბრობს. ლინკე განასხვავებს პარალელური საუბრის ოთხ ფორმას: გადაფარვას, შეწყვეტინებას, კოორდინაციაში შეცდომას და რამდენიმე მოსაუბრის პარალელურ ჩართვას. ის გადაფარვას მოსაუბრეთა კოოპერაციულ მონაცვლეობას მიაკუთვნებს, დანარჩენებს კი არაკოოპერაციულს (ლინკე 1985:141). ჩემი აზრით, პირველს შეიძლება პარალელური საუბრის კოოპერაციული სტილი, ხოლო მეორეს - არაკოოპერაციული ვუწოდოთ.

გადაფარვის შემთხვევაში ახალი მოსაუბრე თავისი აზრების ფორმულირებით წინა მოსაუბრის გამონათქვამის ბოლო ნაწილს ფარავს, ჩვეულებრივ, მხოლოდ რამდენიმე მარცვალს და სიტყვას, მაქსიმუმ ერთ წინადადებას. გადაფარვა შეწყვეტინება კი არაა, არამედ წარმოადგენს ინტერაქციის პარტნიორების კომპლექსურ შესაძლებლობას, მოახდინონ თავიანთი რეპლიკების ზუსტი კოორდინაცია. გადაფარული ინფორმაცია მსმენელისათვის არაა მნიშვნელოვანი:

- მიმართვის ფორმები (სახელი, ტიტული) პოსტპოზიციაში;
- თანხმობის ან ყურადღების დამადასტურებელი სიტყვები პოსტპოზიციაში: 'oder', 'nicht wahr', 'weißt Du', 'findest Du nicht auch' და ა.შ.;
- დასრულების სიგნალები ანუ 'დამამთავრებელი' ნაწილაკები ან ცარიელი ფრაზები: 'ja';
- ძნელად ამოსაცნობი გამონათქვამები: 'äh', 'hmm' და ა.შ.;
- წინადადებების/წინადადების ნაწილების გამეორება ან პარაფრაზირება;

- გამონათქვამების ბოლო მარცვლები ან სიტყვები, რომლებიც, მართალია, სინტაქსურად და შინაარსობრივად მნიშვნელოვანია, მაგრამ ყურადღებიანი მსმენელის მიერ უპრობლემოდ შეიძლება განივრცოს.

ეს შინაარსობრივად უმნიშვნელო ბოლო ნაწილი უმეტესად მსმენელზეა ორიენტირებული, რადგანაც

- 1) მოსაუბრის სიტყვის ბოლოს მარკირებას ახდენს და ამით შეუძლია მოსაუბრეთა მონაცვლეობის მოთხოვნის სიგნალიზაცია;
- 2) პაუზის შევსებას ემსახურება, რომელიც გამონათქვამის დასრულების შემდეგ წარმოიშვება და მოსაუბრის დუმილად აღიქმება.

გადაფარვა მსმენელის ანუ მომავალი მოსაუბრის დიდ ყურადღებასა და მოსაუბრეზე ორიენტაციას ამტკიცებს (ლინკე 1985: 141-143). მაგალითად:

(1) სქ: Also, Sie glauben schon, dass die Mehrheit, die kommt, aus religiösen Beweggründen kommt oder glauben Sie, die kommt, weil das mittlerweile zu einem Megaevent geworden ist.

ლდვ: Ja, es gibt einen Unterschied zwischen Religiosität und Spiritualität

(2) კა: Aber ich verstehe net, wenn ma äh sagt, nur Kind Nummer 6 ist z.B. nicht ba einer, weil ma zu wenig Zeit hat, wie kann ma dann Kind Nummer 7, 8, 9, 11, 10, 12, 13, 14, 15 in die Welt setzen. Das widerspricht sich irgendwie.

გე: Das Jugendamt gibt es uns den Denis ja nicht zurück.

(3) ნშ: გასაგებია.

გბ: ყველას მივცემთ საკმარის დროს, თუ ამ, თუ ამაზეა საუბარი და უბრალოთ ვამბობთ, რომ ჩვენ გვინდა, რო ეს პროცესი იყოს მაქსიმალურათ ეგრე ეგრეთწოდე, ესე ვთქვათ, ინ ინკლუზიური ანუ ყველას მონაწილეობით აა განხორციელდეს.

(4) მან: უკვე, არჩევანი უკვე იყო მაგაზე გაკეთებული.

მა: თითონ როგორ იხსენებდა თქვენთან შეხვედრის პირველ მომენტებს?

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ხშირად ახალი მოსაუბრის დასაწყისის გადაფარული ნაწილიც არარელევანტურია. აქედან გამომდინარე, ლინკეს, ჰენესა და რებოკის მსგავსად, პარალელური საუბრის ამ ფორმას მოსაუბრეთა კოოპერაციულ მონაცვლეობას მივაკუთვნებ (ლინკე 1985; ჰენე, რებოკი 2001).

ზუსტი დეფინიციის გარეშე ლინკე წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც შეწყვეტინებას განაპირობებენ. პარალელური საუბარი შეწყვეტინებად შეფასდება, როცა

- გადაფარვის შემთხვევა გამორიცხულია;
- ახალი მოსაუბრე აქტუალური მოსაუბრის დაუმთავრებელ სინტაქსურ კონსტრუქციაში (დაუმთავრებელ მონათხრობში, არგუმენტაციაში) იჭრება;
- მოსაუბრე, რომელსაც შეაწყვეტინეს, არ ნებდება, აგრძელებს საუბარს და (არა)ვერბალურ ან პარავერბალურ საშუალებებს იყენებს, რათა შეწყვეტინებისაგან დაიცვას თავი (მაგ. აზრების გამეორება, ხმამაღალი საუბარი, მეტაკომუნიკაციური შენიშვნები როგორცაა „nur das noch schnell“ და ა.შ.);
- მოსაუბრეთა მონაცვლეობას წინ უძღვის შეწყვეტინების რამდენიმე მცდელობა შემდგომი მოსაუბრის მხრიდან;
- თუკი საქმე მოსაუბრის, რომელსაც შეაწყვეტინეს, დანამატს არ ეხება (ლინკე 1985: 143-145).

(5) ლდვ: Nein, ich brauche nicht so sehr ein Dialog. Was ich glaube, dass...

სქ: Sie brauchen den gar nicht?

ლდვ: Es ist/

სქ: Meinen Sie nicht, den brauchen wir alle, ansonsten gibt es eher Konfrontation

((გაუგებარია))

(6) ვვ: Ja, warum war Kewin im Heim? Die Nachbarschaft, die hat sehr viel angerufen puh beim Jugendamt wegen sämtlicher Sachen, da wurde auch sehr viel erfunden, muss ich dabei sagen und das/

ოგ: Also, versteht das nicht falsch, aber kann man den 15 Kindern überhaupt mit den ganzen Begehrlichkeiten auch ääh überhaupt irgendwie des, das entgegenbringen, was Sie brauchen, kann man den gerecht werden?

(7) გბ: საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს აღელვებს მრავალი სხვა პრობლემა, მათ შორის ეკონომიკური საკითხები და ამის შემდგომ/

ნშ: და სწორეთ ამაზე მინდა გკითხოთ (...)

(8) მარ: არა, არ ვარ მე ხეტიალა ადამიანი. მე ვარ ისე სახლის და ააა/


მა: როგორია იყო ხეტიალა ადამიანის ცოლი და მას მუდმივად ელოდებოდე?

გაწყვეტინების შემთხვევებში, რომლებიც როგორც გერმანულ, ისე ქართულ ტოქშოუებში გვხვდება, საინტერესოა, ვინ ვის რამდენჯერ აწყვეტინებს. ჩემი აზრით, სავარაუდოა, რომ ყველაზე მეტად საუბარში წამყვანი ერევა. ემპირიული მასალის ანალიზისას მიღებული შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

გერმანულ ტოქშოუებში გაწყვეტინების შემდეგი სიხშირე დაფიქსირდა: „საბინე ქრისტიანსენი“ - 31, „ოლივერ გაისენის შოუ“ - 31, „ჰარალდ შმიდტი“ -2 (იხ. სქემა № 1).


სქემა № 1

შეწყვეტინება გერმანულ ტოქშოუში



ქართულ ტოქშოუებში გაწყვეტინების შემდეგი სურათია: „პოზიცია“ - 27, „პროფილი“ - 8, „ვანოს შოუ“- 3 (იხ. სქემა № 2).

შეწყვეტინება ქართულ ტოქშოუში



გაწყვეტინების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა პოლიტიკურ ტოქშოუებში „საბინე ქრისტიანსენსა“ და „პოზიციაში“, ასევე დღის ტოქშოუში „ოლივერ გაისენი“. თუკი ერთმანეთს დავუპირისპირებთ ქართულ ტოქშოუებში მოდერატორისა და სტუმრების აქტივობას, აღმოჩნდება, რომ წამყვანი ძალზედ ხშირად ერევა საუბარში: შუბლაძე 24ჯერ აწყვეტინებს თავის სტუმრებს, ასათიანი მხოლოდ 7ჯერ, ჯავახიშვილი კი არც ერთხელ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ „პროფილში“ შეწყვეტინება ძალზედ იშვიათია, რადგან ის კონსენსუა ორიენტირებული, და გამოვლენილი შემთხვევების 99% წამყვანზე მოდის. რაც შეეხება სტუმრებს, ისინი პირველში 3ჯერ, მეორეში ერთხელ და მესამეში 2ჯერ მიმართავენ პარალელური საუბრის ამ ფორმას.

გერმანულ ტოქშოუებში უფრო მეტად აწყვეტინებენ, 64-დან 39ჯერ სტუმრები მიმართავენ ამ ფორმას. პოლიტიკურ ტოქშოუში ეს განპირობებულია იმით, რომ სტუმრები დასაწყისიდანვე სხედან სტუდიაში და მწვავე თემაზე საუბრობენ. ინტერაქტანტები ცდილობენ თავიანთი მოსაზრებების დაცვას და სულ უფრო მეტად ერთვებიან მედიალურად გადაცემულ აზრთა ბრძოლაში.

გერმანულ ტოქშოუებში წამყვანისა და სტუმრების გაწყვეტინების შემთხვევები შემდეგნაირად გადანაწილდა: „საბინე ქრისტიანსენში“ - წამყვანი 16, სტუმრები 15, „ოლივერ გაისენში“ - წამყვანი 7, სტუმრები 24, „ჰარალდ შმიდტი“ -

წამყვანი 2. თუკი მიღებულ სურათს დიფერენცირებულად მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ გერმანულ ტოქშოლუმიც წამყვანი ის ინსტანციაა, რომელსაც შეუძლია შეუზღუდავად შეაწყვეტინოს ნებისმიერ სტუმარს. ეს უბრალო სტატისტიკური მონაცემების შედარებითაც ჩანს. „საბინე ქრისტიანსენში“ აწყვეტინების 15 შემთხვევა შემდეგნაირად ნაწილდება: დე ვინთერი და დრისტი (4-4), იაშკე და დაბაგი (3-3), ერთი ამოუცნობია. „ოლივერ გაისენში“ შემდეგი სურათია: სასკია წამყვანზე (9-7) მეტად აწყვეტინებს საუბარს, მას მოსდევს შემდეგი აქტიური სტუმარი ალექსანდრე (5). ორი მაყურებელი ორ-ორჯერ აწყვეტინებს სტუმრებს. ვერნერი და კარმენიც ორჯერ გამოდიან გამარჯვებული, ხოლო დაგმარი და გერტრუდი მხოლოდ ერთხელ ახერხებენ ამას. წამყვანს 5-ჯერ აწყვეტინებენ, აქედან 3-ჯერ სასკია, ერთხელ ვერნერი და დაგმარი. სასკია 6-ჯერ აწყვეტინებს ტოქშოლს დანარჩენ მონაწილეებს. ეს გამოწვეულია გადაცემის ფორმატით, რომელიც დისენსზეა ორიენტირებული. წამყვანი აცლის ტოქშოლს მონაწილეებს მაქსიმალურად ეპაექრონ ერთმანეთს. ძირითადი სტუმრები არა მარტო ერთმანეთს აწყვეტინებენ, არამედ მოდერატორსაც. „ოლივერ გაისენის შოუ“ ერთადერთი ტოქშოლა, სადაც სტუმრების პაექრობაში სტუდიის მაყურებლებიც ერთვებიან. ამ მხრივ, ყველაზე აქტიური მესამე და მეხუთე მაყურებელია. პირველი ორჯერ აწყვეტინებს ვერნერს, ხოლო მეორე თითო-თითო ჯერ სასკიასა და დაგმარს. ასევე 4-ჯერ აწყვეტინებენ მაყურებლებს, მესამე მაყურებელს 2-ჯერ აწყვეტინებს სასკია, ხოლო მეხუთეს ვერნერი და პირველს გაისენი.

ამრიგად, გერმანული ტოქშოლებისაგან განსხვავებით მოდერატორი ქართულ ტოქშოლებში აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობს, რადგან სტუმრები ძალიან იშვიათად აწყვეტინებენ, მხოლოდ 7-ჯერ 38 შემთხვევისაგან. ის ყველაზე მაღალი ინსტანციაა, რომელსაც უფლება აქვს, ყოველ სტუმარს შეუზღუდავად შეაწყვეტინოს. პოლიტიკურ ტოქშოლში ეს იმითაა გამოწვეული, რომ სტუმრებს ცალ-ცალკე იწვევენ. სხვა გადაცემების კონცეფცია არ ემყარება დისენსს. შეწყვეტინების სიხშირე დამოკიდებულია ტოქშოლს ტიპზე, რედაქციის კონცეფციასა და ინტერაქტიანტების აქტივობაზე.

შეცდომა კოორდინაციაში განსხვავდება 'შეწყვეტინებისაგან' იმით, რომ თავდაპირველად მოსაუბრეთა მონაცვლეობა პარალელური საუბრის გარეშე მიმდინარეობს, მაგრამ შემდეგ, როცა მეორე მოსაუბრის ჯერია - პირველი კიდევ იწყებს საუბარს (ლინკე 1985: 147).

(9) ბდ: natürlich in Freiheitlichkeit und Liebe, also jeweils das Konzept meines, denk ich, ist sehr gut, ääh wenn gar keins da ist und wenn nur Events da sind, wie sie es so hier anklingt, nicht große Musikfestivals und andere Festivals ääh zu Wort, ich meine, das sagt mir nicht viel. Ich denke, das trifft auch nicht.

სქ: Dann hat das für Sie wenig bewertet, damit hätten Sie zu tun, Herr Bischof.

(10) მსყ1: Ihr sagt, ähm ihr habt keine Zeit für den Kleinen, also der äh geistig behindert ist.

გე: Der kommt ja alle 14 Tage zu Besuch.

მსყ1: Aber. Ja. Äh, darf ich fragen, der wievielte es gewesen ist, also der, der jetzt krank ist, das wievielte Kind war das?

(11) ნშ: როდესაც დიალოგის ა ზღვარზეა აა ოპოზიცია და ხელისუფლება და გადაწყვეტილების მიღება ჭირს, აა ამ ფონზე უბრალოთ საინტერესოა პირად შეხვედრებზე რაზე საუბრობთ ხოლმე?

გბ: პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ყველა ჩვენს ოპონენტს,

ნშ: პოლიტიკურ ნაწილს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა.

(12) მა: როგორ გაგრძელდა შემდეგ თქვენი თანაცხოვრება?

მდ: ჰა, მერე...

მა: ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და თქვენი მეუღლე ყველაზე პოპულარული ქართველი ფეხბურთელი იყო.

მდ: 17 წლის, კი, 17 წლის ააა ვიყავი, ვიტალი იყო ცხრამეტის, ორი წლით არი დიდი და ჩვენი ბედნიერება შვიდი წელი გაგრძელდა სულ. ოცდახუთის იყო, როცა გარდაიცვალა.

(13) ია: ეს აა დღის წესრიგში დგას.

ნშ: ეს მხოლოდ თქვენი გუნდის თუ პარტნიორებთან ერთად?

ია: ეს დღის წესრიგში დგას, მაგრამ აა ჩვენ ვაპირებთ, აა მნა

ვაპირებდით პოლიტიკური სრუ დამოუკიდებელი პოლიტიკური

ორგანიზაციის შექმნას, ააა მაგრამ ამას დრო ჭირდება.

- (14) ია: საკმაოდ მნიშვნელოვანიც და ეს გაირკვევა უახლოეს პერიოდში, როდესაც შეთანხმება შედგება აა შეხვედრასთან დაკავშირებით.
ნშ: გჲ...

ია: პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ოპოზიციურ სივრცეში არი გაერთიანებული, ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ბოლო მაგალითს მივაკუთვნებ შეცდომას კოორდინაციაში, რადგანაც მხოლოდ ორი მოსაუბრეა და წამყვანმა სტუმრის პაუზა შეცდომით დასასრულად აღიქვა, თუმცა შემდეგ ორივე ერთდროულად ერთვება საუბარში.

რამდენიმე მოსაუბრის პარალელური ჩართვის დროს გვაქვს მოსაუბრეთა მონაცვლეობა, რომელიც შეცვლილ მოსაუბრეს არ ეხება. ორზე მეტი მოსაუბრის პირობებში შესაძლებელია მოხდეს, რომ ორმა ან რამდენიმე მსმენელმა ერთდროულად სცადოს სიტყვის აღება და მანამ ილაპარაკოს, სანამ ერთ-ერთი ბრძოლიდან გამარჯვებული არ გამოვა (ლინკე1985: 148). ამის მაგალითებია:

- (15) ბდ: Ich will nur. Darf ich nur eins? Darf ich nur eins entgegenen?

სქ: (გაუგებარია) Genau, eine Entgegnung, Herr Driest, jetzt kommt.

პვ: (გაუგებარია) kurz mal was

სქ: Ja

პვ: zurecht erwidern, weil ich komme aus Stuttgart (...)

- (16) ოგ: Also, versteht das nicht falsch, aber kann man den 15 Kindern überhaupt mit den ganzen Begehrlichkeiten auch ääh überhaupt irgendwie des, das entgegenbringen, was Sie brauchen, kann man den gerecht werden?

გე: Ja, kann man.

ვე: Ja, kann man. Aber schwierig, aber es geht.

თუკი ქვემოთ მოცემულ ცხრილს (იხ. ცხრილი № 3) გადავხედავთ, ყველაზე მეტი პარალელური საუბარი „ოლივერ გაისენის შოუშია“ (113), ყველაზე ნაკლები კი „ჰარალდ შმიდტში“ (20). რაც შეეხება პოლიტიკურ ტოქშოუს „საბინე ქრისტიანსენს“ (101), ის მეორე ადგილზეა. მიღებული შედეგები, პირველ რიგში, გადაცემის ფორმატიტაა განპირობებული. „ოლივერ გაისენის შოუს“ ჩემს მიერ განხილული ტიპი მთლიანად დისენსზეა ორიენტირებული. კომპოზიციური სტრუქტურა

აგებულია პრო- და კონტრა-არგუმენტების მქონე სტუმრების სტუდიაში მონაცვლეობით შემოსვლაზე, რაც მაღალი ხარისხის მაპროვოცირებელ და კონფლიქტურ მუხტს შეიცავს. მონაწილეები იმისათვის კი არ გამოდიან, რომ ერთმანეთის აზრი გაიზიარონ, არამედ ბოლომდე რჩებიან თავიანთ პოზიციაზე და ცდილობენ ყოველგვარი კომპრომისის გარეშე საკუთარი შეხედულების ჭეშმარიტება აჩვენონ. მათ აქვთ მოქმედების წინასწარ განსაზღვრული არეალი, რომელსაც არ შორდებიან. პოლიტიკურ ტოქშოუმში მძაფრი თემატიკა არანაკლებ მძაფრ პარალელურ საუბარს განაპირობებს. „ჰარალდ შმიდტი“ იუმორისტული შოუა, სადაც დაპირისპირება საერთოდ არაა, შესაბამისად პარალელური საუბრის შემთხვევები ძალზე იშვიათია. თუ შევადარებთ პარალელური საუბრის კოოპერაციულ და არაკოოპერაციულ სტილს, მაშინ თითქმის მსგავს სურათს მივიღებთ: „ოლივერ გაისენსა“ და „საბინე ქრისტიანსენში“ მოსალოდნელი იყო არაკოოპერაციული საუბრის სტილის ყველაზე მეტი შემთხვევა, კერძოდ, პირველში 113-დან 48 (თითქმის ნახევარი), ხოლო მეორეში - 101-დან 54 (ნახევარზე მეტი). შეიძლება ჩაითვალოს, რომ შეწყვეტინებები და არაკოოპერაციული საუბრის სტილის სხვა ფორმები დამახასიათებელია არგუმენტაციული და კონფრონტაციული სტილისათვის (ჰინეკამპი 1989: 18-19).

ცხრილი № 3

პარალელური საუბრის ფორმები გერმანულ ტოქშოუმში

პარალელური საუბარი		საბინე ქრისტიანსენი	ოლივერ გაისენის შოუ	ჰარალდ შმიდტი	
კოოპერაციული პარალელური საუბარი	გადაფარვა	47	65	18	130
	შეწყვეტინება	31	31	2	64
	შეცდომა კოორდინაციაში	19	16	-	35
	პარალელური ჩართვა	4	1	-	5
მთლიანად		101	113	20	234
არაკოოპერაციული პარალელური საუბარი	შეწყვეტინება, შეცდომა კოორდინაციაში, პარალელური ჩართვა	54	48	2	104

გერმანული ტოქშოუებისაგან განსხვავებული სურათი მივიღე ქართულის ანალიზისას. პარალელური საუბრის ყველაზე მეტი შემთხვევაა პოლიტიკურ ტოქშოუში „პოზიცია“ (145), მეორე ადგილზეა არაპოლიტიკური ტოქშოუ „პროფილი“ (80), ხოლო ბოლო ადგილს იკავებს ღამის შოუს ფორმატის იუმორისტული გადაცემა „ვანო ჯავახიშვილის შოუ“ (42), თუმცა ამ უკანასკნელში პარალელური საუბრის შემთხვევები ორჯერ მეტია გერმანულ ვარიანტთან შედარებით. ეს იმით აიხსნება, რომ „ვანოს შოუში“ მონაწილეების რაოდენობა მეტია. თუკი არაკოოპერაციული საუბრის სტილის მაჩვენებლებს შევადარებთ, ქართულში რვა შემთხვევაა, გერმანულში მხოლოდ ორი, თუმცა სხვა ფორმატებთან შედარებით ეს ძალზედ ნაკლებია. ეს განპირობებულია იმით, რომ გვიანი ღამის შოუში, რომელიც კომედი ჟანრისა და ტოქშოუს შერწყმაა, არ არსებობს დისენსი, წინააღმდეგობები, შესაბამისად, პარალელური საუბრის ნაკლები ფორმა დავადასტურე. ეს წარმოადგენს საფუძველს დაუძაბავი, იუმორისტული და კოოპერაციაზე ორიენტირებული ინტერაქციული გასართობი სტილისათვის. „პროფილში“ 80-დან მხოლოდ 12-ია არაკოოპერაციული საუბრის შემთხვევა, რაც ტოქშოუს ტიპიდან გამომდინარე ბუნებრივია. თუ „ოლივერ გაისენის შოუს“ მიზანია სრულიად განსხვავებული აზრებისა და დამოკიდებულების ადამიანების დაპირისპირება, რომლებიც კამათს კონფრონტაციული და ხანდახან აგრესიული სტილით აწარმოებენ, „პროფილში“ მაყურებელთა გართობა მაქსიმალურად ჰარმონიული სტილით ხდება. არაკოოპერაციული საუბრის სტილის ყველაზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა პოლიტიკურ ტოქშოუში „პოზიცია“, რაც მოსალოდნელი იყო, რადგანაც მოდერატორი შეძლებისდაგვარად მიკერძოების გარეშე ცდილობს შეინარჩუნოს დამაბული საუბრის მუხტი (იხ. ცხრილი № 4).

გერმანულ და ქართულ ტოქშოუებში პარალელური საუბრის შედარებისას თითქმის ერთნაირი რაოდენობა დასტურდება (234-267). არაკოოპერაციული საუბრის სტილი, ერთი შეხედვით, ძალზედ განსხვავებულია (104-69). მსგავსი ფორმატის გადაცემების შედარებისას შემდეგი სურათი მივიღე:

- 1) „საბინე ქრისტიანსენი“ (54) – „პოზიცია“ (49)
- 2) „ოლივერ გაისენის შოუ“ (48) – „პროფილი“ (12)

3) „პარალელ შმიდტი“ (2) – „ვანოს შოუ“ (8) (იხ. სქემა № 3)


ცხრილი № 4

პარალელური საუბრის ფორმები ქართულ ტოქშოუსში


პარალელური საუბარი		პოზიცია	პროფილი	ვანოს შოუ	
კოოპერაციული პარალელური საუბარი	გადაფარვა	96	68	34	198
	შეწყვეტინება	27	8	2	37
	შეცდომა კოორდინაციაში	22	4	6	32
	პარალელური ჩართვა	-	-	-	
მთლიანად		145	80	42	267
არაკოოპერაციული პარალელური საუბარი	შეწყვეტინება, შეცდომა კოორდინაციაში, პარალელური ჩართვა	49	12	8	69

პირველ წყვილში არაკოოპერაციული საუბრის ფორმების რაოდენობა თითქმის ერთნაირია, დანარჩენ ორში კი რადიკალურად განსხვავებული. თუკი ზემოთ მოყვანილ ობიექტურ მიზეზებს გავითვალისწინებთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ალომორფიზმი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ტოქშოუს ჟანრით, სარედაქციო კონცეფციით, თემის სიმწვავით, ინტერაქტანტთა აქტივობითა და რაოდენობით. გარდა ამისა გამოვლინდა, რომ პარალელური საუბრის ფორმების სიხშირე და სახეობა პირდაპირ კავშირშია გერმანული და ქართული ტოქშოუს სხვადასხვა სტილთან.

პარალელური საუბრის ფორმები გერმანულ და ქართულ ტოქშოუმში



არაკოოპერაციული პარალელური საუბრის ფორმები გერმანულ და ქართულ ტოქშოუმში



2.1.3. ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა ჰანგის ფორმალურ- სინტაქსური მახასიათებლების მიხედვით

გერმანული და ქართული ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევის ფორმალურ-სინტაქსური მხარე მთლიანად შეუსწავლელია კონტრასტულ პლანში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლინკემ და იონასმა ტოქშოუს სხვადასხვა ჟანრებთან, კერძოდ, დისკუსიასა და ვიქტორინასთან შედარებისას ერთი ენის შიგნით განიხილეს ეს საკითხი. ამ ანალიზის დროს ჰანგის მიერ შემუშავებული კითხვითი სიგნალების კატალოგის გამოყენებამ გაამართლა, ამიტომაც ეს მეთოდი ორი ენის ტოქშოუს კვლევის დროსაც გამოვიყენე. აქ არ შევუდგები კითხვების კლასიფიკაციების წარმოდგენას, რომლებიც, ძირითადად, წერილობითი ენის კითხვითი წინადადების გრამატიკულ კატეგორიას განიხილავენ. ჰანგმა რადიო ინტერვიუების კვლევის საფუძველზე გამოყო 9 კითხვითი სიგნალი, რომლებიც სრულად ასახავს კომუნიკაციის მონაწილეთა კითხვით აქტივობას. აქვე მინდა წარმოვადგინო ჰანგის მიერ შემუშავებული კითხვითი სიგნალების სქემა, სადაც ჩემს მიერ მოპოვებული კორპუსიდან მოვიყვან მაგალითებს:

1. Pron – ‘კლასიკური’ კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება:
Wie seid ihr zu diesem Hobby gekommen?
Und warum war Kevin im Heim?
2. Inv – არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება. ინვერსიული წყობა ანუ სუბიექტი-პრედიკატის ნაცვლად პრედიკატი-სუბიექტი:
Leben alle Kinder bei Euch?
Fühlst du dich erst bestärkt da drin so, was du gerade eben so was zu erklären hast, Carmen?
3. Ton – კითხვითი ტონი როგორც პარავერბალური სიგნალი:
Ja?
Bitte?
Ja und?
Noch mehr Kinder?
4. Tag – სინტაქსურად დამოუკიდებელი მოკლე ფრაზა კითხვითი ტონით:

Ganz kurz zur Familienstatus, selbst Kinder, Familie, gebunden oder?

Das ist sehr Wichtiges, was sehr Elementares und äähm deswegen ist es natürlich schon blauäugig zu sagen, ach Mensch, ja ich finde schön große Familien und könnte auch mehr sein, wo ich ja grade eine Arbeit hab, da möchte ich ja noch ein Kind haben, scho schwierig dann, oder?

Hm, das wäre, Denis wäre das, ne?

5. Epf – ექსპლიციტურად პერფორმატიული ფორმულა EPF, რომელიც ენობრივ ქმედებას კითხვად აღნიშნავს, უმეტესად შემდეგი ლექსემების გამოყენებით: 'კითხვა' (,fragen') ან 'შეკითხვა'(,Frage'):
Und was ich nur noch fragen wollte, wie kamt ihr eigentlich darauf, 15 Kinder zu zeugen, wolltet ihr denn den Eintrag ins Guinnessbuch der Rekorde haben oder wie kam's dazu?
Aber ich frag mich dann, warum, warum setzt man dann 15 Kinder auf die Welt?
6. Mod – მოდალური სიტყვები, რომლებიც ნათქვამისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ (ადრესანტზე ორიენტირებული):
(...) und du sagst so, an Mutterdasein hat sie wahrscheinlich nicht mehr Spaß, ja?
7. Ego – გამონათქვამის სუბიექტურობა (ადრესანტზე ორიენტირებული):
Diese 6 Kinder ja, ich meine, die ist ja auch kein Pappensiel?
Ich hab vorhin gesagt, vom Hartz 4 lebst du im Augenblick?
ამ კითხვით სიგნალს დიდი მსგავსება აქვს Mod-თან, თუმცა აქ ყველგან გვხვდება ლექსემა ,ich'.
8. Zus – მოსაუბრეზე ორიენტირებული კითხვითი სიგნალებისაგან (Mod და Ego) განსხვავებით Zus ადრესატზე ორიენტირებული სიგნალია, რომელშიც მოსაუბრე პარტნიორის გამონათქვამების შეჯამებას აკეთებს ან დასკვნები გამოაქვს. ამ სიგნალის აღქმა უფრო სემანტიკური კრიტერიუმებით ხდება, ვიდრე სინტაქსურით. ფორმალურად ის გამოიხატება ნაწილაკით **also** ან მისი ეკვივალენტით:
Also, 'ne Ausbildung noch machen? (ადრესატზე ორიენტირებული)
9. Deith – პერსონალურ-დეიქტიკური თეზა. ეს კითხვითი სიგნალი Zus-ის მსგავსია. მოსაუბრე უშუალოდ ელაპარაკება პარტნიორს და აზრს

გამოთქვამს მის შეხედულებასა და ინტენციაზე:

Glaubst du auch was dran, dass die These, was Alexander aufgestellt hat, dass viele Familien, auch 'ne so große, dass man vermeintlich viel Kindergeld bekommt? (ადრესატზე ორიენტირებული) (ლინკე 1985: 183; იონასი 2008: 85).

კითხვითი სიგნალები Pron, Inv და Ton უფრო ხშირად გამოიყენება ვიდრე Tag. ჰანგისა და ლინკესგან განსხვავებით, რომლებმაც Pron და Inv სიგნალების დომინანტობა დაადგინეს, იონასის მიერ გაანალიზებულ წამყვანების კითხვით ქცევაში Ton სიგნალი უფრო დიდ როლს თამაშობს. ეს განსხვავება იმითაცაა განპირობებული, რომ იონასმა 9 კითხვითი სიგნალი 4-ზე დაიყვანა. Mod, Ego, Zus და Deith გაერთიანდა Ton ან Tag-ში. Ton სიგნალის მაღალ სიხშირეს ის წამყვანების დამოკიდებულებით ხსნის. წინარე ცოდნიდან გამომდინარე ისინი უფრო თხრობითი წინადადებებით ფიქრობენ, ვიდრე კითხვითით. აღმავალი ინტონაცია სტუმარს საშუალებას აძლევს მოკლე რეაქციით დაადასტუროს ან უარყოს ეს ინფორმაცია (იონასი 2008: 97; ლინკე 1985: 196).

ლინკეს აზრით, ტოქშოუს წამყვანი უმეტესად კითხვას სვამს. გადაცემებში „ახალგაზრდობა“ და „თავგადასავალი“ ყველაზე ხშირია Pron და Inv (50%). მესამე ადგილს თანაბრად იყოფენ Mod, Ton, Tag და Zus ერთგან და მეორეგან Mod, Ego და Tag. დანარჩენი კითხვები 20%-ს ქვემოთაა. ორივე გადაცემაში წამყვანის მიერ ყველაზე ხშირად გამოიყენება Pron, Inv, Mod და Tag. Pron-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან უმეტეს შემთხვევებში დამოუკიდებლად გვხვდება. ამ კითხვით მოსაუბრის ალაპარაკება ხდება, რადგან ყველაზე გრძელ პასუხებს მოითხოვს. Tag-ის გამოყენება თავისუფალ ატმოსფეროს ქმნის და ირიბი შეკითხვით ინტერვიუს მსგავს კომუნიკაციას არიდებენ თავს.

რაც შეეხება ტოქშოუს სტუმრებს, ყველაზე მეტად გამოიყენება Mod, Inv, ასევე Tag. სტუდიის სტუმრები უფრო მეტად Mod-ს იყენებენ, ვიდრე Pron-ს, რადგანაც ერიდებიან გრძელ პასუხებს. თუკი წამყვანები Mod-ს და Tag-ს იმისთვის მიმართავენ, რომ 'კითხვის დამსმელის' როლში არ გამოვიდნენ, სტუდიის სტუმრებს სხვა მოტივაცია ამოძრავებს. რადგანაც კითხვის დასმა წამყვანის კომპეტენციაში შედის, სტუმრები Mod და Deith სიგნალების გამოყენებით ახერხებენ ამ შეზღუდვისათვის

გვერდის ავლას. ის სტუმრები, რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო მეტ კითხვას სვამენ, განსაკუთრებული სტატუსით გამოირჩევიან (ლინკე 1985: 196-198).

რაც შეეხება დისკუსიას, ლინკესთვის თვალშისაცემია, რომ წამყვანები უფრო ნაკლებ კითხვებს სვამენ. თუმცა კითხვითი სიგნალების Pron და Inv სიხშირე მსგავსია. განსხვავებულია Epf-ის გამოყენება. მაშინ როცა ტოქშოუს წამყვანები Epf-ს თითქმის არ იყენებენ, დისკუსიაში ის სიხშირით მეორე სიგნალია. ლინკე ამის შემდეგ მიზეზებს ასახელებს:

- დისკუსიის წამყვანები თავიანთ როლს უფრო მკვეთრად უსვამენ ხაზს, რითაც კითხვას უფრო მეტი წონა ემატება.
- კითხვა 'ავტომატურად' ცხადდება იმ სიდიდედ, რომლის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

დისკუსიის წამყვანები არ იყენებენ Mod-ს და უფრო ნაკლებად მიმართავენ Tag-ს. ამ სიგნალებისათვის თავის არიდება შეესაბამება იმ სტრატეგიას, რომლითაც უპირატესობას ანიჭებენ Epf-ს: Mod სიგნალის გამოყენება პირად დამოკიდებულებას უსვამს ხაზს, ხოლო Tag თანხმობის მსგავს მოლოდინს ან დამოკიდებულებას. ეს 'პირადული' ელფერი ტოქშოუს მოდერატორის როლს უფრო უხდება. დისკუსიის წამყვანი კი 'ნეიტრალურ' პოზიციაშია.

დისკუსიის სტუმრები უფრო ნაკლებ შეკითხვას სვამენ ვიდრე ტოქშოუს სტუმრები. ამ მოვლენას ლინკე შემდეგნაირ ახსნას უძებნის: ერთი მხრივ, სტუმრები თავიანთი როლის შესაბამისად იქცევიან, რასაც ემატება ისიც, რომ წამყვანი უფრო დომინანტურია. მეორე მხრივ, ისინი კითხვების დასმაზე კი არ არიან ორიენტირებული, არამედ უფრო თავის წარმოჩენაზე, საკუთარი აზრებისა და ინტერესების წარდგენაზე. განსაკუთრებით ჭარბობს Mod და Tag. თუმცა ერთ გადაცემაში სტუმრები ორჯერ უფრო მეტ კითხვას სვამენ ვიდრე წამყვანი. ყველაზე ხშირად გამოიყენება აქ Pron, რაც მოდერატორისათვის ტიპურია. ამ კითხვების ნახევარი ერთ სტუმარზე მოდის, რომელიც დიდი ენაწყლიანობით გამოირჩევა, რასაც წამყვანიც უწყობს იმით ხელს, რომ ყოველთვის მას მიმართავს, თუკი რამეა გასარკვევი (ibid: 201-203).

ამრიგად, ტოქშოუში უფრო მეტი კითხვა ისმება, ვიდრე დისკუსიაში როგორც წამყვანის, ისე სტუმრების მხრიდან.

წამყვანის მახასიათებლები:


- ორივე გადაცემის მოდერატორები ძალზედ ხშირად იყენებენ სიგნალებს Pron და Inv, რომლებიც სტუმრებთან დაქვემდებარებულ როლს თამაშობს. ისინი უფლებამოსილი როლის ენობრივი მახასიათებლებია.
- Mod და Tag უფრო ხშირად გამოიყენება ტოქშოუში და EPF დისკუსიაში. ტოქშოუს წამყვანი მიმართავს ირიბ, არაპირდაპირ შეკითხვებს, სადაც პირადი დამოკიდებულება და აზრები მჟღავნდება, დისკუსიის წამყვანი კი უფრო ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და უშუალო კითხვებს სვამს.

სტუდიის სტუმრების მახასიათებლები:

- ორივე ტიპის გადაცემაში ყველაზე ხშირად გამოიყენება Mod. უფრო ნაკლები სიხშირით ეს Tag-ზეც ვრცელდება. Pron და Inv წამყვანისათვის ტიპიურია, ხოლო Mod და Tag სტუმრებისათვის.
- EPF-ის გამოყენება დისკუსიის, ხოლო Pron-ის ტოქშოუს სტუმრების მიერ მათ განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს, კერძოდ, ექსპერტის როლზე. ლინკეს მიხედვით, კითხვითი ქცევით საუბრის როლების განსაზღვრა ხდება (ibid: 204-205).


რაც შეეხება ჩემს ემპირიულ მასალას, აქ შემდეგი მახასიათებლები აღინიშნება: გერმანულ ტოქშოუებში „ოლივერ გაისენის შოუ“ ყველაზე მეტი კითხვით (167) გამოირჩევა. მეორე და მესამე ადგილს იყოფენ „საბინე ქრისტიანსენი“ (86) და „ჰარალდ შმიდტი“ (65). კითხვების ტიპებში ყველაზე მეტად ჭარბობს Pron და Inv. ეს ბალანსი შმიდტთან ირღვევა, სადაც წინა პოზიციაზეა Ton. ამ სიგნალის სიჭარბე ხაზს უსვამს კითხვითი ქცევის დამოკიდებულებას ტოქშოუს ტიპზე (იხ. სქემა № 4). ამით ნაწილობრივ დასტურდება ლინკეს შეხედულება.

გერმანული ტოქსოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა



რაც შეეხება ქართულ ტოქსოუებს, პირველ ადგილზეა „პროფილი“ (193), „ვანო ჯავახიშვილის შოუ“ მეორეზე (171) და „პოზიცია“ ბოლო ადგილზე (66). კითხვების ტიპებში ყველაზე მეტია, როგორც გერმანულ ტოქსოუმში, Pron და Inv (იხ. სქემა № 5).


ქართული ტოქსოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა



ყველაზე მეტი კითხვა როგორც გერმანულ, ისე ქართულ არაპოლიტიკურ ტოქშოუმში ისმება („ოლივერ გაისენის შოუ“ – 167, „პროფილი“-193). პოლიტიკურ ტოქშოუმში „საბინე ქრისტიანსენი“ (86) კითხვების რაოდენობა უფრო მეტია ვიდრე „პოზიციაში“ (66). „ვანო ჯავახიშვილის შოუში“ (171) თითქმის სამჯერ უფრო მეტი კითხვა ისმება, ვიდრე “ჰარალდ შმიდტთან“ (65), თუმცა ორივე ერთი ფორმატის გადაცემაა. ეს იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ვანოს სამი სტუმარი ჰყავს (ორი ძირითადი და ერთი დამატებითი). კითხვების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ ტოქშოუმში უფრო მეტი კითხვა ისმება (იხ. სქემა № 6).

სქემა № 6

ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა



გერმანულ ტოქშოუმში „საბინე ქრისტიანსენი“ (69) კითხვების უმეტესობა წამყვანზე მოდის. სტუმრები სვამენ 17 კითხვას. Pron (22) და Inv (22) ყველაზე ხშირად და თანაბრად გვხვდება. აქედან 3 Pron-ს ინაწილებენ დე ვინთერი, დრისტი და დაბაგი, ხოლო 7 Inv-ს დრისტი (5), დე ვინთერი (1) და იაშკე (1). შემდეგ ადგილს იყოფენ Ton (13) და Tag (11). აქედან 3 Ton (დე ვინთერი, დაბაგი, პაჟე) და 4 Tag (დრისტი 2, იაშკე 2) გადანაწილებულია სტუმრებზე. მათ მოსდევს Epf (7) და Deith (4). აქედან ერთი Epf დრისტს ეკუთვნის. ბოლო პოზიციას იყოფენ Ego (2), Mod (1), Zus (1). აქედან ერთი Ego დე ვინთერს ეკუთვნის და ერთადერთი Zus დრისტს. სტუმრების მიერ დასმული კითხვების ნახევარი დრისტზე (10) მოდის. ყველაზე

მეტად გვხვდება Pron (22), Inv (22), Ton (13) და Tag (11). წამყვანი მიმართავს Pron (19), Inv (15), Ton (10), Tag (7) და Epf (6). სტუმრებში გამოირჩევა Inv (7) და Tag (4).

გერმანულ ტოქშოუში „ოლივერ გაისენის შოუ“ (114) წამყვანი უფრო მეტ კითხვას სვამს, თუმცა არანაკლები აქტივობით გამოირჩევიან სტუმრები (53). ყველაზე ხშირად გვხვდება Pron (43) და Inv (27). აქედან 23 Pron და 9 Inv მოდის სტუმრებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ლინკეს მიერ მიღებული შედეგი არ დასტურდება. ვგულისხმობ იმას, რომ Pron მხოლოდ უფლებამოსილი როლის მახასიათებელია. სტუმრების ასეთი კითხვითი აქტივობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოდერატორი აძლევს მათ საშუალებას იპაექრონ და მაქსიმალურად ცდილობს არ ჩაერიოს მათ ინტერაქციაში. მართალია, Pron წამყვანისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, როგორც ჩანს, სტუმრები უფრო მეტად მიმართავენ ამ კითხვით სიგნალს, რათა საჭირო ინფორმაცია მოიპოვონ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ კითხვითი აქტივობა დამოკიდებულია როგორც წამყვანის სტილზე, რომელიც ამ შემთხვევაში არადომინანტურია, ისე ტოქშოუს ტიპზე და არა მარტო ტოქშოუს მონაწილის როლზე. შემდეგ პოზიციებს იყოფენ Tag (25) და Ton (19). აქედან სტუმრები მიმართავენ 13 Tag-სა და 7 Ton-ს. Tag თითქმის ერთნაირი რაოდენობითაა როგორც წამყვანთან, ისე სტუმრებთან. მათ მოსდევს შემდეგი კითხვითი სიგნალები Deith (13), EPF (7), Ego (6), Zus (4), Mod (3). სტუმრების მხრიდან ამდენი კითხვა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ეს ტოქშოუ ორიენტირებულია დაპირისპირებაზე. ეს გადაცემის მიმდინარეობითაცაა განპირობებული. საწინააღმდეგო შეხედულებების სტუმრები რიგრიგობით შემოდიან და ბოლომდე იცავენ თავიანთ პოზიციებს, რაც შეიძლება აგრესიულად. აქ არ ცდილობენ რაიმე თანხმობამდე მისვლას. ყველაზე აქტიური სტუმრები არიან ალექსანდრე (20) და სასკია (16). ყველაზე მეტად გვხვდება Pron (43), Inv (27), Tag (25), Ton (19), Deith (13), EPF (7), Ego (6). წამყვანი მიმართავს Pron (20), Inv (18), Ton (12), Tag (12) და Deith (10) კითხვით სიგნალებს. სტუმრებში გამოირჩევა Pron (23), Tag (13), Inv (9), Ton (7) და EPF (5).

გერმანულ ტოქშოუში „ჰარალდ შმიდტი“ (62) კითხვების უმეტესობა წამყვანზე მოდის. სტუდიის სტუმარს მხოლოდ სამი კითხვა ეკუთვნის, ხოლო რვა - თანაწამყვანს. ყველაზე ხშირად გვხვდება Ton (20) და Pron (18). აქედან 3 Ton და 3 Pron

თანაწამყვანზე მოდის, მხოლოდდამხოლოდ 2 Ton სტუდიის სტუმარზე თითა ფონ ჰარდენბერგზე. მათ მოსდევს Inv (14) და Tag (11). აქედან მხოლოდ ერთი Inv ეკუთვნის გადაცემის სტუმარს და 2 Tag თანაწამყვანს ანდრას. შემდეგ პოზიციებს ინაწილებენ 4 Ego და 3 Deith. ყველაზე მეტად გვხვდება Ton (20), Pron (18), Inv (14), Tag (11). წამყვანი მიმართავს Pron (15), Ton (15), Inv (13) და Tag (9) კითხვით სიგნალებს. სტუმრებში გამოირჩევა Ton (5).

ქართულ ტოქშოუში „პოზიცია“ თითქმის ყველა კითხვა წამყვანზე მოდის (65). ერთადერთ Ton - კითხვას სტუმარი სვამს. Pron (34) და Inv (31) ყველაზე ხშირად გვხვდება. მესამე ადგილზეა EPF (20), რომელიც დისკუსიის წამყვანის დამახასიათებელია და კითხვის რელევანტურობას უსვამს ხაზს. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ პოლიტიკურ ტოქშოუში მოდერატორის როლი დომინანტურია და განსაკუთრებულად წამოიწევა წინ. შემდეგ პოზიციაზეა Deith (11) და Ego (9). მოდერატორი პარტნიორზეა ორიენტირებული და კითხვას სუბიექტურ ელფერს აძლევს. ყველაზე ნაკლებად იყენებს წამყვანი Ton (5) და Tag (3) კითხვით სიგნალებს. ყველაზე მეტად გვხვდება Pron (34), Inv (31), EPF (20), Deith (11), Ego (9) და Ton (5).

ტოქშოუში “პროფილი” თითქმის ყველა კითხვას წამყვანი სვამს (185). სტუმრებზე მხოლოდდამხოლოდ 8 კითხვა მოდის. ყველაზე ხშირია Pron (103) და Inv (59). აქედან ერთადერთი Inv - კითხვა სტუდიის სტუმარს ევას ეკუთვნის, დანარჩენი წამყვანს. შემდეგ პოზიციას იყოფენ Ton (15) და Tag (11). აქედან 4 Ton (1 თიკასა და 3 ევასგან) და 3 Tag კითხვა (თითო-თითო მანანას, თიკასა და ევასგან) სტუდიის სტუმრებზე მოდის. ბოლო ადგილზეა EPF (5). ყველაზე მეტად გვხვდება Pron (103), Inv (59), Ton (15) და Tag (11). წამყვანი მიმართავს Pron (103), Inv (58), Ton (11) და Tag (8) კითხვით სიგნალებს. სტუმრებში გამოირჩევა Ton (4).

„ვანო ჯავახიშვილის შოუშიც“ კითხვების უმეტესობა წამყვანს ეკუთვნის (141). სტუმრებზე 30 კითხვა მოდის. პირველ ადგილზეა Pron (63) და Inv (44). ერთ შეკითხვას საგაზეთო რუბრიკის წამყვანი ზაქრო სვამს. დანარჩენი 12 Pron (დმ 3, კუკუმა 3, მიმა 5 და გაგა -1) და 12 Inv კითხვა (მამუკა 1, დმ 7, კუკუმა 3, შოთი 1) სტუდიის სტუმრებზე მოდის. შემდეგ პოზიციას იყოფენ Tag (19) და Ton (17). აქედან 1 Tag (დმ) და 5 Ton კითხვა (დმ 2, კუკუმა 2, კაკი 1) სტუმრებს ეკუთვნის. „ვანო

ჯავახიშვილის შოუს“ სტუმრები ყველაზე მეტ კითხვას (31) სვამენ. ეს იმით აიხსნება, რომ წამყვანი მეგობრულ ატმოსფეროს ქმნის, რათა მისმა სტუმრებმა ლაღად და თავისუფლად იგრძნონ თავი. გარდა ამისა შაბათი შოუს პროფესიონალი მსახიობები ერთეუბიან საუბარში. ბოლო ადგილზეა Ego (2) და Deith (1) კითხვები. ყველაზე მეტად გვხვდება Pron (51), Inv (32), Tag (19) და Ton (17). წამყვანი მიმართავს Pron (103), Inv (58), Tag (18) და Ton (12) კითხვით სიგნალებს. სტუმრებში გამოირჩევა Pron (12), Inv (2) და Ton (5).


ამრიგად, ტოქშოუში კითხვის დასმა, ძირითადად, წამყვანის პრეროგატივაა. ეს ნათლად ჩანს მოდერატორისა და სტუდიის სტუმრების კითხვითი აქტივობის შედარებისას:

„პოზიცია“ (65 - 1); „პროფილი“ (185 - 8); „ვანოს შოუ“ (141- 30).

„საბინე ქრისტიანსენი“ (69 - 17); „ოლივერ გაისენის შოუ“ (114 - 53); „ჰარალდ შმიდტი“ (62 - 3) (იხ. სქემა № 7)

სქემა № 7

ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა




გერმანულ ტოქშოუში მოდერატორები ყველაზე ხშირად შემდეგ კითხვით სიგნალებს იყენებენ Pron (57), Inv (46) და Ton (40). ასევე სამივე გადაცემაში გვხვდება Deith (22). აღსანიშნავია Tag (19) და EPF (8), რომელთაც შმიდტის გარდა ორივე წამყვანი მიმართავს. უფრო ნაკლებია Ego (9), Mod (3) და Zus (2). ამათგან პირველს

სამივე, ხოლო მეორეს ორი და მესამეს მხოლოდ ერთი წამყვანი იყენებს (იხ. სქემა №8).


სქემა №8

წამყვანის კითხვითი ქცევა გერმანულ ტოქშოუში




სტუმრები სამივე გადაცემაში მიმართავენ Tag (28), Inv (17) და Ton (12) კითხვით სიგნალებს. რაც შეეხება Pron-ს, მას უფრო წამყვანი იყენებს. თუმცა ტოქშოუში „ოლივერ გაისენის შოუ“ სტუმრებთან 23 Pron გვხვდება, „საბინე ქრისტიანსენში“ მხოლოდ - 3. 6 Epf მოიპოვება „შმიდტის“ გარდა ორივე ტოქშოუში, 5 აქედან „ოლივერ გაისენის შოუში“. დანარჩენი კითხვითი სიგნალები მცირე რაოდენობით ერთ ან მაქსიმუმ ორ ტოქშოუშია: Mod (1), Ego (3), Zus (3), Deith (3). Tag დასტურდება როგორც სტუმრების კითხვითი ქცევის მახასიათებელი, Mod არა. გერმანულ ტოქშოუებში სტუმრების კითხვითი აქტივობის დამახასიათებელია Tag (28), Inv (17) და Ton (12). Pron-ის მაღალი მაჩვენებელი გაისენთან ხაზს უსვამს ამა თუ იმ კითხვითი სიგნალის გამოყენების დამოკიდებულებას ტოქშოუს ტიპსა და რედაქციის მიზნებზე. თუმცა Epf-ისა და Pron-ის გამოყენება ლინკესაგან განსხვავებით ექსპერტის როლზე სრულიადაც არ მიუთითებს (იხ. სქემა №9).

სტუმრების კითხვითი ქცევა გერმანულ ტოქშოუში




ქართულ ტოქშოუებში წამყვანები ყველაზე მეტად მიმართავენ Pron (188) და Inv (121) კითხვით სიგნალებს. ასევე აღსანიშნავია Tag (29) და Ton (27). თუმცა Tag და Ton-ს პოლიტიკური ტოქშოუს წამყვანი შედარებით იშვიათად იყენებს, უფრო გასართობი ტოქშოუს წამყვანები. ამ არაპირდაპირ შეკითხვებში უფრო მულავენდება წამყვანის პირადი დამოკიდებულება. ოთხივე სიგნალი სამივე გადაცემაში გვხვდება. ასევე უნდა გამოვყოთ EPF (25), რომელსაც ჯავახიშვილის გარდა ორივე წამყვანი მიმართავს, განსაკუთრებით ხშირად კი პოლიტიკური ტოქშოუს წამყვანი შუბლაძე. ამით მოდერატორი კითხვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. Deith (12) და Ego (11) მხოლოდ ორ გადაცემაშია. მათი უმრავლესობა „პოზიციაში“ გვხვდება: Deith (11) და Ego (9). Mod და Zus სიგნალებს ქართველი წამყვანები არ იყენებენ (იხ. სქემა №10).

წამყვანის კითხვითი ქცევა ქართულ ტოქშოლში



რაც შეეხება სტუმრებს, სამივე გადაცემაში მიმართავენ Ton-ს (10). Pron (12) და Inv (12) „ვანოს შოუში“. ერთადერთი Inv „პროფილშიც“ გვხვდება. მცირე რაოდენობითაა Tag (4) არაპოლიტიკურ ტოქშოლებში. როგორც ვხედავთ, სტუმრები ქართულ ტოქშოლებში არც ისე ხშირად სვამენ კითხვებს. პოლიტიკურ ტოქშოლში „პოზიცია“ ერთადერთი Ton სტუმრიდან მოდის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სტუმრები აქ დაკავებული არიან საკუთარი აზრებისა და არგუმენტების წარმოჩენით. EPF, Mod, Ego, Zus, Deith საერთოდ არ გვხვდება სტუმრებთან. ლინკესგან განსხვავებით Mod ქართულ ტოქშოლებში არაა სტუმრის კითხვითი ქცევის დამახასიათებელი, Tag შეიძლება ნაწილობრივ ჩაითვალოს ასეთად. „ვანოს შოუში“ ამდენი Pron (12) და Inv (12) -ის გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ კითხვითი აქტივობა ტოქშოლს ტიპსა და რედაქციის განზრახვაზე დამოკიდებული (იხ. სქემა №11).

სტუმრების კითხვითი ქცევა ქართულ ტოქშოუმში



გერმანული და ქართული ტოქშოუმების შეპირისპირებისას გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები გამოწვეულია როგორც ჟანრისა და ფორმატის სპეციფიკით, ისე მოდერატორებისა და სტუმრების საუბრის სტილით.

ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქართველი მოდერატორები უფრო მეტ კითხვას სვამენ, ვიდრე - გერმანელი, რადგან ისინი არა მარტო საკუთარი, არამედ წინა სტუმრების პოზიციებიდანაც მოქმედებენ და ამით ტოქშოუს კოჰერენტულ კავშირს უზრუნველყოფენ. ეს კარგად ჩანს Pron-ისა და Inv-ის მაგალითზე. ეს კითხვითი სიგნალები ორჯერ უფრო მეტია. ასევე აღსანიშნავია Ton და Tag, რომელსაც პოლიტიკური ტოქშოუს მოდერატორები შედარებით ნაკლებად მიმართავენ. მართალია, შმიდტი არც ერთ Tag-ს არ იყენებს, მაგრამ ჯავახიშვილი ამ მხრივ, ყველას აჭარბებს. Ton სიგნალი უფრო მეტია გერმანელ მოდერატორებთან, განსაკუთრებით შმიდტთან. EPF სიგნალი უფრო პოლიტიკური ტოქშოუს წამყვანის კითხვითი სტილის დამახასიათებელია, რითაც ის საკუთარ დომინანტურობას და კითხვის რელევანტურობას უსვამს ხაზს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ არც ერთი EPF არ გვხვდება “ჰარალდ შმიდტთან“ და „ვანოს შოუში“, ხოლო „ოლივერ გაისენის შოუსა“ და „პროფილში“ მცირე რაოდენობით. შუბლაძე ყველაზე ხშირად მიმართავს EPF სიგნალს. Deith სიგნალი ყველაზე ხშირია გერმანული ტოქშოუმებიდან

არაპოლიტიკურ ტოქშოუში “ოლივერ გაისენის შოუ“, ხოლო ქართულებიდან კი პირიქით, პოლიტიკურ ტოქშოუში „პოზიცია“. Ego სიგნალის გამოყენებაშიც გამოვლინდა განსხვავებანი. ეს კითხვითი სიგნალი უფრო გერმანულ არაპოლიტიკურ ტოქშოუებში დასტურდება, ხოლო ქართულ ტოქშოუებში - პირიქით. Mod და Zus იშვიათადაა გერმანელი მოდერატორების რეპერტუარში, ხოლო ქართველებთან საერთოდ არ ვაწყდებით. Mod და Tag სიგნალები, რომლებიც ლინკესთან Pron და Inv-ის შემდეგ ყველაზე ხშირია, არ დასტურდება ჩემს ემპირიულ მასალაში.

ტოქშოუს სტუმრები უფრო ნაკლებ კითხვებს სვამენ, ვიდრე წამყვანები, რაც წამყვანისა და სტუმრის როლების სპეციფიკიდან გამომდინარე გასაგებია. განსაკუთრებით აქტიურები არიან „ოლივერ გაისენის შოუსა“ და „ვანო ჯავახიშვილის შოუს“ სტუმრები. ეს გადაცემის მიმდინარეობითაც აიხსნება. გერმანულ ტოქშოუში სტუმრებთან ერთად მაყურებლებიც აქტიურად მონაწილეობენ მწვავე საუბარში და კიდევ უფრო უმატებენ სცენაზე დანთებულ ცეცხლს. ქართულ გადაცემაში სტუმრებთან ერთად კითხვით აქტივობაში მოწვეული მსახიობებიც ერთვებიან.

გერმანული ტოქშოუს სტუმრები უფრო მეტ კითხვას სვამენ, ვიდრე ქართველები. Inv და Pron უფრო მოდერატორისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სტუმრებიც იყენებენ. ამ მხრივ, გამოირჩევა „ოლივერ გაისენის შოუ“ და „ვანო ჯავახიშვილის შოუ“. მართალია, „ჰარალდ შმიდტი“ და „ვანოს შოუ“ ღამის შოუს ფორმატებია, მაგრამ გერმანულ ვერსიაში ერთადერთი Inv გვხვდება და Pron საერთოდ არაა, ქართულში კი ორივე ფიგურირებს (12-12). Ton და Tag არაპოლიტიკური ტოქშოუს სტუმრებთან უფრო ჭარბობს. Tag-ს ყველაზე ხშირად მიმართავენ “ოლივერ გაისენის შოუსა“ და „ჰარალდ შმიდტის“ სტუმრები. ქართველი სტუმრები საერთოდ არ იყენებენ EPF, Mod, Ego, Zus, Deith კითხვით სიგნალებს, გერმანელები - იშვიათად. Mod ლინკესგან განსხვავებით სტუმრებთან არ დადასტურდა.

III. თავი - ტოქშოუს ტექსტის ლინგვოსტილისტური თავისებურებების კონტრასტული ანალიზი

III.I. ტოქშოუს ჟანრის ლინგვოსტილისტური თავისებურებები

ლარინამ ტოქშოუს ჟანრის ლინგვისტური მახასიათებლების დასადგენად გამოიკვლია ზეპირი სასაუბრო ენის თავისებურებები ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე ლინგვისტური სტილისტიკის პოზიციიდან. ამით მან განსაზღვრა ის სტილისტური საშუალებები, რომლებიც სატელევიზიო კომუნიკაციის პროცესში კომუნიკანტებზე ემოციურ ზეგავლენას ახდენენ. სატელევიზიო დისკურსის ზეპირ ფორმებში სულ უფრო მეტად ვლინდება სასაუბრო მეტყველების შემდეგი ნიშნები: არაოფიციალურობა, სიტუაციურობა, მოუმზადებლობა, შეუზღუდაობა, ზეპირმეტყველება, უშუალობა, სტერეოტიპულობა, დიალოგურობა, ემოციურობა, „ყოველდღიური თემატიკა“, საუბრის პერსონალური ადრესაცია. ლინგვოსტილისტიკის კუთხით მან დაადგინა ამერიკული სატელევიზიო დისკურსის, კერძოდ, ტოქშოუს ჟანრის თავისებურებანი. ეს ის მოვლენებია, რომლითაც სატელევიზიო დისკურსის სტილი განსხვავდება სხვა დისკურსების სტილებისაგან და რომელთა წყალობით ტოქშოუ სასაუბრო ჟანრების რიცხვს განეკუთვნება. კომუნიკაციაში სასაუბრო ელემენტების ჩართვას გააჩნია მნიშვნელოვანი ექსპრესიული პოტენციალი და აუცილებელ კომუნიკაციურ ეფექტს ახდენს: კონტაქტის დამყარება, შემეცნებითი ინტერესის გაღვივება, ფიქრისამდი ბიძგი, ტელეკომუნიკატორებსა და აუდიტორიას შორის დიალოგის ხელშეწყობა (ლარინა 2004: 77-78).

იმ ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოვლინდა სასაუბრო პლასტში, ლარინა მიაკუთვნებს ტოქშოუს ჟანრის უნივერსალურ ლინგვისტურ ნიშნებს, ხოლო ნაკლებად ხშირს - დიფერენციალურს. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პირველ ჯგუფს განეკუთვნება: ზმნიზედა (33.4%), ფრაზეოლოგიზმი (25.1%), შორისდებული (19%) და არსებითი სახელი (14.5%), ხოლო მეორეს: ზედსართავი (4.8%), ფრაზობრივი ზმნა (1.7%), კავშირი (0.9%), ზმნა (0.4%), ნაცვალსახელი(0.4%). კომუნიკანტების მიერ ზმნიზედის ყველაზე

ხშირ გამოყენებას მკვლევარი მისი სინტაქსური ფუნქციით ხსნის: მას შეუძლია განსაზღვროს ზმნა, არსებითი, სხვა ზმნიზედა და ასევე მთელი წინადადებაც. მისი აზრით, ნეიტრალური სტილის ლექსიკასთან მიერთებისას ზმნიზედას ზმნაზე უფრო მეტად შეუძლია გახადოს მეტყველება ექსპრესიული, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ არსებით სახელთანაა ოპოზიციაში (ibid: 82-84).


ვიზიარებ რა ლარინას მოსაზრებას ტოქმოუს უნივერსალური და დიფერენციალური ლინგვისტური მახასიათებლების შესახებ, ეს მოდელი გადმოვიტანე გერმანულ და ქართულ ტოქმოუებზე. არ ვეთანხმები მკვლევარს იმ საკითხში, რომ ზმნიზედას კომუნიკაცია ზმნაზე უფრო მეტად შეუძლია ექსპრესიული გახადოს. ლუსიენ ტენიერის მიხედვით, ზმნა-პრედიკატით გადმოცემულ მოქმედებაში ამა თუ იმ სახით მონაწილეობენ აქტანტები ანუ წინადადების სემანტიკას განაპირობებს ზმნის სემანტიკური ვალენტობების სისტემა (ხაჭალია 2006: 30-31). ამ თეორიის მიხედვით, ზმნა წარმოადგენს წინადადების სემანტიკურ და სინტაქსურ ბირთვს, ცენტრს, რომელზეც წინადადების სხვა წევრები უშუალოდ ან ირიბადაა დამოკიდებული: მაგ. აქტანტები, გარემოებები (ჰენჩელი, ვაიდტი 2003: 450-451). „წინადადება დრამაა, რომლის მოქმედება გამოხატულია ზმნა-პრედიკატით, მოქმედი პირები – აქტანტებით, ხოლო მოქმედების გარემოებანი – სირკონსტანტებით“ (გამყრელიძე et al. 2003: 325). თუმცა მკვლევარების გარკვეული ჯგუფი ზმნის პირიანი ფორმის როგორც წინადადების აბსოლუტურ ცენტრად განსაზღვრას არ ეთანხმება (ჰენჩელი, ვაიდტი 2003: 458). რადგანაც პრედიკატისა და მისი გარემოცვის ურთიერთდამოკიდებულება ჩემი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, ამიტომ ამ საკითხს მეტად აღარ ჩავუღრმავდები. ოღონდ ვეთანხმები ხაჭალიას, რომლის თანახმად მოლაპარაკისა და მსმენელის ენობრივი კომპეტენცია განსაზღვრავს სიტყვებს შორის სინტაქსურ-სემანტიკურ მიმართებას. მას მიაჩნია, ნებისმიერ აზრში შეიძლება გამოიყოს ობიექტური და სუბიექტური კომპონენტები, ანუ კოგნიტიური (შემეცნებითი, კონცეპტუალური) და პრაგმატიკული (შეფასებითი, ემოციური, აფექტური) მნიშვნელობები. თუკი პირველი დენოტატების შესახებ ობიექტურ ინფორმაციას წარმოადგენს, მეორე გამოხატავს მათ მიმართ მოლაპარაკის სუბიექტურ დამოკიდებულებას (ხაჭალია 2006: 30). პრაგმატიკულ-ფუნქციური

მიდგომიდან გამომდინარე, ენა ადამიანთა ურთიერთქმედების ინსტრუმენტია და შესაბამისად, ნებისმიერ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი დატვირთვა ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთობაში.

გერმანულ ენაში საკამათოა, რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზედსართავი სახელი, რომელიც ზმნიზედის როლში გამოდის. ერთნი (გიოცე, ჰეს-ლიუტიხი 2002: 19; ჰელბიგი, ბუშა 1998: 337) მას ზმნიზედას მიაკუთვნებენ, ხოლო მეორენი (გლიუკი 2000: 13, ციფონუნი 1997, დუდენი 1998) ზედსართავს. ვიზიარებ მკვლევართა პირველი ჯგუფის თვალსაზრისს და განვიხილავ მას როგორც ზმნიზედას. ამ ენობრივი ერთეულის გამოყენებას იზოლირებულად კი არ აღვწერ, არამედ ენობრივი ქმედების ფუნქციურ-პრაგმატიკულ კონტექსტში.


ტოქმოუს სტილის სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოება განაპირობებს სასაუბრო ენის ელემენტების ხშირ გამოყენებას ამ დისკურსში. გერმანული ტოქმოუების ტექსტის შესწავლით შემდეგი სურათი მივიღე: ყველაზე მეტი სასაუბრო ენის ერთეული, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა „ოლივერ გაისენის შოუში“ (391), დაახლოებით იმდენივე რაც სამივე დანარჩენ გადაცემაში. ეს იმით აიხსნება, რომ მონაწილეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და თითქმის ისე საუბრობენ, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეორე ადგილზეა „ჰარალდ შმიდტი“, რომლის მოდერატორი თავისუფლად და შემოქმედებითად იყენებს ენას. მართალია, სასაუბრო ენის ერთეულები თითქმის ორჯერ ნაკლებია ვიდრე „ოლივერ გაისენის შოუში“ (186), მაგრამ ეს მაჩვენებელი მაინც მაღალია დანარჩენ ორ ტოქმოუსთან შედარებით. ეს ელემენტები შედარებით ნაკლებია „ბერლინ მითესა“ (118) და „საბინე ქრისტიანსენში“ (116). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქ, ძირითადად, პოლიტიკოსები და ცნობადი სახეები, აკადემიური განათლების მქონე პირები არიან სტუმრად, მაშინ სასაუბრო ენის შედარებით მცირე ერთეულების გამოყენებაც კი საკმაოდ ექსპრესიულია (იხ. სქემა №12).

სასაუბრო ერთეულები გერმანულ ტოქშოუში




სასაუბრო ენის ერთეულების გამოყენების მხრივ, ქართულ ტოქშოუებშიც არაპოლიტიკური გადაცემები ლიდერობენ: „პროფილი“ (367) და „ვანო ჯავახიშვილის შოუ“ (330), თუმცა პოლიტიკურ ტოქშოუებშიც საკმაო რაოდენობის სასაუბრო ელემენტებია - „პოლიტიკური კვირა“ (237) და „პოზიცია“ (191). ეს მდგომარეობა განპირობებულია ტოქშოუს კონცეფციითა და ინტერაქტანტთა ენობრივი ქცევით (იხ. სქემა №13).

სასაუბრო ერთეულები ქართულ ტოქშოუში



გერმანული ტოქშოუს უნივერსალურ ლინგვო-სტილისტურ ნიშნებს განეკუთვნება ნაცვალსახელი (19.6), ნაწილაკი (19), არტიკლი (15.8), ზმნიზედა (15.3) და ზმნა (13.8). დანარჩენი მახასიათებლები 10%-ს ქვემოთაა და ამიტომაც გერმანული ტოქშოუს დიფერენციალურ ნიშნებს მივაკუთვნებ. ესენია: არსებითი სახელი (3.9), შორისდებული (3.8), ზედსართავი სახელი (3.3), ფრაზეოლოგიზმი (3.2), კავშირი (2.2) (იხ. სქემა №14).


გერმანული ტოქშოუს უნივერსალური და დიფერენციალური ლინგვისტური ნიშნები



ქართული ტოქშოუს უნივერსალურ ლინგვო-სტილისტურ ნიშნებს განეკუთვნება კავშირი (26.2), ზმნიზედა (25.2), ნაწილაკი (14.3) და ზმნა (14.2), ხოლო დიფერენციალურ ნიშნებს: არსებითი სახელი (6.8), ნაცვალსახელი (5.2), ზედსართავი სახელი (4.6), ფრაზეოლოგიზმი (2.9), შორისდებული (0.3) (იხ. სქემა №15).

სქემა №15

ქართული ტოქშოუს უნივერსალური და დიფერენციალური ლინგვისტური ნიშნები



გერმანულ და ქართულ ტოქშოუთა განხილვისას განსხვავებული შედეგები მივიღე. თუკი ამერიკული ტოქშოუს უნივერსალურ ლინგვისტურ ნიშნებს წარმოადგენს ზმნიზედა, ფრაზეოლოგიზმი, შორისდებული და არსებითი სახელი, გერმანულსა და ქართულში ზმნა, ნაწილაკი და ზმნიზედაა ამ როლში. საყურადღებოა, რომ გერმანულში უნივერსალური ნიშნების შემადგენელია ასევე ნაცვალსახელი და არტიკლი, ხოლო ქართულში - კავშირი. თვალსაჩინოა, რომ ზმნიზედა სასაუბრო პლასტის უცვლელი მახასიათებელია, თუმცა ის ქართულში მეორე, ხოლო გერმანულში მეოთხე პოზიციაზეა. დანარჩენი სამი უნივერსალური ნიშანი გერმანულსა და ქართულ ტოქშოუში დიფერენციალურ ნიშანთა რიგს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ არსებით სახელს დიფერენციალურ ნიშნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. რაც შეეხება ზმნას, ნაცვალსახელსა და კავშირს, ისინი ამერიკულ ტოქშოუში ამ კუთხით ყველაზე ნაკლებადაა მარკირებული და შესაბამისად ბოლო ადგილზე გადის. არტიკლი და ნაწილაკი ამერიკულ ტოქშოუში

საერთოდ არაა მარკირებული. ქართულსა და გერმანულში ზმნას, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. დანარჩენი ნიშნები 10 %-ს ქვემოთაა და ამიტომაც გერმანული და ქართული ტოქშოუს დიფერენციალურ ნიშნებს მივაკუთვნებ. განსხვავებულია სასაუბრო მეტყველების მარკერების გამოყენების სიხშირეც. გამოვლენილი ალომორფიზმი გერმანული და ქართული კულტურის რეციპიენტთა მიერ სამყაროს ფსიქოლინგვისტური აღქმის სპეციფიკურობით აიხსნება.

რაც შეეხება სასაუბრო სტილის ფონეტიკურ მახასიათებლებს, „ოლივერ გაისენის შოუში“ გვხვდება შემდეგი ბგერითი ცვლილებები:

1. სიტყვის ბოლოს უმახვილო ხმოვნის -e შეკვეცა (აპოკოპი):

Ich hab vorhin gesagt./ Ja, ich denk mal schon./ Jetzt im Nachhinein sag ich ganz ehrlich.

Ich würd noch gern mal Alexander dazu holen./ Das streit ich nicht ab.

2. ბოლო თანხმოვნის (n, l, ʃ, d, t, ch) შეკვეცა:

Von Dagmar hab ich *scho* bissel angekündigt./ mei zweites./ Ne, ich, ich schätz *ma*

einfach./ und ich *wei*/ der lebt seit drei Jahren im Behindertenheim *un* sonst/ zu Hause

kann er *nich* leben / das *is* es net / dass *i* schon mit einem war nie überfordert

3. სიტყვის თავში ხმოვნის შეკვეცა:

ääh jetzt fällt 's mir auf Anhieb./ Was ich so 'n bisschen vermisse ...

4. სიტყვის შიგნით ხმოვნის შეკვეცა:

ob *ds* bei der Älteren ist/ Man muss *seinm* Kind zuhören.

5. ხმოვნების ასიმილაცია / ბოლო მარცვლის შეკვეცა და ასიმილაცია (-ben-ის

გადასვლა m-ად):

ob *des* beim Mittleren ist/ nur Kind Nummer 6 ist z.B. nicht *ba* einer/ *ka* Zeit / hamma

(haben wir): Irgendwie *hamma* viel Zeit

„ბერლინ მითეში“ სასაუბრო სტილის შემდეგი ფონეტიკური მახასიათებლები გვხვდება:

1. ბოლო თანხმოვნის (n) შეკვეცა: Muss mal das *scho*

2. სიტყვის თავში ხმოვნის შეკვეცა: ob 's dabei bleibt


3. შეკვეცა და ასიმილაცია: machen wir gleich: *mach ma* gleich.

„საბინე ქრისტიანსენში“ შემდეგი სურათი გვაქვს:

1. სიტყვის ბოლოს უმახვილო ხმოვნის -e შეკვეცა (აპოკოპი):
ich *denk./ ich hab Kinder./ vielleicht krieg ich Applaus./ ich würd fast, fast sagen.*
Also, die Frage *wär./ auf der Such* nach etwas Höheres/ ist *heut* unser ganzes
Gesellschaftssystem mit auf aufgebaut.
2. ბოლო თანხმოვნის (n) შეკვეცა: Wenn *ma* diesen Katalog
3. სიტყვის თავში ხმოვნის შეკვეცა:
da gibt 's keine Auskunft/ es gibt immer so 'n bisschen so diesen, diesen Antagonismus
„ჰარალდ შმიდტი“ შემდეგი მახასიათებლები გვხვდება:
 1. სიტყვის ბოლოს უმახვილო ხმოვნის -e შეკვეცა (აპოკოპი):
ich *sag/ hätt* man ihm jetzt nicht zugetraut/ Jetzt *zeig* ich mal ein Beispiel/ ich *glaub/*
ich *mein/ Ich frag* mal die Ärzte unter ihnen
 2. ბოლო თანხმოვნის (l, n, ch) შეკვეცა:
wollte immer nachher *ma* angucken/ mach *ma*
 3. ხმოვნის შეკვეცა სიტყვის თავში: probier 's doch einfach (იხ. სქემა №15)

სქემა №15

გერმანული ტოქსოუს ფონეტიკური მახასიათებლები



სასაუბრო სტილის ფონეტიკური მახასიათებლები ადეკვატურად აისახება გერმანულ ტოქსოუმში. ყველაზე მეტი ფონეტიკური მარკერი „ოლივერ გაისენის შოუში“ მოიპოვება, უფრო მეტი ვიდრე დანარჩენ სამში ერთად აღებული. თითქმის

ერთნაირი მდგომარეობაა „ჰარალდ შმიდტსა“ და „საბინე ქრისტიანსენში“, ყველაზე ნაკლებადაა ეს ნიშნები „ბერლინ მითეში“.

ქართულ ტოქსოუებშიც გვხვდება სასაუბრო სტილის ფონეტიკური მახასიათებლები. „პოლიტიკურ კვირაში“ შემდეგი მარკერებია შესამჩნევი:

1. სიტყვის ბოლოს დ თანხმოვნის გადასვლა თ- ში: სასაუბროთ.

2. დ-ს გადასვლა ტ-ში:

მას როგორც წესი მოსდევს ავატყოფის სიკვდილი.

3. ბოლო თანხმოვნის (ს, მ, ვ) შეკვეცა:

ეს არღ ჩვენი გადაწყვეტილება იმ ორთვიანი გამოცდილების შემდეგ/ ეს არღ კონტექსტი/ რღ შეიმუშავოს ისეთი ეკონომიკური პროექტი/ იმიტომ რღ ერთხელ როდესაც იყვნენ ლიდერები და ლიდერის მოადგილეები/ იმიტომ რღ იცის თავისი რეიტინგის შესახებ/ მაგდტღ გეუ გეუბნებით, რღ ძალიან საინტერესო იყო/ როგორც ქვეყანამ პროტესტი ხღ უნდა გამოთქვა?/ რატღ უნდა მივცეთ მათ საშუალება განვითარდნენ?/ თურმე ის ჰქონია კიდღ ტყვიაგაუმტარი ჟილეტი.

4. სიტყვის შიგნით და ბოლოს შეკვეცა:

ჩემი აზრით, ძაან მნიშვნელოვანი დამატება/ მე წამოღებული მაქ ამერიკის შეერთებული შტატების განცხადება/ მარა ის ნომრებიც გვქონდა ჩვენ.

„პოზიციაში“ სასაუბრო სტილის შემდეგი ფონეტიკური მახასიათებლები

გვხვდება:

1. სიტყვის ბოლოს დ თანხმოვნის გადასვლა თ- ში: უბრალოთ.

2. დმ-ს გადასვლა ტ-ში:

თან ავატყოფს მოუარონ.

3. ბოლო თანხმოვნის (ს, მ, ვ) შეკვეცა:

ყველას აზრი არღ ჩვენთვის/ რღ თვითონ ეს განცხადება გარკვეულ ულტიმატუმს შეიცავს/ იმიტომ რღ იგივე ოპოზიციის მხრიდან ირაკლი ალასანიამაც თქვა/ მიტღ მოვდივარ თქვენთან/ რატღ არბევთ/ თორღ ხელისუფლება ამით არც ჩამოიშლება/ თან უუ ცეცხლი ჩააქროს, ეხლა ეს აბსურდია, ხღ?

4. სიტყვის შიგნით და ბოლოს შეკვეცა:

ძან საკვირველია/ რო ყოველგვარი დღის წესრიგის გარეშეც შეიღება შედგეს/
თავის დროზეც გვაქ გადადგმული.

„პროფილში“ შემდეგი სურათი გვაქვს:

1. სიტყვის ბოლოს დ თანხმოვნის გადასვლა თ- ში: ყველაზე გემრიელათ რა
საჭმელს აკეთებ?

2. დ-ს გადასვლა ტ-ში: ველოსიპეტი არ ჰქონდა ეზოში არავის.

3. ბოლო თანხმოვნის (ს, მ, ვ, დ) შეკვეცა:

ეხლა რღ გავამგზავრე/ იმიტო რღ მე თვითონ მსახიობი ვარ/ ორი წლით არღ
დიდი/ ნუ რატო მეთქი/ ნუ ეს ერთი პატარა ბურთი გვყავს კიდე სახლში/ მერე
ხო გეუბნებით/ ნეტა თითონ ახსოვს?/ თორე ისე საყ საჩუქარი ყველაფერი
მიხარია/ პრინციპში ყველაფერი სწორე თქვა.

4. შეკვეცა სიტყვის შიგნით და ბოლოს:

მართლა ძან ბევრი უნდა გააკეთო/ ჯერ ინსტიტუტიც არა მაქ
დამთავრებული/ კაია, როცა ამას შეძლებ/ შეიღება არ დამიჯეროთ;
მარა ყველაზე მეტად უყვარს აჯამსანდალი.

„ვანოს შოუში“ შემდეგი მახასიათებლები გვხვდება:

1. სიტყვის ბოლოს დ თანხმოვნის გადასვლა თ- ში: პირველ სტუმრათ.

2. ბოლო თანხმოვნის (ს, მ, ვ) შეკვეცა:

ძალიან კარგად არღ ყველაფერი/ ესენი რღ მოვიდნენ ეხლა ხელისუფლებაში/
იმიტო რღ უხერხულია ეხლა; იმიტომ რღ კალაშნიკოვი რაც ჰქონდა/ მე
მაგიტო გეუბნები/ რამე ისეთი ხო არ არის?/ რატო არ შედგა ეხლა ეს
დიალოგი?/ არ შეიღება ისეთი ქუდი მოგეტანათ, მაგალითად/ კიდე გაითიშა
ტელეფონი.

3. შეკვეცა სიტყვის შიგნით და ბოლოს:


კად, ნუ, ეხლა შუშაბანდებზე უარი ვთქვით/ ძან ისეთი ცნობილი ჯგუფი
ხართ/ რაღაც მე სათხოვრები მაქ ცოტ-ცოტა./ მარა ეს ცოტა გასა
გასადიდებელი იქნება ეხლა ჩემთვის.

4. მ-ს გადასვლა ვ-ში: ჭებს ტუალეტებს ადგავენ ზემოდან.

ამ მხრივ, ქართულ ტოქშოუში სრულიად განსხვავებული სურათია (იხ. სქემა №16). ყველაზე მეტი ფონეტიკური მახასიათებელი პოლიტიკურ ტოქშოუში გვხვდება, ყველაზე ნაკლები - ღამის შოუში. მოსალოდნელი იყო, რომ პოლიტიკური ტოქშოუს სტილი ყველაზე ახლოს უნდა ყოფილიყო სტანდარტულ ნორმასთან, მაგრამ ეს ასე არ დადასტურდა, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ პოლიტიკოსები მაქსიმალურად ცდილობენ, ისაუბრონ თანამოქალაქეების მსგავსად. ამით ისინი ხალხთან სიახლოვეს აჩვენებენ, რაც მათ პოპულარობას განაპირობებს. ქართული გვიანი ღამის შოუ ბოლო ადგილზე გავიდა ამ მაჩვენებლით, როცა მისი გერმანული ვარიანტი მეორე პოზიციაზეა.

სქემა №16

ქართული ტოქშოუს ფონეტიკური მახასიათებლები



3.2. დიასისტემატური მარკირებები გერმანულ და ქართულ ენებში

დიასისტემატური მარკირების საკითხი დაკავშირებულია კოსერიუს ლინგვისტურ თეორიასთან. მან შექმნა ენობრივი მოდელი, რომელიც უსასრულო ვარირებას ხსნის. ენა მას დიასისტემად წარმოუდგენია, რომელსაც ოთხი დიმენსია გააჩნია: დიაქრონიული, დიატოპიური, დიასტრატული, დიაფაზური. პირველი წარმოადგენს ენის სახეცვლილების ისტორიულ, მეორე - ტერიტორიულ, მესამე - სოციოკულტურულ და მეოთხე - სიტუაციურ განზომილებას (კოსერიუს 1992: 294, კლაინი 1974: 41-45, გუსენსი 1977: 8-12). დიასისტემატური მარკირება ენის განვითარების სარკეა და ლექსიკის მრავალფეროვნებას უსვამს ხაზს.

სოვინსკი კლაპენბახისა და ვარიგის ლექსიკონებზე დაყრდნობით გამოყოფს ნეიტრალური ფენის გვერდით სხვა ფენებსაც, რომლებიც მათ ზემოთ და ქვემოთაა მოთავსებული. ნეიტრალური ლექსიკის ზემოთაა მაღალფარდოვანი ლექსიკა, რომელსაც მიეკუთვნება პოეტური სიტყვები და გამოთქმები. ფამილარულ-სასაუბრო სიტყვებს ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოიყენებენ. ვულგარული ფენა განსაკუთრებული უხეშობით გამოირჩევა. ამ ოთხი სტილისტური ფენის გვერდით წარმოდგენილია თერთმეტი კონოტაციური ჯგუფი (სოვინსკი 1973: 238-241).

რიზელი და შენდელსი ნეიტრალური ლექსიკის ზემოთ გამოყოფენ ორ ფენას: გატყლარჭულსა (*geschwollen, gespreizt*) და მაღალფარდოვანს, ხოლო ქვემოთ სამს: ლიტერატურულ-სასაუბროს, ფამილარულ-სასაუბროს და უხეშ-სასაუბროს (რიზელი, შენდელსი 1975: 30).

ნაშრომში ვეყრდნობი დუდენს, რომელიც შემდეგ სტილისტურ მარკირებებს განასხვავებს (იხ. ცხრილი № 5):

ცხრილი №5

1.	geh./ dichter.	gehoben/ dichterisch	მაღალფარდოვანი/პოეტური
2.	bildungsspr.	bildungssprachlich	განათლების სფერო
3.	normalsprachl.	normalsprachlich	ნეიტრალური
	<i>fam.</i>	<i>familiär</i>	შინაურული (ფამილარული)
4.	ugs.	umgangssprachlich	სასაუბრო მეტყველების

5.	salopp	salopp	ფამილარულ-სასაუბრო
6.	derb	derb	უხეში
7.	vulg.	vulgär	ვულგარული

ამ სტილისტურ შეფერილობებს ემატება შემდეგი კონოტაციის ლექსიკა: სახუმარო (scherzhaft), ირონიული (ironisch), დამაკნინებელი (abwertend), დაჟინებითი, დამაჯერებელი (nachdrücklich), შენიღბული (verhüllend), უშვერი სიტყვა (Schimpfwort) და ა.შ., რომლებიც მოსაუბრის დამოკიდებულებას ან აზრის ნიუანსირებას გამოხატავს.

ყველაზე მაღალ საფეხურს განეკუთვნება **მაღალფარდოვანი** სტილის სიტყვები, რომლებიც გამოიყენება საზეიმო ვითარების დროს და ლიტერატურაში. ამავე დონეზე განვიხილავ **პოეტურად** მარკირებულ ლექსიკას, რომელიც თითქმის მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებში გვხვდება. შემდგომ საფეხურზეა სიტყვები, რომლებიც ზოგად განათლებასა და მაღალ ერუდიციას მოითხოვს და აღნიშნულია როგორც **განათლების სფერო**. ესენი, ძირითადად, უცხოური სიტყვებია, რომლებიც არც დარგობრივ ენასა და არც ენის ყოველდღიური გამოყენების სფეროს განეკუთვნებიან.

ნეიტრალურ ლექსიკას სპეციალური აღნიშვნა არა აქვს და ლექსიკის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს.

ცალკე ჯგუფს შეადგენენ სიტყვები, რომლებიც მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა სიახლოვის მაღალი ხარისხია, მაშასადამე, ვიწრო მეგობრულ წრეში ან ოჯახში. ისინი მარკირებულია როგორც **შინაურული (ფამილარული)**.

ნორმის ქვემოთ დუდენი სტილის ოთხ დონეს გამოყოფს. **სასაუბრო** სტილს განეკუთვნება გამონათქვამები, რომლებსაც ყოველდღიურ ზეპირ კომუნიკაციასა და წერილებში მიმართავენ. მარკირება **სასაუბრო მეტყველება** თანდათანობით კარგავს ნეგატიურ აურას და აღწერს ენასთან ურთიერთობას, რომელიც, მართალია, სტანდარტიდან განსხვავებულია, მაგრამ დიდ სიხშირესა და აღიარებას მოწმობს.

ნაკლებ აღიარებას პოულობენ შემდეგი მარკირებები. სიტყვები, რომლებიც უცერემონიო, ფამილარულ-სასაუბრო და აგებული ტონისთვისაა ტიპური, აღიქმება როგორც **ფამილარულ-სასაუბრო**. უფრო უხეში ლექსიკა აღინიშნება როგორც **უხეში**. **ვულგარულად** არის ის სიტყვები მარკირებული, რომლებიც სექსუალურ და უხამს ლექსიკას განეკუთვნება.

რეგიონალური და ნაციონალური ვარიანტები აღინიშნება როგორც **ჩრდილოეთ გერმანული** (norddeutsch), **სამხრეთ გერმანული** (süddeutsch), **ავსტრიული** (österreichisch), **შვეიცარიული** (schweizerisch), ხოლო თუკი ზუსტი რეგიონალური მიკუთვნება არაა შესაძლებელი, გამოიყენება მარკირება **ლანდშაფტური** (landschaftlich).

იმ სიტყვების აღსანიშნად, რომლებიც თანამედროვე ენის ლექსიკას არ განეკუთვნება, გამოყენებულია მარკირება **მოძველებული** (veraltend/veraltet) (დუდენი 1989: 9).


რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ სტილისტურ მარკირებებს, ოთხივე გადაცემაში მოიპოვება მაღალფარდოვანი, უხეში, ჟარგონული, ფამილარულ-სასაუბრო და ლანდშაფტური (რეგიონალური) ლექსიკური ერთეულები. ეს ელემენტები ყველაზე მეტად „ოლივერ გაისენის შოუში“ გამოვლინდა. ამ გადაცემაში, ძირითადად, დაბალი განათლებისა და სოციალური წრის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას, ამიტომაც მათ ლექსიკაში, განსხვავებით დანარჩენი სამი გადაცემისაგან, საერთოდ არ გვხვდება „განათლების“ ნიშნით მარკირებული ლექსიკური ერთეულები. როგორც პოლიტიკურ ტოქშოუებში, ისე გვიანი ღამის შოუში მოიპოვება ასეთი სიტყვები. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა „საბინე ქრისტიანსენი“, სადაც ეს მაჩვენებელი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე „ბერლინ მითესა“ და „ჰარალდ შმიდტში“. თითოეული დონის მახასიათებლების გამოვლენის დეტალური სურათი კარგად ჩანს დანართში (იხ. სქემა №17).

თემიდან გამომდინარე, „საბინე ქრისტიანსენში“ მოიპოვება საეკლესიო, ფილოსოფიური და პოლიტიკური ტერმინოლოგია. „ბერლინ მითეში“ გვხვდება საკონსტიტუციო, პოლიტიკური, საბანკო, კომპიუტერისა და სამხედრო ლექსიკა.

„ჰარალდ შმიდტი“ კომპიუტერის სფეროს ემატება მედიცინის, ტელევიზიის, ტექნიკისა და ეკონომიკის სფეროს ლექსიკური ერთეულები.


სქემა №17

სტილისტური მარკირებები გერმანულ ტოქშოუმში



უცხო სიტყვათა ექსპანსიის პროცესში ტელევიზია დიდ როლს თამაშობს. ტელეეკრანიდან მუდმივად ისმის ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: ნეპოტიზმი, კოჰაბიტაცია, რებრედინგი, ტრანსაქცია, პრეზუმცია, კონსენსუსი, ივენთი, უიქენდი, ფემენვიქი, აუთლაინი, რიმეიქი, მესიჯი, კონგლომერაცია, კონგრეგაცია, სენსიტიური, კრეატიული, პრიორიტეტული და სხვ. ქართულ ტოქშოუმში, როგორც მედიადისკურსის ნაწილში, ადეკვატურად აისახება ქართული ენის რეალური მდგომარეობა. თუკი ადრე უცხო სიტყვა სამეცნიერო სტილს ახასიათებდა, დღესდღეობით ის ყოველდღიურ სასაუბრო სტილში დამკვიდრდა. პოლიტიკური ტოქშოუს სერიოზული და საქმიანი სტილი მათ ხშირ გამოყენებას განაპირობებს, რათა ინტერაქტანტებმა კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი აჩვენონ. გამოვლინდა შემთხვევები, როცა უცხო სიტყვის მოხმარება შენიღბვის ფუნქციას ასრულებს და ევფემისტურად ცვლის უხერხულ სინონიმს დედაენაზე. „პროფილის“ გასართობი და „ვანო ჯავახიშვილის შოუს“ იუმორისტული სტილისათვის ასეთი ლექსიკური ერთეულები ნაკლებად სავარაუდო იყო. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად ეს ვარაუდი დადასტურდა (იხ. სქემა №18).

ნასესხები ენობრივი ერთეულები ქართულ ტოქშოლში



3. 3. ტოქშოლს სათაურების სტილისტური თავისებურებანი

ტოქშოლს სათაურების კონტრასტული ანალიზის მიზანია გერმანული და ქართული ენის თავისებურებების გამოვლენა. სათაურის სიცხადე, სიზუსტე და ექსპრესიულობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, უყურებს თუ არა რეციპიენტი ამა თუ იმ გადაცემას. ის შეტყობინებაა, ანუ ტექსტი, რომელსაც პირველს აღიქვამს მაყურებელი. მასში განსახილველი საკითხი შეკუმშულადაა წარმოდგენილი. ექსპრესიულობის მისაღწევად სხვადასხვა ლექსიკურ თუ სტილისტურ გამომხატველობით საშუალებებს მიმართავენ: მაგალითად, ცნობილი გამონათქვამები, ციტატები, სასაუბრო ელემენტები და სხვა ფონეტიკური თუ მორფოლოგიური საშუალებები. ტოქშოლს სათაურები საერთოდ შეუსწავლელია, ხოლო საგაზეთო სათაურები კარგა ხანია ქართველი მკვლევარების ინტერესს იზიდავს (დოლიძე 2009: 71; გოგოლაშვილი 2006 და სხვ.).

თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ ტოქშოლს სათაურს, როგორც ენობრივ ნიშანს, კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიხედვით სპეციფიკური ტექსტის რანგში განვიხილავ. აქ რაოდენობრივ ასპექტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია: ტექსტად გაიგება ნებისმიერი სტრუქტურული შემადგენლობის წარმონაქმნი,

დაწყებული ერთი წინადადებიდან ან ერთი სიტყვიდან დამთავრებული თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობით, თუ მასში დამოუკიდებლად რეალიზდება კომუნიკაციის ფუნქცია (ლეხანიძე 2004: 277-279).

„ანე ვილის“ ყველა სათაური ნათლად და ემოციურადაა ფორმულირებული. უმეტესობა კითხვითი წინადადებაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ღიაობა უნდა შეივსოს ტოქშოუს მონაწილეთა და ტელემყურებელთა ინტერაქციით. მხოლოდ რამდენიმე ძახილისა და თხრობითი წინადადება გვხვდება. თუმცა თხრობით წინადადებაში იმდენად ემოციური ლექსიკა გამოიყენება, რომ სათაურის ექსპრესიულობისათვის ესეც საკმარისია:

schuften/ kassieren / verschaukeln/ "Wir machen Dich fertig"/ nix/; malochen; Comeback; Mobbing/Milliardengrab

ლექსემების რაოდენობა გერმანულ სათაურებში საკმაოდ დიდია (მინიმუმ 5-6), მაგალითად: „Deutschland, deine Beamten - überversorgt und überflüssig?“ – „Unten schuften, oben kassieren - sieht so unser Jobwunder aus?“ – „Der erste Diener des Staates - fehlen uns heute die preußischen Tugenden des Alten Fritz?“ – „Lindners Rücktritt, Wulffs Kredit - was ist los mit unseren Politikern?“ – „Malochen bis 67 und dann arm - ist das sozial?“ – „Guttenbergs Comeback - vorerst gescheitert?“ – „Versichern, verkaufen, verschaukeln - wer traut noch seinem Berater?“ – „Merkel auf Linkskurs - Kommt jetzt auch noch der Mindestlohn?“ – „Einmal unten, immer unten - Aufstieg nur für Reiche?“ – „'Wir machen Dich fertig' - Mobbing im Internet“ – „50 Jahre Ali in Almanya - immer noch nix deutsch?“ – „Ob Fußballtrainer oder Putzfrau – Jobs immer gnadenloser?“ – „Die Euro-Abstimmung - Riskieren wir morgen alles?“ – „Piraten entern Berlin - Meuterei auf der 'Deutschland'“ – „Lasst mich in Würde altern!“ – „Euer Geld möchte ich haben!“

გერმანული ტოქშოუს სათაურები მრავალფეროვანი სტილისტური საშუალებებითაა გაფორმებული. ალუზიის მაგალითია შემდეგი სათაური: „Der erste Diener des Staates - fehlen uns heute die preußischen Tugenden des Alten Fritz?“ აქ რეფერენცია ისტორიულ პიროვნებაზე პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ზეა, რომელსაც ქვეყანაში გატარებული რეფორმების ტალღა უკავშირდება. ასევე გამოყენებულია ციტატის ნაწილი: „Der erste Diener des Staates bin ich“. როგორც ცნობილია, ფრიდრიხ II საკუთარ თავს სახელმწიფოს პირველ მოსამსახურეს უწოდებდა. გადაცემის

ავტორები სვამენ კითხვას: თანამედროვე გერმანიას ფრიდრიხის მიერ შემოღებული ღირებულებები ხომ არ აკლია? რა იგულისხმება ამ სიკეთეებში? სიბეჯითე, დისციპლინა, წესრიგი, ტოლერანტობა, ვალდებულების გაცნობიერება და სხვა. ეს ალუზიის ინტერტექსტუალური ტიპია, რადგან აქ მიმდინარე ტექსტი და მასში რეფერირებული წყარო ტექსტი უშუალოდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ფონური სახითაა დაფიქსირებული გადაცემის შემქმნელების ცნობიერებაში, რის გამოც ალუზიის შედეგად წარმოქმნილი ესთეტურ-კონცეპტური ქვეტექსტის ადეკვატური ინფერენცია აუცილებლად მოითხოვს წყარო ტექსტის ცოდნას რეციპიენტის მხრიდან. სათაური: „50 Jahre Ali in Almanya - immer noch nix deutsch?“ წარმოადგენს პრაგმატიკული ალუზიის მაგალითს, რადგანაც ეს სათაური სოციო-კულტურასთან კავშირში განიხილება და რეციპიენტი მის აღქმა-დეკოდირებას პრაგმატიკული ფონური ცოდნის მეშვეობით ახდენს. აქ მინიშნებაა იმ უცხოელების წარუმატებელ ინტეგრაციაზე, რომლებიც გერმანულ ენას კარგად ვერ ფლობენ. ალი ყველა იმ მოქალაქის აღმნიშვნელია, რომლებმაც 50-წლიანი მიგრაციის მიუხედავად ვერ მოახდინეს ინტეგრაცია გერმანიაში. აქ გამოყენებულია გერმანიის თურქული აღნიშვნა: აღმანია, რომელიც ალემანებიდანაა ნაწარმოები. პრაგმატიკული ალუზიის საილუსტრაციოდ შემდგომი მაგალითიც გამოდგება: „Piraten entern Berlin - Meuterei auf der 'Deutschland'“. პირატების პარტიის გამარჯვება, რომლებმაც ბერლინის სენატში 15 ადგილი მოიპოვეს და ლიბერალები უკან ჩამოიტოვეს, მეტაფორულად მეკობრეების მიერ ხომალდის ხელში ჩაგდებასა და ბუნტთანაა შედარებული.

ხშირია სხვადასხვა სტილისტური ფიგურების გამოყენება. ქვემოთ მომყავს ტიპიური მაგალითები:

ალიტერაცია

„Deutschland, deine Beamten - überversorgt und überflüssig?“

„Versichern, verkaufen, verschaukeln - wer traut noch seinem Berater?“

ანტიტეზა

„Unten schufteten, oben kassieren - sieht so unser Jobwunder aus?“

მეტონიმია

„50 Jahre Ali in Almanya - immer noch nix deutsch?“

გამეორება

„Einmal unten, immer unten - Aufstieg nur für Reiche?“

ელიფსები: ზმნის, ნაცვალსახელის გამოტოვება, ინფინიტივი, მიმღეობა, სახელადი ჯაჭვები: „Deutschland, deine Beamten - überversorgt und überflüssig?“ – „Guttenbergs Comeback - vorerst gescheitert?“ – „Einmal unten, immer unten - Aufstieg nur für Reiche?“

პირველ ნაწილში გვაქვს ელიფსური კონსტრუქციები, რასაც კითხვითი წინადადებები მოსდევს: „Unten schufften, oben kassieren - sieht so unser Jobwunder aus?“ – „Lindners Rücktritt, Wulffs Kredit - was ist los mit unseren Politikern?“ – „Malochen bis 67 und dann arm - ist das sozial?“ – „Versichern, verkaufen, verschaukeln - wer traut noch seinem Berater?“ – „Merkel auf Linkskurs - Kommt jetzt auch noch der Mindestlohn?“

ტოქმოუმი „ოლივერ გაისენის შოუ“ ყველა სათაური ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემატიკასა და პრობლემებს ეხება. სათაურის წაკითხვა ან მოსმენა მაყურებელს ცნობისმოყვარეობას უღვიძებს. სათაურები უმეტესად პირველსა და მეორე პირშია ფორმულირებული და სასაუბრო სიტუაციიდან ამოღებულს ჰგავს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა სათაური კითხვის ან ძახილის წინადადებაა, რაც თემისა და საუბრის ემოციურ დატვირთვაზე მიუთითებს. სტუმრები ვერანაირად ვერ მალავენ თავიანთ გრძნობებს და რეაქციებს კამერის წინ, თითქოს საკუთარ ოთხ კედელში იყვნენ. სათაურები ღიაობით გამოირჩევა, რაც ერთგვარი გამოწვევაა გადაცემის რედაქტორების მხრიდან და რეციპიენტის ფსიქიკაზე დამაინტრიგებლად მოქმედებს: ნეტავ რა გველის, რა მოხდება. ხანდახან ისეთი თემებია, რომელთა საჯარო განხილვა ქართული სატელევიზიო დისკურსისათვის წარმოუდგენელია: „Bettgeflüster - Warum willst du mich nicht mehr?“, „Hausfrauenstrip - Heute ziehe ich die Strapse an!“ „Dunkles Geheimnis – Von wem hast du dich schwängern lassen?“ „Nimmersatt – Ich kann nie genug Sex bekommen!“ ზოგადად, ასეთი პროვოკაციული თემები გამიზნულად ირჩევა ან ენობრივი საშუალებებით მძაფრად გადმოიცემა, რათა მაყურებლები დააინტერესონ და მიიზიდონ. ეს სათაური ჩვეულებრივი იქნებოდა ამ სიტყვის „Sexverbot“ გარეშე: „Sexverbot - Meine Tochter ist doch fast noch ein Kind!“

დამატებითი ეფექტისათვის სტილისტურად შეფერილი ლექსიკა (ჟარგონი, უცხო სიტყვები, სასაუბრო ენის ელემენტები, ფამილარული გამოთქმები და ა.შ.) გამოიყენება: „Albtraum – Ihr Teenies benehmt euch wie der letzte Dreck!“ „wie der letzte Dreck“ აღნიშნულია როგორც ფამილარულ-სასაუბრო გამოთქმა უარყოფითი კონოტაციით (salopp abwertend) და ამით რედაქტორები მოზარდების პრობლემატურ ქცევაზე მიუთითებენ. თაობათა შორის ურთიერთობების რთულ ფენომენს ეძღვნება შემდეგი სათაურები: „Belastungsprobe - Mein Kind macht mich zum Nervenwrack!“: „Rabenvater – Warum liebst du dein Kind nicht?“ ინგლისური წარმოშობისაა: Styling, Umstyling, Sex, Strip, Teenies, Strapse, Streik, Nanny, Terror, Partygirl (abwertend). Teenies დუდენში აღნიშნება როგორც ჟარგონი. nimmersatt ფამილარული (familiär) სიტყვაა. Sex დუდენში სასაუბრო მეტყველების სფეროს განეკუთვნება.

გვხვდება ასევე ამაღლებული გამოთქმებიც, მაგალითად, zu Füßen liegen - ვეხქვეშ გაგება, ვინმეს პატივისცემა. ამ სათაურში „Rasseweib - Mir liegen alle Männer zu Füßen!“ ერთმანეთს უპირისპირდება ფამილარულ-სასაუბრო Rasseweib და მაღალფარდოვანი გამონათქვამი zu Füßen liegen, რაც გარკვეულ კონტრასტს ქმნის, თუმცა სემანტიკურად ყველაფერი ლოგიკურია.

გერმანულ ლინგვოკულტურაში მამაკაცის ტიპები - მაჩო (Macho) და სუსტი მამაკაცი (Weichei) უარყოფითადაა კონოტირებული. ეს კონტრასტი ანტითეზით კარგადაა წარმოდგენილი: „Weichei? Nein Danke - Ich brauch' einen Macho!“

მეტაფორულ-ასოციაციური აზროვნების ნიმუშია სიყვარულის აღიარებისა და ვარდების წვიმის ერთმანეთთან დაკავშირება: „Liebesgeständnis – Für dich soll es rote Rosen regnen!“ პრობლემატური სასიყვარულო ურთიერთობა გულის ჩხვლეტებთან ასოცირდება: „Stich ins Herz - Warum tut deine Liebe so weh?“ ეს თემები წყვილის ინტიმურ პირად ცხოვრებას განეკუთვნება და მათი საჯაროდ განხილვა ტოქსოუს ჟანრის ინტიმიზაციას მოწმობს.

ამ მხრივ, დანარჩენ გერმანულ ტოქსოულებშიც ანალოგიური სურათია: სათაური „Milliardengrab Griechenland - Rettung unmöglich?“ პრაგმატიკული ალუზიის მაგალითია. აქ მინიშნებაა საბერძნეთის ეკონომიკის დასახმარებლად გამოყოფილ

მილიარდებზე. Milliardengrab სიტუაციის დრამატულობაზე მიუთითებს („ბერლინ მითე“).

ალიტერაციულ სათაურში „Weggesperrt und weggeschaut - die Lehren aus dem Fall Natascha“ სტილისტურად მარკირებული ლექსიკური ერთეულები გამოიყენება: wegschauen (სასაუბრო), wegsperren (ლანდშაფტური). გადაცემა ნატაშა კამპუშის უჩვეულო და დრამატულ ბედს ეძღვნება („საბინე ქრისტიანსენი“).

რაც შეეხება ქართული ტოქშოუების სათაურებს, სტილისტური ფიგურები ძალზედ იშვიათად გვხვდება. ხშირია სახელადი ჯაჭვები, უცხოური სიტყვები, ემოციური ლექსიკა. იშვიათად დასტურდება კითხვითი წინადადებები, ძახილის წინადადება კი საერთოდ არ შემხვედრია. ლექსების რაოდენობა ქართულ სათაურებში ძალზედ მცირეა (მაქსიმუმ 5).

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

სახელადი ჯაჭვები

„სამოთხის ვაშლები“: „ლოთი ცოლი“; „შურიანი მეზობელი“; „ჭარბი კვებით დატვირთული ორგანიზმის განწმენდა“; „კონფლიქტი დედ-მამის შვილებს შორის“; „რაციონალური დიასახლისი“; „ინტერნეტლალატი“; „ქალი და ჰიგიენა“;

„პროფილი“ : „ექსპერიმენტები პროფილში“ – „მეორედ დაწყებული ცხოვრება“ – „სამამულო სიყვარულის თავისებურებანი“ – „ქუჩის შვილების შვილები“ - `არა-ჩვეულებრივი ამბები` - „სიყვარულის ძალიან ლამაზი ამბავი“ – „ყველაზე მხიარული ქართველების სიყვარულის ისტორიები“ – „ყველაზე რეიტინგული ქართველი ქალები“ – „თანამედროვე მართლმადიდებლური სასწაულები“;

„აუდიტორია“: „ეპატაჟი ქართულად“; „ღალატი ჩვენს ცხოვრებაში“; „სექსობრივი აღზრდა“; „ოჯახური ძალადობა“; „ზოგადი განათლება“

ალიტერაცია

„წესრიგი და წესიერი ადამიანები“ („სამოთხის ვაშლები“)

საინტერესოდ ფორმულირებული თემები

„აუდიტორია“: „რა სურთ ქალებს?“ – „ის, რაც მალიზიანებს“ – „ჩაანაცვლეს თუ არა ძიძვებმა დედები“ – „ხდება თუ არა ინგლისური მეორე სახელწიფო ენა?“

ხალხური სიბრძნიდან

„შეძახილმა ხე გაახმო“ („სამოთხის ვაშლები“)

ალუზია

„შეხვედრები ჯაყოსთან“ ალუზიური სათაურის ინტერტექსტუალური ტიპია. აქ ირიბი რეფერენციაა მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთან. 'ბედნიერი ერი' ასევე ინტერტექსტუალური ალუზიის ნიმუშია, რადგანაც ილია ჭავჭავაძის ლექსზე მიუთითებს. სათაური „ოპოზიციის ბერლინალე“ პრაგმატიკული ალუზიის მაგალითს წარმოადგენს, ვინაიდან ირიბი რეფერენციაა ოპოზიციონერთა მიერ ბერლინში გამართულ საიდუმლო შეხვედრაზე („პოლიტიკური კვირა“).

„პოზიციაში“ ხშირად ერთ გადაცემაში რამდენიმე თემა განიხილებოდა: „თბილისის მერობის ახალი კანდიდატები; პანდემიის საფრთხე“ – „ბაქრადის პოზიცია; მონიტორინგი პანკისში; მოსკოვური შეხვედრები; შეურიგებელთა ერთობა“ – „ნათელაშვილის ბოიკოტი; ახალი კანდიდატი; დარჩიაშვილის პოზიცია“

უცხოური სიტყვები

„პროფილი“

ექსპერიმენტი - შოუბიზნესი - სეზონი - შოკი - რეიტინგული - ინსტიტუტი - პროვოკაცია - ჰიტები - სუროგატი - ეროტიკა - კარნავალი

„პოზიცია“

ალიანსი - პროგნოზი - ფრონტი - ვირტუალური - პრაიმერი - სკანდალი - კოდექსი - ბოიკოტი - კანდიდატი - პანდემია - მონიტორინგი - სტრატეგია - მანდატი - დებატები - `აი-რაი` - მისია - მანიფესტი - რაუნდი - ინიციატივა - ულტიმატუმი

„სამოთხის ვაშლები“

კრიტიკა - ინტერპრეტაცია - პიარი - რეცეპტი - სტიგმა - ორგანიზმი - სპექტაკლი - ჰოროსკოპი - ფანტასტი - ინტერნეტი - ექსპერტიზა - ქირურგია - ჰიგიენა - პოზა

„აუდიტორია“

ეპატაჟი - ფობიები - ელევანტურობა - მენჯერი - ინდუსტრია - პირატული - პროდუქცია - პლასტიკური - სექსუალური - სიმბოლიკა - ფეისბუქი - ბარიატრიული

„არჩევანი“

მანდატები - სოლიდარობა - კონგრესი - ომბუდსმენი - ბოიკოტი

3. 4. ტოქშოუს ჟანრი როგორც ლინგვოკულტურული ფენომენი გერმანულ და ქართულ ენებში

ტოქშოუს დისკურსი წარმოადგენს ტელეკომუნიკატორისა და ტელეაუდიტორიის რთულ ინტერაქციულ პროცესს, რომელსაც განსაზღვრული კულტურული თავისებურებები ახასიათებს. ისინი მასობრივი ინსტიტუციონალური კომუნიკაციის პირობებში ინტერსუბიექტურ ურთიერთობებში ვლინდება. ტოქშოუ როგორც რთული დისკურსიული წარმონაქმნი შეიძლება განხილულ იქნეს პრაგმა-, ფსიქო-, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ლინგვისტიკის, სტრუქტურული ლინგვისტიკის და ა.შ. კუთხით (ჰანკრატოვა 2001: 17-20). თუმცა აქ შევხები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტს, რადგანაც ორ ქვეყანას შორის კომუნიკაციის სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია ერთმანეთის ენის, ლიტერატურის, ყოფისა და კულტურის ცოდნაზე, რომელიც მთლიანობაში ლინგვოკულტურულ კოდს წარმოადგენს. ის მთავარ როლს თამაშობს ხატის, მენტალიტეტისა და ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირებაში (ლეონტოვიჩი 2002: 114).

აქვე გასათვალისწინებელია ვენედიქტოვას შეხედულება, რომ უცხო ქვეყნის ცხოვრებისეულ სამყაროში ჩართულობა გარკვეული ტიპის ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელსაც თანამონაწილე-კომუნიკაციურს უწოდებენ, რამდენადაც ის აუცილებლად მოიცავს რეფლექსიას საკუთარ საფუძველებზე, კულტურულ წინაპირობებზე (ვენედიქტოვა 1997: 203). ასეთი ტიპის აქტუალური ცოდნის დაგროვებისა და გერმანულ და ქართულ დისკურსში ჩართულობის ერთ-ერთი საშუალებაა ტოქშოუ. ინტერაქტანტების ურთიერთობა მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ საუბართან სოციუმის ცხოვრების დეტალების გამოვლენით. სატელევიზიო დისკურსში შეიძლება მოიპოვებოდეს შესაბამისი კულტურის ყველა შესაძლებელი ღირებულებითი დომინანტი, რაც ეხმარება რეციპიენტს მოახდინოს საკუთარი ცოდნის აქტუალიზაცია, შესწორება ან განვრცობა. განვიხილოთ ამ კუთხით ოლივერ გაისენის გადაცემა „Familie XXL-warum habt ihr so viele Kinder?“ გერმანული ოჯახის კონცეპტის მახასიათებელია

მცირერიცხოვანი ოჯახი, მაქსიმუმ ორი შვილით. ექსპერტები საუბრობენ შობადობის დეფიციტზე და ერთგვარი შიშიც კი აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელებმა როგორც ერმა შეიძლება აღარც კი იარსებონ. ამ ფონზე ნამდვილად გასაოცარია, რომ არსებობს ასეთი მრავალშვილიანი ოჯახები. გადაცემის ავტორების დამოკიდებულებაც იწვევს გაკვირვებას, რადგან კითხვაში „რატომ გყავთ ამდენი შვილი?“ იმალება საყვედური მაშინ, როცა ასეთი ოჯახების არსებობა სასიხარულო და მისასალმებელი უნდა იყოს. ტოქშოუს დისკურსში ჩართულობა ადვილად ხსნის ამ დილემას. მოყვანილია მრავალშვილიანი ოჯახების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მაგალითები. სწორედ მეორე ტიპის ოჯახებისადმი აქვს სტუდიის პუბლიკასა და მონაწილეებს ანთიპატიური დამოკიდებულება, რადგან მათ შვილები ფინანსური კეთილდღეობისთვის სჭირდებათ. მშობლები ყოველთვის ბავშვის ფულს იღებენ, სანამ ის სრულწლოვანი არ გახდება, გარკვეულ შემთხვევებში 27 წლამდეც კი. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია მრავალშვილიანობის მიზეზი. გადაცემის ავტორების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ტოქშოუსში წარმოდგენილია პოზიტიური მაგალითებიც, როგორც წარმატებული შესაძლოა იყოს მრავალშვილიანი ოჯახი. აქვე მინდა მოკლედ შევეხო ასათიანის გადაცემას „პროფესია - ცოლი“, სადაც სტუმრად არიან წარმატებული მამაკაცების მეორე ნახევრები. გადაცემის მიზანია გააცნოს მაყურებელს „ყველაზე რთული პროფესიის - ცოლობის - საიდუმლო“. საკითხის ასე განხილვა სრულიად უცხო, გაუგებარი და წარმოუდგენელია გერმანულ ლინგვოკულტურაში, რადგან იქ ცოლობა პროფესიასთან არ ასოცირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს სტუდიის პუბლიკის როგორც კულტურის ინდიკატორისა და განწყობის ბარომეტრის როლი, რომელიც როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად (აპლოდისმენტები, შემახილები, სიცილი, სტვენა) გამოხატავს თავის დამოკიდებულებას (სიმპათიას-ანთიპათიას) მისაღები ან მიუღებელი აზრისა და შეხედულებების მიმართ. მაგალითად, „ოლივერ გაისენის შოუში“ სტუდიის მაყურებელთათვის გაუგებარია, რომ ექვსი შვილის დედა, რომელიც უმუშევართა შემწეობას იღებს, უფრო მეტი შვილის ყოლაზე ფიქრობს. მისასალმებელია, რომ 15 შვილის მამა მუშაობს და სახელმწიფოზე არაა დამოკიდებული:

მ3: Also, die ersten beiden würde ich fragen, geht ihr eigentlich arbeiten oder finanziert ihr das vom Staat?

გე: Nee, wir kriegen kein Hartz IV. Mein Mann geht dafür arbeiten.

მ3: Das ist ja super, aber zu (აპლოდისმენტები ihr möcht ich sagen,) zu ihr möcht ich sagen, wenn du deine Situation kennst mit Hartz IV, es gibt Menschen, die haben ein Kind und schämen sich dafür, dass sie abhängig sind vom Staat. Aber warum kriegt ihr dann noch mehr Kinder, warum hört ihr nicht auf. Denn ihr seid den Kindern kein Vorbild. Die Kinder lernen, wie ma vom Staat lebt, wie ma anderen Leuten (...) das Leben nachmacht und dann die zweite Ausbildung kostet doch auch Geld. Wenn du den ersten Kurs bekommen hast/

სა: Da krieg ich Gehalt für die Ausbildung, das ist staatlich, da krieg 'n Hauslosgehalt. Ja, das stimmt, schäm ich dafür auch, geb ich ganz ehrlich zu, weil ich mir auch für meine Kinder was Besseres gewünscht habe, aber ähm Deutschland ist mal so ein Land, wo nur, wo es nur Arbeitslose gibt und gut, ich sag auch ganz ehrlich/

მ3: Ja, gut, aber wenn das die Antwort ist.

სა: bis zu dem vierten Kind hat mein Mann fest gearbeitet, also wir hatten, er hatte auch 'n gutes Einkommen, dass wir den Kindern auch in finanzieller Hinsicht gerecht werden könnten. Das mit dem Zwilling war halt, äh geb ich auch ehrlich zu, in unserer Situation nicht wirklich das Wahre, ne? Also sag ich ganz ehrlich.

მ3: Also, wenn du das durchziehst, so wie du das sagst, dann wünsch ich dir alles Gute und drück dir die Daumen. Es gibt leider viele, wenn viele so denken würden oder die meisten, die Kinder machen würden, vom Staat großziehen würden, es sind nicht viele da, die so denken, die sagen, ich geh erst arbeiten und dann finanziere ich meine Kinder.

სა: Das ist schon peinlich, wenn man dann

მ3: Das ist eigentlich traurig.

სა: zum Amt geht und dann immer seine Anträge abgibt.

ალექსანდრე გერტრუდსა და ვერნერს საყვედურობს, რადგან განსაკუთრებული საჭიროების შვილს თავად არ უვლიან. მას რომ ჰყავდეს

პარაპლეგიით დაავადებული მეუღლე, არ მიატოვებდა. სტუმრის ამ პოციზიას მაყურებლები აპლოდისმენტებითა და ყვირილით ეთანხმებთან:


„Die Frage ist aber ganz einfach zu beantworten. Wenn du sagst, dass du dem, die, das Kind, was behindert ist, dass nicht mehr drum kü, also, dass du dich nicht mehr drum kümmerst, weil der Aufwand einfach viel zu groß ist, dann nehme ich mir auch das Recht, dass ich sage, dann liebst du auch dein Kind nicht, weil dann es ist nicht damit getan, dass das Kind nur behindert ist. Wenn ich mit einer Frau verheiratet bin und die hat ´ne Behinderung, dann verlasse ich auch nicht die Frau. Wenn ich sie liebe, bleibe ich auch mit der, bleibe ich mit ihr zusammen, auch wenn sie querschnittgelähmt ist. Ist es nicht so?“

ალექსანდრეს ამ არგუმენტსაც პუბლიკა მოწონებით ხვდება: „Bei euch hab ich das Gefühl, ihr freut euch nicht auf die Kinder, ihr freut euch auf den Kontostand, der dann mittlerweile gefüllt wird und um danach euch ´nen Kasten Bier zu besorgen oder was weiß ich, weswegen ihr das tat, ne? ((აპლოდისმენტები, სტვენა Das ist es. Darum geht´s richtig)).“

ტოქშოუს ჟანრის ლინგვოსოციოკულტუროლოგიური ასპექტის კვლევისათვის ჩავატარე სათაურების თემატური ანალიზი, რათა გამოვევლინა გერმანული და ქართული ლინგვოკულტურის სპეციფიკა. ყველაზე საინტერესო ხუთ თემას გერმანულ მედიადისკურსში წარმოადგენს: პოლიტიკა, სიყვარული/ ურთიერთობები/ სექსი, ეკონომიკა, ოჯახური პრობლემები და სამუშაო (იხ. სქემა №19).

სქემა №19


გერმანული ტოქშოუს თემები



ქართულ მედიადისკურსში კი წინა პლანზე შემდეგი თემებია წამოწეული: პოლიტიკა, ცნობილი ადამიანები, მოდა/შოუბიზნესი, ზეიმი/დღესასწაული/მუსიკა და ოჯახი. როგორც ვხედავთ, პოლიტიკისადმი ინტერესი ორივე ქვეყნის დისკურსში ძალზედ დიდია და ის მუდმივი დისკუსიის საგანია. თუმცა სხვა თემებისადმი დაინტერესება განსხვავებულია (იხ. სქემა №20).

სქემა №20

ქართული ტოქშოუს თემები



დასკვნები

ამრიგად, ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება შემდეგი დასკვნების სახით წარმოვადგინო:

– ნაშრომი მოიცავს არა მარტო აღწერა-დაკვირვებას იმაზე, როგორ გადმოიცემა ტოქშოუ კომუნიკაციურ დონეზე, არამედ კონკრეტული კვლევის საფუძველზე მონათესავე ჟანრებისაგან გამოყოფით ხდება ამ მოვლენის თეორიული გააზრება მისი არსისა და გამოხატვის ფორმების თვალსაზრისით გერმანულ და ქართულ ენებში.

– გერმანული და ქართული ტოქშოუების კონტრასტული ანალიზისას გამოვლინდა მისი ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები. პირველი, თავის მხრივ, იყოფა უნივერსალურ და მადიფერენცირებელ ნიშნებად, რომლებსაც უფრო მეტად აკონკრეტებენ ანთროპოცენტრისტული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორები, ხოლო მეორეს განეკუთვნება თემატური და სტილისტური განსაზღვრულობა და კომპოზიციურობა.

– *თემატური პრინციპით* გამოვყავი გერმანული და ქართული ტოქშოუს ჟანრის შემდეგი საერთო ტიპები: პოლიტიკურ-ანალიტიკური, გასართობი და ინტელექტუალური, ქართულში ემატება სპორტული. გასართობი ტოქშოუ იყოფა საკუთრივ გასართობ, გვიანი ღამის და ყოველდღიურ ტოქშოოდ. *სტრუქტურულ-კომპოზიციური ნიშნით* ტოქშოუს ჟანრი ინტერაქციულ ასიმეტრიულ ჟანრს მიეკუთვნება. მისი კომპოზიციური სტრუქტურა სტაბილურია და დასაწყისის, ბირთვისა და დასასრულისაგან შედგება. კომუნიკაციაში ჩართულები არიან, ერთი მხრივ, ადრესანტი, კომუნიკანტი 1, მოდერატორი და, მეორე მხრივ, რამდენიმე ადრესატი, კომუნიკანტი 2, სტუმრები, ექსპერტები, აუდიტორია და ტელემეაყურებლები. ტოქშოუს ტექსტის სემანტიკურ ბმულობას თემა განაპირობებს. *სტილისტური ნიშნით* ტოქშოუ, როგორც სამეტყველო ჟანრის სატელევიზიო გადაცემა, სიახლოვეს ამჟღავნებს ყოველდღიურ სასაუბრო სტილთან, რომელსაც არაოფიციალურ სიტუაციაში ვიყენებთ. აქედან გამომდინარეობს ტოქშოუში სასაუბრო ლექსიკის ხშირი გამოყენება.

– გერმანული და ქართული ტოქშოუს დასაწყისი ტექსტების შედარებამ აჩვენა, რომ მათ დიდი მსგავსება ახასიათებს, რაც რიტუალიზაციის გამო მოსალოდნელიც

იყო. ორივე ენის ტოქშოუს კონსტიტუციური ელემენტია ენობრივი ქმედება - მისაღმება. დროის ეკონომიის მიზნით დასაწყის ფაზაში სტუდიის სტუმრების ჩართულობა ძალზე შეზღუდულია. ყველაზე მეტად ისინი „საბინე ქრისტიანსენსა“ და „ბერლინ მითემი“ არიან ინტეგრირებული. ქართულ ტოქშოუებში თემას წარადგენენ ინდუქციურად და თემის დასახელებით, ხოლო გერმანულში ასევე დედუქციურად. განსხვავება თითოეული ტოქშოუს დონეზე აისახება.

– როგორც გერმანული, ისე ქართული ტოქშოუს დასკვნითი ტექსტების კონსტიტუციური ელემენტებია: მადლობის გადახდა და დამშვიდობება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გერმანელი მოდერატორები გადაცემის დასასრულზე მიუთითებენ, ქართველები კი მოკლე რეზიუმეს აკეთებენ. ფაკულტატური ელემენტები ორივე ენაში ბევრ მსგავსებას აჩვენებენ, თუმცა ისინი გადაცემიდან გადაცემამდე განსხვავდებიან და წამყვანს გარკვეულ თავისუფლებას აძლევენ. გერმანულ ტოქშოუში მოდერატორები დასკვნით სიტყვაში უმეტესად შემდეგ გადაცემაზე მიუთითებენ.

– გერმანული ტოქშოუსაგან განსხვავებით ქართული ტოქშოუს შუა ტექსტი ნაწილი ფაზებისაგან შედგება, რაც ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარეობდა. ამ ფაზის კონსტიტუციური ელემენტია - მადლობის გადახდა. ერთადერთი გერმანული ტოქშოუ, სადაც ძირითად ნაწილში სტუმრის სეკვენციებია, „ოლივერ გაისენის შოუა“.

– გერმანული და ქართული ტოქშოუს კონტრასტული სტილისტური ანალიზით დავადგინე, რომ ტოქშოუს ტექსტისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური სტილი. ის განპირობებულია როგორც ფორმატით, ისე ინტერაქტანტების ინდივიდუალური მახასიათებლებითა და ინტენციით, იმ ენობრივი კონტექსტით, რომელსაც ისინი საუბრისას ქმნიან. სტილისტიკის სხვადასხვა მიდგომების საფუძველზე განვიხილე ტოქშოუს სტილი მთლიანობაში და მოვახდინე მისი მრავალშრიანი სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტების დეტალური ანალიზი. მედიალური კომპონენტი დიდ ზეგავლენას ახდენს ამ საუბრებზე იმით, რომ ინტერაქტანტები ზრუნავენ თავიანთ იმიჯზე და პუბლიკის გულის მოგებას ცდილობენ.

